A stylized, high-contrast black and white illustration of several faces, rendered in a graphic, almost cubist style. The faces are overlapping and expressive, with prominent features like eyes, noses, and mouths. The background is filled with intricate, swirling patterns and lines, creating a sense of movement and depth. The overall composition is dense and visually striking.

ალქოჩარი

**ქართვანთა კაზუსი
და რაჲი სამსჯანრო**

ალქონარი • ქართველთა კაზუსი და ჩემი სამსჯავრო

თბილისი
2020



აღქოჩარი

**ქართვანტა კაზუსი
და რაზი სავსჯანრომ**



თბილისი
2020

გამომცემლობა
„თეკა&კომპანია“

სარჩევი

ნაწილი.1 ქართველი ერის ვინაობა	8
თავი1. ქართველი ერის გენეზისი	8
1. ბიბლიური ვერსია	8
2. ქართველ ისტორიკოსთა ვერსია	21
თავი 2. ქართველთა გენეზისი ქრისტიანობის მიღებიდან-დღემდე	33
1. გენეზისი ქრისტიანობის მიღებიდან - რუსეთთან შეერთებამდე.....	33
2. გენეზისი რუსეთთან შეერთებიდან -დღემდე	40
დასკვნა	48
ნაწილი!! ჩემი წინაპრები	58
თავი 1.ჩემი მამა-პაპანი	58
1. სიცოცხლე ზოგადად	58
2. წარმომავლობა	59
3. პაპაჩემ გეურიქის ისტორია	65
4. მამაჩემ შაქროს ისტორია.....	73
ნაწილი!!! ჩემი ცხოვრება	102
1. ბავშობა და ყრმობა.....	102
2.ჯარში სამსახური	104
3.ცსუ-ს კურსებზე	110
4.იაკუტიასა და მაგადანში	111
5.გორკში	124
6.მადნეულის სამთო გამამდიდრებელ კომბინატში	130
7.კვლავ ჯარში	135
8.კვლავ საქართველოში	143

9.ტიუმენის ადვოკატურასა და პროკურატურის ორგანოებში	146
-ოქტომბრის რაიონში.....	146
-ქ.ხანტი-მანსისკში	159
-ლენინგრადის დახელოვნების ინსტიტუტი	164
-იამალა-ნენეცკის ონომიური ოლქ პროკურატურაში.....	167
10.კვლავ საქართველოში	176
-დმანისის აგროგაერთიანებაში	176
-დმანისის პარტიის რაიკომში.....	179
-დიდი დმანისის სასოფლო საბჭოში	183
-დმანისის გამგეობაში.....	187
-საქართველოს თავდაცვის სამინისტროში.....	192
-საქართველოს მთავარ სამხედრო პროკურატურაში	194
-ახალციხის რეგიონის სამხედრო პროკურატურაში	206
-ადვოკატად მუშაობა.....	215
-ჩემი ოჯახი	218
დასკვნა	219
დანართები (1) პირადი სურათები, ცნობები, დახასიათებები, სტატიები ჟურნალ-გაზეთებიდან და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც წარმოგვიდგენენ ალექსანდრე ქოჩიაშვილის რეალურ სახეს. აგრეთვე, 90-იან წლებში დმანისში განვითარებული არმენოფობიის მასალები	222-311
(2) შემოქმედებითი საქმიანობის ამსახველი მასალა	
Семья как форма социального явления.	312
Пьянства формаа социальной «активности»	324
Преступность и как сней бороться.....	331
О комиссии Дманиского РК КП Грузии	335

О перестройке.....	346
Право как форма общественного сознания	353
რეფერატი იჯარის შესახებ	365
დმანისური იჯარა	367
Об улучшении хозиаиственног механизма АПК	414
Сушность принципа демократического централизма	420
Предложения о демократизации	421
Что главное сейчас и после перестроичний период	433
იჯარის შესახებ.....	449
ჭეშმარიტების ახალი ვერსია.....	497
წარდგინება	509
სადეზერტირო დანაშაულებაზე	518
გამოყენებული ლიტერატურა.....	557

ნაწილი 1. ქართველი ერის ვინაობა

თავი 1. ქართველი ერის გენეზისი

1. ბიბლიური ვერსია

ა) XI ს-ის ქართველი ისტორიკოსის, რუისის ეპისკოპოს ლეონტი მროველის შეხედულებით, რომელსაც ზოგი VIII-ე საუკუნის მკვლევარად მიიჩნევს და რომელიც „შატბერდის კრებულში“ მოხსენიებულ ბიზანტიელ იპოლიტე რომაელის „ქრონიკონს“ ერდნობა, – ქართველი ერის წარმოშობის ისტორია ასეთია:

„პირველად ვახსენეთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკელთა, ჰერთა, და ლეკთა, და მეგრელთა, ამათ თვისთა ერთი იყო მამაი, სახელით თარგამოს. ესე თარგამოს იყო ძე თარშისა, ძის ნული იაფეთისა, ნოეს ძისაი. და იყო ესე თარგამოს კაცი გმირი.

და შემდგომად განყოფისა ენათაისა, ოდეს აღაშენა ნებროთ ბაბილონის გოდოლი და განეყვნეს მუნ ენანი, და განიშენნეს მუნით ყოველსა ქვეყანასა, წამოვიდა ესე თარგამოს ნათესავითურთ მისით, და დაემკვიდრა ორათა მათათა შუა კაცთ შეუვალთ, არარატსა და მასისისა.

და იყო ნათესავი მისი დიდი ურიცხვ, რამეთუ ესხსნეს ცოლი მრავალ, ძენი და ასულნი, და შვილნი და შვილის შვილნი, ძეთა და ასულთა მისთანი. რამეთუ ცხოვნდა იგი ექსუას ნელ, და ვერლარა იტევდა ქვეყანაი არარატისა და მასისაი.

ხოლო ქვეყანაი იგი, რომელი წილით ხუდომდა, ეს არს საზღვარი ქვეყანისა მასისაი: აღმოსავლეთით – ზღუაი გურგენისაი, დასავლით – ზღუაი პონტოსაი და სამხრით – მთაი ორეთისა, და ჩრდილოეთ – მთაი კავკასისაი.

ხოლო შვილთა შორის თარგამოსისთა გამოჩნდეს კაცნი რვანი, გმირნი, ძლიერნი და სახელოვანნი, რომელთა სახელები

ესე არს: პირველსა ერქუა ჰაოს, მეორეს – ქართლოს, მესამესა-ბარდოს, მეოთხესა-მოვაკან, მეხუთესა – ლეკან, მეექვსესა – ჰეროს, მეშვიდესა-კავკას, მერვესა-ეგროს... განუყო თარგამოს ქვეყანაი და ნათესავი თვისი რვათა ამათ გმირთა: ნახევარი ნათესავისა მისისაი და ნახევარი და უმჯობესი ქუეყანისა მისისაი მისცა ჰაოსს, ხოლო შვიდთა ამათ მისცა ხუედრი მათი არძანგებისამებრ მათისა.

წამოიყვანნა შვიდნი იგი ჩრდილოით კერძო და განუყვნა ქვეყანანი ღირსებისამებრ მათისა: მისცა ქართლოს და უჩინა საძღვარ: აღმოსავლით – ჰერეთ და მდინარე ბერდუჯისი, დასავლით – ზღუაი პონტოსაი, სამხრით-მთაი, რომელი მოჰყვების დასავლით კერძო, რომლისა წყალი გარდმოდის ჩრდილოით კერძო და მიერთვის მტკვარსა, რომელი მიჰყვების მთაი შორის კლარჯეთისა და ტაოსა ვიდრე ზღუამდის, და ჩრდილოით – საზღვარი ლადოი მთაი მცირე, რომელი გამოვალს შტოდ კავკასიისაგან, და მოჰკიდავს წუერი დასასრულსა ლადოისასა, რომელსა ჰქვიან ლიხი, და ამით საზღვართა საშუალ მისცა ყოველი ქართლოსს.

ხოლო ბარდოს მისცა ...

ხოლო მოვაკანს მისცა ...

ხოლო ჰეროს მისცა ...

ხოლო ეგროსს მისცა ქუეყანაი ზღვის ყურისაი და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით – მთაი მცირე, რომელს ჰქვიან ლიხი, დასავლით ზღუაი, მდინარე მცირისა ხაზარეთისაი, სადა წარსწუდების წუერი კავკასიისაი...

ხოლო კავკასიათა ჩრდილოით არა იყო ხუედრი თარგამოსისი, არამედ არა იყო კაცი კავკასიასა ჩრდილოით და იყო უმკვიდრო. ამისათვის... ლეკანს მისცა... და მისცა კავკასს... ხოლო ჰაოს დაემკვიდრა საყოფელთა თარგამოსისთა და იპურა ქვეყანაი ჩრდილოით, ვითა დამიწერია, სამხრით-ვიდრე მთამდე ორეთისა, აღმოსავლით – ვიდრე ზღუამდე გურგენისა და დასავლით – ვიდრე ზღუამდე პონტოისა და ამათ შვიდთავე

გმირთა იყო გამგებელი და უფალი ჰაოს, და ამათ ყოველთა ერთი ენაი – სომხური. და ესე რვანივე ერთობით ჰმონობდეს ნებროთ გმირსა, რომელ იყო მეფე ყოვლისა ქუენანისაი....

და ესე ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთვის არაგვ მტკუარსა, და განვიდა მთასა ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი, და პირველად შექმნა მუნ ზედა სიმაგრე და იშენა... სახლი, და ვიდრე აღმართებამდე მუნ ზედა კერპი არმაზისი, ერქუა მთასა მას ქართლი. და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი – ხუნანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა. შემდგომად მისავე ქართლოს აღაშენა ციხე ორბისაი, რომელსა ან ჰქვია სამშვილდე და კუალად აღაშენა მტუერის ციხე, რომელსა ან ჰქვია ხუნანი...

ხოლო შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს ხუთნი გმირნი, რომელთა სახელებია: პირველსა ერქვა მცხეთოს, მეორესა-გარდაბოს, მესამესა-კახოს, მეოთხესა-კუხოს, მეხუთესა – გაჩიოს, ...

მოკვდა ქართლოს... განუყვა ცოლმან ქართლოსისმან ხუთივე იგი გმირნი, შვილნი მისნი: გარდაბოს მისცა ხუნანი და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით-მდ. ბერდუჯისა, დასავლით-ქალაქი გაჩიანი, და სამხრით-მთაი პირველ ხსენებული, და ჩრდილოით-მტკვარი.

ხოლო გაჩიოს მისცა ორბის ციხე და სკვრეთისა მდინარითგან ვიდრე თავადმე აბოცისა და ამან აღაშენა ქალაქი გაჩიანი, ...

ხოლო კუხოს მისცა ბოსტან ქალაქი, რომელსა ან ჰქვია რუსთავი, და მისცა არაგვთაგან ვიდრე ჰერეთამდე, თავადმე მთისა კახეთისა და მტკუარსა შუა.

ხოლო კახოს მისცა კავკასიასა და კახეთისა მთასა შორის არაგვთაგან, ვიდრე ტყეებამდე, რომელ არს საზღვარი ჰერეთისაი, ...

ხოლო მცხეთოს, რომელი უგმირესი იყო ძმათა, ესე დარჩა საყოფელთა მამისა მათისა ქართლოსისთა, რომელსა ან ჰქვიან

არმაზი. და დაიპყრა ქვეყანა ტფილისითგან და არაგვთაგან დასავლით, ვიდრე ზღუამდე სპერისა. და ესე იყო გამგე და უფალი მათ ოთხივე ძმათა ზედა და ეს ოთხნივე იყვნეს მორჩილი მისი.

ხოლო მრავალთა წელთა და მრავალთა ჟამთა ცხოვნდა ძე ქართლოსისი და განმრავლდა ნათესავი მისი. ხოლო შვილთა შორის მცხეთოსისთა გამოჩნდეს სამნი გმირნი სახელოვანნი, რომელთა სახელებია: პირველისა უფლოს, და შემდგომის- ოძროხს, მესამისა-ჯავახოს.

განუყო მათ ქვეყანაი და ნათესავი მათი ყოველი: ოძროხს მისცა ტაის კართაგან ვიდრე ზღვამდე სპერისა ქვეყანაი კლდოვანი, ...

ჯავახოს მისცა ფარავნითგან, ვიდრე თავადმე მტკვრისა,.... ხოლო უფლოს დარჩა საყოფელთა მამისა მათისა მცხეთოსის-თა მცხეთას, და ეპყრა ქვეყანაი არაგვთაგან და ტბილისთაგან, ვიდრე ტასის კარამდე და ფარავნამდე, ... უწოდა ამას ქუეყანასა ზენა სოფელი, რომელსა აწ ჰქვიან შიდა ქართლი...

ხოლო ვითარცა მოკვდა მცხეთოს, ძე ქართლოსისის, შთავარდა შური შორის შვილთა ქართლოსისთა, ინყეს ბრძოლად და ხდომად ურთიერთს, რამეთუ უფლოს, ძესა მცხეთოსისას არა ერთდეს, არცა ხადოდეს უფლად, რომელი დატოვებული იყო საყდართა ქართლოსისთა, რამეთუ მამისა მისისაგან მიცემულ იყო უფლებაი ქართლოსიანთაი...

... მოვიდეს თურქნი ოტებულნი მისვე ქაიხოსროსაგან, გამოვლეს ზღუაი გურგანისი, აღმოჰყვეს მტკუარსა და მოვიდეს მცხეთას სახლი ოცდარვა (28 000 სული) და ეზრახნეს მამასახლისსა მცხეთისასა, აღუთქვეს შეღწევაი სპარსთა ზედა. ხოლო მამასახლისმან... აუწყო ყოველთა ქართველთა, ინებეს დამეგობრებაი მათ თურქთა, რამეთუ აქუნდა შიში სპარსთაი, და შემწეობისათვის დაიმეგობრნეს თურქნი... და განიყვნეს ყოველთა ქალაქთა შინა. ხოლო უმრავლესნი მათგანნი მოვიდეს და ჰპოვეს ადგილი ერთი მცხეთას, დასავლით კერძო,

კლდეთა შორის გამოკვეთილი ღრმაი, და მოითხოვეს ადგილი იგი მცხეთელთა მამასახლისისაგან, მისცა და აღაშენეს იგი. ეწოდა მას ადგილსა სარკინე, ...

და გამოხდეს ამას შინა ჟამნი მრავალნი, მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოუტყუანა იერუსალიმი, და მუნიტ ოტე-ბუღნი ჰურიანი მოვიდეს ქართლს და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქვეყანაი ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქვიან ზანავი, და რომელი ქვეყანაი აქუნდა მათ ხარკითა, ან ჰქვიან ხერკ, ხარკისა მისთვის.

აქამომდეს ქართლოსიანთა ენაი სომხური იყო, რომლისა ზრახავდეს. ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხვნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა დაუტოვეს ენაი სომხური. და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენაი ქართული და იპყრეს სჯული უბოროტესი ყოველთა ნათესავთა, რამეთუ ცოლ-ქმრობისათვის არა უჩანდა ნათესაობაი და ყოველსა ნათესავსა სულიერსა ჭამდეს, საფლავი არა იყო და მკვდარსა შეჭამდეს.

შემდგომ ამისა რაოდენთამე წელიწადთა მეფე სპარსეთის ძე სპანდიანტისი... ბაჰრამ... დაიპყრო ბაბილოვანი და ასურეთი, მოხარკე – ყვნა ბერძენნი და ჰრომნი. და მაშინ ქართველნი მოხარკე იყვნეს მისდავე. და იყვნეს ქართლსა ესრეთ აღრეულ ესე ყოველნი ნათესავნი და იზრახებოდა ქართლსა შინა ექვსი ენაი: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული. ეს ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა.

ესე ალექსანდრე გამოჩნდა ქუეყანასა, რომელსა ჰქვიან მაკედონი...

ამან... დაიპყრნა ყოველნი კიდენი... და მოვიდა ქართლად და პოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა, რამეთუ ცოლ-ქმრობისა და სიძვისა თვისობა უჩნდა...

... დაიპყრა ალექსანდრემ ყოველი ქართლი და მოსჩანა

ყოველნი იგი ნათესავნი აღრეულნი, ქართლს მყოფნი, და უცხონი... და დაუტევნა ნათესავნი ქართლოსიანნი, და დაუტოვა მათ ზედა პატრიკად სახელით აზონ...

... და ვითარცა მოკვდა ალექსანდრე, ამან აზონ დაუტოვა სჯული ალექსანდრეს მოცემული, იწყო კერპთმსახურება და შექმნა ორნი კერპნი ვერცხლისანი-გაცი და გაი.

... მას ჟამსა შინა იყო ჭაბუკი... მცხეთას... ფარნავაზ... მამულად ქართველი, ნათესავი უფლოს მცხეთოსის ძისაი, და დედულად სპარსი ასპანელი და იყო იგი ძმისწული სამარისი, რომელიც მცხეთის მამასახლისი იყო. ესე სამარ და ძმაი მისი მამაი ფარნავაზისი მოკლულ იყო ალექსანდრესგან. ხოლო დედასა ფარნავაზისისასა წარეყვანა ფარნავაზ, სამისა წლისა ყრმაი და შევლტოლილ იყო კავკასიად, და მუნ აღზრდილ იყო, და მოსრულიყო მცხეთასა, მამულსა თვისსა.

ერთ დღეს ნადირობისას... ნახა კლდისა... ძირსა ქუაბი... ოქრო და ვერცხლი მიუწვდომელი... შემოკრიბეს ...

... წარაგზავნა მონაი... ქუჯის თანა და ჰრქუა „მე ვარ ნათესავი უფლოსისი, მცხეთოსის ძისა და ძმის წული სამარა მამასახლისისაი და არს ჩემთანა ხუასტაგი დიდი ძალი. ან უკეთუ ინებო, რაითა მოვიდე შენთანა და ვიყვნეთ ჩუენ ძმა, და ვიხმაროთ ხუასტაგი... და გამოუჩნდეთ მტრად აზონ ერისთავსა, და სუემან ჩუენმან მოგვცეს ჩუენ ძლევაი კეთილი“.

მაშინ განიხარა ქუჯი... და ჰრქუა: „აღდექ და მოვედ ჩემ თანა, და ნუ ჰშურობ ხუასტაგსა შენსა, და ხუასტაგითა შენითა განგიმრავლნე სპანი შენნი, ვიდრე გამოვჩნდეთ მტრად აზონისა... და ვგონებ, რომელ ჰრომთა მათგანიცა გამოგუერთნენ, რამეთუ ურიცხვნი აწყუედილ არიან მათგანიცა აზონისაგან“.

მაშინ ფარნავაზ... წარვიდა... და რომელი შესაძლებელი იყო, განძი წარიტანა თანა, და ჰრქუა მას ქუჯი: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათაი, და შენ გმართვეს უფლებაი ჩემი. ან ნუ ჰშურობ ხუასტაგსა შენსა, რათა განვიმრავლნეთ სპანი შენნი, და თუ მოგუეცეს ძლევაი, შენ ხარ უფალი ჩემი

და მე ვარ მონაი შენი“.

მაშინ ათასი მხედარი რჩეული ჰრომთა მათგანი, რომელთა ბოროტი წარჰკიდებოდა აზონისაგან, განუდგეს აზონს და მივიდეს წინაშე ფარნავაზისა. მაშინ ყოველნი ქართველნი განუდგეს აზონს, ხოლო სპანი, რომელ დარჩეს, ვერღარა მიენდო მათ,... წავიდა აზონ და მივიდა კლარჯეთს და განმაგრდა. ხოლო მოვიდა ფარნავაზ მცხეთას, და დაიპყრნა... ციხენი მცხეთისანი და მასვე წელიწადსა... დაიპყრა ყოველი ქართლი თვინიერ კლარჯეთისა

... მოკლეს აზონ... ფარნავაზ... დაიპყრა კლარჯეთი და წარმოვიდა მცხეთად.

ხოლო ეგრის წყალს ქუემოთით დარჩა ბერძენთა... არ ინებეს განდგომა.

მაშინ ფარნავაზ მისცა დაი მისი ოვსთა მეფესა ცოლად და მეორე დაი მისი მისცა ქუჯის ცოლად და მისცა ქუჯის ქუეყანაი ეგრეს წყალსა და რიონსა შუა, ზღვათაგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი, და დაამტკიცა ერისთავად მუნ.

მაშინ ფარნავაზ... მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგრისსა ზედა, და განამრავლნა ყოველნი მხედარნი ქართლოსიანნი, განაწესა ერისთავნი რვანი და სპასპეტი.

ერთი გააგზავნა მარგვს ერისთავად... ერთი კახეთს... ერთი ხუნანს... ერთი სამშვილდეს... ერთი წუნდას... ერთი ოძროხის... ერთი კლარჯეთს... ქუჯი კი იყო ერისთავი ეგრისისაი. ხოლო ერთი დაადგინა სპასპეტად და მისცა ტბილისთაგან, ვიდრე ტასისკარამდე და ფარნავარდამდე, რომელ არს შიდა ქართლი. და ესე სპასპეტი იყო ყოვლადვე წინაშე მეფისა და მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა. ხოლო ერისთავთა ქუეშე ადგილთა განაჩინნა სპარსალარნი და ათასისთავნი, და მათ ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი სამეფოდ და საერისთაოდ.

... ფარნაოზ შექმნა კერპი დიდი სახლსა ზედა თვისსა,

ესე არს არმაზი, და ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა,...
ემსახურებოდა მეფესა ასურისტანისასა, ...

ხოლო იგი ჰრომნი ათასნი მხედარნი, რომელნი აზონისა-
გან მოერთნეს ფარნავაზს... განყვნა ხევთა და ქვეყანათა შინა,
იპყრნა იგინი კეთილად, და უწოდა მათ სახელად აზნაურნი.

... ფარნავაზ... ესუა ძე და უწოდა საურმაგ და ეს ფარნა-
ვაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესა-
ვთაგანი. ამან განავრცო ენაი ქართული და არღარა იზრახე-
ბოდა სხუაი ენაი... შექმნა მნიგნობრიობაი ქართული.

... მეფე იქმნა მისი ძე საურმაგ.

... საურმაგ ნამოაყვანინა იგინი (დურძუკები)... ნახე-
ვარნი... დასხნა მთიულეთს დიდოეთიდან ვიდრე ეგრისამდე,
რომელ არს სუანეთი. და ესენი იპყრნა მისანდობლად თვისად,
დედულნი.

... მეფობდა საურმაგ მრავალწელთა და მოკვდა, მეფე იქმ-
ნა მისი შვილი მირვან... და მოკუდა რაი ადრეკი, მეფობდეს
შემდგომად მისი შვილნი.

ხოლო ამათსა მეფობასა ვესპასიანოს, ჰრომთა კეისარმან,
წარმოტყუენა იერუსალიმი, და მუნით ოტებულნი ჰურიანი
მოვიდეს მცხეთასა და დასხდეს ძუელადვე მოსრულთა ჰურია-
თა თანა, რომელთა თანა – ერთნეს შვილნი ბარაბასნი, რომელი
ჯუარცუმასა უფლისასა განუტევეს ჰურიათა უფლისა ჩუენისა
იესუსის წილ ...

და ესრეთ სახედ ნათელ იღეს ყოველმან ერმან და სიმრა-
ვლემან ქართლისაგან თვინიერ, ხოლო არა ნათელ იღეს
მათეულთა კავკასიანთა მიფენასა, არამედ დადგეს ბნელსა შინა
ჟამ რაოდენმე და ჰურიათა მცხეთელთა არავე დადგეს ნათელ
– იღეს, გარნა ბარაბიანთა ორმეოცდაათემან სულმან,... “1

**ბ) ლეონტი მროველის ამ ისტორიას მთლიანად იზიარებს
და ვიტყობდი იმეორებს, მე-XVIII ს-ის ისტორიკოსი ვახუშტი
ბატონიშვილი თავის „აღწერა სამეფოსა საქართველო-ში“, თუმ-
ცა მისგან განსხვავებით სიტყვა „საქართველოს, „ქართლის“,**

ანდა „ქართლოსიანის“ ნაცვლად იგი ხშირად ხმარობს სიტყვა „ივერს“, „ივერიას“, ანდა შესაბამისი ინტერპრეტაციით ცვლის მათ შინაარსს, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ შეიძლება თვით მროველის „ისტორიაც“ თავდაპირველად მოიცავდა ასეთ ტერმინებს და შეცვალეს მოგვიანებით. 2

გ) ფაქტობრივად ლეონტი მროველი ანვითარებს მე-V ს-ის ისტორიკოს მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიაში“ გადმოცემულ მითებს, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობა „აბიდეონოსის ცნობებს“, რომელშიც აღწერილია სემის, ქამისა და იაფეტის მოდგმათა ისტორია, მათ შორის ჰაიკიდან – არა მშვენიერამდე.

მროველთან შედარებით აქ რიგი განსხვავებებია. მაგალითად, ბაბილონიდან არარატის ველზე ამოდის არა თორგომისი, არამედ მისი შვილი ჰაიკი, მთელი თავისი სახლობით, როგორც კი შეეძინა შვილი არმენაკი.

ჰაიკი არარატის ველზე აგებს სამემკვიდრეო სახლს, უტოვებს მას არმენაკის შვილს – კადმოს, თვითონ კი ამალით მიემართება ჩრდილო დასავლეთის მიმართულებით და მკვიდრდება ზეგანზე, რომელსაც დაარქვა ჰაიკი. მან იქ გააშენა სოფელი და დაამკვიდრა თორგომისის მოდგმა, ამ სოფელს უწოდა „ჰაიკაშენი“.

ჰაიკი კლავს ბაბილონის მეფე ბელს. მასთან გამართული ბრძოლის შემდეგ იგი ბრუნდება ჰარკში. მისი გარდაცვალების შემდეგ „გვარის“ ხელმძღვანელობა გადადის არმენაკას ხელში. იგი ჰარქში ტოვებს თავის ორ ძმას – ხორს და მანავაზს. მათგან ჰარკი სამემკვიდრეოდ რჩება მანავაზს, ხოლო მის ვაჟს, – ბააზს მარილიანი ზღვის ჩრდილო დასავლეთი ნაპირი.

აქ ძნელი სათქმელია, რომელ ადგილს მიიჩნევს ავტორი „მარილიან ზღვად“. თუმცა ცხადია, რომ „ჰარქში“ საგულისხმოა საგურამო, ანდა მცხეთა.

ფარნავაზს მოიხსენიებენ სომხეთის მეფედ, ხოლო ბაგრატიონთა მამა-მთავრად, – სომხეთის მეფე ჰრაჩიას მიერ ნაბუ-

ქოდონოსორისაგან გამოთხოვილ ებრაელთა მხედართმთავარ – შამბათს!

„სომხეთის ისტორიაში“ ვხვდებით ისეთ ცნობებს, როგორცაა თითქოსდა ნაბუქოდონოსორს კავკასიის მთების მოპირდაპირე ქართლში ჩაესახლებინა დატყვევებული ივერები (ებრაელები) და მათთვის მთავრად დაესვა გუგარელი პიტიახშები.

აქ მოვსეს ხორენაცს მოშველიებული აქვს აბიდენოსის ცნობა, რომელშიც ნათქვამია: „ძლევა მოსილმა ნაბუქოდონოსორმა შეჰყარა ჯარი და მიაღწია ლიბიელთა, აგრეთვე ივერიელთა ქვეყნებს, შემუსრა და დაიმორჩილა ისინი. მათი ერთი ნაწილი წამოასხა იქიდან და პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეს დაასახლა. ივერია ქვეყნიერების დასავლეთ საზღვარზე მდებარეობს“. (გვ. 106-107) 3

რამდენად სწორეა მოვსეს ხორენაცის ეს ცნობა, – ჩვენთვის უცნობია, რამეთუ მის თხზულებას ისტორიკოსი ლენორმანი, რომელმაც თავისი ნაადრევი დასკვნებით ქართველი ერის წარმოშობის შესახებ, – ქართველ მკვლევარებს თავ-გზა აუბნია, – მარაბაზ კატინის ცრუ სიტყვაობის გამეორებად მიიჩნევს (ილ. ჭავჭავაძე, „ქვათა ლაღად“, გვ. 10). 4

დ) ჰეროდეტეს ისტორიული ცნობის მიხედვით, რომელიც მოღვაწეობდა ძვნ V-ე ს-ში, ცხადი ხდება, რომ ეგვიპტის მეფე სისოსტრისეს, ანუ რამზეს 3-ეს, ძვნ XIII-ე ს-ში ფაზისთან დაუტოვებია დიდი ლაშქარი, რომელიც შემდეგ ასიმილირებულია ადგილობრივ მოსახლეობაში და ამის გამო იგი კოლხებს ეგვიპტელებად მიიჩნევს, რამეთუ მათსავით ხუჭუჭთმიანები არიან, მათ მსგავსად ახდენენ წინდაცვეთას, ამუშავებენ სელს, ცხოვრობენ და მხგავსი ენა გააჩნიათო. 5

ამასთან დაკავშირებით საგამომცემლო კომისია აღნიშნავს, რადგან ჰეროდეტე ქართველურ ტომებთან: კოლხებთან, სასპერებთან, ხალიბებთან, მაკრონებთან, მოსხებთან, ტიბარენებთან, მოსინიკებთან, მარებთან – ერთად, არ იხსენიებს იბერებს, ალაროიდებს და მითანებსო, – რომლებიც მიაჩნია

ქართველებად, – მისი ცნობა არ არის სარწმუნოვო! (იქვე, გვ. 27-28).

ვ) ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღალადის“ მიხედვით ისტორიულ ჭეშმარიტებად მიჩნეულია, რომ ეგვიპტელი „მუშენი, „დაბადების „მოსოხნი“, ანუ „მოსხნი“, ეხლანდელი „მესხნი“, ჰეროდეტეს „ტიბერნი“ და სტრაბონის „ტიბერნი“, რაც ვფიქრობ, რომ გადმოსახლებული-ივერ, იბერნია, და „კოლხნი“, – შეადგენენ ქართველთა ნათესაობის ერს, რომელსაც თურმე სჭერიათ მთელი აღმოსავლეთი ღალისის მდინარიდან, რომელიც ცენტრალურ ანატოლიაშია, – შავი ზღვის პირამდე და მთელი აღმოსავლეთი მხარე ამ ზღვისა, მათ შორის მტკვარ-არაქსს შუა სივრცე!

სომეხ ისტორიკოს პატკანოვის ცნობით, „მოსხები და კოლხები“ ქართველთა ნათესაობისანი არ არიან.

ჯერ კიდევ ძვნ 2-ე ათასწ-ის დამლევადან ურმიის, ვანისა და გოგჩას ტბების სანახებში მცხოვრები ნაირის, გადაქცეული ურარტუს სახელმწიფოდ, – მოსახლეობას, ისტორიკოსი გოლმსტერმი მიიჩნევს სომხებად, ლენორმანი, ილია ჭავჭავაძესთან კი, – ქართველთა წინაპრებად, თუმცა ურია – ებრაელ-ქალდეველთა წინაპრები უნდა იყვნენ.

მიაჩნიათ, რომ ამ რეგიონში სომხები შემოვიდნენ ძვნ მე-VII -VI სს-ში.

ლენორმანის მტკიცებით ძვნ. VII ს-მდე არმენიაში სომხების შემოსვლამდე მცხოვრები ერი იყო ქართველთა ნათესავი, რომელსაც საფუძველი დაუდო დაბადების „თოგორმამ“, და რომელსაც ვითომც არაფერი ჰქონიყო საერთო სომხებთან.

ლენორმანი „ალაროიდელებს“ იბერებადაც მოიხსენიებს. მისი აზრით არმენიაში ნაპოვნი ლურსმული წარწერის ენა მეტისმეტად წააგავს ქართულ ენასო.

ეჟენ-ბურნუკის გამოკვლევით არმენიის ლურსმული წარწერები და ქართული წარწერები ერთი და იგივეა. ხოლო ჰანრი რაულსონის მტკიცებით სომხებმა ტყუილად დაიჩემეს თარგო-

მოსისაგან წარმომავლობა.

ლენორმანის აზრით ძველ აღრიცხვის-721 წ-მდე, ქვეყანა, რომელსაც ურარტუს ეძახდნენ, ქართველების სამკვიდრო ყოფილა!

ისტორიკოს მასპეროს განმარტებით ურარტუ, 721 წ-მდე დასახლებული ყოფილა ერთი მოდგმის ერთი, რომელიც მთლიანად განსხვავებული ყოფილა ეხლანდელი სომხებისაგან და ეკუთვნოდა ნათესაობით ქართველებს.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ არარატელები არმენიაში მოვიდნენ ან ჩრდილოეთიდან, ანდა აღმოსავლეთიდან! 6

ამდენად, ქართველი ერის წარმოშობის შესახებ, „ბიბლიური ვერსიიდან“ გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ:

1. ლევონტი მროველის „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ქართველთა მამა-მთავარი ქართლოსი ქართლში მოვიდა „ებრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლამდე“, რასაც თითქოსდა ადგილი ჰქონდა ძველ XVIII-ე, თუ XV – ს-ში. ქართლოსმა ქართლის სახელმწიფო შექმნა დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოსა და ტაო-კლარჯეთის გაერთიანებული სახელმწიფოს სახით, ვიდრე შავ ზღვამდე, დასავლეთ საქართველოს გარეშე, სადაც სახლობდნენ ქართლოსიანთა მონათესავე ეგრისელები;

2. ქართველებს ეგრისელებთან შეერთებამდე დაემატათ 28 000 დევნილი თურქმანი, რომლებიც განასახლდნენ ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში;

3. ძველ-ის 586 წ-ს ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღების, 2-ე საუკუნეში მომხდარი აჯანყებისა და ახლ 67 წ-ს ვესპასიანოს მიერ იერუსალიმის დანგრევის შემდეგ ქართლში მოვიდნენ ლტოლვილი ურია-ებრაელები, რომლებსაც „ივერეზად“ თუ „იბერეზად“ მოვიხსენიებთ და განსახლდნენ ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში. პირველი შემოსვლის შემდეგ ქართლოსიანებმა დაკარგეს თავისი ეთნიკური სახე, მშობლიური ენა და დაიწყეს შემოხიზნულთა მიერ ახლად შექმნილ „ქართულ“ ენაზე ლაპარაკი, რაც ნიშნავს იმას, რომ ქართლოსიანებმა

დაკარგეს ჰეგემონია, და ქვეყანაში გაბატონდნენ ურია-ებრაელები. ქართლოსისაგან წარმომდგარმა სიტყვა „ქართლმა“, თუ „საქართველომ“ კი შეიძინა გეოგრაფიული ტერმინის მნიშვნელობა. თუმცა ეს მოგვიანებით, მანამდე კი მხარეს ეწოდა „ივერია“ თუ „იბერია“, ანუ (ეფფრატის) „იქითა ნაპირიდან მოსულთა“ მხარე, რაც თავდაპირველად შეიძლება დაფიქსირდა „ტ-იბერიად“;

4. ებრაელთა ქვეყანაში შემოსვლის შემდეგ ქართლში დაიწყო ექვს, – სომხურ, ქართულ, ხაზარულ, ასურულ, ებრაულ, და ბერძნულ ენაზე ლაპარაკი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იმდროს ქვეყანაში სახლობდა ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხთა ეთნიკური ჯგუფები.

ლეონტი მროველისაგან განსხვავებით მოვსეს ხორენაცი ქართველთა მოდგმის მამა-მთავრად გვიდგენს-ჰაიკის შვილებს, არმენაკს, ხოროსა და მანავაზს, ანუ ფარნავაზს. აღნიშნავს დატყვევებულ ივერთა განსახლებას შავი ზღვის არღმოსავლეთით.

5. ძვნ V-ე ს-ის მოღვანე ჰეროდეტეს გადმოცემით, კოლხები-ეგვიპტელებია, რადგან მრავალი მსგავსება გააჩნიათ, მათ მიიჩნევს რამზესის დანატოვარ ლაშქარის მემკვიდრეებად. ილია ჭავჭავაძე კი, უცხოელ ისტორიკოსებზე დარდნობით, ქართველთა ნათესავად თვლის ყველას, ვინც კი სახლობდა მდინარე ლალესის აღმოსავლეთით, ურმია-ვანის ტბების სანახების ჩათვლით, – ძვნ 721 წ-მდე. იგი ყოფილ ურარტუს სახელმწიფოს მიიჩნევს ქართველთა სახელმწიფოდ, საიდანაც თითქოსდა ძვნ VII-ე ს-ში განდევნეს სომხებმა.

როგორც ხედავთ სახეზე გვაქვს ქართველთა წარმოშობის ორი ძირითადი – ლეონტი მროველისეული და ლენორმან-მასპეროსეული ვერსია. ორი ვერსია გვაქვს ასევე მეგრელების წარმოშობაზეც, – მროველისეული და ჰეროდეტესეული. აქ ამაზე შევჩერდეთ!

2. ქართველ კლასიკოს ისტორიკოსთა ვერსია

ა) ივ. ჯავახიშვილის მიხედვით. იგი თვლის, რომ საქართველოს პოლიტიკური ისტორიის მკაფიო სურათის აღდგენა შეიძლება მხოლოდ I ს-დან, როგორც ჩანს მანამდე არსებულს საეჭვოდ მიიჩნევს. ქართველურ ტომთა სამხრეთიდან ჩრდილოეთით წამოწევა, რასაც ადგილი ჰქონდა ძვ. VII-VI სს-ში განაპირობა კიმერიელთა მცირე აზიაში შესვლამო. რა დამოკიდებულება არსებობდა ურარტუ-ქალდეის სამეფოსა და ქართველებს შორის, ჯერ კიდევ არ ჩანს. ძვ. V-IV ს-ში ლიხთ – იმერეთში პოლიტიკური ჰეგემონია მოპოვებული აქვს იბერთა ტომს, ცხადია ასე იქნებოდა, რადგან გურიაში ჩასახლებულ იქნენ ურიები. ძვ. VI ს-ში სამხრეთ კავკასიაში მდებარე ზოგიერთი ქართველ თემთა მიწა, ჩრდილოეთით წამოწეულ სომხებს ჩაუგდიათ ხელში, ცხადია ასეთ დასკვნამდეა მისული ლენორმანის კვლევებზე დაყრდნობით.

მიაჩნია, რომ ძვ. II ს-მდე ქართველთა სამხრეთ საზღვარი გადიოდა მდ. არაქსზე. 7

ივ. ჯავახიშვილი არ იზიარებს მროველისეულ „საქართველოს ისტორიას“ და მის ობიექტურობაში შეაქვს ეჭვი. თვლის, რომ მას იგი მატყუარა ეფრემ ასურის „განძთა ქვაბის“ მიხედვით აქვს შედგენილი.

ივ. ჯავახიშვილი უფრო იზიარებს სტრაბონის ცნობას, რომელშიც გადმოცემულია I-ს-ში არსებული საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა. ძვ. მეორე ათასწლეულში ზემო შუამდინარეთში შექმნილ სახელმწიფო „მითანას“ მიიჩნევს „ჭურიტების“ (ურების) სახელმწიფოდ, რომელსაც აკადელები „სუბარს“ უწოდებდნენ, რაც თანამედროვე მეცნიერთა მიერაა უარყოფილი.

ევროპელ ისტორიკოს გოტცზე დაყრდნობით საკუთრივ ჭურიტების ქვეყანად მიიჩნევს ვანის ტბის სანახებს (ურარტუს), ამავე დროს, იმავე გოტცზე დაყრდნობით აცხადებს,

რომ ჰურიტების ზედა ფენა გაბატონებული იყო ასურეთსა და პალესტინაში.

ჰურიტების ენა განსხვავებული ყოფილა სემიტური ენისაგან და გავრცელებული ყოფილა ისტორიული არმენიიდან – ასურეთამდე.

ძვნ მესამე ათასწლეულიდან მოყოლებული ურიტებს დაუწყიათ სამხრეთისაკენ მოძრაობა, მათ გოტცე ინდოევროპელებად მიიჩნევს, რომლებიც ინდოეთიდან უნდა იყვნენ წამოსულებიო.

ივ. ჯავახიშვილს მიაჩნია, თითქოსდა ხეთები და ჰურიტები მცირე აზიაში შემოსულიყვნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოვლითი გზებით, რასაც უარყოფს აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი.

გოტცე „მუშკებს“ (მესხებს) მიიჩნევს ინდოევროპული ენის მქონე თრაკიულ-ფრიგიულ მოდგმის ხალხად, რომლებიც გადმოსულან ბალკანეთიდან. ჩვენებიც ასე რომ არ ფიქრობდნენ, მაშინ დააბრუნებდნენ დევნილ მესხებს.

ქსენოფონტზე დაყრდნობით კოლხებს, ძვნ IV ს-ში შავი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთ სანაპირო სჭერიათ და მათ აღმოსავლეთით მეზობლად ჰყოლიათ“ მაკრონები“, რომლებსაც მოგვიანებით ჩანაცვლებიან „ჭანები“.

ახნ I-II სს-ში კოლხეთში სახლობენ „აფშილები“, „ლაზები“, „მეგრელები“, და „ეგრისელები“, – „კოლხები“ კი აღარ გვხვდებიან.

„ქართლის მოქცევის,“ მიხედვით მტკვრის ხეობაში უცხოვრიათ „იებოსელებსა“ და „ბუნთურქთ“, რომლებსაც სჭერიათ ქალაქები სარკინე, კასპი, ურზნისი და ოძროხისი. 9

ივ. ჯავახიშვილის თხზულების XI – ე ტომის რედაქტორი, **აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი უარყოფს ქართველებისა და „ჰურიტების“ ნათესაობას.** იგი აღნიშნავს, „რომ დღეს... აღარ არის გაზიარებული ივ. ჯავახიშვილის ჰიპოთეზა, ქართველთა სახით, ძვნ VII ს-ში კავკასიური ტომების სამხრეთიდან ორ

ნაკადად შემოსვლის შესახებ“.

მელიქიშვილის აზრით ჯერ კიდევ 3-ე ათასწლეულში სამხრეთ კავკასიაში იყო ქართველური ენების ერთიანი წინაპარი ფუძე-ენაზე მოლაპარაკე ეთნიკური ჯგუფი, რასაც მივყევართ მროველისეულ ვერსიამდე. სკვითებისა და სარმატების ირანული წარმომავლობა კი ეჭვს გარეშე აქვს მიჩნეული. 10

ბ) მისაკო წერეთელის მიხედვით. იგი აღნიშნავს, რომ მკვლევარი ფრიც ჰომმელის დასკვნით ქართულ ენას კავშირი აქვს ძველ ელამურ, კაბადოკიურ, ხეთურ, თანამედროვე ბასკურ და სხვა ენებთან, რომლებსაც ლენორმანისავით „ალაროიდულ“ ენათა ჯგუფს აკუთვნებს. მათ სჭერიათ მცირე აზიის, მიდიის, სომხეთისა და ჩრდილო ასურეთის მიწები.

წერეთელი ქართულ ენას სამ შტოდ: ქართულ, მეგრულ და სვანურ – ენებად განიხილავს.

იგი ქართველი ერის გენეზისის საკითხებს განიხილავს ივ. ჯავახიშვილის მსგავსად. ამიტომაც მისი შეხედულების მთლიან კონცეპციისაგან თავს შევიკავებთ და არ გავმეორდებით, რადგან მცდარია.

წერეთელს მოყავს ისტორიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის წიგნიდან: *Антология Грузии*, მეტად საინტერესო ცნობები. მას ქართველები შეუდარებია ტვერის გუბერნიის 200 რუსთან, 27 ანტროპოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით და დაუდგენია-17 საერთო ნიშანი, განსხვავება კი-10; პოლონელებთან, – 220 კაცის გაანალიზებით, – 20 მაჩვენებლის მიხედვით და დაუდგენია – 11 საერთო, განსხვავება კი-9; ყუბანის ყაზახებთან 41 კაცის გაანალიზებით, 22 ნიშნით და დაუდგენია-10 საერთო, განსხვავება კი-12; აღმოსავლეთ საქართველოს სომხებთან, 105 კაცის გაზომვით, 22 მაჩვენებლით, დაუდგენია-15 საერთო, განსხვავება – 7; პოლონელ ებრაელებთან 200 კაცის გაზომვით, 28 ნიშნით, დაუდგენია – 17 საერთო, განსხვავება – 11.. და ასე, და აღნიშნავს, ვინ იცის რამდენ რასას შევერიეთ დროთა განმავლობაში და რამდენისგან მიღებული გვა-

ქვს გენური თვისებებიო?. 11

ყოველივე ეს კი მაჩვენებელია იმისა, რომ საერთოდ არ არსებობს წმინდა ერი და ყველა ერთი-მეორის „სისხლითი“ ნათესავები ვართ!

გ) ზვიად გამსახურდიას მიხედვით. გამსახურდია პროტოქართველებთან აიგივებს მთელ იაფეტურ მოდგმას, რომლებიც განფენილ იყო გიბრალტარიდან, – ჰიმალაის მთებამდე, რაც ივ. ჯავახიშვილის გაფართოებულ ვერსიას წარმოადგენს. ამ დროს საკითხავია, ვის გულისხმობს „ქართველში“ გამსახურდია. მისი აზრით ძვნ IV ათასწლეულამდე ინდო – ევროპელებს ეკავათ ტერიტორია შუა ევროპიდან – ურალის მთებამდე, შემდეგ კი დაიწყეს სამხრეთით წამოსვლა.

მათვე მიაკუთვნებს ხეთებსა და ასურერლებს, რომელთა ექსპანსიამაც 3-ე, 2-ე ათასწლეულებში გამოიწვია პროტოქართველთა კულტურისა და ეთნოსის დაშლა. მიაჩნია, რომ პროტოქართველურ ენის აღრევამ გამოიწვია ბაბილონის გოდოლის დაცემა, რაც მეტის მეტია.

ნ. მარსა და ფრ. მიულერზე დაყრდნობით კავკასიური ენები მიაჩნია ერთ, ოდებლაც არსებულ ძლიერ ენათა ოჯახის ნაშთებად, რომელიც იყო სემიტურ, არიულ, ურალ – ალტაური ტომების მოსვლამდე. ნ. მარიც თვლის ქართული ენის საწყისად კაცობრიობის საერთო წინარე ენას. ეს მაშინ, როდესაც მროველის მიხედვით ქართული ენა ჩამოყალიბდა ძვნ VI-V-ე სს-ში სომხურ-სკვითურ ენათა ბაზაზე.

ზვიადის გადმოცემით, – მარი, ჯონსტონთან ერთად შუმერებს, თუბალებს და ტიბარენებს მიიჩნევს იბერთა ტომებად, რაც სწორია, თუ კი მათ შევხედავთ, როგორც ოდებლაც ვანი-სა და ურმიის ტბების სანახებთან არსებულ ქალაქ-სახელმწიფოებს „ურუკ-არატუდან“ წამოსულ ურია-ქალდეურ ტომებს, რომლებმაც ჯერ სამხრეთით წაიწიეს, შემდეგ კი სემიტთა და ასურელ-მიდიელთა ზეგავლენით გავრცელდნენ ხმელთაშუა ზღვის აუზსა და „ქართლოსიანის“ ქვეყანაშიც შემოაღწიეს!

ვილჰემ ჰუმბოლდტსაც იგივე აზრი გააჩნია, მისი შეხედულებით იბერთა რასსა დაკნინებას იწყებს მესამე ათასწლეულიდან. იბერთა რასსაში საგულისხმოა ურია-ქალდეველთა განფენილობა, რაც არა სწორია, რამეთუ მეორე ათასწლეულის ბოლო საუკუნეებიდან იწყება მათი განშლა!

ქართველობა, იაფეტური მოდგმის მამტაბებიდან გამომდინარე, გამსახურდიას აყვანილი ყავს რასის რანგში და მიაჩნია, რომ რასაა! მოკლეთ, გამსახურდია თითქმის იზიარებს მროველისეულ ვერსიას, თუმცა სომხები მიაჩნია ნახევრად იაფეტურ მოდგმად. 12

დ) ნიკო ბერძენიშვილის ისტორიის მიხედვით. იგი აღნიშნავს, რომ როგორც „მოქცევაი“, ისე ლეონტი მროველი, ქართველების ქართლში მოსვლას წარმოგვიდგენენ შედარებით მოგვიანებით. „მოქცევაის“ მიხედვით ქართველთა გადმოსახლება „არიან ქართლიდან“ მოხდა მაკედონელის დროს, ლეონტის შეხედულებით კი, – ქართლოსიანებისა, არარატ-მასისის ქვეყნიდან თარგამოსის შემწეობით, რაც გულისხმობს ძვ. 2-ე ათასწლეულის დასაწყისს და მიგვანიშნებს იმაზე, რომ მათ სხვა და სხვა წყაროები აქვთ გამოყენებული.

ქართლოსიანთა მოსვლა ბევრად უფრო ადრეა საგულისხმო, ვიდრე აზოს მიერ თვრამეტი სახლის მოყვანა არიან ქართლიდან.

აზოს მოსვლისას არსებობდა ძველი მცხეთა, ლეონტით კი – პირველად ქართლოსმა შექმნა სიმაგრენი არმაზის, ხოლო მცხეთის აშენებას მიაწერს – მცხეთოს.

ბერძენიშვილი აღნიშნავს, რაგინდ ზღაპრულად არ უნდა მოგვეჩვენოს ლეონტის მოთხრობა მამათა და მეფეთა შესახებ, უდავოა, რომ აგებულია გარკვეულ ისტორიულ მონაცემებზე, რომელთა აღმოჩენაც ჩვენი მოვალეობაა-ო.

მისი თქმით ქართლის იბერიის პოლიტიკური გავრცელებულობა უკვე 2-ე ს-დან დასტურდება (არიანე), თუმცა საგულისხმოა, რომ ტერმინი „ქართლი“ თავდაპირველია.

„მოქცევაი“ ქართლის პირველ მეფედ მიიჩნევს აზოს.

ქართლის ტომმა დაიპყრო მცხეთა და შემდეგ დაიწყო სხვა ტომების გადაყლაპა და ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება.

ბერძენიშვილის აზრით „ქართლი“ ეთნიკური გაერთიანება არ იყო, ქართული ენით კი საქართველო მთლიანი არ ყოფილა. თანდითანობით ქართულმა ენამ შთანთქა საქართველოში გაერთიანებული ტომების ენები ასიმილაციის გზით, გარდა მეგრულ, სვანურ, აფხაზური ენებისა, რომლებმაც გაუძლეს. ვერ გაუძლეს ჰერებმა, არგვეთელებმა, რაჭველებმა, თავკვერელებმა, სამოქალაქომ, ფერსათმა, გურიამ, აჭარამ და სხვა.

ქართლის ტომის მიერ სხვა ტომელების გაქართველობის მექანიკას წარმოადგენდა რელიგიის გავრცელება, შესახლება (არგვეთი, გურია, ლეჩხუმი, ვაკე, კლავჯეთი, ჰერეთი, და სხვა), კულტურის გავრცელება, ქალების გათხოვება.

ლეონტი ქართლოსის შთამომავლებს მიიჩნევს ეთნიკურ ქართველებად, ხოლო ქართლში მობინადრეთ-სადაურობით ქართველებად.

რაც შეეხება ებრაელთა პირველი შესახლების კვალობაზე ქართლში ექვს ენაზე ლაპარაკს, ბერძენიშვილს მიაჩნია, რომ ყველა ეს ენები შემდგომ შთანთქა ქართულმა ენამ.

ბერძენიშვილი შეცდომად მიიჩნევს უძველეს საერთო ენის არსებობას, საიდანაც ვითომდა შემდგომ განვითარდა ქართული, მეგრული, სვანური და ის ყოფილიყო წინარე ქართული. იგი მას ამდენადვე მიიჩნევს წინარე მეგრულად და წინარე სვანურად. 13.

ვ) მანანა სანაძის კვლევის მიხედვით, – როგორც „მოქცევაიში“, „ქართლის ცხოვრებაშიც“ გადმოცემული ბუნთურქთა, ურიათა და ქალდეველთა ქართლში მოსვლა გადმოცემულია, – მიდიის მეფის ყიალსარისა და ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორ 2-ის მიერ ძვწ – VII ს-ში გამოძევებული სკვითების ქართლში მოსვლის სამი ვარიაციად.

აზოსა და ქართლოს ერთი და იგივე თქმულების ვარია-

ციებად მიიჩნევს. ბერძნული ცნობებით კი დასტურდება, რომ მაკედონელის დროს ქართლში გამგებლად იყო აზო კი არა, არამედ მირდატი.

ჰაიკის მოდგმას მიიჩნევს ინდო-ევროპული წარმომავლობის ჰურიტულ-ურარტული ენის მატარებლად და ნ. ხაზარაძის კვლევებზე დაყრდნობით, – სკვითებად.

სკვითების ბატონობა ქართლში გაგრძელდა მანამდე, ვიდრე ისინი არ გააძევეს აქიმენიდელებმაო, ანდა რატომ გააძევებდნენ, სკვითებიც ხომ ირანელები იყვნენ?.

სანაძეს მიაჩნია, რომ სკვითური ენა იყო პროტო-სომხური და ქართველები მასზე ლაპარაკობდნენ ებრაელთა შემოსვლამდე! 14

ზ) საქართველოს „ისტორიის ოთხტომეულის“ მიხედვით ძვნი VI-IV ათასწლეულში მტკვარ-არაქსის შუამდინარეთი, ქვემო ქართლი და არარატის ველები მყარად ჩამოყალიბებული კულტურის მქონე ხალხით იყო დასახლებული.

ბრინჯაოს ხანის ადრეულ საუკუნეებში გამოკვეთილა ქართველური ტომების: სვანების, მეგრულ-ჭანების, ანუ კოლხებისა და ქართველების ეთნიკური სახე.

ძვნი 3-ე ათასწლეულის მეორე ნახევარში მტკვარ-არაქსის კულტურას შეუნყვეტია არსებობა, რაც შეიძლება ყოფილიყო გამონვეული ჩრდილოეთიდან ადრე „ყორღანული“ კულტურის მქონე ხალხთა შემოსვლით. ვინ იყვნენ ეს ხალხები – უცნობია. ამ დროს, ანუ ძვნი 3-ე ათასწლეულში ჩნდება პირველი დასახლებები კოლხეთის დაბლობზეც.

„ ადრე ყორღანულ კულტურას“ ჩანაცვლებია „თრიალეთის კულტურა“.

ძვნი VIII ს-ში ურარტუს შემოუღწევია სამხრეთ კავკასიაში და დაუკავებია არარატის ველი და სევანის ტბისპირეთი, უფრო სიღრმეში შემოსვლა კი ველარ განუხორციელებიათ. ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოში ერთიანი კულტურა ვრცელდება.

ქართველთა ეთნოგენეზისის გარკვევა ერთობ რთულია და მას სულ მცირე ათასწლოვანი ისტორია მაინც ექნება-ო.

მოცემული ისტორია იზიარებს ლეონტი მროველის კონცეპციას.

ქართველებს ყოფენ ხუთ სახეობად:

1. აჭარლების, გურულებისა და მეგრელების სახით, რომლებსაც ნაკლები ბრაქიკეფალურობა ახასიათებთ;

2. იმერლების, ლეჩხუმელებისა და არა მაღალმთიანი რაჭველების სახით, რომლებსაც ოდნავ ფართო სახე და გადმოდრეკული ცხვირი აქვთ;

3. აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ქართველებისა და კახელების სახით, რომლებსაც უფრო ფართო შუბლი აქვთ;

4. მესხურ, ჯავახური სამხრეთ საქართველოს ქართველების სახით, რომლებსაც მკვეთრი ბრაქი კეფალურობა და დაბალი ტანი გააჩნიათ;

5. სვანების, რაჭველების, ხევსურების, მოხვევების, მთიულელების, გუდამაყრელების, ფშაველების და თუშების გაერთიანებული ჯგუფის სახით, რომლებიც მკვეთრი ბრაქი კეფალურობით გამოირჩევიან. მათ აქვთ კიდევ სხვა განმასხვავებელი ნიშნებიც, მაგრამ აღნიშნული მთავარია!

დმანისში აღმოჩენილები კი განეკუთვნებიან ვიწრო სახიან ადამიანებს.

თანამედროვე ქართველი ადამიანი ხასიათდება ბრაქი კრანიითა და ფართე სახით. ქართველთა აბორიგენობა კავკასიაში ეჭვქვეშაა დაყენებული.

ქართულ ენაში შემოჭრილია უამრავი შუმერული, ხეთური, ჰურიტული, სემიტური, ინდო-ევროპული და სხვა ტომის სიტყვები, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ მათ ენაზე მოლაპარაკეთა სისხლი აღრეულია ქართველთა სისხლში!

ქართლის (იბერიის) ერთიან დიდ სამეფოდ ჩამოყალიბებას უკავშირებენ ძვნ IV-III-ე სს-ბს.

სტრაბონი ქართლის მოსახლეობას ყობს ბარისა და მთის

იბერებად და რომ მთის იბერები ცხოვრობენ სკვითებისა და სარმატების ყაიდაზე.

ქართლში ებრაელთა მოსვლის ისტორიას უკავშირებენ ნაბუქოდონოსორსა და ვესპასიანოს.

ამ მეორე პარაგრაფში მოყვანილ მკვლევართა შეხედულებები არსებითად განსხვავდება წინა პარაგრაფში დასახელებულ ავტორთა მოსაზრებებისაგან.

* * *

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე **შგვიძლია დავასკვნათ**, რომ ქართველი ერის გენეზისი იწყება ძვნ 1 – ათასწლეულის დამდეგიდან, თუმცა მანამდე არა ერთი კულტურა იხილა ქართულმა მიწამ. კერძოდ, „მტკვარ-არაქსის“, „ყორღანული“ და „თრიალეთის“, რომელთა შემდეგაც განვითარებას იწყებს ახალი, მორიგი – ქართული კულტურა, ქართლოსიანთა მოსვლით, რაც გრძელდება დღემდე. თუმცა ამჯერად საფუძვლად დაედო არა ერთი ქართლოსიან-ნებროთიანთა კულტურა, არამედ მთელი ეთნიკური ჯგუფების, რომელთა შემადგენლობაშიც მოიაზრება იაფეტური მოდგმის: ჰურიტების, ალეროიდების, მითანელების, ეგრისელების, სვანების, კოლხების, აფშილების, ჯანებისა და მაკრონების კულტურა; ინდოევროპული მოდგმის: ხეთების, მოსხების, სკვითების, ბერძნების და სომხების კულტურა; სემიტური მოდგმის: ეგვიპტელებისა და ივერ-ებრაელების კულტურა და თურანული მოდგმის – ბუნთურქთა კულტურა. სწორედ ამან განაპირობა ჯერ კიდევ ძვნ VI-ე ს-მდე ქართლში ექვს, – ქართულ, სომხურ, ხაზარულ, ასირიულ, ებრაულ, და ბერძნულ ენებზე ლაპარაკი, რის მატერიალურ კვალად შემორჩენილი გვაქვს ხუთი „ქართული ანტროპოლოგიური ტიპის“ არსებობა.

როგორც ისტორია მოწმობს, მართალია პირველ ათასწლეულში ქართლოსიანებმა დაიწყეს ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესი, რამეთუ დაიპყრეს ქართლი და

შექმნეს პირველი ქართული სახელმწიფო „ქართლი“, მაგრამ ივერ-ებრაელთა ივერთა ქვეყანაში შემოსვლით ქართლოსიანე-ბმა თანდითანობით დაკარგეს წამყვანი როლი, და ესტაფეტა გადავიდა ებრაელთა (ივერთა) ხელში. მათ მიერვე შექმნილი ქართული ენაც გადაიქცა ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების მთავარ მექანიზმად. სიტყვა „ქართლმა“ კი შეიძინა გეოგრაფიული რეგიონის აღმნიშვნელი ტერმინის მნიშვნელობა. ასე, რომ ებრაელებმა წაართვეს ქართლოსიანებს „ქართველობა“ და გააიგივეს იგი „ივერ“ – ობასთან, რაც იქითა ნაპირიდან მოსულის მანიშნებელია!

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიკოსთა მიერ ამომწურავად არ არის გაშუქებული ეს საკითხი და საჭიროებს სათანადოდ წარმოჩენას. ბევრი საკითხი, ვიტყვოდი, განზრახ პასუხგაუცემელია, რთა არ გამოჩნდეს ებრაელთა როლი და ადგილი ქართველთა გენიოლოგიაში, რომლებმაც ფაქტობრივად შეავსეს „ქართლოსიანთა“ არსი, და გენი, რომელთაგან მხოლოდ სახელიღაა შემორჩენილი.

ზოგიერთ მკვლევართა აზრით, ებრაელები საქართველოში შემოვიდნენ ძვ. VIII-ე ს-ში, ალბათ, მას შემდეგ, როგორც კი სარგონმა 722 წ-ს დაიპყრო ისრაელი და მისი მოსახლეობა გადაასახლა ასურეთში. ებრაელები შემოვიდნენ ასევე ნაბუქოდონოსორისა და ვესპასიანოს მიერ იერუსალიმის დანგრევის გარდა, ასევე ძვ. 169 წ-ს ბარ-კობხას აჯანყების დამარცხების შემდეგ და კიდევ შემდგომ პერიოდებშიც.

თხზულების თანმიმდევრულად გადმოცემას დავარღვევ და წინდანი გეტყვით, მცხეთისა გარდა, უკვე VI-ე ს-ში ებრაელებს ვხვდებით ურბნისსა და ბოდბეში, კოდისწყაროსა და ხობისში. VI-ს-ში ისრაელიანთა კიდევ ერთი ჯგუფი შემოდის ბიზანტიიდან და მკვიდრდება ჯერ დასავლეთ, შემდეგ კი აღმოსავლეთ საქართველოში. ვარაუდობენ X-ე ს-შიც ხაზართა სახელმწიფოს დაცემის შემდეგ საქართველოს შემოაფარა თავი ებრაელთა დიდმა ჯგუფმა. XIX ს-ის დამდეგს თურ-

ქეთიდან შემოდინან ებრაელი ლახლუხები, ამავე პერიოდში საქართველოში შემოდინან ასევე ირანიდან და ერაყიდან ებრაელები. აშქნიაზები კი ჩნდებიან 1804 წ-დან.

გვიანფეოდალურ ხანაში აღმოსავლეთ საქართველოში ებრაელები ძირითადად დასახლებულები იყვნენ სურამში, ახალდაბაში, ალში, ბაზალეთში არაგვისპირეთში, ცხინვალში, ატენში, თამარაშენში, ძეგვში, ზანავში, ხერკში, მეტეხში, კასპში, მუხრანში, კავთისხევში, და მთელი რიგ ტერიტორიებზე არაგვისა და მტკვრის შეყოლებით; სამცხეჯავახეთში: ფანასკერტში, არტანუჯში, ახალქალაში, ახალციხეში; კახეთსა და ქიზიყში: -ბოდბის ხევში, ზემო ხოდაშენში, ველისციხეში, ურიათ უბანში, საგარეჯოში; დასავლეთ საქართველოში: - იმერეთში, - ქუთაისში, ვანში, კულაში; სამეგრელოში: - ფოთში, ბანდაში, სენაკში; რაჭა-ლეჩხუმში: - ონში, ლაილასში, ხოტევეში; გურიაში: -ოზურგეთში.

ქართველებთან მათი ახლო კონტაქტები აისახა ქართულ ონომისტიკაშიც, - ადამიანთა სახელებსა და გვარებში. ებრაელთა გვარების წარმოქმნა ემორჩილება საერთო ქართულ პრინციპებს, რამეთუ როდესაც ისინი შემოვიდნენ არც მათ გააჩნდათ გვარები და არც ქართველებს. ქრისტიანობის მიღებით კი ისინი თანდითანობით გაქართველდნენ. თუმცა, იდეოლოგიურად იმართებოდნენ „მოსეს რჯულით“. ამიტომაც ოდითგანვე ყალიბდება მათი გვარები „ძე“ - სა და „შვილ“ - ზე. მაგალითად: იაკობაშვილი, პაატაშვილი, მეგრელიშვილი, სიმონიშვილი, და ასშ. ასე ასიმილირდნენ ქართლოსიანებში! („მეგობარი საიტის“ მიხედვით, ფორუმიდან, - ჰტტპ://წწწ.დზეგლები. გე. სტატიები/ისტორია/ებრაელები. ჰტმლ).

ამდენად, სათავე ქართველი ერის, მრავალი ეთნოსია და ერთ, - „ქართველ ერად“ ჩამოყალიბების პროცესი, მიუხედავად განვლილი პერიოდისა, ჯერამც არაა დასრულებული, რამეთუ ჯერ კიდევ არსებობენ ქვეყანაში „გადაუმუშავებელი“ ეთნიკური ჯგუფები, თუმცა თავისი განვითარების პირველი

ეტაპი, ანუ ერთად „გაფორმება“, – დაასრულა ქრისტიანობის მიღებით.

აი, ამ ასიმილაციის პროცესში, რაც გრძელდება მესამე ათასწლეულია, ურია-ქალდეურ მოდგმას იდეოლოგიურ საფუძვლად მიჩნეული აქვს ძველი აღთქმის დებულებები, რაც გულისხმობს სადაც არ უნდა წავიდნენ უნდა შთანთქან ყველა ხალხი და გახდნენ მათი უფროსები, წაართვან და მიითვისონ რაც კი მათ გააჩნიათ!

თავი 2. ქართველი ერის უმადგომი გენეზისი ქრისტიანობის მიღებიდან დღემდე

1. ქართველთა გენეზისი ქრისტიანობის მიღე- ბიდან რუსეთთან შეერთებამდე

ქრისტიანული სარწმუნეობა საქართველომ მიიღო 317-318 წწ-ში და უარყო ცეცხლთაყვანმცემლობა, თუმცა მანამდეც, მთელი სამასი წლის განმავლობაში ებრაელები ცდილობდნენ ამ რელიგიის გავრცელებას, რაც აღასრულა ნინო კაბადოკელმა.

ებრაელთა სურვილი გაეგრძელებინათ ქრისტიანული რელიგია საქართველოში განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ამ რელიგიის წყალობით იგმებოდა მდიდრები და მათი სიმდიდრეები, ხოლო ყველა ერისა და ჯურის ადამიანი „ერთიანდებოდა იესო ქრისტეში“ რწმენით, რაც ქვეყანაში მცხოვრებ ებრაელებს საშუალებას აძლევდა, აღთქმისამებრ, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გამოსულიყვნენ ცხოვრებისეულ ასპარეზზე და „ემთანთქათ“ დანარჩენი ერები, რომლებსაც უგდებდა მათ ხელთ მამა ღმერთი, მიეთვისათ მათი ქონება, და გადაქცეულიყვნენ ამ ხალხთა უფროსებად, ანუ მღვდლებად, რაც პრწყინვალედ გამოუვიდათ, რამე თუ ქრისტიანული რელიგიის კვალობაზე ებრაელ შამბათთა გვარი, რომელიც ბაგრატიონთა დინასტიის სახელით მოგვევლინა, გადაიქცა საქართველოს სახელისუფლო შტოდ. ამგვარის აბრაჰამისა და დავითის ტომიდან წარმომავლობას გვამცნობს ლეონტი მროველიც, მათ აღუშენებიათ ჯვრის მონასტერი. 1

ბაგრატიონთა ებრაულ წარმომავლობას ადასტურებს ასევე V-ე ს-ის სომეხი ისტორიკოსი მოვსეს ხორენაცი. 2

საგულისხმოა, რომ ქრისტიანობის გავრცელებით ებრაელებმა საბოლოოდ დაიპყრეს საქართველო, რამეთუ „მოცი-

ქულთა კანონის“ 34-ე მუხლის შესაბამისად თემი ემორჩილებოდა ეპისკოპოსს, რომელიც უსათუოდ ებრაელი იქნებოდა. რაც შეეხება ამ საქმეში ბერძენთა, ქართლოსიანთა თუ ასურელთა როლს, მათ მხოლოდ მეორეხარისხოვანი როლი თუ ექნებოდათ. ამ დასკვნამდე მიხვალთ თუ გაეცნობით პეტრესა და პავლეს წერილებს სახარებიდან.

არაბების შემოსვლით, რასაც ადგილი ჰქონდა VII-ე ს-ში, ცხადია მოხდებოდა ქვეყანაში სხვა უცხო ტომელების შემოდინებაც, ისე როგორც ამას ადგილი ჰქონდა მანამდე ირანელებისა თუ სომხების სახით. ამის უამრავი მტკიცებულება არსებობს.

არაბების შემოსვლით შეშინებული მტკვრის ხეობაში მცხოვრები მოსახლეობა, რომელთა უმეტესობაც საგულისხმოა რომ ებრაელები იყვნენ, – გადასახლდნენ იმერეთსა და არგვეთში, და მათი დიდი ნაწილი მათთან ასიმილირდა.

VI-VII-ე სს-ში ჰერეთი იყო ალბანეთის ნაწილი და საეკლესიო ენად ჰქონდათ სომხური ენა, თუმცა ვარაუდობენ, რომ მანამდე იქ საეკლესიო ენა იყო ქართული.

XI-ე ს-დან ჰერეთი კვლავ საქართველოს ნაწილი ხდება და ხელახლა „ქართველდება“.

VI-VII-ე სს-ში გუგარქის, ანუ ქვ. ქართლის მოსახლეობის უმეტესობა იყო სომხური, თუმცა ეკლესიებში სომხურთან ერთად ქართულ ენაზეც აღავლენდნენ ლოცვასო.

სომხური ელემენტი ქვ. ქართლში გამყარებულა ტაშირ-ძორაგეთის სამეფოს შექმნის დროს, რასაც ადგილი ჰქონდა 989 წ-ს და იარსება 1048 წ-მდე, ვიდრე არ შეუერთდა ანისის სამეფოს.

1185 წ-ს გუგარქი, ანუ ქვ. ქართლი სამფლობელოდ გადაეცა გასომხებულ ქურთ მხარგრძელებს, რომლებიც საქართველოს სამეფო კარზე დანიინაურებულები იყვნენ და არ შეიძლება ამ გარემოებასაც არ ეთამაშა დიდი როლი ქვ. ქართლში სომხების მომრავლების საქმეში.

დავით აღმაშენებელმა (1089-1124), რომელიც წარმომავლობით ებრაელი იყო, რუის-ურბნისის 1103 წ-ის საეკლესიო კრების თანახმად საქართველოს სამეფო თეოკრატიული გახადა და თავად მოგვევლინა პირველ მღვდელ მთავრად.

1118 წ-ს მან ჩრდილოეთ კავკასიიდან ქართლში გამოასახლა 200 000 ყივჩაღი, რომლებიც სისხლით ყაზახებს უახლოვდებოდნენ და მათგან შექმნა 45000-ანი მუდმივ მოქმედი არმია, რომელთა წყალობითაც ქვეყანა განმინდა დამპყრობელთაგან. ცხადია, შემდეგ ეს ხალხი გაითქვიფა ადგილობრივ მოსახლეობაში.

თბილისი 400 წ-ის განმავლობაში არაბების გავლენის ქვეშ იყო და ცხადია ამანაც მის მოსახლეობაზე გარკვეული გენეტიკური ზეგავლენა მოახდინა.

ახლად შექმნილ ქართულ იმპერიაში მოქცეული ერებიც, – ალბანელები, სომხები, ლეკები, და სხვები, – ბუნებრივია, ასევე მოახდენდნენ ქართულ გენზე ზეგავლენას, ისე როგორც მანამდე შემოჭრილი თურქ-სელჯუკები.

თამარ მეფის დროს საქართველოს საზღვრები უფრო გაიზარდა და ბუნებრივია უცხო ტომთა გენეტიკური ზეგავლენაც „ქართველ ხალხზე“ უფრო მეტად გაიზრდებოდა.

ამ მხრივ არა ნაკლებ კვალს დააჩნევდა ასევე ჩვენს ერს მონღოლთა ორასწლიანი ბატონობაც, რომელთაგან დაშლილი საქართველო გიორგი პრნყინვალემ აღადგინა XIV ს-ში და სომხეთიც შემოიერთა, თუმცა მალევე ქვეყანას თავს დაესხა თემურ ლენგი და შეეცადა ისლამზე გადაყვანას, თუმცა, ვერ შეძლო, ჩრდილოეთ კავკასია კი გაამუსულმანა.

ალექსანდრე დიდმა მტრებისგან გაჩანაგებული ქვეყანა სამართავად გადაუნანილა თავის შვილებს, უხუცესს – ბაგრატს მისცა იმერეთი, მომდევნოს, – გიორგის – ქართლი, სომხითით, და სამცხე-ჯავახეთი – კლარჯეთითურთ; დავითს კი – კახეთ-ჰერეთი.

გიორგი მე 3-ის დროს (1446-1466 წწ) საქართველო ფაქ-

ტობრივად დაიშალა თემთა კუთხეების მიხედვით და მას აღარ ემორჩილებოდნენ მესხეთის, სამეგრელო-აფხაზეთისა და გურიის მთავრები. გურია კი სამეგრელოს ჩამოშორდა 1459 წ-ს, კახეთიც დამოუკიდებელ სამეფოდ გამოცხადდა.

1451 წ-ს გათამამებულმა ყვარყვარემ გეგმაზომიერად დაიწყო მესხეთის ჩამოშორება. 3

1453 წ-ს თურქების მიერ კონსტანტინეპოლის აღებით საქართველოს გარედან დახმარების შანსი მოესპო.

1462 წ-ს ყვარყვარემ გიორგი მეფის წინააღმდეგ ირანელები მოიწვია და დაამარცხეს. მალევე ბაგრატიც აუჯანყდა გიორგის და მანაც დაამარცხა.

აღნიშნულ ვითარებათა ფონზე ქართლ-იმერეთის ტახტზე ასულმა ალექსანდრეს შვილი-შვილმა კონსტანტინე 2-მ 1490 წ-ს მოიწვია დარბაზი და ოფიციალურად ცნო კახეთისა და იმერეთის სამეფოები, და სამცხე-საათაბაგოს დამოუკიდებლობა, აფხაზეთი კი ისედაც იყო დამოუკიდებელი. და ყოველივე ეს, ხაზგასასმელია, რომ უპირატესად ქართველი ერის არა ერთგვაროვნობის ნიადაგზე მოხდა!

მალე თურქთა ზეგავლენით მესხეთი „გამაჰმადიანდა“, ზოგიც „გასომხდა“, დანარჩენი მართმადიდებლები კი მოექცნენ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ქვეშ და „გაბერძნენ“.

ვერც დასავლეთ საქართველოს ეკლესიამ შეძლო მრევლის პატრონობა და მისი ნაწილი-აჭარა „გათათრდა“, ნაწილმა მიიღო ჩრდილო კავკასიიდან შემოჭრილ ხალხთა – ჩერქეზების, აფსუების, ადიღეების რწმენა და გახდნენ „კერპთაყვანმცემლები“, თუმცა ქართულ ეკლესიებში წირვა-ლოცვას აღავლენდნენ ქართულ ენაზე, მაგრამ საქართველოს მეფესა და პატრიარქს აღარ მოიხსენიებდნენ.

ასე და ამ რიგად დაეცა ქართველი ერის ეროვნული თვითშეგნება და გადაიქცა ცალკეულ ეთნიკურ თემთა შეგნებად. დამოუკიდებლად არსებული მიკრო ქართული სახელმწიფოე-

ბი კი ერთი-მეორის მიყოლებით უცხო ქვეყნების ვასალებად გადაიქცნენ და ერთი-მეორეს დაუნყეს ქიშპობა.

1518 წ-ს ქართლი, კახეთი და სამცხე, – ირანს დაემორჩილა, 1535 წ-ს სამცხემ დაკარგა დამოუკიდებლობა და იმერეთმა და ქართლმა გაინაწილეს. ხოლო, 1545 წ-ს, მათ იგი თურქებმა წაართვეს. 1549 წ-ს სამცხე ლუარსაბმა დაიბრუნა, მაგრამ მალე მას ირანი თავს დაესხა და 1555 წ-ის ზავით ირანმა და ოსმალეთმა საქართველო შუაზე გაიყვეს.

1569-1578 წწ-ში ირანს საქართველოს მმართველად ყავდა სვიმონ მეფის გამაჰმადიანებული ძმა-დაუდ ხანი, რომელიც ცდილობდა სარწმუნოებრივად მოსახლეობის გასომხებას, რადგან მონოთეიზმი თავისი შინაარსით ახლოს დგას ზოროასტრიზმთან. ოსმალეთი კი ცდილობდა დასავლეთ საქართველოში სახელმწიფოებრიობის გაუქმებას.

1578 წ-ს მესხეთში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ოსმალეთი და ირანი, გაიმარჯვა ოსმალეთმა და დაიკავა მესხეთი და ქართლი, თბილისი კი საფაშოდ გამოაცხადეს. ახალციხის საფაშო კი დაარსეს 1579 წ-ს. კახეთი თავისით დანებდა ოსმალებს და ამის გამო მას ფორმალურად შეუნარჩუნეს თვით მმართველობა.

საქართველო წარმოადგენდა დაშლილ სახელმწიფოს, ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებისა და გურიის, სამეგრელოს, სამცხისა და სვანეთის სამთავროების სახით.

გაჭირვების ჟამმა „ლაკმუსის“ ქალაქის როლი ითამაშა და ქვეყანაში არსებულმა ეთნიკურმა ჯგუფებმა მის ნიადაგზე, განიმსჭვალნენ რა თემობრიობის იდეით, – საკუთარი სახე წარმოაჩინეს, რომელთა ფესვებიც შორს, ისტორიულ წარსულში მიდის.

აი უტყუარი დადასტურება ქართველი ერის არაერთგვაროვნების, რაც მის შვილებს გვავალდებულებს დავიცვათ ერთი-მეორის მიმართ ტოლერანტობა!

როგორც ჩანს ქართველურ ტომებს, რომლებსაც ერთმა-

ნეთთან ქართული ენა, სარწმუნოება და სახელმწიფოებრივი ძალაუფლება აერთიანებს, მჭიდრო ურთიერთობისათვის კიდეც საჭირო ყოფილა გარეშე მტერის არსებობა, თუ არა, დაშლილ მდგომარეობაში მყოფთ, კუთხურ-თემობრივი თვითშეგნება უბრუნდება და თავიანთ თავს თვლიან იმ კუთხის შვილებად, სადაც ცხოვრობენ, ნაცვლად მთელი ქვეყნისა. სარწმუნოების შეცვლასთან ერთად კი რჯულ შეცვლილები იცვლიდნენ ასევე ეროვნულ თვითშეგნებასაც.

ასე გრძელდებოდა 112 წ-ის განმავლობაში 1632 წ-დან, – 1744 წ-მდე. თუმცა საქართველოს ირანსა და თურქეთს შორის გაყოფის 1555 წ-ის ხელშეკრულება მოქმედებდა XVIII ს-ის ბოლომდე.

1744 წ-ს ქართლის სამეფოს ტახტზე ავიდა თეიმურაზ 2-ე და მან თავის შვილთან, ერეკლე მე 2 – თან ერთად დაიწყო საქართველოს „გამოხსნა-აღდგენის“ პროცესი.

მათ საქართველოს დაუბრუნეს ყაზახ-ბორჩალო, სადაც 1601 წ-ს შახაბასმა ჩამოასახლა თურქები; განჯა-ერევანს კი ვასალობა აკისრებინეს. ყარაბაღი კი დაამარცხეს 1750 წ-ს, რომელსაც მოყვა აზატ ხანისა და შაქის ხანის დამარცხებები, გახდნენ ქართველთა მოკავშირეები.

ეს ფაქტები მოგყვავს იმის გამო, რომ მკითხველისათვის გასაგები გახდეს, რომ ქართველი ერი თუ მისი ეთნოჯგუფები გაყინულ მდგომარეობაში არასოდეს ყოფილან და ყოველი ტერიტორიული ცვლილების გამო, ბუნებრივია, იცვლიდნენ გენიოლოგიასაც, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც!

XVIII ს-ის 70-იან წლებში დასავლეთ საქართველომაც აღიდგინა დამოუკიდებლობა და განდევნეს თურქები.

როდესაც დაინახეს სამეგრელოსა და გურიის მთავრებმა, რომ ცენტრალური რეგიონების ხელმძღვანელებმა რაღაც კავშირი შეკრეს და საქმე მიდიოდა ქვეყნის გაერთიანებისაკენ, მაშინ მათაც ინებეს და იმერეთის მეფე – სოლომონს მისცეს პირობა და დაემორჩილნენ.

საქართველოს შემდგომი გაძლიერების მიზნით ერეკლე 2-მ დაიწყო დაპყრობილი მიწებიდან ქრისტიანი სომხების შემოსახლება, რადგან ქართლ-კახეთის მოსახლეობა მნიშვნელოვნად იყო შემცირებული. 4.

თუ დაუჯერებთ პროფესორ ანზორ შუბითიძეს, რომელმაც 2017 წ-ის 27 მარტს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გააკეთა მოხსენება, 1770 წ-ის მდგომარეობით მთლიანად საქართველოს მოსახლეობა ყოფილა – 761 000; 1783 წ-ის მდგომარეობით – 600 000; 1800 წ-ის მდგომარეობით – 675 000; 1814 წ-ის მდგომარეობით კი – 400 000 სული!

1770 წ-ს ერეკლე 2-ის მიერ რუსეთის იმპერატორისადმი გაგზავნილ წერილიდან ვგებულობთ, რომ ქვ. ქართლის მოსახლეობიდან დარჩენილი ყოფილა მხოლოდ 1-2 %. აღნიშნულის გამო ერეკლე 2-მ 1780, 1797 და 1800 წწ-ში განახორციელა ერევნიდან სომეხთა ჩამოსახლებები თბილისში, ყარაბაღიდან კი-თელავსა და სიღნაღში ;

1798 წ-ს სპარსეთიდან ყიზლარში ჩასასახლებლად გაგზავნილ სომეხთა მნიშვნელოვანი ნაწილი ასევე ჩაუსახლებია კახეთში. 1797 წ-ს ყარაბაღის ოლქის გულისტანისა და ხაჩინის პროვინციებიდან 400 სომხური ოჯახი ჩაუსახლებია შულავერში, 68 ოჯახი კი ბოლნისის რ-ის სოფ ვაფარლუმში. 5

ბოლო დროს მნიშვნელოვნად დაზარალდა აღმოსავლეთ საქართველო ალა-მახმად – ხანის 1795 წ-ის ლაშქრობის გამო, მერე გაჩენილა შავი ქირი.

ცხადია, ნამდვილ ქართველებს მათი სიმცირის გამო ვერსაიდან ვერ ჩაასახლებდნენ არმოსავლეთ საქართველოში. ამიტომაც ერეკლე 2-მ ყურადღება გაამახვილა ერთმორწმუნე სომხებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ქართული სახელმწიფოებრიობა განწირული იყო, ანდა მის აღმოსავლეთ ნაწილს დაეპატრონებოდა მუსულმანობა.

1783 წ-ის გიორგიევსკის ტრაქტატის კვალობაზე საქართველო რუსეთს შეუერთდა 1801 წ-ს. ეს იყო მართმადიდე-

ბლური ქართული სახელმწიფოს გადარჩენის ერთად ერთი გზა, თუმცა მის წინააღმდეგ მუსლიმთა მიერ წარმოებული ომები გამოწვეული იყო ქრისტიანული რელიგიის არსებობით და რომ ილტვოდა დასავლური კულტურისაკენ!

ამდენად, ქართველი ერი არ არის სისხლით ერთიანი და განუყოფელი, არამედ მრავალ ეთნოსთა ნაზავია და რელიგიურადაც არაერთგვაროვანი. მას კი ერთ არსად აერთიანებს ენა, ტერიტორია და სახელისუფლო ძალაუფლება.

2. გენეზისი – რუსეთთან შეერთებიდან დღემდე

მოგეხსენებათ, ქართლ-კახეთს (საქართველოს) რუსეთთან შეერთების შემდეგ მეფე თუ მეფეები აღარ ჰყოლია. ქვეყანა იყო დაყოფილი ორ, – თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად, რომლებსაც გუბერნატორები მართავდნენ. თუმცა თავის მხრივ ისინი კავკასიის მეფის ნაცვალს ემორჩილებოდნენ და ცხადია მის გარეშე მნიშვნელოვან გადანყვეტილებებს არ ღებულობდნენ, მეფის ნაცვალი კი მეფეს უთანხმებდა საკითხებს.

აი ასეთი იერარქიის პირობებში, ჩვენდა გასაკვირვად, საქართველოს რუსული ადმინისტრაციის მიერ გაგრძელებულ იქნა ერეკლე 2-ის მიერ დაწყებული დემოგრაფიული პოლიტიკა, ანუ სომხების ჩამოსახლება, რაც ვფიქრობ ქართველ თავად-აზნაურთა მიერ შეიძლება ყოფილიყო ნაკარნახევი.

სომხების ჩასახლება გაგრძელდა, – გორში, დუშეთში, ბოლნისსა და სხვა რაიონებში, რის უამრავი მტკიცებულებაც არსებობს საქართველოს უახლოესი ისტორიის არქივში. მე კი, რამდენადაც წარმომავლობით ვარ ქვემო ქართლიდან და ვიკვლევდი ჩემი წინაპრების ისტორიას, ყურადღება გავამახვილე მხოლოდ ჩვენს მხარეზე, თუმცა სხვა რეგიონებშიც ჩასახლებულ სომხებზე უამრავი მასალა შემხვდა.

ვნახე, 1817 წ-ს ყარაბაღიდან ბოლნისში გადმოსახლებულ 940 მრავალ სულიანი სომხური ოჯახთა შესახებ სიები, რომელთაგან 26 – ოჯახი გადაუგზავნიათ ჩვენს სოფელ დიდ

დმანისში. იგი მიმღები პუნქტი ყოფილა და შემდეგ ეს ოჯახები გადუნანილებით მცირე ჯგუფებად მიმდებარე ღონე მიმხდალ „ქართულ სოფლებში“, როგორცაა თვით დიდი დმანისი, ვარდისუბანი, გორუნჯუკი (მაშავერა), უკანგორა, ბოსლები, ყალამშიანი (განთიადი) და სხვა. 6

ამ 26 – სომხურ ოჯახს არ გააჩნდათ ტრადიციული სომხური გვარები და მათი ნევრები აღირიცხებოდნენ სახელისა და მამის სახელის მიხედვით, მაგალითად, როგორც ალექსანდრე ალექსანდრეს – შვილი, გვარის გარეშე, სომხურ – გრიგორიანული სარწმუნოების მინიშნებით.

ეს გარემოება მიგვანიშნებს იმაზე, რომ ისინი გადმოსახლებულ უნდა ყოფილიყვნენ ისლამური გავლენის ზონიდან (ბარის ყარაბაღიდან), რამეთუ ასეთ ზონებში აღრიცხვა მიმდინარეობდა თურქული წესით. ხსენებული-აღრიცხვა კი თურქული აღრიცხვის წესია, საიდანაც მომდინარეობს ჩვეულებრივი ქართული აღრიცხვიანობაც, დამთავრებული შვილზე, ან ძეზე – გვარი.

ამ დროს ბოლნისის სოფლებისა და თბილისის სომხური მოსახლეობა აღინერებოდა ჩვეულებრივი სომხური გვარებით, როგორცაა, მაგალითად პეტროსიანი-ი და სხვა.

იმ 26 – სომხურ ოჯახთა აღრიცხვა, უკვე აქ, საქართველოში, წარიმართა როგორც ჩვეულებრივი ქართული მოსახლეობის, მაგრამ მათი „გვარები“ ყოველი თაობის შემდეგ იცვლებოდა სახელისა და მამის სახელის მიხედვით, როგორც ეს ზემოთ ავლნიშნეთ. როგორც ჩანს, ეს 26 ოჯახი იმ თავითვე იყო განწირული „გაქართველობისათვის“, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მაშვე აღრიცხავდნენ თავიანთი ნამდვილი სომხური გვარებით და არ გომოყოფდნენ ძირითადი მასიდან.

ამ 26 ოჯახის მონაშენე ხალხთა აღრიცხვა ხსენებული წესით გაგრძელდა 1918 წ-მდე, ვიდრე არ დამყარდა საქართველოში ეროვნული წყობილება. ეროვნულმა მთავრობამ კი მათ აღუდგინა მამა-პაპური სომხური გვარ-ეროვნებანი,

რითაც მოვიდნენ 80-იან წლებამდე. შემდეგ კი „დაუბრუნეს“ მამის სახელით აღრიცხული „გვარები“ ნამდვილ გვარებად. თითქოსდა ამ გვარებით ეცხოვრათ მათ მამა-პაპას ადრე და დაემახინჯათ სომეხ ტერტერებს, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს, რამეთუ მათი სიის თავფურცელს აწერია, რომ გადმოსახლებულან მთიანი ყარაბაღიდან!

1820 წ-ის კამერალური აღწერების მიხედვით დიდ დმანისში, ვიდრე სომხებს ჩაასახლებდნენ, ცხოვრობდა ათი ქართული ოჯახი “. ქართულს“ ვიძახით, თუმცა მათ უმეტეს გვართა ძირი, როგორცაა-„მურად-აშვილი“, „სელიმ-აშვილი“ და სხვა, არა ქართულია!

1860 წ-ის მდგომარეობით სოფ. დიდ დმანისში ირიცხებოდა 24-ოჯახი.

აქედან ქართველების იყო – 9, 37-სულით; 15 – კი სომხური, 92-სულით. 7

ფიქრობ, სომეხთა ჩაასახლებები თუ არა, რაშიც ვგულისხმობ ასევე 1828-1830 წწ-ში თურქეთიდან მესხეთ-ჯსვახეთში გადმოსახლებულ სომხებსა, და ბერძნებს, – საქართველოს მოსახლეობა 1897 წ-ის მდგომარეობით 400 000 – დან, ორ მილიონ 109 ათასამდე ვერ გაიზრდებოდა!!!

XIX-ე ს-ის პირველ ნახევარში საქართველოში რუსებმა ჩაასახლეს ასევე უამრავი მალაკანი, დუხობორი და გერმანელი, უპირატესად სამხრეთ საქართველოში ბორჩალოში, ბოლნისში, დმანისში, თეთრწყაროსა და ნინოწმინდაში, უპირატესად ბორჩალოს თურქული ტომის მოზლუდვისა, და რკალში მოქცევის მიზნით, რომელიც ზურგით მიმდგარი მოძმე აზერბაიჯანს, ცდილობდა თურქეთთან ორგანულ შეერთებას, რათა ერთმანეთისაგან დაემორიშორებინათ ქართულ-სომხური ქრისტიანული ქვეყნები, – თანახმად პანთურანული თეორიისა!

ბორჩალოელ თურქებს კი ტრადიციული მრავალცოლიანობისა და მომთაბარე ცხოვრების წესის ნიადაგზე ამის შესაძლებლობა ნამდვილად გააჩნდათ.

გასული საუკუნის 80-იან წლებში „გვართა აღდგენის“ კვალობაზე დიდი დმანისში გამოჩნდნენ ისეთი გვარები, როგორიცაა: ავეჯაშვილი (აკოფაშვილი-დან); ქორორაძე, ქორიაშვილი, გურამიშვილი (ქორაროვი-დან); მარტიაშვილი, კეკელიძე (მარტიროსოვი-დან); ნინიაშვილი (ოსკანოვი-დან); ოგნაძე, ომიაძე, გიგოლიძე, გიორგაძე, ბეგიაშვილი, ბეგლარიშვილი, ივანიშვილი, ანდრიაძე (ოგანეზოვი-დან); ნასყიდაშვილი, ლევანიძე (მარქაროვი-დან); ალაგარდაშვილი (ალაგარდოვი-დან); მიქელაძე (აპრისოვი-დან); ტატიშვილი, თათულაშვილი (თათულოვი-დან); მუსხელიშვილი, მუსერიძე (მუსელოვი-დან) და არიან კიდევ ბერძენი მურუზოვები.

ამათ გარდა არიან აკოფაშვილები, სელიმაშვილები, მურადაშვილები, ზოდიაშვილები და მახნიაშვილები, რომლებიც წმინდა ქართველებად გვევლინებიან, თუმცა პირველი სამის ფუძეს, დაუკვირდით, რომლებიც არა ქართულია! ზოდიაშვილები მოსულია საჩხერის რაიონიდან, რადგან იქაა სოფ „ზოდი“! მახნიაშვილები კი ჩამოსულეებია მწყემსებად – სოფ. გომარეთიდან. სელიმაშვილები, ვფიქრობ ყარსის ოლქში მდებარე სოფ. სელიმიდან უნდა იყვნენ მოსულები, თუმცა ძნელი სათქმელია რა გვარად იწერებოდნენ ისინი იქ.

ვარდისუბანში იყო ისეთი გვარები, როგორიცაა: ენგიბაროვი, მოსესოვი, გარიბოვი, მიქელიანცი, ფარემუზოვი, მინასიანცი და ავაქოვი!

გორუნჯუკში (მაშავერა), – ოსეფიანცი, ასლანიანცი, მარქაროვი, ზურაბოვი, მოსესოვი, გამბაროვი; უკანგორში – მიქელიანცი...

ბოსლებში-ფოლადიანცი, ბეჟანიანცი, ნონიანცი და სხვა.

80-იან წლებში ყველა მათგანი „გაქართველდა“, მათ შორის ქვეყნის სხვადასხვა მხარეს მოსახლე ქართველენოვანი სომხები, რასთან დაკავშირებითაც ქართველი ისტორიკოსები აცხადებენ, თითქოსდა თავიდანვე ქართველები ყოფილიყვნენ და სომეხ მღვდლებს გაესომხებინათ!

ანიშნული პოლიტიკის ნიადაგზე თუ 1979 წ-ს საქართველოში ცხოვრობდა 448 ათასი სომეხი, 2000 წ-ის მდგომარეობით მათი რიცხვი შემცირდა 248, 9 ათასამდე, რა თქმა უნდა არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ მათი გარკვეული ნაწილი გავიდა ქვეყნიდან, მაგრამ არა ამდენი!

იკითხავთ, რა იყო მიზეზი ქართველენოვან სომეხთა ასე მასიურად „გაქართველების“? გეტყვით, ეს იყო ქართველთა მხრიდან და არა მარტო, – მათი დისკრიმინაცია, შოვინიზმი, რის მხილებასაც ეძღვნება მოცემული წიგნი! მათ არ ჰქონდათ მშობლიურ ენაზე სკოლები, მათგან არ ზრდიდნენ კვალიფიციურ კადრებს, უმაღლესი სასწავლებლების კარები, როგორც წესი მათთვის დაკეტილი იყო. შესაბამისად მათ თანამდებობებზე არ ნიშნავდნენ, რის გამოც გადაქცეული იყვნენ წვრილ მოვაჭრე – მოხელეთა ფენად. ლუკმა პურის საშოვნელად კი მათი დიდი ნაწილი მიდიოდა სეზონურ სამუშაოებზე საქართველოს სხვადასხვა რაიონებსა და რუსეთში!

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე ქართველთა მხრიდან არ იყო შოვინიზმი სხვა ერებისადმი, იგი წარმოშვა რუსების მიერ სომეხების დანინაურებამ. უპირატესად კი მან თავი იჩინა „თერგდალეულთა“ რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, რაც უნდა ვიგულისხმოთ, როგორც რუსული ნაციონალიზმის გავლენის შედეგი, როგორც მისი ანარეკლი. და როცა საქართველო ეროვნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა 1918 წ-ს, თუ 1990 წ-ს, ეს პრობლემა უფრო აქტუალური გახდა, რამეთუ ქართველი ერი გახდა გაბატონებული და ვერ ეგუებოდა ისტორიული პროცესების კვალობაზე თავისივე ქვეყანაში მომძლავრებულ სომხურ გენს, რომელთა ხარჯზეც აღმოსავლეთ საქართველო იქნა შენარჩუნებული, ხოლო თბილისი განვითარებული!

სწორედ ამიტომ 1918 წ-ს მიღებულ იქნა დეკრეტი, „თბილისში მცხოვრებთა რეგულირების შესახებ“, რომელიც მიზნად ისახავდა თბილისიდან სომხებისა და თათრების განდე-

ვნას. მაშინ თბილისის მოსახლეობის 30% იყო ქართველები, სომხები კი – 35%-ს აჭარბებდნენ.

აღნიშნულთან დაკავშირებით 1921 წ-ის 6-ივლისს, თბილისში გამართულ კომპარტიის საერთო კრების ტრიბუნიდან ეროვნებათა საქმეების კომისარმა ი. სტალინმა განაცხადა: „ახალ ეროვნულ სახელმწიფოს, რომელიც ეფუძვნება კერძო საკუთრებას და კლასობრივ უთანასწორობას, არ შეუძლია არსებობა:

ა) თავის ეროვნულ უმცირესობათა... ოსების, აფხაზების, სომხების დათრგუნვისა და

ბ) მეზობლების (თურქეთის, სომხების და ასშ) ხარჯზე თავისი ტერიტორიების გაფართოების გარეშე. 8

სტალინის ამ სიტყვებში ასახულია საქართველოში მანამდე არსებული ნაციონალისტთა ბუნება, რასაც ახლდა ქართველ – სომეხთა 1918 წ-ს ომი.

დღეის მდგომარეობით სოფ. დიდი დმანისში ცხოვრობს 100-ზე მეტი ოჯახი, მაშავერაში-150-ზე მეტი, ბოსლებში-120, ვარდისუბანში-70, უკან-გორში – 10, საერთო რაოდენობით – 3600 – მდე ადამიანი, პატარა დმანისის ჩათვლით, რადგან საერთო თემს ქმნიან. თითქმის ყველა ინერება ქართველად და ქართულ ენას ფლობენ პრწყინვალედ, თვით-შეგნებითაც ქართველებია და რეალურად ქართველობენ. აბორიგენი „ქართველები“ კი, რომელთა წინაპრებიც მათ ჩამოსახლებამდე ცხოვრობდნენ დმანისში, – მათ კვლავანდებურად მიიჩნევენ სომხებად, სტუმრებსაც სომხებად „აცნობენ“ და მათკენ არც თუ პატივისცემით იყურებიან. გვარ-ეროვნების გადაკეთებამდე კი მათ მიმართ ატარებდნენ დისკრიმინაციულ პოლიტიკას, ეს მაშინ, როდესაც <https://forum/?f=298showtopic=348954428si=0> წყაროზე დაყრდნობით (<http://mediacity.ge/nevs.php?i d=853>) საქართველოში არსებულ საერთო ქართულ გვართა რაოდენობიდან 337 გვარი არა ქართული წარმომავლობისაა. 9

აი ასეთ სიტუაციაში, როდესაც ქართველების გვართა

თითქმის ნახევარი არა ქართული წარმომავლობისაა, თუ მასაც დაუმატებთ ნაბუქოდონოსორის მიერ საქართველოში შემოსახლებულ და თვითნებურად მოსულ ურია-ებრაელებსაც, რაზეც პრინციპში დაფუძნებულია გურულ-მეგრულ-მთიულურ-ხევსურული გვარები, ფაქტობრივად ქართლოსიანთა მოდგმის „ქართულ“ გვარს ვერსად ვიხილავთ!

აღნიშნული კი დადასტურებაა იმისა, რომ „ქართველი ერი“, – სხვა და სხვა ეთნოსთა ნაზავია, ჩვენ ეს უკვე ავლნიშნეთ, ერთიანობისათვის კი გვესაჭიროება ურთიერთ პატივისცემა და სიყვარული, პლატფორმად კი, – სახელმწიფოებრივი ინტერესები! ნათქვამის მიუხედავად, სამწუხაროდ დრო და დრო ჩნდებიან ადამიანები, რომლებიც იჩენენ რა ახლო მხედველობას, ფსევდო ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე აღვივებენ სხვა და სხვა ერებისადმი შუღლს, ნაცვლად პატრიოტული გრძნობების წამოწევისა.

დესტრუქციული იდეოლოგიის მაგალითს წარმოადგენს გასული საუკუნის 90-იან წლებში კიტა ბუაჩიძის „შავი წიგნი“, რომლიდანაც არაქართველთა მიმართ, უპირატესად კი სომხებისა, – იღვრება ზიზლი და ღვარძლი, და მოუწოდებს ქართველებს „არ გაუშვან უპასუხისმგებლობის ყამი და დაერივნენ არა ქართველებს“, რაც ნაწილობრივ განახორციელეს კიდეც, მაგრამ რით დამრთავდა – ყველასათვის ნათელია!

წიგნში ნათქვამია: „ქართველებო! გადამთიელთ ნუ ამოვადებინებთ, ნუ მოვაგუდვინებთ ჩვენს თავს!...

ჰოდა, ვიდრე საამისოდ ჯერ კიდეც საგრძნობი ფიზიკური ძალა შეგვწევს, ძალა შეგვწევს, ნუ... ნუ... ვიძიოთ შური!“ 10

რას ნიშნავს ეს? ვისზე უნდა იძიონ შური, მასზე, ვინც ქართველებს შეუნაღჩუნეს სახელმწიფოებრიობა?!

აღნიშნულთან ერთად ბუაჩიძე მოუწოდებს ასევე გააქართველონ არა ქართველები და ამ მხრივ არ გაუშვან შანსი ხელიდან!¹¹

სხენებული წიგნი ბუაჩიძეს გასაპიარებლად გაგზავნილი

ჰქონდა „მწერალთა კავშირის“, „კულტურის სამინისტროსა“ და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“. -ხელმძღვანელებთან, რომლებმაც თითქმის აქციეს იგი ეროვნული მოძრაობის დოქტრინად. 12

ანალოგიური ხასიათის ბროშურები გამოსცა აგრეთვე ვინმე გულაბერ კლარჯმაც. კერძოდ, 2000 წ-ს, – „გადაშენება გვინერია ქართველებს?“ და 2004 წ-ს, – „ქართველი ერის შავბედილობა“, რომლებიც ასევე ძირითადად მიმართულია სომეხი მოსახლეობის წინააღმდეგ, რაც დადასტურებაა იმისა, რომ ინტელექტუალებად თავის მომტან ქართველებმა სათანადოდ არც კი იციან საკუთარი ერის ისტორია და ბნელ ოთახში „შავი კატის“ დაჭერას ცდილობენ, რაც არ არსებობს!13.

მსგავსი ხასიათის პუბლიკაციები მრავლად იყო 90-იან წლებში და სამწუხაროდ დღესაც ვხვდებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ ქართველი ერი, თუ მისი ინტელიგენცია, მსგავსი პოლიტიკის გამო, რასაც ფლობს, იმასაც კი ვერ ინარჩუნებს და ისტორიის გზაზე ნაწილ-ნაწილ კარგავს. ამის უტყუარი დადასტურებაა ნახევარ მილიონიანი „თურქ-მესხებად“ წოდებული ქართველი ერის მნიშვნელოვანი ნაწილის უკან, სამშობლოში დაბრუნებაზე უარის თქმა, რის გამოც მათ უწევთ სხვის მიწაზე ტანჯვით ცხოვრება, მათ თავს კი ამჯობინებენ სამხრეთიდან შემოსულ ფერად კანიანებს! რა არის ეს, თუ არა ისტორიული უპასუხისმგებლობა საკუთარი ერისადმი!!!

თუ ვინმეს სჯერა, რომ 1944 წ-ს, მესხეთიდან შუა აზიაში გადასახლებული 220 სოფლის მოსახლეობა, 125 000 ადამიანი, ყველა იყო თურქი ეროვნების, – ძალიან სცდება, რამეთუ მათგან ნამდვილი ქართველი 115 000 იყო, 10 000 – კი, ქურთი და აზერბაიჯანელი, მათ შორის 16 წ-მდე ასაკის 65767 არასრულწლოვანი!14.

ასეთივე პოლიტიკის შედეგია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვაც, რაც განპირობებული იყო ზვიად გამ-

სახურდიას ახირებით, – აღედგინა 1921 წ-ის კონსტიტუცია, რაც მათ მხოლოდ კულტურულ ავტონომიებს უნარჩუნებდა, ოსეთი კი აღნიშნული კონსტიტუციით, საერთოდ არ იყო გათვალისწინებული.

სხვა დანაკარგებს აღარ ჩამოვთვლი და აღნიშნულით შემოვიფარგლოთ.

საკითხავია, ნუთუ ესაა ჩვენი მორალი, – გძულდეს სხვა, როცა იგი ამას არ იმსახურებს, თუ ქართველობის მანტიით შენიღბულთა... „ბიბლიური მიზნისკენ“ ლტოლვაა მთავარი?!

დასკვნა

განხილული ნაშრომებიდან მოტანილი ამონარიდები ნათლად მოწმობს, რომ დღემდე ისტორიკოსებს ქართველი ერისა და მისი სახელმწიფოებრიობის რეალური წარმომავლობა დადგენილი არ აქვთ, ანდა შეიძლება განზრახადაც თავს იკავებენ მათი სწორი შეფასებისაგან, რასაც თან ახლავს ქაოსი და გაუგებრობა. ფაქტია, რომ ქართველი ერი მომდინარეობს არა ერთი რომელიმე ტომიდან, არამედ მრავალ ეთნოსთაგან.

ქართული „გენეტიკური ხის“ უშუალო ფორმირება მოხდა ქრისტიანული სარწმუნოების მიღებით, რომელმაც მანამდე არსებული ეთნიკური ჯგუფები „გააერთიანა იესო – ქრისტეში“, და ამის გამო მართლ მადიდებლობა ქართველობად მიიჩნევა.

ქრისტიანობამდე ქართველი ერის გენეზისმა განვლო ისეთი ეტაპები, როგორცაა:

1. დაახლოებით ძვნ 1-ათასწლეულამდე ქართლოსიანთა მოსვლა არარატის ველიდან – მცხეთას, მათ მიერ აღმოსავლეთ და სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს დაპყრობა და გაერთიანება ერთ, – ქართლის სახელმწიფოდ, რომელსაც ძირითადი ენა ჰქონდა სომხურ-სკვითური;

2. დაახლოებით ძვნ VII-VI-ე სს-ში მიიღეს 28 000 დევნილი თურქმანი და განასახლეს ქვეყნის სხვადა სხვა მხარეს;

3. ძვნ. 586 წ-ს ნაბუქოდონოსორმა შავი ზღვის აღმოსავლეთით ჩასახლება დატყვევებული ივერები, რომელთა გამოც ქართლოსიანებმა დაკარგეს მშობლიური სომხური ენა და დაიწყეს მოსულ ივერთა ენაზე ლაპარაკი;

აქვე უნდა ავლნიშნო, რომ სიტყვა „ივერი“, თუ „იბერი“, – არა ეთნოსის სახელია, არამედ „ევეფრატ გადასულ“ ქალდეველთა (ებრაელთა) სოციალური სტატუსი, რაც პალესტინელებმა შეარქვეს, რომლიდანაც წარმოსდგა შემდეგ სიტყვა „ებრაელი“, მათ ასევე ეძახდნენ „ურიებს“, რაც პრწყინვალეს ნიშნავს!

რაც შეეხება სიტყვა „გ-ურის“, რომელიც მომდინარეობს სიტყვა „გ-ური“ – დან), – ებრაულად ნიშნავს თავშესაქცევ, დროებით თავშესაფარებელ ადგილს, და იგი მიგვანიშნებს იმაზე, რომ სწორედაც გურიაში დააბანაკა პირველად ნაბუქოდონოსორმა ტყვედ მოყვანილი ებრაელები, რომლიდანაც, საგულისხმოა, რომ შემდგომ გავრცელდნენ დანარჩენ საქართველოში, თუ არ ჩავთვლით მცხეთად მოსულებს.

4. შემდგომ პერიოდში, ანუ ძვნ IV-III-ე სს-ში ქართლის მეფე ფარნავაზმა, განდევნა რა აზო, რომელმაც ქართლს მოიყვანა 18 000 „არიან – ქართველი“, ქართლს შემოუერთა ეგრისი და შექმნა ერთიანი ცენტრალიზებული საქართველოს სახელმწიფო, ტაოს ჩათვლით. მისმა შვილმა საურმაგმა კი, ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლა მისანდობად დურძუკები სვანეთში. 11-1 სს-ში ისრაელიდან მეორე, მესამე ტალღად ამოვიდნენ დევნილი ებრაელები.

არნიშნულის გამო ქართლსა შინა „იზრახებოდა“ ექვსი, – ქართული, სომხური, ბერძნული, ებრაული, ხაზარული, (სკვითური) და ასირიული ენები.

ამან განაპირობა ის, რომ, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს თავის „აღწერა სამეფოსა საქართველოში“, – ქრისტიანობამდე ქართველ მეფეთა გვარნი იყვნენ: ქართლოსიანნი, ნებროთიანნი, და არშაკუნიანნი, რომელსაც საჭირო

იყო დამატებოდა ასევე ქუჯის გვარიც. ანუ მრავალ ძლიერ ტომთა არსებობის პირობებში ერთ რომელიმეს არ შესწევდა უნარი დიდი ხნით შეენარჩუნებინა სამეფო გვირგვინი.

ლეონტი მროველის თხზულების მიხედვით ფარნავაზის შემდეგ ქართველ მეფეთა მონაცვლეობა ასეთა: ფარნავაზის შემდეგ გამეფდა მისი ვაჟი – საურმაგი(ქართლოსიანი), შექმნა „აინანას“ და „დანანას“ კერპები. მის შემდეგ გამეფდა მირვანი (ნებროთიანი), შემდეგ-ფარნაჯომი(სომეხი), შექმნა ზადენის კერპი. მის შემდეგ გამეფდა არშაკი (სომეხი), ფარნავაზიანთა სიძე. შემდეგ მისი ვაჟი, – არტაგი(სომეხი), მის შემდეგ-მისი ვაჟი ბარტომი (სომეხი). იგი შეცვალა ფარნაჯომის შვილმა-მირვანმა (სომეხი). შემდეგ გამეფდა მისი ვაჟი არშაკი (სომეხი), რომელიც ჩამოაგდო ადრეკიმ (ეგრისელი). ამ დროს იშვა ქრისტე. მის დროს საქართველოს ეწვივნენ ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი. ადრეკიმ სამეფო გაუყო თავის ორ ვაჟს – მტკვრის მარცხენა სანაპირო, ეგრისის ჩათვლით მისცა ბარტომს (ეგრისელი), ხოლო მარჯვენა სანაპირო, კლარჯეთის ჩათვლით – ქართამს (ეგრისელი). მათი გარდაცვალების შემდეგ გამეფდნენ მათი შვილები, არმაზს, – ფარსმანი, (ეგრისელი), მცხეთას კი-კაო (ეგრისელი).

მათ დროს სომხეთმა დაიპყრო არტაანი და წუნდამტკვრამდე, და წუნდას ჩაასახლეს „დევთ ნათესავნი“, რომლებსაც ქართველები ვერაფერს უშვრებოდნენ და მათზე ფიქრს გადაყვა ორივე მეფე. მათ შემდეგ გამეფდნენ მათი შვილები არმაზს-არზორკი(ეგრისელი), შიდა ქართლში კი – არმაზელი (ეგრისელი).

ჩრდილოკავკასიელთა დახმარებით მათ აღადგინეს ძველი საზღვარი სომხეთთან.

მათ შემდეგ გამეფდნენ მათი შვილები არმაზს – ფარსმანი, შიდა ქართლში კი – მირდატი (ეგრისელები). ფარსმანის შემდეგ გამეფდა მისი ძე ადამი (ეგრისელი), მის შემდეგ კი, მისი ძე – ამაზასპი (ეგრისელი), მერე-რევი (სომეხი). მისმა ცოლმა

ფილიამ, რომელიც იყო ბერძენი, – შემოიღო აფროდიტეს – მშვენიერების კულტის ღვთაება და აღმართა მცხეთას კერპი.

რევი შეცვალა მისმა შვილმა ვაჩემ (სომეხი), იგი კი მისმა შვილმა – ბაკურიმ (სომეხი), ბაკური-მისმა შვილმა მირდატმა (სომეხი), იგი კი მისმა შვილმა – ასფაგურმა (სომეხი), მან ალა-შენა უჯარმა.

ეროვნებით ყველა სომეხი მეფე დედით ენათესავებოდა ფარნავაზიანთა გვარს.

მათ შემდეგ ქართლისა და სრულიად საქართველოს მეფე ხდება სპარსი მირიანი. სწორედ მის დროს ქართლში შემოდის ქრისტიანობა. ეს არის 313-326 წწ-ბი. მის დროს საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა ქართლი, რანი, ჰერეთი, მოვაკანი და ეგრისი, რომელსაც მირვანი მართავდა. კახეთი და კუხეთი კი გადაცემული ჰქონდა მის შვილ რევისთვის, ხოლო სიძე ფეროზისთვის, – რანი, – ბარდავამდე.

ამდენად, ცხადი ხდება, რომ ქრისტიანობამდე საქართველოში არსებული ეთნიკური ჯგუფები ქართული ეროვნული ხის ფესვებს წარმოადგენენ და თუ მათ ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, და სხვა ისტორიკოსთა ვერსიით გათვალისწინებულ ეთნოსებსაც დაუმატებთ, – ეს „ფესვები“ 20 ერთეულამდე იზრდება.

ამ თემაზე დაუსრულებლივ შეიძლება კამათი, თუმცა ანგარიშ გასანეგია ის გარემოებაც, რომ ვიდრე ხსენებული ეთნოსები დაფუძნდებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, VI-ე ათასწლეულიდან მოყოლებული, ამ მხარეში ბინადრობდნენ „მტკვარ-არაქსის“, „ყორღანული“ და „თრიალეთის“ კულტურის მქონე ხალხები, ისე როგორც ხეთები, და არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ მათ წარმომადგენელთა სისხლიც ჩქეფდეს ქართველთა სისხლში.

ვიტყოდი, ქრისტიანობის შემოღებით, ფაქტობრივად „ქართველი ერის“ ხერხემლად ქცეულმა იბერ-ებრაულმა ეთნოსმა, რომლის გარშემოც, ქართული ენის შემოღების წყალობით,

დაინყო სხვა ეთნოსებმა გაერთიანება, – ქვეყანაში წამყვანი როლი დაიკავა, რამეთუ ამ პერიოდიდან იწყებს ებრაელ შამბათთა გვარი აღმავლობას, რომელიც შემდგომ ქართველ მეფეთა – ბაგრატიონთა დინასტიად მოგვევლინა და ქვეყანა მართეს 1300 წლის განმავლობაში (სოსლანის მოდგმასაც თუ დაუმატებთ). თვით ქრისტიანული რელიგია კი ებრაელთა კაცობრიობის წინააღმდეგ შეთქმულების განხორციელების გზაზე მეორე ეტეპად უნდა მოვიაზროთ, რომელიც მათ იდეოლოგიურ იარაღს წარმოადგენს!

ტყუილად არ უწერიათ მათ „მოსეს რჯულში“, „უნდა შთანთქოთ ყველა ხალხი, რომელთაც იეჰოვა, თქვენი ღმერთი გიგდებთ ხელში; არ შეებრალოს თქვენს თვალს ისინი, არ ემსახუროთ მათ ღმერთებს, რადგან ეს საფანგად გექცევათ“ (7:16).

„მარჯვნივ და მარცხნივ განივრცობით, შენი შთამომავლები დაეუფლებიან ხალხებს და გაპარტახებულ ქალაქებს დაიმკვიდრებენ“ (ესაია, 54:3).

ამ შთაგონებამ განაპირობა ის, რომ ჩვენს ქვეყნად შემოსულმა ებრაელებმა, რომლებიც ამავე დროს ურიებადაც იწოდებოდნენ, – თავიანთი ტოპონიმებით გაავსეს საქართველო.

ასე მაგალითად, აჭარაში: ხელვაჩა-ური, მახინჯა-ური, ლომინა-ური, ბოძია-ური, ურ-ეხი, ოჩხამ-ური, და სხვა.

გურიაში: ურ-ეკი, ლიხა-ური, ლაით-ური, ჩხაკო-ური, სილა-ური, ჩოხატა-ური, ყუმ-ური და სხვა.

სამეგრელოში: მუხ-ური, განმუხ-ური, ანჩხ-ური, ტეხ-ური, ენგ-ური და სხვა.

იმერეთში: ცხუნკ-ური, რცხლემ-ურა, წიქ-ურა, მანან-ურა, კახა-ური, ლაჯან-ური, ხოფ-ური, ამბროლა-ური, ლებან-ური, სინაგ-ური, ჭიათ-ურა, ჯალა-ურთა, ნადა-ური, ხარაგა – ულ(რ)ი, და სხვა.

სამაჩაბლოში: ქ-ურთა, ლეხ-ურა, ...

შიდა ქართლში: ს-ურამი, ხაშ-ური, აგარა, ურ-ბნისი, ხვედ-ურეთი, ბოშ-ური, ოსია-ური, და სხვა.

მესხეთში: ურ-აველი, ბოლაჯა-ური, რაბათი, აწყ-ური, აგარა, ტ-ურეხი, კუმ-ურდო, და სხვა.

მცხეთა მთიანეთში: სიონი, ფასანა-ური, ანან-ური, ბულა-ჩა-ური, გუდა-ური, ხევს-ური და სხვა.

კახეთში: ლეჩ-ური, ნაფარე-ულ(რ) ი და სხვა.

ქვ. ქართლში: ფოლადა-ური, შ-ური, აკა-ურთა, და ასშ, ყველას ვერ ჩამოვთვლი და არც საჭიროა.

ყველა ეს ტოპონიმი უტყუარი დადასტურებაა იმისა, რომ ჩვენთან ურია-ებრაელთა სახელით შემოსული ეთნოსი ხ(ჰ) ური-ტული ტომია, რომელიც ოდეზიდან ურმიის ტბის მახლობლად მდებარე უძველეს ქალაქ-სახელმწიფოებიდან „ურუკ-არატუდან“ გადასახლდნენ სამხრეთ შუამდინარეთში, სადაც შექმნეს, შუმერების სახელმწიფო, ქალდეა. შემდეგ კი სემიტური ტომებისა და ასურელთა თავდასხმების გამო იძულებული გახდნენ წამოწეულიყვნენ ჩრდილოეთით, ნაწილი გადასახლდა პალესტინა-ეგვიპტეში, ნაწილი კი ხმელთა შუა ზღვის აუზში, მათ შორის ამიერკავკასიაში – ივერთა სახელით.

ამ გადმოსახეთიდან გამომდინარე არაა გამორიცხული თვით ლეგენდარული თორგომა, ჰაიკი თუ ქართლოსი, – ჰურიტები ყოფილიყვნენ. ამგვარის დაშვებაც შეიძლება.

ბაგრატიონთა გვარი ებრაული წარმომავლობის რომ არის, ამის ერთ-ერთ მტკიცებულებას წარმოადგენს კახეთის სამეფოს რექტორისა და სამეცნიერო მოძღვარ დავით ალექსის ძე ბაგრატიონის თამარ მეფისადმი მიძღვნილი „იროიკონი“, რომლიდანაც ვგებულობთ, თითქოსდა საქართველო ყოფილიყო ისრაელის ნაწილი, ისე მოუნოდებს მეფეს მის მტრისაგან განთავისუფლებისაკენ, როგორც ეს გააკეთა კიროსმაო.

5. ჯვაროსნების მიერ იერუსალიმის დაკარგვის შემდეგ საქართველოს არისტოკრატია თანდითანობით ივიწყებს სიტყვა „ივერიას“, „იბერიას“ და მის ნაცვლად ხმარებაში შემოაქვთ სიტყვა „ქართლი“ და „საქართველო“, რაც დაკარგულ იყო ებრაელების ქვეყანაში შემოსვლით და გააჩნდა მხოლოდ გეო-

გრაფიული მნიშვნელობა, რამეთუ „ქართლი“ თუ „საქართველო“, – ქართლოსის სახელთანაა დაკავშირებული და სადაურობაზე მიგვანიშნებს!

ქრისტიანობამ დააჩქარა საქართველოში მცხოვრებ ყველა ეთნოსთა, – „ივერების“ გარშემო ქართველთა სახელით ასიმილირება. თუმცა განვლილი დროის მანძილზე ეს პროცესი დარჩა დაუსრულებელი, რამეთუ მეგრელებს, სვანებსა და აფხაზებს დღემდე შემორჩენილი აქვთ თავისი ენა.

სადაურობით ქართველთა ერთ ნაციად ჩამოყალიბებას შემდგომ ხელი შეუშალა იმ გარემოებამ, რომ ქვეყანაში დამატებით შემოვიდნენ სხვა ერები. კერძოდ, სპარსელები, არაბები, ყივჩალები, სომხები, თურქმანები, და სხვანი, რასაც ჰქონდა ადგილი XV-XVII-ე სს-მდე და ასიმილაციის პროცესი ერთობ გაიწელა დროში.

ქრისტიანული რელიგია მონოდებული იყო გააერთფეროვნებინა სხვა და სხვა ეთნოსი, მაგრამ, როგორც ჩანს ხელისუფლება არ იყო ამ მხრივ სათანადოდ დაინტერესებული, წინააღმდეგ შემთხვევაში 1721 წლამდე, ვიდრე ვახტანგ VI-ემქმნიდა „კანონთა კრებულს“, არ იქნებოდა ქვეყანაში შემორჩენილი ქართული სამართლის გვერდით „ბერძნული სამართალი“, „მოსეს სამართალი“, სომეხთა „მხითარა გოშას სამართალი“ და სვანების „ადათობრივი სამართალი“ ანდა განახორციელებდნენ აღრიცხვიანობას გვართა მინიშნებით, რაც თანდითანობით შემოღებულ იქნა მონღოლების შემდეგ.

მოგვეპოვება აღწერები 1689 წ-დან სადროშოთა მიხედვით, რაც შვიდ წელიწადში ერთხელ ტარდებოდა ომში გასაწვევ და დასახარკ პირთა გამოსავლენად.

6. 1721 წ-ს ვახტანგ VI-ის რუსეთში გადახვეწის შემდეგ და მანამდეც, – XV-XVI-ე სს-ში თურქებს არა ერთხელ ჰქონდათ ჩატარებული აღწერები საქართველოში და ეთნიკურად თუ ეროვნულად ვინც არ უნდა ყოფილიყო ყველას სწერდნენ სახელისა და მამის სახელის მიხედვით, პლიუს „შვილი“. მაგალი-

თად, როგორც პეტრე პეტრეს შვილი, და არ იყო შემოღებული ერთიანი გვაროვნული აღწერები, ხოლო, როდესაც ოსმალები განდევნეს ქვეყნიდან, ოჯახში არსებული მამაკაცები, როგორც ირიცხებოდნენ სახელისა და მამის სახელის მიხედვით, ეგრევე დარჩნენ და ამგვარმა აღრიცხვიანობამ მიღო მუდმივი ქართული გვარის სახე, მიუხედავად იმისა, ეროვნებით ვინ იყვნენ ეს ადამიანები, ე. ი. ქართული გვარის მატარებელი შეიძლება ყოფილიყო ნებისმიერი ეროვნების არა ქართველი, რომლის დღევანდელ შთამომავალსაც რიხიანად შეუძლია განაცხადოს რომ წმინდა „ქართველია“. შეუძლებელია გენეტიკურ ქართველებად მივიჩნიოთ შუასაუკუნეების მისიონერთაგან წარმომდგარი გვარებიც, როგორცაა ლლონტი, ჟღენტი, ჯიბუტი და სხვა, ისე როგორც ეროვნულ მაჩვენებლებზე აგებული გვარები. მაგალითად, ბერძენიშვილი, ლეკიშვილი, თათარაშვილი, თურქიშვილი, ან კიდევ დედის სახელით ნაწარმოები გვარები, – ნათელაშვილი, მარუაშვილი, თამარაშვილი და სხვა, რაც ებრაული აღრიცხვიანობის მაჩვენებელია, თუმცა ყველა სადაურობით ქართველია, ისე როგორც საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი თათარი თუ სომეხი. და თუ მათ „ქართველებად“ მივიჩნევთ, მათ რიგში უნდა „ჩავრიცხოთ“ გაქართველებული სომხებიც! და არ უნდა უკიჟინოთ „სომხობა“. ამიტომაც მთავარი სამშობლოსადმი სიყვარული და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა უნდა იყოს და არა შვილსა თუ ძეზე გვარის არსებობა. ეს კი სათანადო დონეზე რომ იყოს დაყენებული, საჭიროა ეროვნულ უმცირესობათა მიმართ ტოლერანტული პოლიტიკის გატარება!

7. საქართველოში პირველად ეროვნული ნიშნით აღწერა ჩატარდა 1770 წ-ს ერეკლე 2-ის მიერ, რამაც საფუძველი დაუდო სომეხთა შემოსახლებებს, რათა ქვეყანა არ დარჩენოდათ მუსულმანებს, რომელთა ელემენტებიც მრავლად იყო შემოსული ქართლში.

1803 წ-ის აღწერის მიხედვით გორის მოსახლეობის 73, 2%

იყო სომხები, თელავის-76, 1 %, სიღნაღის – 96, 9%, ხოლო თბილისის-92, 6%. (6)

ერეკლეს ქართველი ერის დემოგრაფიული გაჯანსაღების პოლიტიკა გაგრძელებულ იქნა მეფის რუსეთის მიერ და ბოლო 30-40 წწ-ის განმავლობაში არა ერთი სომეხი, ბერძენი, რუსი, თუ გერმანელი იქნა შემოსახლებული, რაც შემდეგ გაგრძელებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლების მიერაც, სამხედრო ნაწილების მუდმივი დისლოკაციისა თუ საკავშირო დანიშნულების ობიექტების გახსნის საფარ ქვეშ, თუმცა, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დაბრუნდა უკან.

8. ქართველთა შოვინიზმს სხვა ერის წარმომადგენელთა მიმართ ბაგრატიონთა მეფობის პერიოდში არ ჰქონია ადგილი. იგი ჩნდება XIX-ე ს-ის პირველი ნახევრიდან, „თერგდალეულებთან“ ერთად, როგორც მათგან რუსული შოვინიზმის ანარეკლი. თუმცა თვით „შოვინიზმი“ შეუძლებელია იყოს რუსული მოვლენა, რამეთუ იგი სათავეს იღებს „მოსეს რჯულიდან“!

ამიტომაც იეჰოვა ამბობს: „ჩემს ხალხს შორის ბოროტი ხალხია. ისინი ყურადღებით იყურებიან, როგორც ჩიტების დასაჭერად ჩასაფრებული მონადირეები და დამლუპველ მახეებს აგებენ“.

„როგორც გალიაა ფრინველებით სავსე, ისეა მათი სახლები სიცრუით სავსე. ამიტომ არიან განდიდებულნი და გამდიდრებულნი, განსუქებულნი და სავსენი ბოროტებით“ (ირემეია, 5:26-28).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ ასიმილირებულ ქართველ ერს გააჩნია არა ერთი ანტროპოლოგიური ტიპი, არამედ ხუთი, რომელიც უარყოფს მის მონოლითურობასა და გენეტიკურ ერთიანობას: კერძოდ,

1. შავიზღვის პირა, 2. იმერულ-რაჭული, 3. აღმოსავლეთ ქართულ – კახური, 4. მესხურ-ჯავახური და 5. მთიულური.

თითოეულ მათგანს თავისი განმასხვავებელი გენი უდევს საფუძვლად და არა ერთი, რომელიმე საერთო! ქართული ენა

კი შეიცავს უამრავ ნასესხ სიტყვებს, – შუმერულს, ხეთურს, ასირიულს, სპარსულს, არაბულს, სომხურს და სხვა ენათა სიტყვებს.

ქართველებს გაგვაჩნია მსგავსება რუსებთან-17, პოლონელებთან-20, ყუბანის ყაზახებთან – 10, სომხებთან – 15, ებრაელებთან-17, თერგის ოსებთან-9, სპარსელებთან-10, მონღოლებთან – 17, ყუმიყებთან-15, ყაბარდოელებთან-11, აზერბაიჯანელებთან-4, ასევე სხვა ერებთან, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქართველი ერი არ არის წმინდა ერი, და რომ ჩვენში გადმოსულია მრავალ სხვა ერთა სისხლი და გენი, რაც არ უნდა გვაძლევდეს იმის უფლებას, რომ ვიყვნეთ ამპარტავნები და სხვებს ვუყუროთ ზემოდან!

პირადობის მოწმობაში „ქართველის“ ჩანერა როდი ნიშნავდა ყოველთვის სიმართლის თქმას, ღმერთმა იცის ვინ იმალება მას უკან.

რეალობა ყოველთვის შეიცავს შემადგენელ ელემენტთა სახით პირვანდელ გარემოებებს, განვლილ პერიოდში მიღებულ შესაძლებლობებს და მიმდინარე პერიოდის შესაძლებლობებს, და იმ შესაძლებლობებს, რაც მის შემდგომ რეალიზებას ესაჭიროება !

აქედან გამომდინარე, შენ დაარქვი ნებისმიერ „ქართველს“ ქართველი, მაგრამ თავისი შინა არსიდან, რა დროს რას გაითამაშებს ღმერთმა იცის, რაც მხოლოდ ადეკვატური პასუხი იქნება ვითარებაზე!!!

მთავარია ადამიანში იყოს იმის განცდა, რომ იგი სახეა თავისი ბიო-სოციალური სისტემის, – ოჯახის, ერისა და სახელმწიფოსი, და რომ ვალდებულია დაიცვას იგი ღირსეულად, მის უარსაყოფად მას მიზეზი არ უნდა მიეცეს.

ამ ვალდებულებამ უნდა განსაზღვროს მისი ქცევის ფორმულა და არა ეროვნულმა კუთვნილებამ.

ნაწილი II. ჩემი წინაპრები

თავი 1. ჩემი მამა — პაპანი

1. სიცოცხლე ზოგადად

ვიდრე ძირითად სათქმელზე გადავიდოდე მინდა ჩემეული ახსნა მოუძებნო ადამიანურ სიცოცხლეს, რაც სამი თაობის ერთი სულიერ გამოვლინებად მიმაჩნია.

სიცოცხლის შესახებ არა ერთი მოსაზრება არსებობს, თუმცა მისი სრულყოფილად ახსნა დღემდე ვერავინ ვერ შეძლო და ვერც მომავალში შეძლებენ, რამე თუ საზოგადოების განვითარებასთან ერთად ადამიანიც იცვლება და იგი თავისი თავის რაობას ყოველთვის უბრუნდება.

ისე კი, სიცოცხლე, ზოგადად საერთოა და მომცველი ყოვლისა, გადანაწილებული ყველა სულდგმულზე, სანყისი მისია კი – უმაღლესი გონია, ხოლო სასრული თვით ჩვენი სამყარო, გამოვლენილი მატერიალურ მრავალფეროვნებაში.

რუს მწერალ დ. პისარევის განმარტებით «Жизн ничто иное, как движение, переход из формы в форму, постоянное, неугомонное превращение, разрушение и создание, следующие друг из друга». 1

ამ განსაზღვრების მიხედვით ადამიანის სიცოცხლე შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ხე-მცენარის სიცოცხლე, რომლის ფესვებიც, – ჩვენი მამა-პაპანია, ტოტები, – შვილები და შვილი-შვილები, ძირითადი ღერო კი, მისი უშუალოდ ჩვენ ვართ, რომელიც ვაკავშირებთ ერთმანეთს!

აქედან გამომდინარე ცალკეული ადამიანთა სიცოცხლე უნდა წარმოვიდგინოთ არა თაობებისაგან მოწყვეტით, დამოუკიდებლად, არამედ მთლიანობაში „ფესვებიდან-კვირტების“ ჩათვლით, რამეთუ, თუ სტკივა შვილს, სტკივა მამასაც და პირიქით, ფესვების გარეშე ტოტები ხმელია, ფოთლების გარე-

შე კი მთლიანად ხე ვერ ხარობს.

ამასთან ერთად, ყოველი ადამიანი უჯრედია საერთო საზოგადოებრივი ქსოვილის, მსგავსად „ფიჭისა“, რომელიც თავისი გვერდებით ერთმანეთს უკავშირებს დანარჩენ უჯრედებს და თუ რომელიმე მათგანი ზიანდება, – ზიანი ადგება სხებსაც.

არ არსებობს საზოგადოების ერთი რომელიმე წევრი, – მეორის გარეშე, ყოველ ორს, – ერთი საერთო აქვთ და წარმოადგენენ ერთი მთლიანის ცალკეულ ნაწილებს.

ასეთია ზოგადად ჩვენი ხედვა ადამიანთა მიმართ, არ აქვს მნიშვნელობა მის წარმომავლობას, ყველა უზენაესის განსახიერებას ვახდენთ.

ღმერთს უყვარს მრავალფეროვნება, მისი არსიდან გამომდინარე და ჩვენც მის ჰარმონიას უნდა მივყვეთ. ყოველი ჩვენი ქმედება კი უნდა ჯდებოდეს მის კანონებში! თუმცა რაც არსებობს, სულიერი თუ უსულო, ყველაფერს არსებობის უფლება გააჩნია, მაგრამ იგი ადამიანთა კეთილდღეობისაკენ უნდა იყოს მიმართული!

2. წარმომავლობა

მეამაყება მამაჩემის გვარ-სახელის წარმოთქმა, რომელსაც სახელად ერქვა-„შაქრო“, გვარად კი იწერებოდა, – რუსიფიცირებულად – „ქოჩაროვ-ი“, ნაწარმოები – „ქოჩარიანი“ – დან. მან იცოცხლა ას წელზე მეტი, დაბადებული 1909 წ-ს, გარდაიცვალა 2010 წ-ს, სრულ გონებაზე მყოფი, ისე, რომ გარდაცვალებამდე ერთი დღეც კი არ ჩანოლილა საწოლში ავადმყოფობის მიზეზით!

იგი ყოველთვის მეუბნებოდა, რომ ჩვენი წინაპრები ჩამოსულები იყვნენ „ყარაბალიდან“ და ეს უნდა მცოდნოდა მე!

ოჯახში, ისე როგორც ყველა ჩვენი სოფლის მაცხოვრებელი, – ვლაპარაკობდით ქართულ ენაზე. თუმცა, მამაჩემმა და დედამისმა, რომელიც წარმოშობით იყო ბოლნისის რ-ის, სომხურ სოფ. კიანეთიდან, – სომხური ენაც იცოდნენ. სომხუ-

რი იცოდნენ ასევე უფროსმა თაობებმაც.

მამაჩემის მამას სახელად ერქვა – გეურქი, გეურქის მამას, – სოლომონი, სოლომონის მამას, – ქოჩია, ქოჩიას მამას-კესა, კესას მამას, – არუთა თუ არუზმანი.

1817 წ-ს ყარაბაღიდან ბოლნისში გადმოსახლებულ 940 ოჯახთან ერთად, დიდ დმანისში ჩასახლებული 26 – ოჯახის შემადგენლობაში იყო ჩვენი წინაპრებიც. ამ მხრივ ისტორიულ არქივში დაცული სიები და აღრიცხვის დავთრები მოწმობენ.

ჩვენდა გასაკვირვად სოფელ ყალამშიანის (სოფ. განთიადი) იმ დროინდელ კამერალური აღრიცხვის ჟურნალში არსებობს ჩანაწერი „არუთა“... შვილებით, აღრიცხული მამის სახელის მიხედვით, თუმცა იქვე მინერილი აქვს რუსულ ენაზე გვარი – «Кочаров»-იც, დავთრები ნანარმოებია რუსულ ენაზე და თანაც შეცდომებით (ფონდი 254, საქმე 540).

როგორც ირკვევა ჩვენი წინაპარი ჯერ ჩაუსახლებიათ სოფ ყალამშიან-ში, სადაც სხვა სომხებიც ფიგურირებენ, შემდეგ კი, დაახლოებით ოცი წლის შემდეგ, როდესაც იქ ჯავახეთიდან გადმოუსახლებიათ ნამდვილი ქართველები, ყალამშიანის ჩანაწერებში ჩვენები აღარ ფიგურირებენ და მათ ვხვდებით დიდი დმანისის დავთრებში. ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ყალამშიანიდან ჩვენ წინაპართა ერთი ძმა, სახელად არუზმანი (არმაზელი) საცხოვრებლად გადასულა სოფ. ბალიჭებში, რომლის მოდგმაც დღეს ინერება არუზმანოვებად და არუზმანაშვილებად. მათ იციან, რომ ჩვენ ერთმანეთის ნათესავები ვართ.

მეორე ძმა კი, მამაჩემის მამის პაპა, რომელსაც სახელად ერქვა კესა, დიდ დმანისში ჩასახლებულა 1845 წ-ს. მას თან მოყოლია ვაჟიშვილი – ქოჩია, რომელიც დაქორწინებული ყოფილა სოფ. ბოსლებში და რომელსაც თან მოყოლია ხუთი წლის ვაჟიშვილი ზაქარი და ერთი წლის მამაჩემის პაპა, – სოლომონი. ხოლო ქოჩიას ორი ვაჟიშვილი, – ალექსი და ავეტიკა გასჩენია დიდ დმანისში.

კესას ქოჩიას გარდა ოჯახში ჰყოლია ოთხი ქალბატონი,

რომელთაგან უნდა ვიფიქროთ, რომ ორი იქნებოდა ქალიშვილი.

ქოჩიას უფროს ვაჟიშვილს, – ზაქარიას შეძენია შვილები: არტემი, გიორგი, გიგოლი, და ვანო;

მომდევნოს, – ალექსის, – არშაკი, არშაკის გუგა, გალო და სამსონი;

მესამე შვილს, – ავეტიკას, – მიშა, სარო, ლევანი, შაქრო, და კიდევ სამი შვილი, რომელთა სახელებიც არ ვიცი;

რაც შეეხება პაპაჩვენ სოლომონს, ცოლად მოუყვანია კაზრეთიდან კაფიგრანოვების ქალი და გასჩენია მამაჩემის მამა-გეურქი, და სამი ქალიშვილი, რომელთაგან ერთს ერქვა ლიზა, იმ ორის კი-წარმოდგენა არა მაქვს. ერთი მადგანი გაათხოვილა კაზრეთში, ლიზა და მეორე და კი – ჩვენსავე სოფელში.

სხვა ჩვენს მონათესავე ოჯახების ქალბატონებზე სპეციალურად არ ვამახვილებ ყურადღებას, რამდენადაც ისინი ჩვენს ინტერესში არ შედიან.

სოლომონს თავისი ქალიშვილი ლიზა მიუთხოვებია სოფ. ქვეშიდან ზედ სიძედ მოსულ ფაშა ალაგარდოვისათვის, რომელსაც გასჩენია ოთხი ვაჟიშვილი და ორი ქალიშვილი. ვაჟებს რქმევია სოლკა, მელქო, სარქისი და მეოთხეს სახელი კი არ ვიცი.

პაპაჩვენ გეურქის გასჩენია მამაჩემი შაქრო და ოთხი ქალიშვილი: ევა, სოფო, ლუსიკა და ნუცა.

მამაჩემ შაქრომ ცოლად მოიყვანა ჩვენსავე სოფელში ყარსიდან გადმოხვენილი ვასო ოგანეზოვის ქალიშვილი მარგო, რომელსაც შეეძინა გურამი, ლუდიკო, მე, – ალექსანდრე და ელენე.

ევა ადრეულ ასაკში ტრაგედიას ემსხვერპლა, რის შესახებაც მოგვიანებით მოგითხრობთ.

სოფო გაათხოვეს გორუნჯუკში, არსენ ოსეფიანცზე, ლუსიკა, – ბალიჭში, – არშაკ მესროფოვზე, ნუცა კი, – ჩვენ-

სავე მეზობელ, – ბეგა ოგანეზოვზე.

რამდენი შვილი შეეძინა არუზმანას მოდგმას, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ კესამ საქართველოს დაუტოვა არანაკლებ ათასი ადამიანი, რამეთუ მარტო მამაჩემმა თავისივე სიცოცხლეში საქართველოს აჩუქა ორმოცდაათზე მეტი სული, სხვა ჩვენს მონათესავე ოჯახებსაც ვიცნობ და საერთო გაანგარიშებიდან ამოვდივარ!

ყველა მათგანი მამის ხაზით გასული საუკუნის 80-იან წლებამდე ინერებოდა სომხად, გვარად კი-ქორაოვი. შემდეგ მოხდა მათი „გაქართველება“, ზოგი დაენერა ქორაოძედ, ზოგი, – ქორიშვილად, ზოგი, – გურამიშვილად და ზოგიც ვინ იცის რა გვარზე.

ახლა თქვენ წარმოიდგინეთ საქართველოში ათობით და ასი ათასობით ჩამოსახლებულ სომეხთაგან რამდენი „ქართველი“ წარმოეშვა საქართველოს?! ვფიქრობ ასი ათასობით და მილიონობით, რომლებსაც ასიმილაციის მსხვერპლს დავარქმევდი. რეალობას ვუმაღავთ საზოგადოებას და ვამბობთ, თითქოსდა სომეხ ტერტერებს ადრე მათთვის გადაეკეთებინათ გვარები და ახლა აღუდგინეს! სისულელე, გადახედეთ უახლოესი ისტორიის ფონდებს და ამაში თავად დარწმუნდებით!

ისე კი, კაცმა რომ თქვას გვარ-ეროვნების გამოცვლაზე დიდი ცოდვა არ მეგულება, რამეთუ უარყოფ მთელ შენს ჯიშსა და ჯილაგს, რაც ვფიქრობ გამოძახილია მახინჯი საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან.

რა ჰქონდა დასაწუნი ჩემს გვარს“ ქორაოვს“ (ქორარიანს), რომელმაც არა ერთი სახელოვანი ვაჟკაცი აჩუქა კაცობრიობას. მარტო „პლანეტის საიდუმლო ადამიანად“ წოდებული სამველ ქოშარიანცი რად ღირს, რომელიც აკადემიკოსებ კელდიშისა და კურჩატოვის დონეზე იყო აყვანილი. ეს მან შეუქმნა საბჭოთა კავშირს ატომური ფარი, რომლითაც დღეს მედიდურობს რუსეთი. გინდა სომხეთის ყოფილი პრეზიდენტი, – რობერტ ქორარიანი, რომელმაც ფაქტობრივად ყარაბაღს მოუ-

ტანა დამოუკიდებლობა და იყო მისი განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი.

არანაკლებ სახელის მქონეა სამსოფლიოდ ცნობილი მოქან-დაკე ერვანდ ქოჩარი, რომელმაც დინამიკაში გადმოცემული, ცხრა მეტრის სიგრძის ცხენზე ამხედრებული დავით სასუნცის ძეგლი შექმნა. მსგავსს ვერსად შეხვდებით! იგი ამშვენეს ერევნის რკინიგზის სადგურის მოედანს, რომლის ასლიც პარიზში დგას. იგი იყო ერევნის მთავარი არქიტექტორიც.

ქება-დიდებას იმსახურებს ასევე მხატვრული სიტყვის დიდ ოსტატი სურენ ქოჩარიანი, რომელიც კარგად ახსოვთ თბილისის მაცხოვრებელთა უფროს თაობებს.

ჩვენ გყვავს ასევე საერთაშორისო დონის იურისტი, გენერალი, პროფესორი გიორგი ქოჩაროვი, რომელიც საბჭოთა პერიოდში რედაქტორობდა საკავშირო ჯურნალ «Следственная практика-ს» და იყო მოსკოვის პროკურატურის საგამომძიებლო სამმართველოს უფროსი.

გყვავს ასევე არაერთი აკადემიკოსი მედიცინის, მუსიკისა და სხვა დარგებში, მათ შორის, ცნობილი ფეხბურთელები, და მომღერლები, ყველას ვერ ჩამოვთვლი, თუმცა გულის სიღრმეში დიდ პატივს ვცემ მათ და მემამაყებიან!

საქვეყნოდ მინდა განვაცხადო, ჩვენი გვარი უნიჭიერესთა გვარია!!!

თვით ჩვენს გვარში-„ქოჩარ-იანი“, გადმოცემულია სომეხი ხალხის თავისუფლების იდეა, რამეთუ სიტყვა „ქოჩარი“, რომელიც თურქულიდან მომდინარეობს, ნიშნავს მომთაბარეს, რაც თავისუფლების გარეშე წარმოუდგენელია. ნიშნად ამისა ისტორიულად შექმნილია ხალხის მიერ სახალხო ცეკვა „ქოჩარი“, აყვანილი ეპოსის რანგში! მასშია გადმოცემული სომეხი ხალხის ერთიანობის იდეა, რამეთუ ამ ცეკვის დროს ყველა იქ დამსწრე თუ მონაწილე ცეკვავს ერთად, ხელი-ხელ ჩაკიდებული.

თვით სიტყვა „ქოჩარი“ კი, – სანსკრიტზე ნიშნავს “წმინდა ზეციურ სხივს“! რაც შეეხება გვარის დაბოლოება „იან“ – ს,

მასში ტრანსფორმირებულია საყოველთაო აქტიურობის საწყისი, – „იან“ („ინ“ – „იან“).

გვარის შეცვლით კი მივიღეთ არაფრის მთქმელი პროტო-თურქული აღრიცხვიანობა. მე ბოდიშს ვუხდი ყველა ქოჩიაშვილს ამგვარი შეფასებისათვის, ვიცი, ბევრია ქოჩიაშვილებში კარგი ადამიანი, მე მათთან არაფერი მაქვს სადაო, მე ჩემსას ვჩივი!

ცნობისათვის, თითოეული სომხური გვარი სომეხი ერის ისტორიის ამა თუ იმ ასაპექტს გვამცნობს და თუ ყველას შევკრებთ მივიღებთ მთელი სომხეთის ისტორიას, რასაც ვერ ვიტყვით ქართულ გვარებზე, რამეთუ ინდენტურობის მანიშნებლებია.

სომხური გვარ-ფუძე შერჩენილი გადაკეთებული „ქართული“ გვარები კი, რომელთა რაოდენობაც მარტო თბილისის სატელეფონო აბონენტთა სიის მიხედვით – ოთხასს აჭარბებს, – ყურ, კუდ მოჭრილ თუ რქა მოტეხილ ცხოველებივით გამოიყურებიან. ამკარად ეტყობათ, რომ აკლიათ რაღაცა, დამახინჯებულებია!

რას იზამ, ასეთია რეალობა, ქართული გვარი არაქართველთა თავშესაფრად იქცა. გავა დრო და მათაც „ივერთა“ თუ ყივჩაღთა მსგავსად ქართლოსიანთა მოდგმა შეისისხლხორცებს!

ეროვნულობის საკითხი დღეს პრობლემად არ დგას, მით უფრო, რომ პირადული დოკუმენტებიდან ამოიღეს „ეროვნება“ და „მამაის სახელი“, თუმცა, არა ქართველს მაინც გიყურებენ სულ სხვა თვალებით და მართლებიც არიან. ეს საკითხი სხვა გვარადაა მოსაწერიგებელი. უნდა არსებობდეს ნაციონალური სოციალიზმი!

გაქართველებულ სომხებს, როგორც წესი, არ აქვთ იუმორი, გონორი, ხუცბა. გამოირჩევიან ზედმეტი კეთილსინდისიერობით და თავშეკავებულებია. დაკარგული აქვთ ფოლკლორი, ადათ-წესები, და ამკარად ეტყობათ, რომ ამოვარდნილებია თავიანთი ისტორიული ფესვებიდან.

3. პაპაჩემ გეურქას ისტორია

იმის გამო, რომ ფაშა ალაგარდოვი ზედსიძედ იყო მოსული მამაჩემის მამის და, – ლიზაზე, – მას მიწის ნაკვეთი არ ჰქონდა და თავისი ოჯახით უწევდა პაპაჩემ გეურქის სახლში ცხოვრება.

გეურქის, მამაჩემის გარდა სხვა ვაჟიშვილი არ ჰყოლია და შეშინებია, რომ მომავალში არ დაეჩაგრა დის ოჯახს იგი თავისი სიმრავლით. ამის გამო მოეთხოვა მათთვის საცხოვრებლად გადასულიყვნენ სხვაგან და ისინიც გადასულან მეზობელ ოსკანოვ კიტიას სახლში.

ამასთან დაკავშირებით ლიზას ეჩივლა ხელმძღვანელობაში და ამის გამო პაპაჩემი გამოეძახათ ჟანდარმერიაში. როდესაც იგი დაბრუნდა, ნახავს რომ, ამხანაგები რომლებთანაც ერთად უნდა წაეღო შეშა ურმით თბილისში გასაყიდად, აღარ დალოდებიან და მარტოს მოუხდა წასვლა.

ეს ხდება 1912 წელს და ყოველივე ამის შემსწრე, რასაც გიყვებით, – მამაჩემია, რომელმაც მომიყვა.

ვიდრე გზას გაუყვებოდა გეურქი, მის და ლიზას წინასწარ გაეგზავნა თავისი უფროსი ვაჟიშვილი მელქო ბიძის მოსაკლავად, და იგიც გეურქის ჩასაფრებიყო ქვეშის ხიდთან, თათრების სოფელ აბდალოს ბოლოში. როგორც კი იმ ადგილს მიახლოვებია გეურქი, მელქოსაც მისთვის საფარიდან ესროლა თოფი, მაგრამ აეცდინა. სროლამდე გეურქის შეენჩნია დის შვილი ბურქებში და ურმიდან სროლის მომენტში გადმომხტარა, და ვითომც მოხვდა ტყვია, ძირს დავარდნილი-გარინდულიყო. მელქოსაც ეფიქრა „ბიძა მოვკალიო“ და ფარულად მაშავერის ხევ-ხევ სოფელში წამოსულა. დედისთვის ეთქვა, „ბიძა მოვკალიო“ და ისინიც იმავე დღესვე კიტიანთგან უკან გადმობარგებულებიყვნენ უკან პაპაჩემის სახლში, გეურქის კი გაეგრძელებინა გზა და წასულიყო თბილისში, საიდანაც მესამე დღეს დაბრუნდა უკან. მთელი ამ ხნის განმავლობაში ლიზა თურმე

გზის პირას ზის, ქსოვს წინდას და ელოდება ფოსტის შემოვლას, რომ მათგან შეიტყოს ძმის მკვლელობის ამბავი!

სახლში დაბრუნებულ გეურქის ენახა რა უკან გადმოსული დის ოჯახი, – განრისხებულია და მათი ნივთები გადაეყარა გარეთ. ამის გამო ლიზას კვლავ ეჩივლა და გეურქი დაეპატიმრათ სამი ღით. სახლში დაბრუნების შემდეგ კი და – ძმის კონფლიქტში ჩარეულიყვნენ ახლობლები და ერთმანეთში შეერიგებინათ ისინი, რომლის შემდეგაც და-ძმას კვლავ განეგრძოთ ერთ ჭერს ქვეშ ცხოვრება.

ორი წლის შემდეგ ვარდისუბნელ ნოლა და იაგორ ტატუაშვილებს გაექურდათ გეურქის ბიძაშვილ ვანოს დუქანი, რაც ვანოს დაებრალებინა ლიზას ბიჭებისათვის, რომლებიც ფხიანები იყვნენ. აღნიშნულთან დაკავშირებით გაეჩხრიკათ გეურქის სახლი და რაც კი რამ იარაღი ჰქონიყო, მათ შორის ბასრი თუ მჭრელი საგანი, – სულ ერთიანად ამოეღო ჟანდარმერიას.

მიუხედავად ამისა, რადგან ამ საქმეში ლიზას ბიჭები მართლები აღმოჩნდნენ, ბიძაშვილებ – ვანოსა და გეურქის ერთმანეთში ურთიერთობა არ გაეფუჭათ, და კვლავაც ერთად ევლოთ ბეგარაზე. ვანოს ჰყოლია ხარები, გეურქის გუთანი და მიწებს თურმე ყოველწლიურად ერთად ამუშავენ, ცხოვრებითაც გვერდი-გვერდ უცხოვრიათ, ჰქონიათ საერთო შესასვლელი გზაც და გაბუტვაც ლამაზი არ გამოუვიდოდათ.

ერთხელ, სოფლის მოურავ იაგორ სელიმაშვილის ნადელის ბეგარით მოხვნისას ბიძაშვილებს ერთმანეთში მოსვლიათ კამათი, ვანო წინააღმდეგი ყოფილა მოხვნის, რამეთუ განაწყენებული ყოფილა მასზე, გეურქი კი – პირიქით, მისი ხათრი ჰქონია, რამეთუ მისი ძმა კოტე გეურქის ნათლია ყოფილა.

ამ კამათის დროს გეურქის ხელი გაერთყა ვანოსათვის.

სახლში დაბრუნებულ განაწყენებულ ვანოს თავისი ჯალალოლელი (სტეფანავანი) ცოლი ჰაიკო გამოეგზავნა ჩვენთან, გამოეტანებინა ხარის საფასური, წინა დღეებში გეურქის მის-

გან ეყიდა ხარი და ეთქვა, „დაუბრუნე მათ ეს ფული და უთხარი, რომ ჩვენ, ჩვენს ხარს უკან წავიყვანთ და გაყიდვა აღარ გვინდა-თქო“!

ჰაიკოსაც გზად შეხვედრიყო ბებიაჩემი მარიამი და მისთვის ეთქვა ქმრის დანაბარები, თან შეეცდებოდა გადასცეს ფული, რისთვისაც მას არ მოეკიდა ხელი, და ეთქვა, „კაცების საქმეში არ ვერევიო“, და მისთვის შეჩერებული ფული ძირს გაბნეულა. ჰაიკო არ დაპატრონებია მას, იგი გაეფანტა ქარს და ბოლო ჯამში დაკარგულიყო. იმავე საღამოს კი სოფელში დაბრუნებული ნახირიდან ვანოს გამოერჩია ჩვენებზე მიყიდული ხარი და წაეყვანა თავისთან, დილით კი შეება ურემში და წასულიყო სასყიდლებზე ბოლნისში. ვანო იყო ვაჭარი კაცი და აღებ-მიცემობას ეწეოდა.

ყოველივე აღნიშნულის თაობაზე ცხადია მოურავს შეეტყო და ბოლნისიდან უკან დაბრუნებისას მის ხალხს ეცემა ვანო, ხარი კი წაერთვათ და დაებრუნებინათ გეურქისთვის.

მას შემდეგ არ გასულა დიდი დრო და აკაურთის ხევთან, ვანოს გზად მიმავალი 19-წლის დასანიშნი ვაჟიშვილი უცხო პირებს მოეკლათ. ვანოს ბევრი მოვალეები ჰყოლია და შესაძლოა ეს საქმე მათი ნახელავი ყოფილიყო. თუმცა რატომღაც ვანომ იგი პაპაჩემ გეურქის დააბრალა, მისთვის ეთქვა: „შენ და შენმა კაზრეთელმა სიძემ მომიკალით შვილიო“! ამ დროს პაპაჩემს ამ საქმესთან არანაირი კავშირი არა ჰქონია, არადა არც საფუძველი გააჩნდა.

ამ მიზეზით ჩვენი სახლი კვლავ გაეჩხრიკათ და დანებიც კი ამოეღოთ. ამ დროს ვანოს გამოენახა საერთო ენა მოურავთან და მისი თანადგომით დაუგეგმავთ ჩვენიანების ამონყვეტა! მოურავის სახლი მდებარეობდა ჩვენს სახლიდან ას მეტროში. იგი იყო „ბელეტაჟის“ ტიპის, მეტრანახევრის სიმაღლის გრძელი აივნით, რომელიც ჩვენსკენ პროფილით იდგა და არ მოჩანდა მისი წინა ფასადი, რასაც მეც მოვესწარი.

ამ მიზნით, მკვლელობიდან ერთ კვირაში მოურავს გამოე-

ძახა თავისთან პაპაჩემი გეურქი, დის შვილებთან ერთად და ესენიც ყოველგვარი ეჭვის გარეშე ხელცრიელები მისუ-ლიყვნენ მათთან. წინ მიდენილა გეურქი, უკან მიყოლია სოლკა და მელქო. როდესაც პაპაჩემი ასულა აივანზე, ნახავს რა იქ ნაბად წამოსხმულ ვანოს, თავის ახლობელ ოსკანოვ ბადალისა და მარტიროსოვ მელქოსთან ერთად, რომლებსაც სდომებიათ ჩვენების შიგნით შეტყუება და ამოხოცა, – იგი მაშვე მიმხვდა-რა მათ განზრახვას და აივანზე ასვლისთანავე შემობრუნებუ-ლა უკან, და დის შვილებისათვის უთქვამს: „სასწრაფოდ გავ-ბრუნდეთ უკან“, და გადმომხტარა აივნიდან, თან გადმოეყოლა სოლკა. იქ გაურკვეველობაში დარჩენილ მელქოსთვის კი წინ წამომდგარ ვანოს ხანჯალი, რომელიც თურმე სდომებია გეურ-ქის დაარტყას, – ამოურევია მისთვის მუცელში და ნაწლავები გადმოუყრევინებია. მელქო ყოფილა ძლიერი ვაჟკაცი, ერთი კვირის დაქორწინებული, მას თავისი ხელით მოეკრიბა თავისი ნაწლავები, ჩაელაგა წინსაფარში, რომელიც შემოკრული ჰქო-ნია და ასე დაბრუნებულა სახლში თავისი ფეხით!

ამ მდგომარეობაში ნახავს რა თავის შვილს ხანში შესული მამამისი ფაშა, მასაც აელო ჯოხი და შურის საძიებლად გასუ-ლა გზაში. ამ დროს ბოროტმოქმედნი ამოსულან მათ შესას-ვლენ გზასთან და იქ მას ვანოსთვის დაერტყა თავში ჯოხი, სამში რას გახდებოდა და ისიც იქ მოეკლათ, ვანოს დაერტყა ხანჯალი, ბადალას კი მარგილი.

ამ ტრაგედიის შემყურე, ფაშას ჰყოლიყო ავადმყოფი ვაჟიშ-ვილი, ვერ გაეძლო მის გულს და იქვე დაელია სული. მამაჩემის 18 – წლის გასათხოვარ დას, – ევას კი შიშისგან გახეთქიყო გული. ერთ დღეს ჩემო მკითხველო სრულიად დაუმსახურე-ბლად, შეთქმულების ნიადაგზე, ჩვენი ოჯახიდან გაასვენეს ოთხი ცხედარი, ოთხი კუბო! თუმცა ძმათა შვილებს შორის შუღლი ამით არ დასრულებულა. ეს ხდება 1917-1918 წწ-ში.

დასაფლავების მეორე დღესვე გეურქი, სოლკასთან ერთად ჩამოსულა თბილისში არსენალში შეუძენიათ შაშხანები და

სოფელში ასვლისთანავე გეურქის მოეკლა საკუთარი მამის ძმის შვილი ვანო - ვარდისუბნიდან მოკლეზე გამოსასვლელ გზაზე, მარტიროსოვ გრიგორის სახლთან.

ეს ის პერიოდია, როდესაც დაემხო რუსეთის მეფის ხელისუფლება, რუსთა ჯარს დატოვილი აქვს კავკასია, თურქეთის ჯარი, დევნილ სომხებს მოყოლილი, ჯალალოღლის ბრძოლების შემდეგ შემოსულია დმანისში და ელოდება ბრძანებას ბაქოში წასასვლელად, რათა იქაც დაარბიონ სომხები. აღნიშნულით გათამამებული ადგილობრივი თათრები კი ავინრობენ ჩვენს ადგილობრივ მოსახლეობას, უპირატესად სომხებს და ჩვენებიც მათგან შეშინებული, იძულებულები გამხდარან ტყესა და გამოქვაბულებში გადამალულიყვნენ. ჩვენი ოჯახი კი გამამალულა ჩახრიალოს, ე. წ. „შავ ბუნეში“, რომელსაც თურმე საკვებ – სანოვაგეს გეურქი 30 მეტრის სიმაღლის კლდიდან აწვდის. კერძოდ, მუსელოვი ზაქარას სახლის მიმდებარე კლდის პირიდან, სადაც პატარა ბალი გვექონდა და მეც მოვესწარი მას. აღნიშნულ „ბუნეში“ დაიბადა მამიდაჩემი ნუცა. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ რა მდგომარეობაში ვიქნებოდით ჩვენ.

აი ასეთ ურთულეს პირობებში ვანოს ცოლს, – ჰაიკოს გამოენახა საერთო ენა პირწავარდნილ კაკლიანელ ბანდიტური დაჯგუფების უფროს, ვინმე ურუსტამასთან, მოექრთამა იგი და დაევალებინა პაპაჩემ გეურქის მკვლელობა! მასაც პაპაჩემის შეტყუების მიზნით ბოსლებში, სადაც ნათესავეები გყვანდა და შუამავლის მოსაძებნად გეურქი მათთან მივიდოდა, – ჩვენი ცხვრის ფარა მწყემსიანად გაეტაცნა კვირაცხოვლის ფერდობიდან და გადაეყვანა ბოსლების იქით მდებარე თავის სოფელ კაკლიანში. გეურქიზე კონტროლი კი დაევალა ვიღაც ბოსლელ ახოტელაშვილისათვის, “როგორც კი გამოჩნდება სასწრაფოდ შემატყობინეო“. ცხვარი ჯანდაბას, მწყემსი ხომ უნდა გამოეხსნა მაინც, მწყემსად კი გვყოლიყო თათულოვი იაგორი, რომელსაც ზედმეტ სახელად „ბუზალას“ ვეძახდით.

როდესაც პაპაჩემი ასულა თავის ნათესავეებთან ბოსლებში,

რათა მათ მეშვეობით ვინმე შუა კაცი გაუგზავნონ იმ ყაჩაღს, რა დროსაც თან ხლებია სოლკაი, იმ ახოტელაშვილს მაშვე ეცნობებინა არუსტმასთვის, „კაცი რომელიც შენ გინდა აქ არისო“. და იგიც თავისი ხალხით წამოსულა ბოსლებზე, რომელიც იმ ხანად მთლა დაბრეყებული ჰყოლია!

ბოსლებში შესვლისას არუსტამას დაუნყია სოფლიდან გასასვლელი გზების ჩაკეტა, რაც უცნობებია გეურქისთვის ვინმე „მურჭუნთ ვანას“, თან ურჩევია „გაცლოდა სოფელს სანამ დროაო“.

პაპაჩემსაც რაღა დარჩენოდა, ისიც გამოსულა ნათესავის-გან და ნელ-ნელა, ხევ-ხევ სოლკასთან ერთად დაწეულა უკან, ჩვენი სფლისკენ. მალევე წამოწვიან მათ ხსენებული ბანდიტები და დაუნყვიათ მათთვის სროლა, გამართულა ორმხრივი ბრძოლა. ჩვენებმა მოკლეს თა არა ვინმე მათი, – ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ მათ ამ ბრძოლაში დახოცეს პაპაჩემი გეურქი და მისი დისშვილი სოლკა, არ მოსული, ე. წ. კუტის მიწებთან, ხევში.

მეორე დღეს ჩვენმა სოფლელებმა ჩამოიყვანეს ცხედრები და არ იკითხავთ ჩემო მკითხველო სად დაკრძალეს? – ორ მეტროში ვანოსა და მისი შვილის საფლავებიდან, რადგან საფლავი საერთო საოჯახო გვექონდა! მათ, გაჭირვებით გაზრდილმა მამაჩემმა ორმოცი წლის შემდეგ მოუნყო საფლავები!

მომდევნო დღეებში ურუსტამას ჩვენი ცხვრის ფარა მწყემსიანად აეყვანა რაიცენტრში დაბანაკებულ თურქეთის ჯარის სარდლისთვის და ფეშქაად გადაეცა. მასაც გამოეკითხა მისი წარმომავლობის თაობაზე და შეეტყო რა ყველაფერი დაწვრილებით, ნახევარი დაეტოვა თავისთან, ნახევარი კი ებრძანა დაებრუნებინათ უკან ჩვენთვის, რაც შესრულებულ იქნა. ყოველივე ეს ერთობ გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, მომსწრეა მამაჩემი!

მომდევნო დღეებში, როდესაც თურქეთის ჯარი ბაქოს ნავიდა, გორუნჯუკელ ყაჩაღ ვასოს დაჯგუფების წევრებმა,

რომლებიც თავის მხრივ იცავდნენ ჩვენს ყარაბალული მოდგმის სოფლებს, კერძოდ ვარდისუბნელ ფარემუზოვ ბეგას ჯგუფმა, სახლიდან გამოიტყუეს ხსენებული არუსტამა, აიყვანეს ბოსლების ზემოთ ხევში და იქ მოკლეს, რომლის შემდეგაც მოკვეთეს ხელი და ჩამოუტანეს ბებიარჩემს შურისძიების ნიშნად!

აღნიშნული მკვლელობის გამო დღეს ამ ხევს სისხლიან ხევს უწოდებენ!

ძნელი სათქმელია როგორი კაცი გაიზრდებოდა მამარჩემი, მამის პირობებში, მაგრამ ფაქტია, რომ მამის მკვლელობის შემდეგ ცხოვრება ჯოჯოხეთად გადაექცა. იგი მხოლოდ იმის მცდელობაში იყო, რომ როგორმე შეენარჩუნებინა სიცოცხლე. მას თურმე ხშირად ნაგანით ხელში დასდევდა მოსაკლავად ჰაიკო, უსვრია კიდევ, მაგრამ აუცდენია, „გეურქის სამომავლოდ კვირტს არ დაუტოვებო“, ულაპარაკია ხალხში.

მამარჩემი თურმე ყოველთვის გაქცევით შველის თავს, მკვირცხლი ბავშვი ყოფილა, ვიდრე წამოზრდილა დედამის იგი ხელიდან არ გაუშვია, ყოველთვის გვერდით ჰყოლია. ამავე დროს ჰაიკოს რომ არ მოხვედრიყო თვალში მეორე მხრიდან გაუხსნიათ სახლში შესასვლელი და თურმე ფანჯრიდან გადადიან სახლში!

რვა-ცხრა წლის ბავშვს უწევდა ოჯახის უფროსის მოვალეობის შესრულება. ფაშას უმცროსი ვაჟი სარქისა კი მასზე არც თუ დიდად იყო უფროსი, რომ რამეში დახმარებოდა. სოფო მამარჩემზე სამი წლით უფროსი იყო, ლუსიკა ორი წლით უმცროსი, ნუცა კი მთლა ახალ – შობილი. ლიზა იყო ხანდაზმული, ისე როგორც ბებიარჩემი მარიამი, რით ერჩინათ თავი, ფაქტობრივად არავის შეეძლო სარჩოს შემოტანა სახლში, ჰყოლიყოთ მხოლოდ ერთი მენველი ძროხა, და მისით გააქვთ თავი. დაბრუნებული ცხვარი კი სადამდე გაყვათ ძნელი სათქმელია.

აი ასეთ მდგომარეობაში ყოფნის დროს, ნოე ჟორდანიას მთავრობას ჩვენს სოფლებში მოუწყია ეკზეკუცია ვორონცოვკიდან დაბრუნებული გვარდიელების ხელით, როგორც

სადამსჯელო ოპერაცია, 1918 წლის სომხეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით, რომელთანაც ჩვენს ხალხს არანაირი კავშირი არა ჰქონია, მაშინ მოსახლეობიდან გაეყვანათ დიდი რაოდენობით მსხვილფეხა პირუტყვი. ამ დროს 10 წლის მამაჩემს, მეზობელთან ერთად ჩვენი პირუტყვი გადაემალა ავაზანზე, ყოფილიყო ზამთრის პერიოდი და სიცივისგან თურმე სულ კბილი-კბილს აცემინებს, საქონელი კი ლამის ხერხემალში იმტვრევა, ამბობდა: „ავაზნიდან რომ უყურებდი საქონლის ძალით წართმევის პროცესს, იმ ყინვაში, ხალხის ღრიალი და საქონლის ბლავილი ერთმანეთში არეული, ერთ საშინელ სანახაობას წარმოადგენდაო!

ბოლოს ჩვენც ჩამოგვიყვანეს სოფელში, უნდოდათ ჩვენთვისაც წაერთმიათ საქონლი, მაგრამ მოურავის ძმის, – კოტეს თხოვნით, რომელსაც აუხსნია სამხედროებისთვის ჩვენი მძიმე მდგომარეობა, – დაგვანებეს თავიო“.

მამაჩემის გადმოცემით მაშინ ჩვენს სოფლიდან გაყვანილი ცხვარ-ძროხისა თუ კამეჩის ჯოგი ორ კილომეტზე განელილა, „წვერი რომ მოსეს ჭალასთან იყო მისული, ბოლო ჯერ კიდევ სოფლიდან არ იყო გასულიო“, ეს მანძილი კი ორ კილომეტრს აღემატება.

ამის საბაბი მთავრობას მისცა გორუნჯუკელმა „ყაჩად ვასომ“, რომლის გვარიც მარქაროვია. მან ჩვენი სოფლებიდან შეკრიბა სომეხი ახალგაზრდობა და თურქების წინააღმდეგ ჯალალოღლის ბრძოლებში ანდრანიკას დაახმარა.

სომხეთ-საქართველოს ომის დასრულების შემდეგ სახლში დაბრუნებული, დმანისის რაიონის ქართული სოფლებიდან განვეული გვარდიელები დაერივნენ ჩვენს სოფლებს და ახლა მათ დაუნყიათ ანიოკება, მიზეზი, – ნაციონალიზმი, მიზანი კი ძარცვა!

მაშინ ამან ერთგვარი უფსკრული გააჩინა ჩვენსა და ქართულ სოფლებს შორის! ძნელი სათქმელია რით დამთავრდებოდა ყოველივე ეს, თუ არა ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოს-

ვლა, რომლის შემდეგაც ჰაიკო გადასახლდა თავის მშობლიურ ჯალალოღლში, მამაჩემმა კი შეძლო თავისუფლად ცხოვრება!

4. მამაჩემ შაქროს ისტორია

მამაჩემის გადმოცემით, რაც მას თავისი თავი ახსოვდა, სულ უბრძოლია გადარჩენისათვის, ხოლო როდესაც წამოზრდილა, მუცელ-პურად დაუნყია მუშაობა. ათი წლის ასაკში მეხრედ გაყოლია გუთანზე თანასოფლელ აბკარ თათულოვს, რომელიც თურმე ასევე ხშირად დადის თბილისში შეშის გასაყიდად. ერთ-ერთი ასეთი რეისის დროს აბკარი ორი ურმით წასულა თბილისში. წინა ურემზე თვითონ მჯდარა, მეორეზე კი 10 წ-ის მამაჩემი. როდესაც მიახლოებულან ფონიჭალის რკინიგზის გადასასვლელს, მამაჩემის ურმის ერთ-ერთ ხარს გადასვლისას ფეხი ჩაჭედია შპალებში. ამ დროს მამაჩემს სძინებია და არ იცის რა ხდება მის თავს, მატარებელიც მოახლოებია და სადაცაა უნდა გასრისოს. მის სიგნალზე კი წინ მიმავალი აპკარს მოუხედავს უკან და დაინახავს რომ სადაცაა უნდა გასრისოს მატარებელმა მამაჩემის ურემი. იგი მაშვე გადმომხტარა თავის ურმიდან, მივარდნია მამაჩემის ურემში შებმულ ფეხ ჩაჭედილ ხარს და ამოუღებინებია ფეხი, წამებიც რომ დაეყოვნა ტრაგედია გარდაუვალი იყოვო.

აღნიშნულ ასაკში მამაჩემი კიდევ ერთხელ ჩავარდნილა მსგავს ხიფათში. ზამთარში, სოფლელებთან ერთად მოდენილა თბილისიდან უკან ურმით, შეშის გაყიდვის შემდეგ, იაღლუჯის მთებზე გადმოვლით და ქარ-ბუქს კინაღამ დაეხჩო, გადაერჩინა მარტიროსოვ ადამას მამა მიკიჩას.

დედამისიც წვალობდა ობოლი ბავშვები რომ გამოეკვება, – ერთ პურის სანაცვლოდ თურმე მთელი დღეები ემუშავება შეძლებულ ადამიანებს. ფეხსაცმელებიც კი არა ჰქონია სანყალს იმ ავბედით წლებში და თურმე შიშველი ფეხებით დადის, რის გამოც თურმე ფეხის ქუსლები სულ ერთთავად დახეთქილი ჰქონია, და დრო და დრო სისხლი სდის!

ბიძაშვილების მკვლევლობების ექვსი წლის თავზე, უკვე საბჭოთა პერიოდში, მამაჩემის მამის ბიძას, – ავეტიკას, რომელსაც იქვე, ჩვენს მეზობლად სახლ-კარი ჰქონია, ჩვენი ხათრით დაეთმო ლიზასთვის და თავად საცხოვრებლად გადასულა სოფლის პირას, სადაც დღეს მურუზოვები ცხოვრობენ. მის სახლში კი გადაბარგებულა ლიზა თავისი ოჯახით და მას შემდეგ ჩვენებს დაუნყიათ მარტოდ ცხოვრება.

როგორც კი წამოზრდილა მამაჩემი, როგორც ობლის, ახლა თანატოლებს მოუნადინებიათ მისი დაჩაგვრა, ბავშვთა სამყარო დაუნდობელია, მაგრამ მამაჩემი არ დამორჩილებია. 14-წ-ის ასაკში მეზობელ-თანატოლებთან ერთად მას უძოვებია ოჯახის პირუტყვი სოფლი პირას, სადაც იქვე გვექონია მიწის ნაკვეთი და მასში თურმე ორი წლით უფროსი მეზობლის შვილი გრიშა ოსკანოვი ძალით უშვებს თავის ძროხას და აძოვებს. ამაზე მათ მოსვლიათ ჩხუბი, მამაჩემი ყოფილა ძლიერი ბავშვი და როცა გრიშა მას ვერაფერს აკლებს, აუღია დანა და შეეცდება დაარტყას მამაჩემს. მამაჩემს ემარჯვა, გამოერთვა მისთვის ეს დანა და მისთვისვე დაერტყა ზურგში, რომლის შემდეგაც მიუტოვებია იქ ყველაფერი და „დედასწყარო-ფანჩატურის“ შემოვლითი გზებით გამოქცეულა სახლში! შინ დედა არ დახვედრია და ლიზას ურჩევია გაქცეულიყო გორუნჯუკში, თავის და-სოფოსთან, რომელიც ახალი გათხოვილი ყოფილა, თორემ აქ მოგკლავენო. იმ გრიშას სახლი კი ჩვენი სახლიდან ალმაცერად, 80-მეტრში, შემალლებულ ადგილზე მდებარეობდა და მთლიანად იხედება იქიდან ჩვენი სახლ-კარი, რის გამოც შაქრო ვერ დაემალებოდა მის მშობლებს.

მამაჩემსაც ბევრი აღარ უფიქრია და მომავალი სიმამრის, – ვასო ოგანეზოვის ბახჩაზე გავლით შეეცდება ჩაირბინოს მდინარე მაშავერის ხრამში, რათა იქიდან სამანქანო გზით მოკლეზე გავიდეს გორუნჯუკში.

ვიდრე ხრამის ძირამდე ჩავა კაცი, – 50-მეტრის სიმაღლის კლდის ბილიკი უნდა ჩაიაროს და კიდევ ას მეტრომდე მისი

ფერდობი.

როგორც კი ჩასცილებია მამაჩემი კლდის პირს, იქვე მარჯვნივ არსებულ გამოქვაბულში გრიშას მამა – ბაგრატი დალოდება, რომელსაც ეტყობა დროზე შეატყობინეს და მასაც ნინასწარ განუსაზღვრავს, რომ მამაჩემი უსათუოდ ამ გზით შეეცდება გორუნჯუკში გასვლას, და იქ ჩასაფრებია. როგორც კი გასწორებია მამაჩემი გამოქვაბულს, მისთვის გამოედო ფეხებში კავიანი ჯოხი და წაექცია, მერე მიმდგარიყო ამ წაქცეულზე და იმდენი ეცემა ჯოხით, რომ სიკვდილის პირას მიეყვანა. როცა მიმხვდარა, რომ იგი არ ანებებს თავს, – მამაჩემს მოუძკვდარუნებინა თავი, ეგები მომეშვასო, მაგრამ მას არ დაუნებებია თავი, ეტყობა უნდოდა მისი მოკვლა და კვალის დაფარვის მიზნით მისი კლდიდან გადაგდება, ანდა, რომ გაეტანებინა წყლისთვის. ამ მიზნით შეუთრევია იგი გამოქვაბულის სიღრმეში და დასჯდომია თავთან, დაუნყია დაბინდებისთვის ლოდინი, რათა სიბნელეში ჩაიდინოს თავისი მზაკვრული ჩანაფიქრი.

ამ ვითარების შემყურე მამაჩემს უფიქრია „ლაჩრულ სიკვდილს, ვაჟკაცური სიკვდილი სჯობიაო“ და გადუნყვეტია კლდიდან გადახტეს. ამ მიზნით, ვითომც არ იცის რა მოხდა მის თავს, ნელ-ნელა ამდგარა თვალების ფშვნეტიტ, ვითომ არ იცის, რომ მის უკან ზის ბაგრატი, უცებ გაქანებულა და დაახლოებით 20 მეტრის სიმაღლის კლდიდან გადამხტარა. იმ ადგილს სადაც დაცემულა, ზემოდან ყრიდნენ ნაკელს ვასო პაპანი და ამ ნაკელიის გორაზე დავარდნილა რბილად. მერე ვაი-ვაგლახობით ამდგარა და შეეცდება თავის დაღწევის მიზნით კაკალა გვერდაზე, ფანჩატურისკენ გაიქცეს. სანამ იგი ამდგარა და გასდგომია გზას. ამასობაში ბაგრატიც ჩამოსულა დაბლა და გამოკიდებია, თან დედის გინებით უყვირის, რომ გაჩერდეს. მამაჩემი ამბობდა, მისი ყოველი ასეთი დაყვირებისას მუხლები მეკეცებოდა და ძირს ვეცემოდიო! ქანც განყვეტილი თურმე ველარც კი გარბის და სადაცაა უნდა დაიჭი-

როს ბაგრატიმ, რომ ამ დროს ცხენზე ამხედრებული წინიდან შემოყრია ჩვენთან შემოხიზნული ყარსიდან დევნილი გურგენი, რომელიც საძებრად გამოეგზავნა ბებიჩემს. მას დაეყვირა მამაჩემისთვის: „შაქრო ჩემსკენ გამოიქეც, ჩემსკენო“ და იგიც მისკენ გაქცეულა, პრაქტიკულად მას გამოეგლიჯა ხელიდან მამაჩემი ბაგრატისთვის. მისთვის ეთქვა, „ავიდეთ სოფელში და იქ გავარჩიოთ, თუ მტყვანია დავსაჯოთ კანონით, თუ არა და თვითნებობის საშუალებას არ მოგცემო“. ამ დროს მისი ძმა ყოფილიყო სასოფლო საბჭოს მდივანი და სიტყვა ეთქმოდა.

მართლაც, მამაჩემი მიეყვანათ ამ ბაგრატის სახლში, მოეწვიათ თვით მხილველები, რომლებიც ამავე ბაგრატის ნათესავები იყვნენ, მოსულიყო საბჭოს თავჯდომარე მდივანთან ერთად და გაერჩიათ ეს საქმე, გაემართლებინათ მამაჩემი და გამოეგდოთ სახლში, „მსგავსი რამ მეტი აღარ ჩაიდინოვო“!

მამაჩემისთვის ეს ეპიზოდი იმდენად მტკივნეული აღმოჩნდა, რომ მან იგი სიცოცხლეშივე ტექსტით დააფიქსირა თავისი საფლავის ქვაზე.

მიუხედავად საქმის გარჩევისა გრიშა და მამამისი თურმე მაინც არ ეშვებიან მამაჩემს და სურთ შური იძიონ. არაერთხელ ჩასაფრებიან გზად, თუმცა ვერაფერი გამოსვლიათ. ერთხელაც, თექვსმეტი წლის ასაკში, როდესაც მამაჩემს მუშაობა დაუწყია კოლმეურნეობის მენახირედ და პირუტყვს ერეკება სოფლიდან, ქვიტკირის წყაროსთან, წინ დახვედრია გრიშა სამ თანამზრახველთან ერთად, რომელთაგან ერთი – ანდრო ქოჩაროვი, მამაჩემის ბიძაშვილი, მამაჩემზე სამი წლით უნცროსი, – მათთან შემთხვევით აღმოჩნდა. ის ორი კი, – ოსკანოვი ტული და აკოფაშვილი საბა, – მისი ნათესავები ყოფილან.

ვიდრე ქედს მოფარებია სოფელი გრიშა და მისი ნათესავები, თურმე მამაჩემს ჯოხით ჯგვლემენ, გამოსანვევად. მდგომარეობიდან გამოსული მამაჩემი უცებ შემოტრიალებულა უკან და ჯოხი შიგ თავში დაერთყა გრიშასთვის, და დაეგდო ძირს, მერე დაერთყა ტულისთვის მხარში და მისთვის მხარი

მოენყვიტა, საბა კი გაქცეოდა, ანდროსთვის კი ხელი არ ეხლა, რადგან ის არაფერ შუაში ყოფილიყო.

ამ ჩხუბის დროს საიდლანაც გამოჩენილა მამაჩემივით ობოლი ლევან მარქაროვი და მიშველებიყო მამაჩემს. ამ ორს ეს შენი ავაზაკები ერთი კარგად ეგვემათ.

ამის შემდეგ მამაჩემი და ლევანი ძმადნაფიცები გახდნენ, მას მამაჩემი გაყვა ნათლიად და სახლის მასალაც მისცა, შემდგომ ტყის მცველად მუშაობის პერიოდში.

ამ მეორე ჩხუბის შემდეგ ბაგრატი, გრიშას მამა, მთლა გადარეულა და თურმე მოსაკლავადაც აქა-იქ უსაფრდებდა. შიშისგან, ღამე სახლში რომ არ დაესხნენ, მამაჩემი თურმე ღამეებს სოფლის პირა ტყის ბუჩქებში, – ტომარაში ჩამძვრალი ათენებს!

არა ერთხელ შეჯახებია მამაჩემს ბაგრატი საფარიდან, ეპიზოდებს არ ჩამოვთვლი, რაც შორს წაგვიყვანს, მაგრამ ფაქტია, რომ ამ მეორე ჩხუბის შემდეგ მამაჩემს უცხოვრია დიდი შიშითა და გადაადგილებულა დიდი სიფრთხილით. შეჯახებისას კი მამაჩემს ყოველთვის უმარჯვია და ხელში არ ჩავარდნია მას, ხშირად ქვების სროლით დაულწევია თავი.

ბაგრატი ყოფილა გულადი, დაუნდობელი და ცბიერი, ამავე დროს ცალი ხელით ტაკვია, და ყოველთვის თან უტარებია პატარა ცული იარაღად!

ამ დროს გრიშასა და მამაჩემს მტრობა გადაზრდიათ მეგობრობაში და კვლავ ხშირად ერთად უძოვებიათ საქონელი.

ერთ-ერთი ასეთი ერთად ყოფნის დროს, ჩვენს ყოფილ, ე. წ. სანაშხიროებზე, გრიშა თურმე უხეშად აწვალებს ზემოხსენებულ ანდროს (რომელიც ხშირად თურმე მათთან ერთად ატარებს დროს), და იგიც ტირის. გრიშას მისთვის ხელები ჰქონია ამოტრიალებული. მამაჩემის შენიშვნაზე, რომ გაენებებინა მისთვის თავი, რეგირება არ მოუხდენია. ამ დროს მამაჩემს ხელში სჭერია წალდი და ხელის გაშვებინების მიზნით შეეცდებოდა გრიშას მსუბუქად ამოარტყას სიბრტყით დუნდულებზე,

თუმცა უცაბედად ამოსტრიალებია წალდი ხელში და დარტყმა გამოსვლია პირით, ლამის ნახევარი დუნდულა მოეთალა. სიმწარისგან ძირს დავარდნილ გრიშას მოურთავს ღრიალი, რა არ გაუკეთებია მისთვის მამაჩემს, რომ შეენწყვიტა სისხლის დენა, დაუდია ნამწვი, რალაც ბალახები და ძლივს შეუნწყვეტინებია სისხლი. სახლში კი რომ არ ეთქვა მომხდარის შესახებ, შეპირებია ნაგაზს. ეთხოვა „სახლში თქვა, თითქოსდა ყოველივე ეს მოუვიდა შემთხვევით, პირიან ქვაზე დაცემით“. და ისიც ასე მოქცეულიყო. მოკლეთ ამ ფაქტს ბაგრატას ყურამდე არ მიუღწევია, თუ არა იგი მთლად გადაირეოდა.

მოგვიანებით, უკვე ცოლშვილიანობის დროს, გრიშა აკვიატებია მამაჩემს, გინდა თუ არა „დამეჭიდო“, მამაჩემიც დასჭიდებიყო და წაექცია, რა დროსაც მას მოსტეხიყო ხელი.

მალევეც გრიშა გაუნწევიათ დიდ სამამულო ომში და სამწუხაროდ იქიდან ცოცხალი აღარ დაბრუნებულა, მის გამო კი მამაჩემი დაუახლოვდა მის უფროს ვაჟიშვილსშვილს, უშანგის, რომელიც სარფიანი კაცი იყო და სიცოცხლის ბოლომდე მასთან მეგობრობდა.

ეს, ასე ვთქვათ ლირიკული გადახვევა.

მოკლეთ, ასე წვალეზ-წვალეზით გაიზარდა მამაჩემი 18-წლის ასაკამდე, თვრამეტი წლისა რომ შეიქმნა კოლმეურნეობის თავჯდომარემ, იმ ჩვენ მტერ-ნათესავ ვანოს ბიჭმა, უკვე კოლმეურნეობის თავჯდომარედ მომუშავემ, რომელსაც სახელად ერქვა ზაქარი, – პაპის სახელი, დაიბარა თავისთან მამაჩემი და უთხრა: „რა ჩვენი ბრალია რომ ჩვენი მშობლები ერთმანეთს გადაეკიდნენ და ერთმანეთი ამოიჭამეს, ჩვენ უცხოები არა ვართ და მოდი ძმებავით ვიყვნეთ, შემოდი კოლმეურნეობაში, განვერიანდი და მეც რაც შემეძლება გვერდში დაგიდგები“. მამაჩემსაც დაეჯერა მისთვის, კოლმეურნეობაში საპაიო შენატანად შეეყვანა ორი ხარი, „გერმანული ფურგუნით“ და განვერიანებულიყო (სანაცვლოდ კი, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება დაემხო მისცეს 13 ლარიანი ვაუჩერი).

მეორე დღეს, ამ 18 წლის მამაჩემს, მთელი დღე ებარა შრომაში გამობრძმედულ მოზრდილ მამაკაცებთან, ე. წ. „ვახტანგ ბალებში“ და დაძალუღიყო, წასკდომოდა ცხვირიდან სისხლი, და რამდენიმე დღის განმავლობაში ვერ შეეჩერებინათ. ამის გამო ისე დასუსტემულიყო, რომ ფეხზე დგომაც კი აღარ შეეძლო, ბებიჩემს დაეკარგა მისი გადარჩენის იმედი!

ასე დაგლახავებულ მდგომარეობაში მყოფი მამაჩემი ენახა ვიღაც გამლელს, გზის პირას ვცხოვრობდით და ერჩია ბებიჩემისათვის, „აქლემის ხუშკი და ქვის ტვინი ერთმანეთში არეული მოანეწინეთ ცხვირიდან და სისხლ დენა შეუწყდებო“. თურმე სულ გულაღმა უწევთ და თავი ვერ წამოწინა. ასე მოქცეულიყო ბებიჩემიც და მამაჩემი გადაერჩინა.

მას შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს ვიღაც თბილისიდან დაბრუნებულ ჩვენს სოფელს ერჩია მამაჩემისთვის, „რას ეჭმევი ამ სოფელს, აგერ თბილისში აეროპორტი შენდება, უამრავი ხალხი სჭირდებათ, წადი და იქ იმუშავეო“. მამაჩემსაც დაეჯერა მისთვის და წასულიყო თბილისის აეროპორტში სამუშაოდ, მიეღოთ მეხანძრედ და ერთ ოთახიანი ბინაც მიეცათ. ემუშავა იქ ორი წელი, მერე ბაზარში ნაყიდი ჭერმით მონამლულიყო და ლამის მომკვდარა, დამართია ციებ-ცხელეება. წყლის მიმწოდებელიც კი არავინ ჰყოლიყო გვერდზე. ამაზე განაწყენებულს მიეტოვა ქალაქი და დაბრუნებულა სოფელში. ამ დროს ჩვენი ნათესავი ზაქრი გადაეყვანათ რაიცენტრში და მის ადგილზე დაენიშნათ მუსელოვი ვასო, რომლის ქალიშვილიც ცოლად ყავდა მოყვანილი მამაჩემის ბიძაშვილ სამსონს.

როდესაც სოფელში დაბრუნებულა, ყოფილა შემოდგომის პირი, ხალხი ემზადება ზამთრისთვის, კოლმეურნეობის თავჯდომარეს სთხოვენ ურმებს და პირიქით გადააქვთ თავიანთი ნაამაგარი, სცვლიან იქაურ პროდუქტზე, გადმოაქვთ და ასე გააქვთ თავი. მამაჩემიც მისულა თავჯდომარესთან და ამავე მიზნით უთხოვია ურემი, რაზეც ეპასუხა, „წადი და თბილისში მოგცენ ურემი“ – ო.

ამაზე განაწყენებულ მამაჩემს, ფარულად, იმავე ღამესვე გამოეყვანა კოლმეურნეობის კალოდან ხარ-ურემი ისე, რომ მცველებსაც კი ვერ გაეგოთ, ჩასულიყო ბალიჭში თავის სიძე არშაკთან, მის მეოხებით ნათესავებისაგან ნისიად აელოთ სამას ლიტრამდე ღვინო-არაყი და იმავე ღამესვე, ჩვენსავე სოფელზე გავლით გადასულიყო ჯავახეთის მთებზე და თან წაეყვანა არშაკი. დაეყოთ იქ ერთ კვირამდე დრო, კარგად გაეყიდათ წაღებული სასმელი, ენახათ კარგი მოგება და მარცვლეულით დატვირთული უკან მშვიდობიანად დაბრუნებულიყვნენ. მერე ისევე ჩუმად მიეყვანა მამაჩემს ურემი კალოზე, ხარებით, რომ კვლავაც ვერავის გაეგო.

ამ „გადასვლით“ ოჯახს შიმშილისგან დაეღწია თავი და მამაჩემიც დედაჩემზე დაქორწინებულა.

დედაჩემი ამბობდა, „მე რომ მომიყვანეს ამათ სახლში მხოლოდ ერთი თხის ტყავი და ერთი ტახტი სამი ხელი ლოგინით ჰქონდათო. მერე თანდითანობით დამდგარან ფეხზე.

მომდევნო პერიოდშიც ასე რამდენჯერმე გადასულა მამაჩემი პირიქით და თანითანობით გამართულა წელში, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ პაპაჩემის პერიოდში შეძლებული ოჯახი ჰქონიათ და გაჭირვების გამო თანდითან გაუყიდიათ ყველაფერი.

ოცდახუთი წლის ასაკში მამაჩემი გაუგზავნიათ სურამის სატრაქტორო კურსებზე, როდესაც დაბრუნებულა, – დაუნიშნავთ მექანიკოსად „მალატინკაზე“ და მუდმივი შემოსავალი გასჩენია.

ერთ წელშიც მამაჩემს დაუნგრევია მამა-პაპური ბანიანი სახლი და აუშენებია ორ ოთახიანი სახურავიანი სახლი.

აი ასე, აღმავლობის გზაზე მდგარი მამაჩემი, შეიძლება ითქვას ერთ დღეს შარში გახვია თავისივე ზემოხსენებულმა ბიძაშვილმა სამსონიმ. იგი მისულა მამაჩემთან და უთქვამს, „ახალგაზრდები მიდიან „ვეტუას ბალისკენ“ საქეიფოდ, იქ მოპარული ძროხა სურთ დაკლან და ჩვენც წავიდეთო“, და

მამაჩემიც გაყოლია მას.

იქ მისული ნახავს, რომ ბევრი ხალხია და უკან გამობრუნებულა, მას გამოყოლია სამსონიც, მაგრამ დადევნებია მათ შეკრებილთა შორის ყველაზე უფროს ასაკოვანი თთულოვი არტო და ძალით მიუბრუნებია ისინი უკან, „აქ ყველა ერთი-მეორის ნათესავები ვართ და ვინ უნდა გაგვთქვასო“?

ამის შემდეგ მათ ეს ძროხა აეყვანათ ჩვენს, ე. წ. ქოჩია მინებში და იქ დაეკლათ, ხორცი კი გაენანილებინათ სამსონის ოჯახში. ასე გახდა მამაჩემი დანაშაულის თანამონაწილე!

მეორე დილით, საქონლის ნახირში გაგდების დროს, მამაჩემს შეეცყო, რომ უბნის ინსპექტორი, საბჭოს თავჯდომარე მარტიროსოვ ზაქარასთან და დაკარგული ძროხის პატრონთან ერთად კარი-კარ დადიან და ხალხს აპატიმრებენ.

იგი მაშვე მობრუნებულა უკან, აუღია სახლიდან ხორცი, რაც კი ჰქონია და გადაუყრია ძუძაანთ კლდიდან, მერე წასულა სამსონთან და გაუფთხილებია მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, და მასაც გადაუყრია თავისი წილი ხორცი, თუმცა, ფიცარი, რაზეც დაუჭრავთ დარჩენიან სახლში და ამის გამო სამსონიც მამაჩემთან ერთად დაუპატიმრებიათ. დაეჭირათ სულ თხუთმეტამდე ადამიანი და გადაეყვანათ ბოლნისის მილიციაში, რატომღაც ყველა მოეთავსათ ერთ საკანში მამაჩემი კი ცალკე საკანში.

იმ დროს ბოლნისის მილიციაში მუშაობდა ვიღაც ჩვენ სოფლელი თათულოვების გვარიდან და ეს „მანიოვრი“ მისი თუ სხვისი რჩევით, ფაქტია, რომ მოხდა. რატომღაც ყველას მამიჩემის საწინააღმდეგო ჩვენება მიუცია, მათ შორის მამაჩემის ძმად ნაფიც ლევან მარქაროვსაც, რომლის სახლიდან ამოიეღოთ მოპარული ძროხის ტყავი.

დაპირისპირებისას ლევან მარქაროვს განეცხადა, რომ თითქოსდა მის სახლში აღმოჩენილი ძროხის ტყავი თავდაპირველად გადაემალა მამაჩემს კლდეში, შეენიშნა იგი მას ურემზე ქვის დატვირთვისას და აეღო მას შემდეგ მილიციაში წარსად-

გენად.

ამასთან დაკავშირებით მამაჩემს განეცხადა: „ნუთუ ისეთი ბრიყვი ვარ, რომ მოპარული ძროხის ტყავი, თუნდაც იგი ჩემი ყოფილიყო, სახალხოდ დამემალა კლდეში“ ?!

ამ სიტყვებზე გამომძიებელს მამაჩემისთვის გაერტყა ხელი, მამაჩემსაც გარტყმითვე ეპასუხა და დაეგდო ძირს. მერე დახვეწიყვნენ ოთხი-ხუთი მილიციელი და ძალით შეეცდებიან მის საკანში შეყვანას, მაგრამ ვერ შეეყვანათ. იგი საკმაოდ ძლიერი იყო და ასე ადვილად ვერ დაიმორჩილებდნენ.

ამ ჩხუბის შემდეგ მილიციის უფროსს გადმოერეკა დმანისის მილიციის უფროსისათვის და ეთქვა, „აქ რალაც გაურკვევლობასთან გვაქვს საქმეო“ და ყველა უკან ამოეყვანათ დმანისში, სადაც თხუთმეტი დაკავებულუდან ნახევარი გაეშვათ, თუმცა მამაჩემი და სამსონი, სხვებთან ერთად კვლავაც დაეტოვათ პატიმრობაში, და მალევე დაებრუნებინათ უკან.

სასამართლო განხილვამდე სოფო მამიდას ქმარს არესენ ოსეფიანცს, მოენახა მოსამართლე, რომელიც ის კაცი ყოფილიყო, რომელმაც ბავშობაში „გაასამართლა“ მამაჩემი გრიშასთან ჩხუბის გამო და ყველაფერი მოუთხრო.

სასამართლომ მამაჩემი გაანთავისუფლა დარბაზიდან, თუმცა, ვერ ვიტყვი დასდო თუ არა რაიმე მსჯავრი, მაგრამ ფაქტია, რომ პატიმრობიდან გაანთავისუფლეს და დაუბრუნდა ოჯახს, სამსონი კი სამნუხაროდ დააპატიმრეს და სახლში ცოცხალი აღარ დაბრუნებულა.

სასამართლო განხილვის შემდეგ არსენ ბიძას სასამართლოს შენობაშივე გაემართა პურ-მარილი და ექეიფებინა პროკურორ-მოსამართლენი, რა დროსაც თავად მთვრალი, აივანზე გამოსულს, რომლის სიმაღლე ოთხმეტრამდე იქნებოდა, რაც მეც კარგად მახსოვს, გადასტეხიყო მორყეული მოაჯირი და გადმოვარდნილიყო ძირს, დაეზიანა ღვიძლი, და ორი-სამი წლის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

მას ამაგი არ დაუკარგა მამაჩემმა და მის ოჯახს ისე

ექცეოდა, როგორც საკუთარს, ყველაფერში გვერდში ედგა!

სასამართლოს შემდეგ მამაჩემმა მუშაობა დაიწყო ტრაქტორისტად, რომელიც ემორჩილებოდა რაიონულ მტს, მაგრამ სხვა ტრაქტორისტებთან ერთად, ბრიგადის შემადგენლობაში, ემსახურებოდა ჩვენსავე კოლმეურნეობას, რომლის თავჯდომარედ კვლავაც ვასო მუსელოვი იყო, რომელიც ვერ იტანდა მამაჩემს იმის გამო, რომ მისი სიძე სამსონი დაიჭირეს და დაიკარგა, მამაჩემი კი გამოუშვეს. მას ჰქონიყო ჩანაფიქრი არა მარტო მამაჩემის სამსახურიდან გაგდება, არამედ ცრუ ბრალდებით პასუხისგებაშიც მიცემა. მის ნაცვლად კი სლომებია თავისივე გორუნჯუკელი ნათესავის გეურქი ასლანიანცის მიღება, რისთვისაც წინასწარ აელო კიდეც ქრთამის სახით ერთი ტომარა კარტოფილი!

შესაბამისი საფუძვლის შექმნის მიზნით კი ვასოს გადაებირა ტრაქტორისტთა ბრიგადის წევრები და შეექმნათ მამაჩემის საწინააღმდეგოდ ყალბი აქტები, თითქოსდა მას მოეპარა ბრიგადის საწვავი, და მიეთვისა სხვისი მოხნული, და დოკუმენტები რეაგირებისათვის გადაეგზავნათ მტს-ის დირექტორთან. პასუხის მოლოდინში ბრიგადის წევრები გათავხედებულან და თურმე მამაჩემს გამომწვევად ექცევიან. ყოველივე ამის მიზეზი კი ვერ ამოეცნო. ვითარებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ბრიგადაში მუშაობდნენ ოსკანოვი გრიშას ნათესავებიც, რომელთანაც მაშინ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა.

ასე თუ ისე, ამ რთულ ვითარებაში ყოფნისას, ერთხელაც სადილობისას მუსელოვი ცოცხორას სახლში, რომელიც უმზადებდა მათ სადილს, ბრიგადის წევრები ასტეხიყვნენ მამაჩემს და მოსვლიათ ჩხუბი. ამ ჩხუბის დროს მამაჩემს აელო შემის ნაპობი და ცემა – ტყეპით მიემწყვდია ოთხი-ხუთი კაცი კუთხეში. ამ დროს მათთან შესულა თვით მტს-ის დირექტორი ვინმე ოგანოვი, ჩამოსული საჩივრის შესამოწმებლად და თავისი თვალთ ენახა, რაც ხდებოდა იქ.

მას დაემშვიდებინა მამაჩემი, რომელსაც აეხსნა მისადმი

მათი უსამართლო დამოკიდებულება, „იძულებული გამხადეს ასე მოვექცეოდი“. ოგანიანსაც ეთქვა „თქვენზე შედგენილია აქტები, შემოსულია საჩივარი და ამ საქმის გასარჩევად ჩამოვედი“.

მოკლეთ, ოგანიანს შეესწავლა ადგილზე ყველაფერი და მამაჩემი გამოეყვანა მართალი, ხოლო მისთვის რაიმე პროვიკაცია რომ არ მოეწყოთ ყველასთვის ჩამოერთვა ხელწერილი, მათ შორის სამსონის სიმამრისა და მის ძმებისათვისაც კი. მეორე დღეს კი მამაჩემი გადაეყვანა თავისთან რაიონულ ბრიგადაში სამუშაოდ!

რაიონში ერთი წლის მუშაობის თავზე დაწყებულა მეორე მსოფლიო ომი, მაშინ თურმე მამაჩემი ხნავს იალუფლოს მინდვრებში და ნახავს, რომ ხალხის კოლონები მიემართება რაიცენტრისაკენ. ეკითხა მათთვის თუ რაში იყო საქმე და ეთქვათ, «დაიწყო ომი და ყველა უნდა გამოცხადდეს სამხედრო კომისარიატში». მამაჩემსაც გააჩერებინა ტრაქტორი მინდორში და ამ ხალხთან ერთად წამოსულა რაიცენტრისკენ, რათა გამოცხადდეს კომისარიატში.

როდესაც დმანისში შემოსულა და მიემართება კომისარიატისაკენ უცებ ვილაცას მისთვის უკნიდან მოუთათუნებია მხარზე ხელი, მიტიალებულა და ნახავს, რომ ემტ-ის დირექტორი ოგანიანია, რომელსაც ეკითხა თუ სად მიდიოდა, რაზედაც ეპასუხნა, – კომისარიატში, რათა წავიდეს ომში. ამაზე ოგანიანს ეთქვა, „ეხლა შენ წადი და დამელოდე ჩემს კაბინეტში“. მამაჩემიც წასულიყო მის კაბინეტში, რომელის ოფისიც რაიკომის შენობის უკან მდებარეობდა. მალევეც მისულა ოგანიანი და მიეტანა ომში განწვევისაგან გადავადების ექვს თვიანი „ჯავშანი“. ვფიქრობ მამაჩემი ცუდი კაცი რომ ყოფილიყო, ოგანიანი ამას არ ჩაიდენდა.

მტს-სიდან გამოსული მამაჩემი, იქვე კომისარიატთან, რომლის შენობაც იქვე რაიკომის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობდა, გზის პირას, ხედავს, რომ ჩვენი სოფლის ტრაქტო-

რისტოა ბრიგადის წევრები, რომლებიც მამაჩემის გაფუჭებას ლამობდნენ ომში გასაგზავნად პირთა მწკრივში დგანან. მამაჩემს ყველა მათგანი დაეპატიჟა სასადილოში და პატივი ეცა, და დაელოცა მათთვის გზა. მათგან მხოლოდ ერთი, – ვასო ოსკანოვი დაბრუნდა, დანარჩენები კი დაიღუპნენ.

ყოველ ექვს თვეში ერთხელ ოგანოვი მამაჩემისთვის იღებდა ხოლმე ხსენებულ „ბრონს“ და ომში არ გაუშვია, რაც მონობს იმას, რომ მამაჩემი მართლაც კარგი ადამიანი იყო, მისი შრომითი წარმატებებით კი ადგილობრივი, თუ რესპუბლიკური გაზეთები აჭრელებული ყოფილა.

ომის პირველსავე დღეებში ოგანოვს მამაჩემი კვლავ დიდი დმანისის ბრიგადაში გადმოუყვანია, ოჯახთან ახლოს, სადაც ბრიგადაში სულ სხვა ხალხი დახვედრია და საქმე ნორმალურად წასვლია.

1942 წ-ს მამაჩემი მიუვლინებიათ განთიადის კოლმეურნეობაში ძნის სალენზე მექანიკოსად. ნაშუადღევს სალენის მახლობლად წამოწოლილა დასასვენებლად და ჩასძინებია, გაღვიძებია მეტალის ჭახუნის ხმაზე, და ნახავს, რომ იქ მომუშავე ქალები იპარავენ ძნას, რაზეც მამაჩემს მიეცა მათთვის შენიშვნა. მათში უფროსს, გვარად დევნოზაშვილს ეთხოვა მისთვის არ გაეთქვა ისინი, „ომში ქმარი მყავს წასული, ბავშვები შიმშილით მეხოცება და რავექნა, სხვა გზა არა მაქვსო“.

ამასობაში მოსულან კოლმეურნეობის რევიზიის თავჯდომარე და ბრიგადირი, დამსხდარან მათთან სადილად, და როგორც ყველაზე ახალგაზრდა მამაჩემი გაუგზავნიათ წყალზე.

წყალზე წასულ მამაჩემს ეხელთა დრო და შესულა ხსენებულ დევნოზაშვილის სახლის ეზოში, რათა ნახოს, თუ რა რაოდენობის ხორბალი მოიპარეს. წამოეღოთ სულ ორი ზურგი. ეზოდან გამოსვლისას დაენახა ამ დევნოზაშვილის არასრულწლოვან ვაჟიშვილს და იგი თან გამოყოლოდა მას მინდორში.

როდესაც წყალი მიეტანა სალენტთან იქ მყოფ რევიზიის

თავჯდომარეს მამაჩემისთვის ეთქვა, – „ხორბალი მოპარულია“ და გამოეძახათ მილიცია.

დაკითხვისას, რაც უნარმოებია გამომძიებელს კოლმეურნეობის კანტორაში, სალენტან მომუშავე ქალებს მიეცათ მამაჩემის საწინააღმდეგო ჩვენება, თითქოსდა მას მიეცა ხორბლის მოპარვის ნებართვა. როგორც კი შეეტყო ეს მამაჩემს შემჯდარიყო ცხენზე, მისულა იმ დევნოზავილის სახლის ეზოში, გადაეკიდა ცხენისთვის იქ არსებული ორი ზურგი ხორბალი, აეტანა და ჯერ კიდევ აუღებელ ქლებში ჩაეყარა. შემდეგ დაბრუნებულა კანტორაში და გამომძიებლისთვის განუცხადებია, „ქალები ცილს მწამებენ, ქურდობას არ ჰქონდა ადგილი“. იმ შტერ გამომძიებელსაც არა ჰქონია მანამდე ნივთმტკიცება ამოღებული, დევნოზავილის სახლში მერე მისულს ვერაფერი აღმოეჩინა და ასე ნივთმტკიცების გარეშე, საქმე გაეშვა სასამართლოში. სასამართლოს მამაჩემი გაემართლებინა, იმ ქალებისთვის კი პირობითი სასჯელი დაედო.

ყოველივე კრიმინალურს მამაჩემის ბიოგრაფიიდან იმიტომ ვწერ, რომ მას, როგორც ჩანს, ბავშობიდან უსამართლოდ დაჩაგრულსა და უმამოდ დარჩენილს, – თვითონ ღმერთი მფარველობდა, რაშიც თავად დარწმუნდებით შემდეგი ფაქტების განხილვისას.

1943 წ-ის შემოდგომით სოფ. მადანში ხვნისას მამაჩემის ტრაქტორს, ე. წ. „ცაპა“ გასტენია, დეტალი წინა ბორბლისა. აღნიშნულის თაობაზე მის დირექტორს თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რაიონსა და ბაზაზე გადაერეკა, მაგრამ მისთვის ვერსად ვერ მიეგნო. ერთკვირიანი დგომის შემდეგ მამაჩემს მისთვის ეთხოვა „რამდენიმე დღით გამიშვი იქნებ ნაცნობებში მოვნახოვო“ და მასაც გაეშვა. მამაჩემთან წაეყვანა თავისი თანაშემწე გორუნჯუკელი გარაი, და თან წაეღოთ ჩვენი სახლიდან ერთი ტომარა კარტოფილი სახარჯოთ, რომელიც გაეყიდათ მარნეულში. მერე დაენწყით მარნეულის გარშემო მინდვრებში თავიანთი ტრაქტორის მსგავსი ტრაქტო-

რის ძებნა, რათა ფარულად მოეხსნათ მისთვის „ცაპა“.

როდესაც იქ ვერ მოენახათ სასურველი ტრაქტორი, გადასულან მარაბდისკენ და იქაც ვერ მოენახათ. ასე უშედეგოდ ევლოთ რამდენიმე დღე, ღამეებს კი თურმე ათევენ თივის ზვინებში. ბოლოს გადასულან კოდის მინდვრებში, ვენახებიდან გადაუხედავთ კუმისის ტბისკენ და დაინახავენ, რომ იქ დაბლა, ტბასთან, მინდორს ხნავს რამდენიმე ტრაქტორი, რომელთა შორისაც ისეთია, როგორსაც ეძებენ, და დაუწყიათ შებინდებისთვის ლოდინი, რომ სიბნელეში გაქურდონ იგი.

როგორც კი დაღამებულა, ტრაქტორისტებს მიუყვანიათ ის ტრაქტორები იქვე ფერდობზე გაშენებულ ცხვრის ფარეხთან და გაუჩერებიათ, თავად კი წასულან სახლში. მალევე მწყემსებსაც შეურეკავთ ცხვარი ფარეხში და შიგნიდან ჩაკეტილან.

აღნიშნულით ესარგებლათ ჩვენებს და ჩასულან ტრაქტორებთან. ჯერ ერთს მისდგომიან, მაგრამ ვერ მოეხსნათ, მერე გადასულან მეორე ტრაქტორთან. მამაჩემს გარაი მეთვალყურედ დაუყენებია, თვითონ კი ნაბად შემოხვეული უროთი მისდგომია და დაუწყია მის წინა მარჯვენა თვალის მოხსნა. როდესაც გამოვარდნილა თვალი, ტრაქტორი დაცემულა და მათკენ ხმაზე ძაღლები ფარეხიდან ყეფით წამოსულან. ამ დროს საპირისპირო მხრიდან მელას მოურთავს ყმუილი და ეს ძაღლები ნაცვლად ჩვენებისა, მხრისკენ, გაქცეულან მის მიმართულებით. ამით ჩვენებს ეხელთათ, აეკიდა მამაჩემს მხარზე ეს რკინის წინა თვალი „ცაპითურთ“ და ვაი ვაგლახობით ამოეტანა კოდის ვენახებში, გარას კი წამოედო ურო. იქ მალლა თვლისთვის მოეხსნათ „ცაპა“, თვალი კი დაეგორებინათ უკან ფარეხისკენ. მალევეც დამსხდარან სომხეთისკენ მიმავალ სატვირთო ავტომანქანაზე და წამოსულან დმანისისკენ. მსხდარან ძარაზე.

გზად მძღოლს გაუჩერებია მანქანა კიანეთში და გათენებამდე დაუძინია კაბინაში, ჩვენებს კი ღამე გაუტარებიათ ძარაზე. ამ დროს ისინი იყვნენ ნაოფლარნი და ერთი გვარია-

ნად გაციებულან. მამაჩემს დაემართა სურდო და მის კვალობაზე მნიშვნელოვნად დაკარგა სმენა, დაემართა ქარიანობა.

მომდევნო დღეებში, როდესაც მიეტანათ ეს „ცაპა“ და აემუშავებინათ ტრაქტორი, მტს-ის დირექტორს ოგანიანს ეკითხა, „ეს როგორ, მე თითქმის მთელი აღმოსავლეთ საქართველო შევძარი და ვერსად ვერ მივაგენი და თქვენ სად მონახეთო“? როცა მამაჩემს ყველაფერი მოეთხრო დაწვრილებით, მას ეთქვა, „განა ღირდა ეს ამდენ წვალეზადო?“, რაზეც მამაჩემს ეპასუხა, რომ „თქვენთვის მზად ვარ სიცოცხლეც კი გავწიროვო“!

ომის დამთავრების შემდეგ ოგანიოვი გადაეყვანათ თბილისში, დმანისის რაიკომის მდივნად კი დაენიშნათ ომიდან ახლად დაბრუნებული ვინმე დვალი, რომელიც სოფლის მეურნეობის საქმეებში უპრეცედენტოდ ერევა.

მამაჩემმა მომიტხრო, „ერთ დღესაც ვხნავ განთიადის მინდორში, საღამო ხანს გამომიარა დვალმა მანქანით, რათა მნახოს თუ როგორ ვმუშაობ, ტრაქტორს ვამუშავებდი, ე. წ. „ლაპის“ გარეშე, რაც არც თუ დიდი დანაშაული იყო, თუმცა ვაპირებდი მოგვიანებით მის შეკეთებას. მან გააჩერა მანქანა და მკითხა, თუ „რატომ ვამუშავებდი ტრაქტორს ამ მდგომარეობაში“, რაზედაც უპასუხე, რომ ხვალისთვის მოგვარებული მექნებოდა. მან მიბრძანა, „ხვალ დილის ცხრა საათზე მოვალ აქ და ტრაქტორი ამ მდგომარეობაში არ დამახვედროვო“!

მეორე დღისით, მართლაც დილის ცხრა საათზე დვალი დამადგა თავზე, დამიძრო ფისტოლეტი და მეუბნება, „მე რომ გუშინ გაგაფთხილე ტრაქტორი ამ მდგომარეობაში არ ამუშაო, რატომ ამუშავებო“?! რაზედაც უპასუხე, რომ „თანაშემწე მყავს გაგზავნილი მჭედელთან და ნუთი – ნუთზე ველოდები მის დაბრუნებას, მომიტანს და მალევე დავაყენებ“. არ მოეწონა მას ჩემი პასუხი და დედის გინებით მიბრძანა, „ნადი ეხლავე და თვითონ მოიტანე ის „ლაპა“ და ჩემს თვალწინ დააყენეო“! გეგონება არ დავაყენებდი მის გარეშე იმ დეტალს. უხმოდ

დავტოვე ტრაქტორი და გავემართე განთიადის სამჭედლოსაკენ. რას იზავ, ძალა აღმართს ხნავს. როგორც კი გადავითავქვევე კიზილ-ქლისის გზაზე, დავინახე რომ ჩემი თანაშემწე გარაც მოდის ზურგზე წამოგდებული „ლაპით“. გამოვართვი მას ეს „ლაპა“ გადავიკიდე მხარზე, მივიტანე და დვალს ფეხებთან დაუგდე, თან უთხარი, „თქვენ მართლა მო... დედაჩემი, თუ კიდევ მე ტრაქტორზე მნახო, ანდა ჩემზე უკეთესი ტრაქტორისტი ვინმე მონახოთ, ამ საქმეში თქვენ შემთხვევითი კაცი ხართ და ასე უხეშად არ უნდა მომქცეოდით!“! მაშვე მივატოვე ტრაქტორი და წამოვედი სახლშიო“.

მას შემდეგ, რამდენიმე დღეშიც ომის დამთავრებასან დაკავშირებით ჩვენს სოფელში გაუმართავთ ზეიმი. იქ ომიდან ახლად დაბრუნებული ვასო ოსკანოვიც ყოფილა, ტრაქტორისტი, რომელიც ადრე ვასო მუსელოვს ყავდა მოსყიდული და თავის სხვა კოლეგებთან ერთად სურდა მამაჩემის სამსახურიდან გაგდება და პასუხგებაში მიცემა, რაც ვერ გამოუვიდათ. იგი თურმე გმირივით დაიარება და გამომწვევად იქცევა, რალაცაზე შეხებიყო მამაჩემს, მასაც, ამ გალიზიანებულ კაცს ვერ მოეთმინა და მისთვის გაერტყა ხელი და გადაეგდო სამ მეტროზე. მერე მივარდნიყო მამაჩემი იქვე ახლოს მდგომ ბიძაჩემ ვანოს, რომელსაც სპექტაკლში უნდა მიელო მონაწილეობა, გამოერთვა მისთვის ხაჯალი და იქ მრავლად მყოფ ვასოს ნათესავებისთვის შეეყვირა, „ვისაც თავი მოგძულებიათ, შეგიძლიათ მოხვიდეთო“, და ვერავის გაებედა მასთან მიახლოება, იმ ვასოსაც კი, რომლის შემდეგ მის სიმამარს, – ასლან მარტიროსოვს, მისთვის ეთქვა, „შაქრომ უკვე დედა მოგ.... და ნუღარ ხტუნაობო“! მამაჩემისთვის ვერაფერი ევნოთ.

მეორე დღეს ვასო ოსკანოვი მოსულა ჩვენს ჭიშკართან და თურმე მამაჩემს გარეთ იხმობს, თუმცა, იგი ამ დროს სახლში არ ყოფილა, მაგრამ მის ძახილზე მოსულან მამაჩემის ბიძაშვილი, სამსონის ძმა გალო, მამაჩემის მამადაშვილის შვილი გიგოლ თათულოვი და მათ იგი გაეგდოთ ჩვენი კარიბჭიდან.

ამ სკანდალმა ორგანოების მხრიდან რეაგირების გარეშე ჩაიარა.

მას შემდეგ მამაჩემმა მეტყევედ დაიწყო მუშაობა, რგავდა ტყეში ნაძვის ხეებს და უვლიდა საერთო სახალხო ქონებას, ისე რომ არც თვითონ იყენებდა ბოროტად თანამდებობას, და არც სხვას აძლევდა მისი დატაცების საშუალებას. ამ სამსახურში ყოფნისას ტყეში, მარტო, ბევრჯელ გადაჰყრია ხიფათსა და ავაზაკებს, მაგრამ თავისი სიბრძნის წყალობით ყოველთვის გამარჯვებული გამოსულა. იმ დროს კოლმეურნეობის თავჯდომარედ მომუშავე ბადალ ოგანეზოვსაც არაერთხელ მოუწვია მის წინააღმდეგ პროვოკაცია, სდომებია მისი ციხეში ჩასმა, დაუბრალებია „აბკარასეული ხარის“ ქურდობაც, რომელიც ბოსლელებს მოეპარათ, მაგრამ ვერაფერი გამოსვლია. ამ დროს ეს ბადალი ომში გამოვლილი პოლიტმუშაკი იყო და წარმოადგენდა ძლიერ სოფისტურ ორატორს, რომლის მსგავსიც ჯერ არ მინააგს, მას რაიკომის მდივნებიც კი ერიდებოდნენ.

მამაჩემი იყო ფიზიკურად ძლიერი და წინდახედული, გონება გამჭრიახი კაცი. მისი ერთი ხელის მტევანი ჩვეულებრივი ადამიანის ორი ხელის მტევანს აღემატებოდა. იყო მსხვილძვალა, ქცევით თავმდაბალი და სიტყვა ძუნწი. ადამიანში აფასებდა შრომის მოყვარეობას, ვაჟკაცობას, კულტურას, ზრდილობასა და ცოდნას. არასოდეს იტყოდა აუგს ქალზე. სიმალლით იქნებოდა მეტრო 90 სანტიმეტრის. არ უყვარდა საკუთარ თავზე საუბარი და კვებნა. მის შესახებ მხოლოდ სხვისგან მესმოდა.

ერთხელ, დედაჩემის პანაშვიდზე, დედაჩემის ბიძაშვილმა შაქრო ოგანეზოვმა მამაჩემის შესახებ სახალხოდ მოყვა ასეთი რამ, „ახალგაზრდობისას კოლმეურნეობის სამჭედლოსთვის ბერძენმა მურუზოვმა მანქანით მოიტანა დაახლოებით 150 კგ წონის რკინის გრდემლი და თქვენი ბახჩის ბოლოსთან დააგდო. ისიც იქ ახლოს, ბეგას სახლში ცხოვრობდა. ამ გრდემლს დავეხვიენით სოფლის ახალგაძრდობა, ვცდილობთ რაიმე ძვრა გვექნა, მაგრამ ვერაფერი გამოგვივიდა. მურუზოვი კი ამბობდა

„ვინც შეძლებს მის აწევას და სახლში წაღებას მისი იყოსო“. ამ დროს საიდლანაც გამოჩნდა შაქრო და მანაც მოისურვა ძალის დემონსტრირება. მან ეს გრდემლი არამარტო ასწია, არამედ დაიდო კიდეც მხარზე და შეეცადა სახლში წაეღო, გამოიტანა 30 მეტრზე, მიქონდა სახლში. მურუზოვი კი მას უკან გამოედევნა და ეხვეწებოდა, „შაქრო გავიხუმრე, თუ შეიძლება უკან დააბრუნე, თავის ადგილას და დააგდეო „ და მანაც იმავე ადგილას მიიტანა იგი.

ამას გარდა შაქრო ბიძამ მოგვიყვა კიდეც ასეთი რამ, „ერთხანს ღამე-დგომით ვიყავით სათიბად ჩოფურალიანის მთებში, მაშინ იქ მამაშენიც იყო, მეუბნება მე. სოფლიდან დასაბუღებლად ამოსულთაგან შეიტყო, რომ ათასკალოს წვერებზე დაძირულ მის ძნას კოლმეურნეობის თავჯდომარე ბადალ ოგანეზოვი უპირებს კოლმეურნეობის კალოზე ჩამოტანასა და გალენვას, და მოიმოქმედე რამეო“.

მაშინ დღის ბოლოს მამაჩემი სხვებთან ერთად დანოლილა ქოხში დასაძინებლად. როგორც კი დაუძინიათ სხვებს, იგი მაშვე ამდგარა, შემჯდარა თავის ცხენზე, კიროვისზე გადმოვლით მოკლეზე წამოსულა სოფელში, მანძილი 40 კლომეტრზე მეტია, აუყენებია სახლიდან მძინარე ცოლის ძმები, აუყვანიათ უღელა ხარი წვერებზე, რაც სოფლიდან სამ კილომეტრამდე იქნება, დაუტვირთავთ იქ ნალოზე არსებული ჩვენი ძნის ზვინი და ჩამოეტანათ პაპაჩემ ვასოს სახლის ეზოში გასაღენად. მერე მამაჩემი კვლავ ცხენზე ამხედრებული, იმავე ღამესვე ასულა მთაში მთიბავეების ადგომამდე და დანოლილა სანოლში, თითქოსდა არსად წასულიყო. მერე სხვებთან ერთად ამდგარა, მაგრამ მუცლის ტკივილის მომიზეზებით კვლავ სანოლს დაბრუნებია.

ერთხელაც ბოსლელებს ქურდულად ჩამოეტანათ ჩვენი ძნა ნაქერლებიდან, გაეღენათ და დაესაწყობინათ ტომრებში ჩაყრილი. ამ საქმესაც მამაჩემის ყურამდე მიეღწია, და მიუხედავად მათი წინააღმდეგობისა, იქიდანაც ძალით გამოეტანა

ეს ხორბალი. ოთხცხენიანი ფურგუნით მისულა, თავადვე დაეტვირთა და წინ ვერავინ დადგომია.

ეს ფაქტი საბჭოს თავჯდომარეს, – გიორგი სელიმაშვილს, ყოფილი მოურავის შვილს, მიეტანა რაიკომის მდივან დვალამდე, რაზედაც მას ეთქვა, „მაგ კაცს დაანებეთ თავიო“!

1947 წ-ს დვალი ავტო ავარიაში დაიღუპა, მის შემდეგ მამაჩემი კვლავ დაუბრუნდა ტრაქტორისტობას და დაიწყო დიდ-დმანისისა და ვარდისუბნის გაერთიანებული კოლმეურნეობის ტრაქტორისტების ბრიგადირად მუშაობა, იმუშავა 1955-წ-მდე. მერე მიატოვა ეს საქმე, შეკრიბა მიწები ერთ დიდ ბაღად, ფართით სამი ათას მეტრამდე და გააშენა მშვენიერი ვენახი, რომლის მსგავსიც ძნელად თუ მოინახებოდა ქვ. ქართლში! სეზონზე ვკრეფდით ხუთ ტონამდე ყურძენს, კვლებ შუა კი ვთესდით ბოსტნეულს და კარგ შემოსავალს ვღებულობდით. შეიძლება ითქვას მიღებული შემოსავლით ჩვენი ოჯახი წელში გასწორდა. მალე ამ ბაღის გაღმაც, მდ მაშავერის მეორე მხარეს, ერთ ჰექტრამდე მიწის ნაკვეთიც აითვისა და მოგვდიოდა ტონობით სიმინდიც. გავიჩინეთ ცხვარ-ძროხა, ფრინველიც და შეიძლება ითქვას სოფელში ვედარავინ გვჯობდა ცხოვრებაში, ყველა ჩვენ დაგვნატროდა. მალევეც ვიყიდეთ გერმანული მარკის ავტომანქანა „ემადინი“, მთასა და ბარში სასიარულოდ. რომ იტყვიან გახარებული ცხოვრება უნდა დაგვეწყო, მაგრამ ბედმა გვიმუხთლა.

ჩვენი შუათანა ძმა ლუდიკო, ჩემზე რვა წლით უფროსი, თხუთმეტ-ექვსმეტი წლის ასაკში, მშობლების ნებართვის გარეშე მოტყუებით წაიყვანა მაშინ ჩვენი სოფლის ერთ-ერთმა უღარიბესმა, – მარტიროსოვმა მიშამ თელავში, ვითომდა მარანში სამუშაოდ, გეგონება სახლში არ გვექონიყო საქმე. და იქ ვილაცის სარდაფიდან ნაქურდალი კომპოტის მირთმევაში მონაწილეობის გამო, სხვებთან ერთად მასაც მიუსაჯეს ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა.

იმ დღიდან აქეთ, ჩვენი აწყობილი ოჯახის საქმე სულ

უფრო და უფრო უკან და უკან წავიდა.

სასჯელის მოსახდელად ლუდიკო გადმოიყვანეს ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიაში. მის უკან დევნაში ოჯახმა უამრავი ვალი დაიდო. ბოლო ჯამში მამაჩემმა მიაღწია იმას, რომ სამ წელში გამოაშვებინა იგი. იქ ფოტოგრაფიას დაეუფლა.

ლუდიკო როდესაც ციხიდან გამოვიდა, გვეგონა იქ ჭკუას ისწავლიდა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ჩამოყალიბებული ნამდვილ ქურდად!

უახლოვდებოდა სამხედრო სამსახური, ჯარში მძღოლად რომ ემსახურა განვევამდე მამაჩემმა ნახევარი წლით ადრე იგი ჩაიყვანა თბილისში და საშოფრო კურსებზე მოაწყო, სადაც ჩვენი სოფლელებიც სწავლობდნენ. ბოლო ჯამში იქ ნაცვლად სწავლისა, ჩვენსავე ნათესავ ქოჩაროვ ანდროს ვაჟიშვილ ალბერტისთან ერთად თურმე ავტომანქანებს ძარცვავენ, ნაძარცვი კი უყიდიათ ალბერტას მშობლების სახლში არსებული მაღაზიიდან.

ამ საქმეზე ერთ წელშივე დააპატიმრეს ალბერტი და სახლიდანაც ამოუღეს ნაქურდალი საბურავები, ლუდიკო კი რომ არ დაეჭირათ, – მამაჩემმა წაიყვანა რუსეთში დამხმარედ, საიდანაც მას ხალხისთვის ჩამოჰქონდა ვაგონებით მარცვლეული.

მიუხედავად ლუდიკოს თავს ატეხილი ამბებისა, იგი თურმე იქაც ხელებს არ აყენებს და ღამ-ღამობით ტეხავს უნივერმაგებს, რასთან დაკავშირებით მალევე იქნა დაპატიმრებული. ეს ხდება კაზახეთის რესპუბლიკის ქალაქ აქტიუბინსკში. ორსამ თვეშიც აქ ჩადენილი დანაშაულისათვის ჩამოიყვანეს და მიუსაჯეს შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა, მერე კვლავ აქტიუბინსკში წაიყვანეს და იქაც ხუთი წელი დაუმატეს, სასჯელის მოსახდელად კი გადააგზავნეს ჩრდილოეთ კაზახისტანის ოლქის ქალაქ პეტროპავლოვსკში. ლუდიკო სუსტი აღნაგობის ადამიანი იყო და მისი ცოცხლად გამოსვლის იმედი ჩვენებს აღარ გააჩნდათ!

როდესაც იგი დაიჭირეს მე მაშინ მესამე კლასში ვსწავლობდი და გადავწყვიტე გამოვსულიყავი გამომძიებელი, არა იმიტომ, რომ რაიმე უკანონო სარგებელი მენახა, არამედ იმისთვის, რომ მებრძოლა დანაშაულთან, რამეთუ ვნახე, თუ რაოდენ დიდი ტკივილი და ტანჯვა მოაქვს მას თვით დამნაშავის ოჯახისათვის, მის ახლობლებისათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ დაზარალებულზე. მხიბლავდა კრიმინალისტიკის პროფესიაც. ლუდიკოს თელავ ში დაპატიმრების დღიდან დედარჩემის თვალზე ცრემლი არ შემშრალა წლობის განმავლობაში. გეგონება სახლში ცხედარი გვდებიყო, ოჯახის წევრებს სახეზე ღიმილი არ მოსდიოდათ. ფაქტობრივად ლუდიკოსთან ერთად ჩვენც სასჯელს ვიხდიდით. ამ ვითარების გამო მე მშობლების ყურადღების მიღმა ვიყავი დარჩენილი, ჩემთვის არავის ეცალა და მე ჩემით ვიყავი დაკავებული! ჩვენი ოჯახი ვალებში ჩაიძირა. ჩემი მშობლები წელიწადში ორჯერ მაინც მიდიოდნენ პეტრეპავლოვსკში მის სანახავად, რაც უამრავ თანხებთან იყო დაკავშირებული, იქ უფროსებსაც პატივს სცემდნენ, რომ გაბთხილებოდნენ და რომ როგორმე ჩამოეტანა სული.

1961წ-ის 1-მაისს ჩვენს სოფელში მოხდა საშინელი ჩხუბი, რამაც არც ჩვენ ჩაგვიარა გვერდით. ხსენებულ ბადალ ოგანეზოვის შვილებმა შალიკო და ვიკტორიმ, არნახული რამ ჩაიდინეს. გზად, ბირჯისკენ მომავლებს საპირისპირო მხრიდან მიმავალმა ჩვენმა ნათესავმა და ოჯახის ნათლიამ, ერვანდ მუსელოვმა, რაღაც მიუღებელი აკადრა მათ, რის გამოც შალიკომ მას თავში დანა ჩაარტყა და წააქცია. ძმებმა დაინახეს რა ბირჯიდან მათკენ დაძრული ხალხი, უკან გაიქცნენ, შეტრიალდნენ თავიანთ სახლში და ჩაიკეტნენ. ხალხი მათ სახლს მიაწყდა და დაუნყეს ქვების სროლა.

ამ დროს, მათი მამა ბადალ ოგანეზოვი, ყოფილიყო თავის მოყვარე, – ჩვენსავე ნათესავ მელქო ქოჩაროვთან და ხმაურზე წამოვიდა თავის სახლისკენ, რათა მასაც შეეფარებინა თავი. როგორც კი დაინახეს იგი სახლისკენ მომავალი ერვანდის

ცოლის ძმამ უშანგიმ და მამაჩემმა, მის საცემრად გაემართნენ. მათ დანახვაზე ბადალი უკან გატრიალდა და შეეცადა გაქცევას მეღქოს სახლის მიმართულებით. ამ დროს უშანგიმ ესროლა მას ქვა და წააქცია, როგორც კი წამოდგა მამაჩემმა დაარტყა მას ჯოხი და მანაც წააქცია. მერე მიადგა წაქცეულზე და ჯოხით დაუნყო ცემა. შემდეგ მოსაკლავად აიღო დიდი ლოდი და თავში დასცხო, თუმცა ამ დროს ხელი ჰკრა მას იქ მოსულმა მეღქომ და ქვამ ნაწილობრივ ჩამოარტყა ბადალის, სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. როდესაც უშანგიმ ბადალი წააქცია, ის იქ აღარ გაჩერებულა და ხალხისკენ იყო დაბრუნებული, ისე, რომ მამაჩემი ბადალისთან პირისპირ მარტო იყო დარჩენილი.

აქვე ვიტყვი, როდესაც მამაჩემს ვკითხე თუ რატომ მოიქცა ასე, არა რაინდულად, წაქცეულს ჯერ დაუნყო ჯოხით ცემა და მერე მოინდომა მისი მოკვლა, – მიპასუხა, „მან ცხოვრებაში იმდენი ცუდი რა გამოკეთა, რომ მისი ავკაცობა ყელში მქონდა ამოსულიო“.

ბადალას ცემის შემდეგ, რაშიც ხელი შეუშალა მეღქომ, მამაჩემიც წამოვიდა ხალხისკენ, რომლებიც ტრიალებდნენ კალოს გზაზე ბადალის სახლთან და ესროდნენ მას ქვებს. ამ დროს სახლიდან გამოვარდა ვიქტორი ბებუთით და თავს დაესხა მამაჩემს, რომელიც ამ დროს მის და ნათელასა და მამიდამის ვარუას ხელებით ჰყავდათ გაკოჭილი და აქტიური მოძრაობის საშუალებას არ აძლევდნენ. ამით ისარგებლა რა ვიქტორიმ მამაჩემს ლოყაში ჩამოერტყა დანა, თუმცა სდომებია თავში ჩარტყმა. მამაჩემის შემდეგ იგი ქურდულად მივარდა ხსენებულ უშანგის მამას, ოჰანეზას და გვერდში დაარტყა დანა და წააქცია. უკვე ბნელოდა და კარგადაც აღარ ჩანდა.

აღნიშნული მოქმედების შემდეგ ვიქტორი გავარდა ხალხის განაპირას და ახლა ხალხში შემოვარდა მისი ძმა შალიკო თოფით ხელში. მას რამდენიმე დარტყმა მიაყენა ჯოხით მამა-

ჩემმა და გასროლის საშუალება არ მისცა. თუმცა მერე შეძლო გასროლა და კლავში დაჭრა მამაჩემის ბიძაშვილი ანდრო.

იმ სიბნელეში როგორ და საიდან ესმოდნენ ხალხს ძმები არც თუ ადვილი დასანახი იყო, რამეთუ იქ იყვნენ მათი მომხრეებიც და ხშირად მათში იმალებოდნენ. ეს ჩხუბი გაგრძელდა დაახლოებით ორი-სამი საათი, არა ერთხელ იყო გადარეკილი რაიმილიციაში და მიუხედავად გასული დროისა მათგან არავინ ჩანდა. ალბათ სურდათ მეტი ზიანი მიეყენებინათ ჩვენს ხალხს ერთმანეთისათვის, სხვას ვერას იფიქრებ! რაიცენტრამდე 14 კლ-ია და მათ მოსვლას დიდი დრო არ სჭირდებოდა, მილიციელები კი გამოჩნდნენ ჩხუბის ბოლოს.

სასამართლომ ძმებს სამ-სამი წელი მიუსაჯა, მამაჩემს კი ბრალის დაუდასტურებლობის მოტივით ბრალი ვერ დასდეს, მეღქომ და სხვა პირებმა მის სასარგებლოდ მისცეს ჩვენება.

ამ ჩხუბის შემდეგ, ოთხ თვეში ჩვენი სანატრელი ვენახი, ჯერ კიდევ დასაკრეფი შეგვიწამლეს ჯერ ნავითთ, შემდეგ კი მთლიანად გაგვიკაფეს.

ეს რომ გაიგო მამაჩემმა სახლში არაფერს ამბობდა და ჩუმად, უბეში ხანჯალ ჩადებული დაიარებოდა ბაღებში, დამნაშავის კვალს მისაგნებდა. აღნიშნულთან დაკავშირებით პოლიციაში არც კი გაუსაჩივრებია, ცდილობდა თავად მიეზლო დამნაშავისთვის სასჯელი. მოგვიანებით დაირხა ხმა, თითქოსდა ხსენებული ბოროტება ჩვენივე კარის მეზობელს ჩაედინა, მაგრამ რა გინდა გააკეთო, „ფაქტზე დაუჭერელი ქურდი, ქურდი არ არის!“ ამ ვერსიას არ გაყვა მამაჩემი და ძველებურად ეძებდა სხვებს. თავის ამ მადიებლობის დროს ერთხანს იგი აღმოჩნდა ჩვენს, ე. წ. ქურახანებთან, სადაც კოლმეურნეობის თავჯდომარე ვალიკო აკოფაშვილი თავის აქტივთან ერთად ქეიფობდა. მან იგი მიიპატიჟა სუფრაზე. მამაჩემი აღმოჩნდა ჩვენს მიერ ადრე ხსენებულ ოსკანოვ გრიშას მომდევნო ძმის, მოანგარიშედ მომუშავე დომენტის მოპირდაპირე მხარეს. იგი მეტად ანჩხლი კაცი იყო, ხოლო

სიმთვრალის დროს მთლა აუტანელი ხდებოდა. მამაჩემის მისვლისას სუფრის ნევრებს უკვე სასმელი ჰქონდათ მორეული. დომენტიმ დაინახა თუ არა მამაჩემი დაუწყო მას ძველი „ცოდვების“ გახსენება და შეურაცყოფელად მოეპყრო, რაც ვერ აიტანა მამაჩემმა და იქვე ძირს დაგდებული რკინის ნიჩაბი (ლაფატკა) აიღო და დასცხო თავში, ლამის მოკლა. გონება დაკარგული და თავ გატეხილი წაიყვანეს საავადმყოფოში, გაიგო მილიციამაც, მაგრამა მამაჩემს ხმა არავინ გასცა, დაკითხვაზეც კი არ დაიბარეს. ყველაფერი მოაგვარა კოლმეურნეობის თავჯდომარემ. მამაჩემი ცუდი კაცი რომ ყოფილიყო იგი ამას არ გააკეთებდა.

ამ დროს დომენტის შუათანა ბიჭი სეირანი, ჩემ კლასელია და 11 წელიწადი ერთ მერხზე ვისხედით. მშობლების ჩხუბის შემდეგაც კი სხვა და სხვა მერხებზე არ გადავსულვართ.

ამ გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფთ თავს კიდევ ერთი უბედურება დაგვატყდა. კერძოდ, ჩემს უფროს ძმას, – გურამის რომელიც იმ ხანად მუშაობდა კომუნალური მომსახურების კომბინატში მექუდეთ, რიგით ეკუთვნოდა საცხოვრებელი ბინის მიღება, მაგრამ ქრთამის სანაცვლოდ მისი ბინა რაიკომის მდივანმა მ-... შვილმა ვადაზე ადრე მიეცა ჩვენსავე ნათესავ გიორგი ქოჩაროვს, რის გამოც გურამის ცოლს მისთვის „მექრთამე ხარო“ ეთქვა!

ამაზე განაწყენებულ მდივანს გაეგზავნა ობხ-ს ინსპექტორი გურამის შესამონმებლად და აღმოეჩინა მისთვის ერთი გაუფორმებელი ქუდი. ამის გამო მას მისცეს სამი წლი ციხე, თუმცა მამაჩემმა დატრიალდა და უზენაეს სასამართლოში პირობითზე გადააყვანინა. ამას ვერ შეურიგდა რაიკომის მდივანი და ახლა ავტოინსპექტორს იძულებით გააყიდინა მისი ა/მ „მოსკვიჩი“!

რაიკომის მდივნის დაპირისპირების გამო გურამი იძულებული გახდა მიეტოვა სამსახური და ცოლშვილით დაიწყო რუსეთში სიარული სეზონურ სამუშაოებზე, რასაც შეალია

არა ერთი წელიწადი. იგი ერთ-ერთი იმ „ქართველთაგანია“, ვინც პირველმა დაიდო ბინა გათათრებულ ქალაქ დმანისში და არ მიატოვა იგი არც თათრების ბუნტის დროს.

როდესაც ლუდიკო ციხიდან დაბრუნდა მე მაშინ ვსწავლობდი 9-ე კლასში. მან ჯერ ფოტოგრაფობას მიყო ხელი, შემდეგ – შოფრობას, მუშაობა დაინყო მადნეულის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში. მის ვალებს კი მამაჩემი იხდიდა სამოცდაათიანი წლების შუა პერიოდამდე. მის გამო კი ხელმოკლედ ვცხოვრობდით აქნობამდე 60-იანი წლებიდან. გვექონია შემთხვევა, როდესაც მინდორში გასულეებს სათოხნაოდ სადილად მხოლოდ შაქარწყალი გვექონია!

ლუდიკოს კვალობაზე აღებული ვალების გადასახდელად მამაჩემიც დაახლოებით ათი წლის განმავლობაში დადიდა რუსეთში საშოვარზე. მთელი ამ ხნის განმავლობაში კი, – სახლში თუ ბაღში მუშაობა გვინევდა მხოლოდ მე და დედაჩემს. გურამი ცალკე ცხოვრობდა და შეიძლება ითქვას მას ჩვენი გასაჭირი სულაც არ აღელვებდა. ფაქტობრივად ლუდიკოსთან ერთად, მის უტვინო ქმედებების გამო, დავისაჯენით ჩვენ, მთელი ოჯახი.

1965 წ-ს დავამთავრე დიდი დმანისის საშუალო სკოლის 11 კლასი, 67-ში კი გამიწვიეს ჯარში, რაც ცალკე თემაა და მომდევნო ნაწილში გვექნება საუბარი.

ჩემი სახლში არ ყოფნის პერიოდში, ჩემი მშობლები უფრო მეტად იყვნენ დატვირთულები, რადაგან უფროსი ძმები დაცოლშვილები იყვნენ და ცალკე-ცალკე ცხოვრობდნენ, მე კი მშობლებთან ვიყავი.

მამაჩემის კრიმინალურ მხარეზე ყურადღებას ვამახვილებ იმიტომ, რომ მძიმე ბავშობის გამო მისი ფსიქიკა მთლიანად ინსტალირებული იყო თავდაცვაზე, აღელვებისას თვითონაც არ იცოდა რას აკეთებდა. ამასთან დაკავშირებით ერთხელ მან მითხრა, „როდესაც ვლელდები ნუ შემეკამათები და გამერიდეო“!

სამოც წელს მიღწეულმა სამოთახიანი სახლი, აშენებული ომის შემდგომ პერიოდში, – ათ ოთახიან სახლად გადააკეთა. ვალების გადახდის შემდეგ კვლავ გაიჩინა ჩხვარ-ძროხა და სხვა შინაური ცხოველები, მოიწყო ცხოვრება, როგორც ნამდვილ გლეხს შეეფერება.

უკვე ეკონომიკურად წელში გამართული კიდეც ერთ ხიფათს გადაეყარა, ბაღში აუშარდა საკუთარი მამიდაშვილი გიგოლი და მასაც თავში ბარი დაარტყა და კინალამ მოკლა, ლუდიკოს დროზე მისვლა თუ არა, კვალის დაფარვის მიზნით შეიძლება იგი წყალში გადაეგდო. დიდება ღმერთს, ყველაფერი კარგად დასრულდა, საქმის მწარმოებელი გამომძიებელიც, რომან კაველაშვილი, მომავალში – ჩვენი სიძე გახდა, საქმე საჩვენოდ წარიმართა.

80-ი წლის ასაკში, მამაჩემმა საფლავი მოიწყო, 90-ი წლის ასაკამდე კი, – ხან ცხენით და ხანაც ფურგუნით დადიოდა ბაღში, ერთი დღე უქმოდ არ გაჩერებულა, იყო ამოუწურავი ენერჯის პატრონი. ამ ასაკში 1000 კაცზე ჰქონდა შეძენილი ჭურჭელი და ქელეხებსა თუ ქორწილებში აძლევდა ხალხს. მათ გაცემას კი ჩვენ არ გვენდობოდა და თავად მიუთვლიდა ხოლმე კლიენტებს. ჰქონდა კარგი მეხსიერება. სახლში შემოსულ უცხო ადამიანს უჭმელ-უსმელს არ გაუშვებდა. სოფელში ყველა მიზეზს ეძებდა, რომ ჩვენსა როგორმე შემოსულიყო, რამეთუ იცოდნენ, რომ მამაჩემი მათ უჭმელ-უსმელს არ გაუშვებდა. მაგიდაზე ყოველთვის გვექონდა პურ-მარილი გაშლილი, სასმელი კი ტონობით-სარდაფში.

მას ჰქონდა კონტაქტი უცხოპლანეტელებთან. ერთხელ, დილის 5-საათზე ფურგუნით ბაღში მიდენისას, ხუხალას მიწის თავთან, მარცხენა კლდის მხრიდან მრავალ, მოელვარე ფერებში „ბუშტი“ დაშვებულებმა, გადაუღობეს გზა და შესძახეს, „შაქრო შენ ყოველთვის გექნება გზა ხსნილი!“ მერე ეს „ბუშტი“ გადასულა მდინარისკენ და იქ გამქრალა. ბაღიდან დაბრუნებულმა საღამო ჟამს სახლში მოგვიყვა ყოველივე ეს,

რა დროსაც იგი ერთობ გახარებული იყო. მას შემდეგ მამაჩემი თავის თავს ღვთის შვილს ეძახდა.

ერთხელაც ჰქონიყო უცხო პლანეტელებთან შეხვედრა, აეყვანათ ზეცაში შემომქმედთან, რაც ასევე მომიყვა და „იქაურობის“ ნახვით გაოგნებული იყო!

მამაჩემის ხელით დარგული ათასობით ნაძვი თუ კაკალი დღესაც ამშვენებს ჩვენს ტყეებსა და ქალებს.

90 წ-ის ასაკში მას შარდის ბურთის ოპერაცია გაუკეთე, ყოველთვის ჰქონდა მადა და ორი კაცის ულუფას მიირთმევდა ხოლმე. ღვინო-არყის გარაეშე საჭმელს არ გაეკარებოდა.

100 წლის ასაკში გაუკეთე თვალის ოპერაცია, რაც არავის დაანება ქვეყნის მთავარმა ოფთოლმოლოგმა ომიადემ. მის შემდეგ გაზეთსაც კი კითხულობდა სათვალეების გარეშე.

სამწუხაროდ დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ, იგი გარდამეცვალა 2005 წ-ს, მამაჩემს მარტოს მოუწია ხუთი წლის განმავლობაში ცხოვრება, რაც მძიმე ტვირთად მანვეს გულზე. თუმცა ყოველ ორ კვირაში ერთხელ ვნახულობდი, დრო და დროც აკითხავდა ხოლმე სოფელში მცხოვრები ჩემი და – ელენე. მამაჩემი გარდაიცვალა 2010 წ-ს 10 იანვარს.

როდესაც იგი გარდაიცვალა მე მაშინ ვიყავი სახლში, თვითონ ინთებდა ხოლმე ლუმელს და ამ ჯერადაც, როგორც ყოველთვის, იგი ადგა დილის რვა საათზე ლუმლის ასანთებად (არც ერთი დღე ავადმყოფობის მოტივით არ ჩანოლილა საწოლში), მეორე სართულზე, სადაც მეძინა მესმოდა მისი ჯოხის ხმა, რაც ერთხანს შეწყდა, ვიფიქრე ალბათ ჩემთან ამოდის, რომ ამაყენოს და სასწრაფოდ ავდექი, ჩავიცვი და ჩავედი დაბლა და რას ვხედავ, ლუმელისთვის შეკეთით კი შეეკეთა, მაგრამ არ აენტო. იქვე მისი ოთახის კარიც იყო ღია და შევიხედე, დავინახე, საწოლსა, და სკამზე ხელებ დაყრდნობილი, ჩაცმულ მდგომარეობაში მამაჩემი მუხლებზე იყო დაჩოქილი, არც კი დავარდნილი იატაკზე. ასეთ მდგომარეობაში დაელია სული და იყო გაშეშებული. მე მაშვე გადმოვაბრუნე

ზურგზე, ჩაუტარე რიგი მასაჟები, მაგრამ არა, სიცოცხლე ვერ დაუბრუნე.

კაცი დავბერდი და მე ასეთი ლამაზი ცხედარი ჯერ არ მინახავს, სახის ელფერი და ლოყის თავები ისეთი ჰქონდა, ცოცხალი გეგონებოდა, სახეზე ემჩნეოდა კმაყოფილების განცდა! რას ნიშნავდა ყოველივე ეს, ვერ წარმომიდგინა, ალბათ მისმა ორგანიზმმა იგრძნო შვება! მოუწყე კარგი პანაშვიდი და გასვენება, ასე დავემშვიდობე ჩემს საყვარელ მამას!

ნაწილი III. ჩემი ცხოვრება

1. ბავშობა და ყრმობა

დავიბადე 1948 წ-ის 15-ოქტომბერს, დმანისის რაიონის სოფ. დიდი დმანისში. მარჯვე, გამრჯე და მუყაითი მშობლების ხელში მეც შრომის მოყვარე გამოვედი, ასაკისა და შესაძლებლობის ფარგლებში მუდმივად ვიყავი დასაქმებული, თავისუფალ დროს კი ვატარებდი თევზაობასა და ნადირობაში.

სიტყვა „ვერ“, ანდა „არა“, – ჩემი ლექსიკონიდან ამოღებული იყო, რასაც დამავალებდნენ მშობლები, აუცილებლად უნდა შემესრულა!

როგორც ადრე ავლნიშნე, მესამე კლასში სწავლის დროს მეორეთ დაიჭირეს ჩემი ძმა ლუდიკო და მისგან გამომდინარე გადავწყვიტე გამომძიებელი გამოვსულიყავი. როდესაც იგი გამოუშვეს, – ვსწავლობდი 9-ე კლასში. მთელი ამ ხნის განმავლობაში დედაჩემის თვალზე ცრემლი არ გამშრალა და ჩემთვის არავის ეცალა, გავხდი ვითარების მსხვერპლი. ჩვენს ოჯახში მხიარულობა იშვიათობად იქცა.

პატარობისას მამაჩემი მუხლებზე დამისვამდა ხოლმე, გადამიშლიდა სსრკ-ს 1936 წ-ის კონსტიტუციას და მასში არსებული მთავრობისა და პარტიის ხელმძღვანელების პორტრეტებზე მინიშნებით მეუბნებოდა: „ეს ხალხი დიდი ადამიანებია და შენც ამათნაირი უნდა გამოხვიდე, რისთვისაც ჭიპამდე წვერი რომ მოგეშვას, – სწავლას მაინც თავი არ უნდა გაანებო. მე მინდოდა სწავლა, მაგრამ ბედმა ამის საშუალება არ მომცა, ბავშვობა ობლობაში გავატარე და შენ ახლა ჩემი სურვილი უნდა აღასრულო, უსწავლელი კაცი ცოდო და გაუხარებელია-ო“!

მისი დამოძღვრის თანახმად მეც ვცდილობდი ღირსეულად მესწავლა, თუმცა ამ მხრივ ბევრი რამ პედაგოგებზე ყოფილა დამოკიდებული. მათემატიკის მასწავლებელი საშა ხიზა-

ნიშვილი ხშირად მთელ გაკვეთილს ორი ქართული გვარის მატარებელ მოსწავლესთან გაატარებდა ხოლმე, თითქოსდა ჩვენ იქ დანარჩენები არ ვყოფილიყავით. მისგან ისე ვიყავით დაშინებულები, რომ შეკითხვასაც კი ვერ უსვამდით. ამ დროს მისი მეუღლე სკოლის დირექტორი გახლდათ და პროტესტი-თაც ვერაფერს გავხდებოდით. მის გამო დღეს მათემატიკაში უფერულოდ გამოვიყურები. გყვავდნენ კარგი მასწავლებლებიც, როგორებიც იყვნენ ვარვარა ჯალაბაძე, ეთერი მატარაძე, თარიმან მანთაშაშვილი, ვლადიმერ ასლამაზაშვილი და სხვა, ნათელში იყოს მათი სულები. დღევანდელი გადასახედიდან გამომდინარე მათ მეტი მოეთხოვებოდათ. მასწავლებელი სულში უნდა უძვრებოდეს მოსწავლეს, რომ მასში არსებული სიცარიელე შეავსოს!

მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობა თუ არ იქნება ორიენტირებული ცოდნის მიღება-გადაცემაზე, – შედეგის მომტანი ვერ იქნება! ჩვენთან მსგავს მიდგომას ადგილი არ ჰქონდა!

მასწავლებლობა უნდა ითვლებოდეს ყველაზე პრესტიჟულ პროფესიად და ყველას არ უნდა ეძლეოდეს ამ დარგში მუშაობის უფლება.

დიდი დმანისის საშუალო სკოლაში ვსწავლობდით ექვსი სოფლის ბავშვები, დაახლოებით 1000 მოსწავლე, დავდიოით ყველა ფორმით და ერთი ზეიმი იყო ხოლმე სკოლაში წასვლანამოსვლა.

თითქმის ყველა მასწავლებელი მოვლინებული იყო ჩვენთან საქართველოს სხვა და სხვა კუთხებიდან, ადგილობრივები გაჩნდნენ მოგვიანებით, უპირატესად კი სომხური გვარ-ეროვნების გადაკეთების შემდეგ.

ჩემთვის საყვარელ საგნებად იქცა ისტორია, გეოგრაფია, გეომეტრია, ფიზიკა და ასტრონომია, სუსტი ვიყავი ენებსა და მათემატიკაში, მასწავლებლებმა ვერ დაიტანეს ჩემამდე ეს საგნები, არადა მთავარი საგნებია.

მეცხრე კლასში ამირჩიეს სკოლის მოსწავლეთა კომიტეტის თავჯდომარედ, ვიყავი კომკავშირის კომიტეტის ბიუროს წევრიც.

ამ დროს, თითქმის 13-წლის ასაკიდან დავიწყე შრომითი საქმიანობა კოლმეურნეობაში, სეზონურად ვეხმარებოდი თივის ალებაში და მიწერდნენ კიდეც შრომა-დღეებს.

11-კლასი დავამთავრე 1966 წ-ს, მეცხოველის პროფესიით. სკოლა იყო პროფ განათლებით. მაშვე უმაღლესში არ მიცდია გამოცდების ჩაბარება და იმ წელს ოჯახსა და კოლმეურნეობას ვეხმარებოდი. მეორე წელს კი ვცადე თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე და ხარკოვის საავიაციო აკადემიაში, მაგრამ ორივეთგან დამსახურებულად მივიღე არადაამაკმაყოფილებელი ენებში!

2. ჯარში სამსახური

1967 – წლის 14-სექტემბერს გამიწვიეს ჯარში, „კარანტინი“ გავიარე კიროვობაში, სამსახურის გავლა კი მომიწია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის ქალაქ კინესბერგში, მდებარე დრეზდენის მახლობლად. მოვხვდი, ე. წ. სუხე ბატორის სახელობის 44-ე სატანკო ათასეულში, რომელიც თავისი ისტორიით ერთ-ერთი სახელგანთქმული იყო მთელს სსრკ-ს შეარაღებულ ძალებში. მას ყავდა 16 საბჭოთა კავშირის გმირი, იყო საჩვენებელი და თუ ვინმე მოსკოვიდან, ანდა მონღოლეთიდან ჩამოვიდოდა დიდი კაცი, მეორე დღესვე ჩვენთან მოყავდათ საჩვენებლად. გაგვაჩნდა ასზე მეტი ტანკი და ყველა მათგანს ჯავშანზე დიდი ასობით ეწერა „რევოლუციური მონღოლეთი“. 1200-ზე მეტი კაცი გვყვავდა შემადგენლობაში, გაგვაჩნდა უამრავი სხვა ტექნიკა და განგაშის დროს ისე გავდიოდით ნახევარ საათის განმავლობაში 32-კმ-ზე მდებარე დისლოკაციის ადგილზე, რომ სამხედრო ნაწილში მათარასაც კი არ ვტოვებდით.

თავიდან, გარკვეული პერიოდი მომიწია „პეხოტაში“ მსახურ-

რი მსროლელად, მერე გადამიყვანეს პოლკის უფროს მზარეულად, მიწვედა დილაობით მარტოს, დღისით კი სამ მზარეულთან ერთად მთელი ამ უამრავი ხალხის გამოკვება, რაც ერთობ საპასუხისმგებლო საქმე იყო.

კვება გვექონდა როგორც კარგ რესტორანში, უმაღლეს დონეზე, ჩაცმულობა კი, – ოფიცრის.

პოლკში ვიყავით ათამდე კავკასიელი, მათ შორის ექვსი იყო ქართველი, ყველას დედად ვიქეცი და ორმაგ ულუფას ვახვედრებდი ხოლმე ჭამისას. ცხადია მეც ვქართველობდი და ქართველ ჯარისკაცებთან ვიყავი, არც სომხებთან მქონია ცუდი ურთიერთობა.

სამჯერ მომიწია ომის დროინდელი ვაგონებით საბჭოთა კავშირიდან 1500-1500 წვევანდელის გადაყვანაში მონაწილეობის მიღება და მათი გამოკვება, კვირაობით ვერ ჩამოვდიოდი მატარებლიდან.

სამსახურის მეორე წლის დასაწყისში საქართველოს შს სამინისტროდან მივიღე ლიმიტი, ლენინგრადის ორ წლიან საგამომძიებლო სკოლაში გამოცდების ჩასაბარებლად, მაგრამ იმის გამო, რომ მაშინ ჩინეთის საზღვარზე და ჩეხოსლოვაკიაში ვითარება დაიძაბა, ჩემი გაგზავნა ერთგვარად შეფერხდა და ჩვეულებრივ გავაგრძელე მსახური, თუმცა სამხედრო წიგნაკში ჩამიწერეს, თითქოსდა მე უკვე გაგზავნილი ვიყავი ლენინგრადში.

ამის შემდეგ არც თუ დიდი დრო გავიდა და განგაშით გაგვიყვანეს სუდეთის მთებში, განგვალაგეს ზედ ქედზე, ჩეხოსლოვაკიის საზღვრის გასწვრივ. იქ დაახლოებით ორი კვირა დავყავით. ბოლოს ტანკებზე ზემოდან, მთელ პარამეტრზე დაგვანატინეს დიდი თეთრი ჯვრები და გამოგვიცხადეს, რომ შევდივართ ჩეხოსლოვაკიაში, რასაც შეიძლება მოყვეს მესამე მსოფლიო ომი, და რაც ხდება, და რასაც დავინახავთ, არ უნდა მიგვეწერა სახლში, რამეთუ არ გაუშვებდნენ. შეარაღებულები ვიყავით კბილებამდე, მე პირადად მქონდა აკმ-

ის სისტემის ავტომატი, ოთხი მჭიდით და ოთხი ხელყუმბარა. ჩემს განკარგულებაში იყო პროდუქტებით სავსე ავტომანქანა, მისაბმელი სამზარეულოთი და მძლოლი. ეს იყო მთელი ჩემი ავლა-დიდება.

აი, ასე შევედით ჩეხოსლოვაკიაში 1968 წ-ის 14-აგვისტოს, ღამის 12-00 ზე. სიმაღლიდან ნათლად მოჩანდა დრეზდენის მხრიდან ჩეხოსლოვაკიაში შემავალი საბჭოთა ჯარების მოძრაობა. აქედან შევიდა ჩვენი პირველი სატანკო არმია, გადაჭიმული ათობით კილომეტრზე. ტექნიკას რომ ვერ გაველო საზღვრიდან ათობითი კილომეტრზე გზები იყო ღრმა ორმოებით, შახმატისებრ გადათხრილი, თუმცა მათ ვერაფერი აკავებდა და მიიწევდნენ წინ, ყველას თავისი დავალება გაგვანჩნდა და რაც არ უნდა მომხდარიყო გზად, უნდა გვემოქმედა მხოლოდ ჩვენი ამოცანების შესაბამისად. სახლების, დასახლებული პუნქტებისა და ქუჩების აღმნიშვნელი ტრაფარეტები გადაღებილი ანდა მოხსნილი იყო და ვმოქმედებდით ოპერატიული რუკების შესაბამისად.

გათენებამდე ვმოძრაობდით პრალის მიმართულებით. დილით მტვრისგან მხოლოდ თვალები და კბილებილა გვიჩანდა თეთრად. პირველი სერიოზული დაბრკოლება შეგვხვდა ქ. კლადნოში, ქალაქის ცენტრი გადაჭედო იყო აგრესიულად განწყობილი ხალხით, ატარებდნენ მიტინგს და ყველას გმოდღვრავდნენ, გვატარებდნენ ფილტში, „არანაირ კონტრრევოლუციას არ აქვს ადგილი და წადით თქვენს სახლებშიო“! ცდილობდნენ არ გავეშვიყავით პრალისკენ, თუმცა ვერაფერი გამოუვიდათ, გვექონდა საჰაერო მხარდაჭერა.

კლადნოს შემდეგ გაშლილ მინდვრებში, ომის ამსახველ კინოებში თუ მინახავს სამხედრო ტექნიკის ისეთი გადაადგილება, საბრძოლო – ფრონტული ნყოფით, როგორც იქ ჩვენები ვნახე მიმავალი პრალისკენ, მათ შორის ტაქტიკური რაკეტებით. ყოველი დასახლებული პუნქტი მოქცეული ყავდათ საარტილერიო ალყაში, ჩამორთმეული ჰქონდათ რადიო სადგურები

და მათ მართავდნენ ჩვენი სამხედრო კომენდანტები.

უშუალოდ მე პრალამდე სროლები არ მინახავს, თუმცა გზა და-გზა მცირე ნაომარ ადგილებს ვხედავდი, როგორც ჩანს შეტაკებები ჰქონდათ დაზვერვის წინა დანაყოფებს, რამეთუ დღის ბოლოს ვნახე მათი დაჭრილი ჯარისკაცები.

როგორც გაირკვა, ჩეხები ჩვენებს ესროდნენ აქა-იქ ჯანდაცვისა და საბავშო დაწესებულებების ობიექტებიდან პროვოცირების მიზნით, რასაც, რათქმა უნდა უპასუხოდ არ ტოვებდნენ ჩვენები.

პრალისკენ მსვლელობისას იმდენად დიდი რაოდენობით ტექნიკა მოძრაობდა, რომ დავკარგე ჩვენების კვალი და აღმოვჩნდი უცხო პოლკში, რომელმაც ის ღამე გაათენა პრალის აეროპორტის მახლობლად და ჩვენც, ვგულისხმობ ჩემს მძღოლსაც, მათთან ერთად დავრჩით გასათევად. სწორედ იქ ვნახე დაზვერვის ბატალიონის დაჭრილი ჯარისკაცები.

მეორე დღისით ვიხილე თუ როგორ ჯდებოდა ყოველ 5-10 წუთში აეროდრომზე ჯარისკაცებით გადატენილი „ანტიის“ ტიპის თვითფრინავები, რომელშიც, როგორც ვიცი თითო სადესანტო პოლკი, – 800-მდე ადამიანი ეტეოდა. მაშინ დავრწმნდი, რომ საქმე იყო მეტად სერიოზულად, ისეთი სტრესი მივიღე, რომ მშვიერ კაცს ყველანაირი საჭმელი გამაჩნდა, მაგრამ არ გამაჩნდა მაღა.

სალამო ხანს მიგვიყვანეს ჩვენს სამხედრო ნაწილში, რომელიც დაბანაკებული იყო პრალის ფუნიკლიორზე, ტელე – რადიო ცენტრის დასაცავად. იმ სიმაღლიდან თითოეულ ტანკს მიზანში ამოღებული ჰქონდა ქალაქის ესა თუ ის ობიექტი და საჭიროების შემთხვევაში მზად იყვნენ გაეხსნათ ცეცხლი, მაგრამ მათ არანაირ სროლა არ უნარმოებიათ. დაბლა კი, ქალაქის ამა-თუ იმ უბანში, ნათლად ვხედავდი, თუ როგორ ისროდნენ მსხვილკალიბრიანი პულიმოტიდან, ავტომატურზე რომ არაფერი ვთქვა.

მესამე დღეს ჩვენი პოლკი ჩავიდა ქალაქის ცენტრში, სადაც

თუ არ ვცდები მთავრობა იყო განთავსებული და გადაკეტეს გზები. დიდი რაოდენობით ახალგაზრდობა იყო გამოსული დემონსტრაციაზე, ისინი მოინევდნენ ჩვენსკენ და ას მეტროში მოახლოებულები იფურთხებოდნენ ჩვენი მიმართულებით. მათზე არანაირი რეაგირება არ მოგვიხდენია და არც პროვოკაციაზე წამოვეგებოდით, ვიცავდით ჩვენს პარამეტრებს. იქ დავყავით ერთი დღე. შემდეგ კი გადავედით ქვეყნის დასავლეთ საზღვარზე, – ფრგ-სთან, სადაც 64-კმ-ის სიგრძეზე საზღვარი იყო გახსნილი და მათგან ელოდნენ „ნატოს“ ჯარების შემოსვლას, რომლებიც იქ იმ ხანად აწარმოებდნენ მანევრებს, „შავი ლომის“ კოდის სახელით, და მის საპირისპიროდ დაგვაყენეს ფრონტი. ყოველ წუთს ველოდით შემოტევას, მაგრამ ვერ გაბედე. მას შემდეგ ჩეხური სამხედრო ნაწილებიც დაგვინებდნენ, და ჩვენებს ჩააბარეს თავიანთი რადიო სადგურები. ეს იყო ჩვენი საბოლოო გამარჯვება კონტრევიოლუციაზე, რამეთუ მათი იმედი ჰქონდათ ჩეხებს, მაგრამ მოტყუვდნენ. მაშინ ისეთი განცდა მქონდა, როგორც წინა ხაზზე მდგომ მეომარს, რამეთუ მათგან ვიდექით 200-300 მეტრის დაშორებით!

მაღევეც დაგვირიგეს ბროშურები, „ჯარისკაცო შენ იცავ სოციალიზმს“, საიდანაც შევიტყეთ, რომ ჩეხოსლოვაკიაში მოქმედებდა იატაკქვეშთა ფორმირებები, როგორიც იყო „უპარტიო აქტივისტთა კლუბი“, „კლუბი – 231“ და სხვა, რომლებიც საერთო ჯამში აერთიანებდნენ ასიათასობით კონტრევიოლუციონერს და გეგმაში ჰქონდათ ქვეყანაში არსებული სოციალისტური წყობილების დამხობა!

საზღვარზე ვიდექით ორი დღე, შემდეგ გადაგვიყვანეს პრალის მახლობლად ტყეში და იქ დაგვაბანაკეს რამდენიმე თვით. გავთხარეთ, ე. წ. „ზემლიანკები“ და მასში დავინყეთ ხანგრძლივი ცხოვრება. გვეძინა ტანთ – გაუხდელი, ავტომატით ფეხებშუა. კვება გვექონდა ისეთი, – რომ ვერც კი ვძლევდით, თევზი იყო, კარაქი თუ ხორცი, გვექონდა თავსაყრელად. მოხდა ისეც, რომ აუთვისებლობის გამო ერთხელ ერთი

სატვირთო ავტომანქანა შებოლილი ძეხვი დავფალით მინაში. ყველა ჯარისკაცმა საგრძნობლად მოვიმატეთ, ვლებულობდით ფრონტის ხელფასსაც. მიუხედავად ამისა, ტყე სავსე იყო ნადირ-ფრინველით და ხშირად ნანადირევსაც მივირთმევდით.

უსაფრთხოება არ გვექონდა დაცული, არიალი იყო ღია და ხშირად ჩეხები „ტატრის“ მარკის ავტომანქანებით გაგვივლიდნენ ხოლმე გვერდით და ავტომატიდან გვიხსნიდნენ ცეცხლს. საბედნიეროთ ჩვენგან არავინ დაშავებულა. მათგან განსხვავებით გდრ-დან ჩამოდიოდნენ ხოლმე ნემცები და გვიტარებდნენ კონცერტებს.

უნდა ითქვას, რომ ძალიან მცირეა ჩეხებსა და გერმანელებს შორის განსხვავება. ჩეხოსლოვაკიაც ისეთივე ხარისხიანი არქიტექტურითა და ეკოლოგიის დაცვით გამოირჩევა, როგორც გერმანია, ორივე ქვეყანა ჩვენთვის მისაბაძია, რომელთაგან ჩვენ ძალიან შორსა ვართ!

შესვლიდან მეოთხე თვეს გამოვედით ჩეხოსლოვაკიიდან იმავე გზით, გერმანიის საზღვარზე ჩეხები მუშტის ქნევით გვაცილებდნენ, გერმანელები კი ისე გვხვდებოდნენ, როგორც ფრონტიდან დაბრუნებულ საკუთარ შვილებს! ყველას გვეხვეოდნენ, გვკოცნიდნენ და საჩუქრებს გვაძლევდნენ. მათგან გადაჭედილი იყო მთელი გზა, საზღვრიდან-დრეზდენამდე, რაც 30 კმ-ზე მეტი მგონია. ასეთ რამეს ვერ წარმოვიდგენდი, ყოჩაღ გერმანელებო!

როდესაც ჩვენს მშობლიურ სამხედრო ნაწილში დავბრუნდით, პოლკის შტაბის უფროს ვკითხე, თუ როგორ იქნებოდა ჩემი საქმე იმასთან დაკავშირებით, რომ სამხედრო წიგნაკში ჩანერილი მქონდა, თითქოსდა უკვე ლენინგრადში ვიყავი გაგზავნილი, რაზედაც მიპასუხა რომ გამოვიდოდით მდგომარეობიდან და მალევეც გამაგზავნეს დრეზდენში დივიზიის შტაბთან არსებულ სათადარიგო ოფიცერთა სამეთაურო კურსებზე. დავყავი იქ სამი თვე, გავხდი ოცმეთაური და სსრკ თავდაცვის მინისტრის ანდრეი გრეჩკოს ბრძანებით მომენიჭა უნცროსი

ლეიტენანტის წოდება. შემდეგ შემომთავაზეს სამსახურიც, მაგრამ უარი განუცხადა, იმედით მქონდა სახლში დაბრუნების შემდეგ რომ მუშაობას დავინწყებდი საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში.

სახლში გამომიშვეს ჩემს წვევანდებლებთან ერთად 1969 წ-ის 6-დეკემბერს. ჯარში სულ გავატარე ორი წელი და სამი თვე, და მთელი ამ ხნის განმავლობაში არც ერთხელ არ ვყოფილვარ გაშვებული ქალაქში, და არც სახლში შვებულებით, წერილების გარდა სახლიდანაც არაფერი მიმიღია, ვიყავი როგორც ციხეში!

რკინიგზის ბაქანზე, ვიდრე ჩავსხდებოდი ვაგონებში, – ვიდექი ქართველებთან, აბა ვისთან უნდა ვდგომილიყავი და აი ამ დროს ზუგდიდელი გვარად ბებია, რომელიც ორი წელი ჩემს ხელს შეჰყურებდა და ქართულადაც კარგად ვერ ლაპარაკობდა, – მეუბნება: „რას გვეტმასნები ამ ქართველებს, წადი და შენს სომხებთან დადექიო“, გეგონება სომხეთიდან ვყოფილიყავი განვეული! მტრის ნასროლი ტყვია ისე არ მენწყინებოდა, როგორც ეს მისი ნაბოდვარი.

რამდენია ქვეყნად კარგი კაცი, მაგრამ გინდა არ გინდა, – უნამუსოებიც გვხვდებიან, მივეჩვიე ბინძური ღორების ხახუნს.

3. ცსუ-ს კურსებზე

სახლში დაბრუნებულმა მალევე დავინწყე მუშაობა სასოფლო საბჭოში სამხედრო მაგიდის უფროსად, დიდი არაფერი, მაგრამ 70 მანეთი ხელფსი მქონდა, თან სწავლა დავინწყე მარნეულის ეკონომიური ცოდნის ორ წლიან სახალხო უნივერსიტეტში, რომელიც ჩვენი სკოლის ყოფილმა დირექტორმა, მეგრელმა ფანცულაიამ „სახელმწიფო“ უნივერსიტეტედ მომაჩვენა და „მონყოზაზეც“ ქრთამი წამლლიცა.

ზაფხულში შევეცადე კრასნოდარის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მონყოზა, მაგრამ რუსულ წერაში აქაც

ჩავიჭერი. დრო რომ არ დამეკარგა იმავე წლის შემოდგომით სწავლა დავიწყე თბილისის ცსუ-ს ერთწლიან საბუღალტრო კურსებზე, სადაც ამირჩიეს განთავისუფლებული კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილედ. კურსებზე ვიყავით 800 მოსწავლე და მათი 80% გოგონები იყვნენ. დერეფანში რომ გამოვიდოდი გოგონების ორი-სამი წრე ყოველთვის გარს მერთყა, თუმცა ცოლის მოყვანას არა ვჩქარობდი, გეგმაში მქონდა უმაღლესი იურიდიული განათლების მიღება, და არც ბაბნიკი ვიყავი. აქ ერთ კარგ მასწავლებელსაც კი შეუყვარდი, მაგრამ მიზანს ვერ უღალატე.

ეს კურსები (და ის „უნივერსიტეტიც“) დავამთავრე ფრიადზე, სადაც ვიტყოდი, რომ მექცეოდნენ ადამიანურად და არავისთან არანაირი დასამდურავი არ გამაჩნია, იყო პედაგოგთა პრწყინვალე კოლექტივი, თუმცა ხანდახან მეტყოდნენ ხოლმე, „კაი ბიჭი ხარ, მაგრამ სომეხი ხარო“, გეგონება სომხობა დანაშაული ყოფილიყო!

4. იაკუტიასა და მაგადანში

1971 წ-ს ზაფხულის დასწყისში სამასი მანეთს ამარა უმაღლესი იურიდიული განათლების მისაღებად გავემგზავრე ქ. იაკუტსკში, ვიფიქრე, იქნებ იქ ადვილი იყოს მეთქი მოწყობა და ბედს ვენვიო.

გამგზავრების წინა ღამეს მენვია დემონი, დიახ, – დემონი! გარედან პირველი სართულის ღია ფანჯარაზე მომდგარმა, ადამიანის ცეცხლოვანი სახით, კატის ფხაკუნით გამაღვიძა. როდესაც წამოვიწიე საწოლიდან და შევხედე, ხელში ეჭირა ფეხბურთის ბურთის ოდენა ხრუსტალის მსგავსი გლობუსივით რალაცა, და მას მიტრიალებდა თავს ზემოდან, რა დროსაც იგი ალაგ-ალაგ ბზინვარებას და ქრიალის ხმას გამოსცემდა, თან ცეცხლოვანი თვალებით, დაუხამხამებლად, და შიშის მომგვრელად, მოშტერებული მიყურებდა. ალბათ რომ კარგად დამემახსოვრა მისი სახე. ამან მე ისე არაბუნებრივად შემაშინა, რომ

არ ვიცოდი რა მექნა და გამოგიტყდებით, ჩავიმაღლე კიდეცაც საწოლში, გათენებამდე თვალი არ მომიხუჭავს. დილით კი ისე ადრე ავდექი, რომ გაუკვირდათ ჩვენებს!

როგორც კი ჩავფრინდი იაკუტსკში ბარგი დავტოვე აეროპორტში და სასწრაფოდ გავედი ბაზარში ვინმე ქართველი მენახა, რომელიც წამადგებოდა საქმეში. ბაზარში ბევრი ქართველი იყო, ყველა ყიდდა ადგილზე ფხვნილით დამზადებულ ღვინოს, 200 გრამიანი ჭიქა – 12 მანეთი, რაც 20-დოლარს უტოლდებოდა. ამ ფასსმა მათი ბუნება დამანახა, შევშფოთდი, მათი გაცნობის სურვილი დამეკარგა და ცარიელი დავბრუნდი უკან!

ავიღე ჩემი ბარგი და პირველსავე შემხვედრ სასტუმრო „ტაიგაში“ შევაბიჯე, ერთი შეხედვით არ ჩანდა ბევრი ხალხი და ვიფიქრე ადგილს ადვილად მოვნახავთქო. როდესაც გაუწოდე ადმინისტრატორს პასპორტი და ვთხოვე ადგილი, მას არც კი დაუხედვს მისთვის, აქცეცით მიხვდა რა ვინც ვიყავი, მაშვე მითხრა უარი, „ადგილი არა გვაქვსო“. ალბათ ერთ-ერთ ღვინის გამყიდველ მეც ვეგონე. ეს ადმინისტრატორი იყო შუახნის ქალბატონი, რანაირად არ მიუდექი მას, მაგრამ გასაღები ვერ მოუნახე, ქრთამიც შევაძლიე, მაგრამ არა! ბოლოს და ბოლოს ხომ არ ვეტყოდი, „არ ვარ მეთქი ღვინის გამყიდველი“. ვიფიქრე, ალბათ იმ ქართველებზეა გაბრაზებული და ჯავრსაც ჩეზე ყრილობს. უკვე გვიანი იყო და გადავწყვიტე სასტუმროს დერეფანში გამეთია და იქვე მდგარ სკამზე ჩამოვჯექი. არც კი იყო დიდი დრო გასული, რომ ოთახიდან გამოვიდა დერეფანში ერთი შუახნის კავკასიური გარეგნობის მამაკაცი. და დამინახა რა კავკასიელი გამეცნო. იგი აღმოჩნდა საქმიანი ჩეჩენი, შემიპატიჟა თავისთან ნომერში და დავინწყეთ უფრო ახლოს გაცნობა. მეც მაგიდაზე დავდგი სახლში გაკეთებული ერთი ბოთლი „კონიაკი“ და ნელ-ნელა შეუყევით. მისი ნომერი იმ ადმინისტრატორის ბარიერის წინ მდებარეობდა, კარებიც ღიად გვქონდა დატოვილი და მთლიანად იყურებოდა მისგან

ჩვენი ოთახი. მას ჩეჩენმა ერთი ჭიქა სასმელიც შესთავაზა, მაგრამ უარყო.

ჩეჩენმა მითხრა, რომ მეხანძრედაა მონყობილი მირნის ალმაზის კომბინატში და თავისუფალ დროს ტაიგაში გადაკარგულ სოფლებში გააქვს არაყი, სადაც მხოლოდ მას მთავრობა სადღესასწაულო დღეებში ყიდის, და ცვლის იქ თვითნაბად ოქროსა და ალმასზე. მერე ჩამოაქვს კავკასიაში და კონტრაბანდური გზით გადააქვს თურქეთში. თუ გინდა თქვენც ჩაერთობო ამ საქმეში, მაგრამ მე ვიუარე, გავენდე, რომ მინდოდა იურიდიულ ფაკულტეტზე მონყობა და რომ თავის რჩენის მიზნით სადმეც შემუშავა. რაზედაც მითხრა: „არაა პრობლემა, ხვალ ერთ კაცს გაგაცნობ და იგი დაგეხმარება“.

ამასობაში შუალამემაც მოატანა და იმავე ოთახში რომ დამეძინა მანაც კიდევ ერთხელ სთხოვა ადმინისტრატორს მოეცა ჩემთვის ადგილი, მაგრამ მასაც კვლავ უარი განუცხადა. ამ დროს მის ოთახში ოთხი საწოლი იდგა, რომელთაგან მხოლოდ ერთი, ამ ჩეჩნის მიერ იყო დაკავებული დანარჩენები კი იყო თავისუფალი. მოკლეთ, დღემდე ვერ წარმომიდგენია რა თვალთ შემომხედა იმ ადმინისტრატორმა, რომ მე ასე გამანამა იმ ღამეს? ასე თუ ისე, ის ღამე ამ ადმინისტრატორმა გამათენებინა სკამზე მჯდომიარე, თანაც კარი ღიად დაგვატოვებინა, რომ ეკონტროლა, დავნექი თუ არა საწოლზე! ეს მე არასოდეს დამავინწყდება, კავკასიელი ადამიანი ამას არასოდეს ჩაიდენდა!!!

დილით იმ ჩეჩენმა მიმიყვანა მთელი იაკუტიის ავტონომიური რესპუბლიკის ძვირფასი მეტალების წარმოების დაცვის სამმართველოს უფროსთან, პოლკოვნიკ ბარსაგოვთან, რომელიც ეროვნებით ჩეჩენი იყო, დიდებული, წარმოსადეგი, სამოცნელს გადაცილებული ვაჟკაცი! მას ორი ბოთლი „კონიაკი“ მივართვი. შემპირდა, ყველაფერი კარგად იქნებაო და ეს 22 წლის გამოუცდელი ახალგაზრდა კაცი დამნიშნა ალდანის ოქროს წარმოების კომბინატის დაცვის უფროსის მოადგილედ

და იმავე დღესვე გადავფრინდი ალდანში! მოვეწყე სასტუმროს მეორე სართულზე. ჩვენი ხაზით მუშაობდა ათასზე მეტი ადამიანი და მე, ერთ-ერთი მათი უფროსი უნდა ვყოფილიყავი, რომელსაც მანამდე ხალხთან მუშაობის არც თუ დიდი გამოცდილება გამაჩნდა.

ამ ქალაქში, როგორც შემდეგ გავიგე, ძირითადი მაცხოვრებლები იყვნენ მოლაღატე გენერალ ვლასოვის გადასახლებული ჯარისკაცები და მათი ოჯახის წევრები. მათ არ ახასიათებდათ ღიად საუბარი, ერიდებოდნენ პირში თქმას და დასმენაზე იყვნენ გადასულები, ვინც არ მოსწონდათ ასე იცინებდნენ თავიდან. მათი ეს ჩვევა რომ შევიტყე, რა თქმა უნდა არ მომეწონა და განვეწყე უარყოფითად, მით უფრო, რომ უნივერსიტეტი იყო შორს, და თანაც აქ შრომის ანაზღაურების კოეფიციენტი იყო დაბალი. ალდანი არც თუ ძალიან შორსაა ბაიკალიდან. მოკლეთ, ალდანში წასვლა გომომივიდა ნაჩქარევი და გადავწყვიტე იქიდან არა იაკუტსკში, არამედ უფრო შორს, – მაგადანში გადავსულიყავი, სადაც იურიდიული ფაკულტეტიც იყო და მაღალი ანაზღაურებაც!

ერთ თვეში დავემშვიდობე ლამაზ ბორცვებში ჩაძირულ ქალდანს და გადავფრინდი მაგადანში. ეს იყო 1970 წ-ის ივლისის თვე.

ვიდრე მაგადანის ისტორიის თხრობას დავიწყებდე, მინდა ერთი ჩემს სულელურ ნაბიჯზე მოგითხროთ. ალდანში როგორც კი გამოვჩნდი, ეს კავკასიელი ახალგაზრდა კაცი, ბევრი ჩემით დაინტერესდა, უნდოდათ გაეგოთ ვინ ვიყავი და რას წარმოვადგენდი. ამ დროს ნაცნობ – მეგობრები არავინა მყავდა და ცხადია ხალხის გაცნობის სურვილი გამაჩნდა. შემომიჩნდა ერთი შუახნის ვებერთელა კაცი და გინდა თუ არა სტუმრად უნდა წამომყვეო. ერთხელ უთხარი უარი, მეორედ უთხარი უარი და ბოლოს მაინც დამძალა და ერთ საღამოსაც გავყევი. მიმიყვანა ქალაქის განაპირას მდებარე ერთსართულიან ქვის სახლში, რაც იქ იშვიათობას წარმოადგენდა. ეზოში

ება ვებერთელა კავკასიური ნაგაზი. სახლში დაგვხვდა ორმოცდათ ნელს გადაცილებული გალოთებული ქალბატონი და ერთი 35-წლამდე ასაკის, მასსავით ზორბა ტანის ახალგაზრდა მამაკაცი. სუფრა ჰქონდათ გაშლილი, გეგონება ათ კაცს ელოდებოდნენ. ეტყობოდათ, რომ კარგი მაცხოვრებლები იყვნენ.

ის ქალბატონი და ახალგაზრდა კედლის მხრიდან მიუსხდნენ მაგიდას, მე და ის ზორბა მამაკაცი კი, – აქეთა მხრიდან. როდესაც შევსვით 3-4 ჭიქა, იმ ახალგაზრდამ მაგიდაზე თავი ჩამოდო და ჩაეძინა, ამ ზორბა კაცმა კი დამინყო წელზე, ქამრის გასწვრივ ხელების ფათური, და დამინყო გასინჯვა, მქონდა თუ არა იარაღი, არადა არ მქონდა, ალბათ სურდა წაერთვა. თან მეუბნება: „შენ არც კი იცი ვის სახლში ხარ მოსული, შეიძლება აქედან ცოცხალიც კი ვერ გახვიდეთ!“. რა უნდოდა ბოლო ჯამში ჩემგან ვერ გაუგე. როცა მიხვდა, რომ იარაღი ზედ არა მქონდა, ახლა კლავებში ძალის მოსინჯვის მიზნით დამინყო ბლლაძუნი. აშკარად ეტყობოდა, რომ თავს უნდა დამსხმოდა. იგი იჯდა ჩემგან ხელმარცხნივ, როგორც იქნა ხუმრობაში მოვიგდე მისი მარჯვენა ხელის მტევანი მარცხენა ხელში და მისახვედრად, რომ დაენებებინა ჩემთვის თავი, – გაუკეთე ერთი შეხედვით უმტკივნეულო ილეთი, მაგრამ მას ძალიან ეტკინა, არა და ასე არ მინდოდა, და მორთო ღრიალი, „შენი დედა კი ჩემს სახლში ხელსა მტეხავო“?! და დაინყო ტკივილისგან ხელის ქნევა. ის ქალი კი მე მიჭერდა მხარს, როგორც იქნა გამოვეპარე მათ და წამოვედი ჩემთან სასტუმროში. როდესაც სახლში მოვედი, ვნახე, რომ გადმოსულან ფანჯრიდან და ჩემი ჩემოდნი ამოუჭრავთ. ეტყობა ექებდნენ იარაღს, ანდა ოქროს, რომელთაგან არცერთი არ გამაჩნდა.

კაცმა რომ თქვას, რომ მოვეკალი მათ, ახი არ იქნებოდა ჩემზე, სად მივდევი იმ უცნობ ადამიანს ?!

მაგადანში როგორც კი ჩავფრინდი და გადმოვედი თვითფრინავდან, მაშვე შემკრა სიცივემ, ტემპერატურა იყო +8 გრადუსი. მეცვა დედერონის თხელი კოსტუმი და სიცივეს ვერე-

ნაირად ვერ იკავებდა. იმ დღით ვერსად ვერ ვნახე ადგილი სასტუმროში და მომიწია ავტოვაგზალში გათენება, რომელიც არ იკეტებოდა. იქ თავს იყრიდა დიდი რაოდენობით უსახლკარო ადამიანები და მათი სიბინძურის გამო საშინელი სუნი იდგა. როგორც იქნა მოვნახე დასაჯდომი ადგილი და გათენებამდე გავათენე სკამზე. სიცივისგან მთელი ღამე ხელები ილღიებში მქონდა ამოდებული, ფეხებქვეშ კი ჩემოდანი მქონდა მოქცეული. როდესაც დღით წამოვდექი, ვნახე, რომ ხელები მაქვს სანერი პასტით დათხუპნული, ხოლო პიჯაკის წინა მარცხენა კალთის მნიშვნელოვანი ნაწილი, – ამ პასტისგან გალურჯებული. როგორც შემდეგ მივხვდი, სითბოსგან ჯიბეში პასტა გამლობიყო. მაშვე გავიქეცი ქიმწმენდაში მოსანესრიგებლად. იქაც პიჯაკის ქვედა უკანა ბოლო უთოთი დამინვეს და დაშტოპილი გამომიტანეს. ასე უცნაურად დაიწყო ჩემი ერთწლიანი ცხოვრების ისტორია მაგადანში!

სამი-ოთხი დღე ვეძებდი ადგილს სასტუმროებში, მაგრამ ვერსად ვერ ვპოულობდი, შესაბამისად მთელი ეს პერიოდი მიხდებოდა ავტოვაგზალში ღამის თევა, თანაც, ყოველთვის ვერ ვახერხებდი დასაჯდომი ადგილის მონახვას და ხშირად ფეხზე მდგომი მძინარე ვათენებდი ღამეს. თუმცა რა ვითარებაშიც არ უნდა ვყოფილიყავი, ყოველთვის ხელში მეჭირა წიგნი და ინსტიტუტში მისაღები გამოცდებისთვის ვემზადებოდი.

ამ მოსაცდელ დარბაზში მეორე სართულიდან გამოდიოდა პატარა აივანი და იქ ხშირად ჩნდებოდნენ ხოლმე კავკასიური გარეგნობის მამაკაცები. ერთხელაც ამ აივნიდან ჩამოვიდა ერთი კაცი და გამეცნო, აღმოჩნდა ბორჯომელი. ამიყვანა მალლა თავისთან და გამაცნო თავისიანებს, ჩამოსულები იყვნენ სეზონურ სამუშაოზე. მიმიღეს მეგობრულად, მომცეს სანოლი და მითხრეს მეცხოვრა მათთან იმდენი ხანი, რამდენსაც ჩავთვლიდი საჭიროდ. დამაიმედეს, რომ აუცილებლად მოვეწყობოდი, რადგან მხედავდნენ, თუ როგორი გულმოდგინებით ვმეცადინეობდი ამ საშინელ პირობებში.

ბორჯომელებთან გავატარე რამდენიმე ღამე, დღისით კი, – სასტუმროებში ადგილსა და სამსახურს ძებნით ვიყავი დაკავებული, დაუსაქმებელს კი ინსტიტუტში არ ლეზულობდნენ, რომელსაც მხოლოდ დუსნრებელი და საღამოს განყოფილება გააჩნდა! მაგადანში იყო საკავშირო იურიდიული ინსტიტუტის ხაბაროვსკის ფაკულტეტის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი და ამ „პუნქტში“ უნდა ჩამეხარა გამოცდები!

ერთ მშვენიერ დღესაც ბედმა გამიღიმა, მივაკითხე „ჩრდილო აღმოსავლეთ ოქროს“ გაერთიანებას, სადაც ოდებლაც ემუშავა ბარსაგოვს და მისი ხათრით მიმიღეს სამუშაოზე, დამნიშნეს ჩუკოტკის ავტონომიური ოლქის ოქროს წარმოების გასამხედროებული დაცვის უფროსის მოადგილედ და თანაც გამოცდების დასრულებამდე საცხოვრებლად მომცეს ერთი ოთახი. მომცეს ცნობაც და წარვადგინე ინსტიტუტში.

პირველი გამოცდა მქონდა სსრკ ისტორიაში, გამოცდებს იბარებდნენ მოწვეული ასაკოვანი ქალი მასწავლებლები, რომლებსაც ესწრებოდა დეკანის მოადგილე, დეკანი კი იყო შვებულებაში. ჯგუფში ვიყავით 40-მდე აბიტურიენტი და მარტო მე დამინერეს ფრიადი. ცოდნა არ დამიკარგეს, მიუხედავად იმისა, რომ რუსულად ცუდად ვლაპარაკობდი! როდესაც საგამოცდო დარბაზიდან გამოვდიოდი კარებში შემეგება ცისფერთვალეა ახალგაზრდა ბიჭი და მკითხა, თუ რა ნიშანი მივიღე? რაზეც უპასუხე, – „ფრიადი“. გადამეხვია და კოცნით მომილოცა „ჩარიცხვა“, რაზედაც უპასუხე, „რა ღროს ჩარიცხვაა, წინ კიდევ რუსული წერა მაქვს ჩასაბარებელი, რომლისაც ყველაზე მეტად მეშინოდა. ამაზე მან მიპასუხა, „ძმაო, მე ოსეთიდან ვარ, სამი წელია აქ ვაბარებ გამოცდებს, მაგრამ ვერ ჩამიბარებია, ამ ხალხს ვიცნობ, ესენი არ დაგიკარგავენ ხუთიანს და აუცილებლად ჩაგრიცხავენო!“ მისმა სიტყვებმა დამაიმედეს, თუმცა ეშმაკს არ სძინასვს და მე გავაგრძელე ჩემებურად გამოცდებისთვის მზადება.

მეორე გამოცდა გვექონდა რუსულ ენასა და ლიტერატურ-

რაში, იგიც ჩავაბარე და მივიღე ოთხიანი. მესამე გამოცდა იყო გერმანულში ზეპირი და ჩავაბარე სამზე. მეოთხე იყო ჩემთვის ყველაზე მთავარი, – რუსული წერის ჩაბარება, დამანერინეს კარნახი და იგიც ჩავაბარე. საუკეთესო მასწავლებლები იყვნენ, მარადიული ბედნიერება მათ. ჩემთან ერთად კარნახს წერდა ერთი უკრაინელი და მანაც ჩააბარა.

ერთ ადგილზე მოვდიოდით ექვსი კაცი და კონკურსში გავედი, მით უფრო, რომ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა მქონდა მიღებული, გამაჩნდა ოფიცრის წოდება და იგიც მშველოდა. ვიდრე შევიტყობდი ჩემი ჩარიცხვის ამბავს ფიქრით დავიღიე, წონაში საკმაოდ დავიკელი.

სწავლის დაიწყებამდე შემთხვევით გავიცანი ჩუკოტკიდან ახლად დაბრუნებული ბაქოელი თათარი და ვკითხე, თუ როგორი იყო იქ ცხოვრება, სადაც ვაპირებდე სამუშაოდ წასვლას. მან მითხრა, „თუ ჯანმრთელობის შეინარჩუნება გინდა ჩუკოტკაზე ნუ წახვალ, იქ არც საკმარისი ჟანგბადია და არც ცოცხალი საკვები, გარდა დათვის ხორცისა და თევზისო, ადამიანთა უმეტესობა კი დაავადებულია ტუბერკულოზით! მის ამ სიტყვებმა ჩემზე იქონიეს გადამწყვეტი გავლენა და ჩუკოტკაზე წასვლა გადავიფიქრე!

კადრებს განვუცხადე, რომ ექიმის რჩევით, ჯანმთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე ჩუკოტკაზე ჩემი წასვლა დაუშვებელია მეთქი, მოუბოდიშე და განვთავისუფლდი სამსახურიდან. მათ ჩემთვის არანაირი პრობლემა არ შეუქმნიათ.

ხელახლა დავიწყე სამსახურისა და საცხოვრებლის ძებნა, ამ საკითხის მოსაგვარებლად აქაც გადავწყვიტე გამეგლო ბაზარში, ეგები ვინმე კარგი ქართველი შემხვედრიყო. ბაზარში ბევრი ადგილობრივი ქართველი იყო. მათ იქ თავიანთი ბირჯაც კი გააჩნდათ. მივედი მათთან და გამოვემცნაურე, აუხსენი ჩემი პრობლემები და ვთხოვე დახმარება, თუმცა არ მითქვამს, რომ ვიყავი იურიდიულ ინსტიტუტში ახლად მონყობილი.

მათგან ერთმა 70 – წელს მიღწეულმა, რომელსაც ეტყო-

ბოდა რომ მეგრელი იყო, მითხრა, მეორე დღეს მისვლიყავი იმ ადგილს. როდესაც მივედი, იქ მარტო ის კაცი დამხვდა და მთხოვა გავყოლოდი სადღაც. გადამიყვანა ქალაქის გარე უბანში, ე. წ. ნაგაევოს ყურეს დასახლებაში და შემიყვანა ერთ ხის ფიცრულ სახლში. სადაც ოთხი ქართველი ქეიფობდა და ჩვენც მიუსხედით სუფრას. არ მქონდა ორი ლუკმაც კი გაღეჭილი, აღარ ვლაპარაკობ სასმელის დაღევაზე, რომ ამ კაცმა გამომიყვანა გარეთ დერეფანში და ფანჯრიდან მიმანიშნა ერთ-ერთ მათგანზე, ის უნდა მოვკლათო. მან ჩემგან მოიპარა ათი კილო ოქრო, ნახევარი შენ და ნახევარი მეო! მე მაშინ თავ – გადაპარსული ვიყავი და მარჯვენა ხელის მტევნის ზურგზე ტატო მქონდა გაკეთებული, – „გაბზარული გული“, დავინერე ჩეხოსლოვაკიაში. როგორც ჩანს, მე მას ციხიდან ახლად განთავისუფლებული ვეგონე და თავის ჭკუაში ფიქრობდა გამოყენებას!

ვკითხე, „ბიძა კაცო, ამ საქმეს რომ მთავაზობთ, მიცნობთ განა „?!“ საპასუხოდ მან ხელები გაასავსავა და ამოილულულა, „არ გიცნობ, არ მიცნობ“ და ასე დავშორდით ერთმანეთს, შიგნითაც კი აღარ შევსულვარ. როგორც შემდგომ მიხვდი მაგადანში მოქმედება ქართველ ბანდიტთა დაჯგუფება, რომელიც დაკავებული იყო ოქროს კონტრაბანდით და შიგ ერთმანეთს სპობდნენ, ვიდრე ოქრო ორ-სამ კაცს შორის არ დარჩებოდა!

აღნიშნულის თაობაზე პრესა იყო აჭრელებული!

მაღვევეც მოვნახე სამსახური მზარეულად ნაგაევოს საზღვაო პორტში და მათვე საერთო საცხოვრებელშიც გადავსახლდი.

ოთახში, სადაც მე მომიჩინეს ადგილი, თხუთმეტამდე ბროკერი (მტვირთავი) ცხოვრობდა და ყოველი სამუშაო დღის შემდეგ ლოთობდნენ, იყო ერთი ღრიანცელი და ხმაური. ასეთ სიტუაციაში მომიწვია დაახლოებით ერთი თვე ცხოვრება. დღისით მივდიოდი სამუშაოზე, საღამოთი კი, – ინსტიტუტში, ღამითკი ვამზადებდი საშინაო დავალებას! მოკლეთ მქონდა

ჯოჯოხეთური ცხოვრება!

ერთხელ საწოლში კითხვისას ზემოდან დამანვა ერთი ვებერთელა მთვრალი რუსი და მკერდზე დიდი დანით წვერ დაბჯენილი მეუბნება, „შენ უნდა მოგკლა!“ თუ რატომ, – მეუბნება, „ხომ ჩამეთვლება, რომ პროკურორი მოგკალი!“ ვეუბნები, „რა დროს ჩემი პროკურორობაა, მე მხოლოდ პირველ კურსზე ჩავირიცხე“. მპასუხობს, – „ხომ გახდები!“

ამ დროს ერთი შეგნებული ახალგაზრდა მოვიდა და მომაცილა, ის თუ არა ღმერთმა იცის რით დამთავრდებოდა მისი ახირება.

ისე, შემდგომმა საგაძიებო პრაქტიკამ მიჩვენა, რომ რუსს თავისუფლად შეუძლია არაფრის გამო ნებისმიერი ადამიანის მოკვლა.

აღნიშნულ ვითარებაში შეუძლებელი იყო ცხოვრება და მეორე თვეში გადავედი საზღვაო პორტის გასამხედროებულ დაცვაში რიგით თანამშრომლად, სადაც იქვე მომცეს საცხოვრებელი ერთ მოხუც სომეხთან ერთად და დავიმშვიდე ნერვები. ძირითადად ვენეოდი პორტიდან გასული ტვირთების შემონმებას, როგორც მებაჟე.

სპეციალურად არ ვაკითხავდი მილიციის ორგანოებს სამსახურისათვის, რომ არ გაეგოთ ჩემი ძმების ნასამართლეობის ამბავი და ამ მიზეზით არ გავეგდებიყავი სასწავლებლიდან! თუ ძმების ნასამართლეობა არა, – თავისუფლად მიმიღებდნენ სამსახურში და წარმატებაც მექნებოდა.

როდესაც სწავლა დავინწყეთ, მე ჩავირიცხე საღამოს განოფილებაზე, დეკანის მოადგილემ, რომელიც ისტორიის გამოცდაზე მესწრებოდა და წარმოდგენა ჰქონდა ჩემზე, ამირჩია პირველი კურსის სტუდენტური საბჭოს თავჯდომარედ. ჩემს გარდა კავკასიელი იმ წელს არავინ ჩარიცხულა მაგადანის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტში, მე უბრალოდ მწყალობდა ჩემი რუსიფიცირებული გვარი.

შეგებულებიდან დაბრუნებულმა დეკანმა, გვარად ვოდია-

ნიკოვმა, თავის პირველსავე ლექციაზე, როგორც კი ამოიკითხა ჩემი გვარი, – „კოჩაროვ“, – ამაყენა ფეხზე და სახალხოდ მეკითხება, „თქვენ რუსული არ იცით, როგორ მოხვდით ინსტიტუტში, მე თქვენ ხელახლა უნდა მოგიწყოთ მისაღები გამოცდები“?! მერე მკითხა, ვიცნობდი თუ არა და იყო თუ არა ჩემი ნათესავი საქვეყნოდ ცნობილ იურისტი, ჟურნალ „საგამოძიებო პრაქტიკის“ მთავარი რედაქტორი, გენერალი გიორგი ქოჩაროვი, რაზედაც განუცხადე, რომ ვიცი, რომ არის ასეთი, მაგრამ მასთან არანაირი ნათესაური კავშირი არ გამაჩნია. რომლის შემდგაგაც განმიცხადა, „რომ იცოდე იგი ცოცხალი აღარ არის, გარდაიცვალა და მისით ძალიანაც არ „იბლატაო“ აქ“! გეგონება მანამდე, მე იქ ქვეყანას ვანგრევდი! რა ვუპასუხე აღარც კი მახსოვს, ალბათ რაღაცას ვეტყოდი, მაგრამ ფაქტია, რომ „მომავალი გამოცდების“ მოლოდინში მას შემდეგ მთლა განადგურებული ფსიქიკით, სტრესულ მდგომარეობაში დავიარებოდი. ვოდინიკოვმა ფაქტობრივად თავისი შოვინისტური გამოხტომით ჩემში სიცოცხლე ჩაკლა! მას შემდეგ, მაგადანში ჩემი ერთი წლის ყოფნის განმავლობაში, „ძირს ჭიანჭველას არ ვაბიჯებდი ფეხს“ და წესიერადაც არ შემიხედავს ხალხისთვის თვალებში, რათა ვინმე არ ამშარებიყო, და მათი მიზეზით არ დამეკარგა ინსტიტუტი!

ქალაქის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, მშვენიერი ქალბატონი, ჩემთვის გიჟდებოდა და ვოდინიკოვისაგან შეშინებული მისთვის არ გამომიჩენია თანაგრძნობა, ვაითუ საქმე არა სასურველი სცენარით განვითარდეს და ამით საქმეს ვავნო-თქო. სწავლა დავაყენე ყველაფერზე მალლა.

მოგვიანებით, ჩემმა თანაკურსელმა სოსეპატროვა ნადეჟდამ, გახდა რა შსს აკადემიის პროფესორი, გამანდო მთავრობის საიდუმლო, დავალებული ჰქონდათ არ მიიღოთ ამიერკავკასიელები იურიდიულ და სამედიცინო ინსტიტუტებში. მე კი გამოდის, რომ გავარლვიე მათი ეს ბადე, მაგადანში, სადაც 2000 – მდე სტუდენტი იყო, ჩემს გარდა არავინ იყო ქართველი,

სომეხი, ანდა აზერბაიჯანელი! ასევე იყო გორკის ფაკულტეტზეც, სადაც მომდევნო წელს გადავედი სასწავლებლად!

მოკლეთ, ვოდინიკოვს ჩემთვის მეორე გამოცდები არ მოუწყვია, მაგრამ, როგორც ჩანს, მან ჩემი მოცილება დაავალა თავის მოადგილეს. ალბათ როგორც მიიღე, ისე გააგდეთ და მანაც, რომელიც ყველაზე რთულ საგანს, – „სახელმწიფოსა და სამართლის თეორიას“ გვასწავლიდა, სავარაუდოდ ამ მიზეზით სამჯერ „ნეუდ“ – ით დამიბრუნა 70 გვერდზე შესრულებული საკურსო სამუშაო, – რომ მიმეტოვებინა სწავლა, – „სახალხო ენით“ არა გაქვს ნაწერიო. საიდან მექნებოდა „სახალხო ენა“, როდესაც მე თვითონ არა რუსი ვიყავი. და ბოლოს, როდესაც იგი დავიცავი, და კიდევ ერთხელ დავანახე მას ჩემი ცოდნა, გაეხარდა და განცვიფრებულმა მითხრა, „კიდევ კარგი დაცვაზე დაგიშვიო“, და დამინერა „ფრიადი!“ ასე დავრჩი სასწავლო წლის ბოლომდე მაგადანში.

ინსტიტუტში სიარულის დროს გამეცნო ერთი ზესტაფონელი, გვარად ჩიკვაიძე, ტაქსისტად მუშაობდა, მასაც სურდა ინსტიტუტში მონყობა, თუმცა თავში არაფერი ეყარა. ხანდახან ჩამისვამდა ხოლმე მანქანაში და მაკატავებდა. ერთ-ერთი ასეთი „კატაობის“ დროს არც კი მომერიდა, პორტში ჩაისვა მთვრალი მეზღვაური, გაიყვანა სადღაც ქალაქ გარეთ და იქ ჩემს თვალწინ, მოურიდებლად დაუწყო ჯიბეების ჩხრეკა. მერე გამოიყვანა ქალაქში და ჩამოაგდო სადღაც ქუჩაში. ცხადია, სხვა დროსაც იგი ანალოგიურ საქციელს ჩაიდენდა, მოდი და ახლა მიიღე ასეთი იურიდიულ ფაკულტეტზე?! აქედან გამომდინარე, გამოდის, რომ რუსები გვექცეოდნენ სწორად. იმ ფაქტის შემდეგ მე მას ახლოს აღარ გავკარებივარ!

წინა კურსებზე სწავლობდნენ ოსები, – გვარად კელეხსაევი და სანაკოევი, – შესანიშნავი ახალგაზრდები იყვნენ, რატომ არ ვამბობ მათზე აუგს? ორივე მილიციაში მუშაობდა და არაჩვეულებრივი ელეგანტურობით გამოირჩეოდნენ!

მაგადანი საოცარი ქალაქი იყო, ევროპულათ მდიდა-

რი, მაგრამ ბუნებით – ცივი და ამავე დროს – დაუნდობელი, მოსახლეობა თავის გატანასა და გადარჩენაზე იყო გადასული. მუდმივ ქროდა ქარი, სითბო იშვიათად ადიოდა 10 გრადუს ზემოთ. მუდმივი მყინვარების ზონა, საძირკვლებს ცხელი ორთქლის ქავლით გათბობის შემდეგ ქრიდნენ. ზღვის დონე 12 მეტრით ცვალებადობას განიცდიდა დღეღამეში. ქალაქს ორი სასჯელალსრულების დანესებულება ამარაგებდა „ბომჟებით“, რომელთა დიდი არმიაც დაძრწოდა ქალაქში და ლამეებს საკანალიზაციო ჭებში ათენდნენ. ამ მხრივ ბევრის დანერა შეიძლება, მაგრამ ეს ჩვენს ამოცანებში არ შედის. მარტო კაცისთვის იქ ცხოვრება ძნელი იყო, უნდა გეცხოვრა არა ნაკლებ ორს, სხვანაირად ვერ გადარჩებოდი, მით უფრო ოჯახის გარეშე.

მოხუცი სომეხი, რომელთანაც შემასახლეს, ერთ მშვენიერ დღეს, სავარაუდოდ ჩვენსავე უფროსის დავალებით, ჩვენმავე თანამშრომელმა, – პოსტიდან დაბრუნებისას ნაჯახით მოკლა, რომელსაც თან ყოველთვის დაატარებდა. შემდეგ დანვა და ნამწვი ოხოტის ზღვის ყინულებში ჩაყარა, საიდანაც ვერანაირ მტკიცებულებას უკვე ველარ ამოიღებდნენ.

იგი რომ დანვეს და ფერფლი ზღვაში ჩაყარეს, ამის დასადასტურებლად ბილიკიდან გვამის ზღვისკენ პალატკით გადართევის კვალი და ადგილზე აღმოჩენილი ჩემს მიერ ნაჩუქარი ქამრის ნარჩენი ნამწვი მონმოზდა. ეს ფაქტი არავის გამოუძიებია, რადგან იგი მარტოხელა იყო და არც არავის მიუკითხებია სამართალდამცავი ორგანოებისათვის.

როგორც კი ჩავაბარე მეორე სემესტრის გამოცდები და ავიღე ყველა საბუთები გორკის ფაკულტეტში გადასასვლელად, შევედი ვოდიანიკოვთან გამოსამშვიდებლად, და ყველაფერი უთხარი, რაც კი რამ გულზე მენვა შოვინიზმიდან გამომდინარე, „ნუთუ აქ, ამ დედამიწის დასალიერშიც კი უნდა მიჭირდეს მეთქი ცხოვრებაში ადგილის პოვნა. თქვენმა მუქარამ, რომ მომიწყობდით „განმეორებითი გამოცდებს“, მთელი წელი მკვდრად მატარა, იქ ქართველებს არ უნდივარ, რადგან

სომეხი ვარ, სომხებს არ ვჭირდები, რამეთუ არ ვიცი სომხური, მოვედი უმფროს ძმა რუსთან და თქვენც ეჭვის თვალით მიყურებთ, მითხარით სად არის-მეთქი ჩემნაირების ადგილი ამ მზიან ქვეყანაზე“ ?!

ვოდიანიკოვმა სათვალეები მოიხსნა და გაკვირვებით შემომხედა, ცოტა ხანს მიყურა ასე უსიტყვოდ, მერე დამინერა თავისი ტელეფონის ნომერი ქალაქდზე, მომანოდა და მითხრა, „თუ რაიმე შეფერხება გექნება გადასვლასთან დაკავშირებით შემეხმინანე, და დაგეხმარები, თუმცა ადგილზევე თუ მიმართავ ხელმძღვანელებს ჩემი სახელით, ისინიც მოგვიგვარებენ პრობლემებსო“. ასე დავშორდით ერთმანეთს მე და ვოდიანიკოვი, რომელმაც მთელი წელიწადი სტრესში მამყოფა!

5. გორკში

ქალაქი გორკი, ამჟამინდელი ნიჟნი-ნოვგოროდი მდებარეობს მდინარეების ოკისა და ვოლგის შესართავთან, მისი მოსახლეობა ორ მილიონს აღემატება და ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილეს სამეცნიერო და სამრეწველო ცენტრს წარმოადგენს.

ჩვენი ფაკულტეტი მდებარეობდა მინინის მოედანზე, კრემლის წინ არსებულ პედაგოგიური ინსტიტუტის მეორე და მესამე სართულებზე განთავსებული. ეს ადგილი ითვლებოდა ქალაქის ყველაზე ულამაზეს ადგილად, რასაც ვერ შეედრებოდა მაგადანის სასწავლო – საკონსულტაციო პუნქტის ადგილმდებარეობა.

ჩავირიცხე მეორე კურსის საღამოს განყოფილებაზე და თან მუშაობა დავინყე იქვე გვერდით არსებულ ქალაქის უმსხვილეს უნივერსამში ექსპედიტორად. აქაც კვლავ ძმების ნასამართლეობის გამო არ მივაკითხე სამსახურისათვის მილიციის ორგანოებს. საცხოვრებლად კი დაუფიქრებლად აღმოვჩნდი ვილაც უვარგის ადამიანებთან, რომლებმაც ჩემი საქართველოში წამოსვლით ისარგებლეს რა, ჩემი ტანსაცმლი

ჩააბარეს ლომბარდში და აღებული თანხით წავიდნენ ზღვაზე დასასვენებლად. აღნიშნულის გამო, ვიდრე არ გამოისყიდეს ტანსაცმელი, მათ კი იგი გამოისყიდეს შემოდგომის დამლევს, – მიწვედა ნახევრად შიშველს სიარული.

ტანსაცმელის დაბრუნებისთანავე გადავედი სხვაგან საცხოვრებლად, კერძოდ, მაქსიმ გორკის სახლ-მუზეუმის მახლობლად, რაც ჩვენს ინსტიტუტთან ბევრად ახლოს იყო, ვიდრე პირველი ნაქირავები.

ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა უმეტესობა იყო ებრაელები, რომლებმაც დამინახეს რა „ქართველი“, გაუკვირდათ და დამინყეს გამოკითხვა, – საიდან, როგორ, ავღმორჩინდი ინსტიტუტში, რამეთუ „შაგების“ მიღება აკრძალული იყო. სურდათ გაეგოთ ვინ იდგა ჩემს ზურგს უკან, რამე თუ აინტერესებდათ ჩემი სუსტი და ძლიერი მხარეები. აქაც ჩემს გარდა არავინ სწავლობდა ჩვენს ფაკულტეტზე ამიერკავკასიელ ქართველ, სომეხთა თუ აზერბაიჯანელთაგან, თუ არ ჩავთვლით იქაურ ორ აბორიგენ სომეხს. როგორც შემდგომ გაირკვა აქ სტუდენტთა უმეტესობა ფულით იყო მოწყობილი.

ერთ-ერთმა ებრაელმა ლექტორმა, გვარად ვიშნეპოლსკიმ, რომელიც გვასწავლიდა, ლოგიკა-ფილოსოფიას, რაშიც არც თუ ვიყავი სუსტი, დამინახა რა, რომ არავინა მყავდა მფარველი „მომიქცია პრჭყალებში“ და შემომენერა, სამსულიანი ოჯახით ჩემს ხარჯზე, ორი თვის განმავლობაში დაისვენა შავ ზღვაზე. ამ დროს ჩემს ოჯახს უჭირდა ჩემი შენახვა და მისი აკიდება მეტის-მეტი იყო.

მე, მას „დავეყვი“ იმ მიზეზთა გამო, რომ მეშინოდა არ დაეპირისპინებინა ჩემთვის სხვა ვინმე, კერძოდ გერმანული ენის ლექტორი, რომელშიც საკმაოდ სუსტი ვიყავი. ამ დროს გერმანულის ლექტორი, შინაბერა ქალბატონი ლუდმილა იერანცოვა, – შესანიშნავი ადამიანი აღმოჩნდა. ეტყობა შეიგრძნო მან ჩემი „სისუსტე“ და მთელი წლის განმავლობაში ერთხელაც კი არ გამოუკითხავს ჩემთვის, გამოცდებიც ჩემი გულისთვის ერთი-

ერთზე მიიღო, და ჩემი უცოდინარობა არ დაანახა სხვას, და თანაც ყოველივე ეს უანგაროდ!

ვფიქრობ, მისი ჩემდამი ასეთი დამოკიდებულება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ პირველსავე ლექციაზე, რაც გვეკონდა და სკკპ ისტორიაში, ლექტორმა სიომინმა, გვერდზე გადალაპარაკების გამო, კურსზე ყველაზე ლამაზ გოგონას გავეცი შეკითხვაზე პასუხი, ამაყენა ფეხზე და მკითხა, თუ როგორ მესმოდა „პროლეტარიატის დიქტატურა“? ამ თემაზე გვიტარებდა ლექციას. მეც, თქვენ გეტყვით ვერ გავცემდი პასუხს თუ, ამ თემაზე სამჯერ მქონდა 70 გვერდიანი საკურსო სამუშაოს დაწერილი მაგადანში და საერთოდ ისტორიაში ვიყავი ძლიერი. ავდექი და სხაპა-სხუპით დავიწყე პასუხის გაცემა, ვპასუხობდი დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში, გამაჩერა ზარის დაირეკვის გამო და, შემაქო. იგი ჩვენი აუდიტორიიდან გასული შესულა მეზობელ აუდიტორიებში და იქ სტუდენტებისათვის უთქვამს, „თქვენ არ იცით როგორი სტუდენტი გადმოსულა ჩვენთან მეორე კურსზე, შედით და აუცილებლად გაიცანით!“ მართლაც იმავე შესვენებაზე ჩემთან აუდიტორიაში შემოვიდა 5-6 სტუდენტი და გამეცნენ, მითხრეს, რომ სიომინმა ურჩია მათ ჩემი გაცნობა.

არ გამოვრიცხავ, რომ იმავე სიომინს ჩემზე ელაპარაკა დადებითი დეკანატშიც, რაც შეიძლება გაეგო იერანცოვს. საერთოდ, მისვლიდან ფაკულტეტში დავიმკვიდრე დადებითი სახელი, ყველა მეპყრობოდა კეთილად, მოგვიანებით კი ინსტიტუტის, „გუსნიცა“ (წამყვანი) შემარქვეს.

ჩემს სახელს მიეღნია კომკავშირის რაიკომშიც და მის მესამე მდივანს, ახალგაზრდა ქალბატონს მოესურვა ჩემი გაცნობა. ერთხელაც იგი მენწვია თავის დაქალებთან ერთად სამსახურში, რა დროსაც ზემოდან მეცვა მუშის შავი ხალათი და იუკადრისა ხელის ჩამორთმევა, სამმეტროში მდგომი მომესალმა სიტყვიერად. მალევეც დამპატიყეს მისი ერთ-ერთი დაქალის დაბადების დღეზე, სადაც ბევრი მაღალი წრის წარმომადგენელი იყო,

მათ შორის ლექტორი სიომინიცი. ერთ საათში, წვეულთაგან ჩემსა და იმ კომკავშირის მდივნის გარდა, ყველა დაითვრა და ვინ რას აკეთებდა, – წარმოდგენა არ ჰქონდათ. მალევე გამოვედი და დავაპირე სახლში წასვლა, ამ დროს ის მდივანი გოგოც გამოვიდა და მთხოვა სახლამდე გაცილებლა. მეც დავიჭირე ტაქსი და მივიყვანე თავის სახლთან, მთხოვა შეეყოლოდი, მაგრამ არ შეეყვები, „მე ის ბიჭი ვარ მეთქი, რომელთანაც იუკადრისეთ ხელის ჩამორთმევა“, დავემშვიდობე, უსურვე მშვიდობიანი ღამე და წამოვედი სახლში. ცხადია, მას არ მოეწონა ჩემი საქციელი, რისდა მიუხედავად მას ჩემთვის არანაირი ცუდი არ გაუკეთებია.

ასეთ ვითარებაში, როდესაც ყველა პატივისცემით მეპყრობოდა ვიშნეპოლსკი მაინც აგრძელებდა ჩემზე „ძალადობრივ მოქმედებას“, მაშანტაჟებდა. მისგან თავის დაღწევის მიზნით, რომ შეეტყო, რომ მასზე ბოლოს და ბოლოს არანაირად არ ვიყავი დამოკიდებული, და რომ თავი დაენებებინა ჩემთვის, უკვე მესამე კურსზე გავაკეთე სერიოზული მოხსენება ფილოსოფიაში, „ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სინქრონული განვითარების შესახებ“, რამაც დიდად იმოქმედა მასზე, და აღნიშნულის გამო მანვე დააყენა შუამდგომლობა საკავშირო იურიდიული ინსტიტუტის რექტორის წინაშე, მოსკოვში, – ჩემი წახალისების თაობაზე. საპასუხოდ ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა ანდრეევმა კი წერილობით გამომიცხადა მადლობა სამეცნიერო წრეებში აქტიური მუშაობისათვის, რაც გორკის ფაკულტეტის დერეფანში, საპატიო დაფაზე, ორი წლის განმავლობაში ეკიდა, სტუდენტებმა ამის გამო შემარქვეს ინსტიტუტის „გუსნიცა“, – ანუ წამყვანი!

მას შემდეგ ვიშნეპოლსკი დამიმეგობრდა და მოეშვა ყოველგვარ ხრიკებს, არადა ლექციაზე მოვიდოდა ხოლმე ჩემთან და ყურში ორაზროვან სიტყვებს ჩამჩურჩულებდა, მიყვარდა აუდიტორიაში განმარტოებით კუთხეში ჯდომა და ამაში მას ხელს არაფერი უშლიდა. მან თავისი ქმედებებით მთლიანად

დამანახა ებრაული სული!

კარგ მოგონებებთან ერთად არ შემძლია არ მოვიგონო ცუდიც. კერძოდ, პირველ სემესტრის ბოლოს დეკანატმა მოანყო საახალწლო ზეიმი, რომელზეც მეც ვიყავი მიწვეული. ჩემს გარდა იქ არავინ არ იყო არა რუსი. როგორც კი დამინახა იქ მყოფმა ავტოქარხნიდან მოწვეულმა ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა სამოქალაქო სამართლის ლექტორმა, რომლის გვარიც აღარ მახსოვს, მომიახლოვდა და უშვერი სიტყვებით მომმართა, „რას აკეთებ აქ შე „ჩორნა ჟოპა-ო“? და თან მოინია ჩემზე! თუცმა, იგი მალევე მომაშორეს სხვა ლექტორებმა და შენიშვნებიც მისცეს.

ამას გარდა კიდევ ერთი უსიამოვნო ფაქტი შემემთხვა. ვმგზავრობდი ავტობუსით და ადგილი დაუთმე ერთ მოხუც კაცს, უთხარი, „გეთაყვა დაბრძანდით“. როდესაც მიხვდა, რომ „ქართველი“ ვიყავი, სახალხოდ ამიშარდა, „რა არის, მოდიხართ აქ ეს ქართველები და ჩვენს ქალებთან გულაობთ, სამშობლო არა გაქვთ, წადით და რაც გინდათ ის ქენით თქვენს ქვეყანაშიო“! ვიყავი მარტო, ისე უხერხულად ვიგრძენი თავი, რომ ვადაზე აღრე ჩამოვედი ავტობუსიდან და გავყევი სხვა ავტობუსს.

ხშირად, აქცენტის გამო, რომ არ შეეცყოთ თუ ვინ ვიყავი, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში საუბრისაგან თავს ვიკავებდი, არა და რუსები უცხოელთა გამოჩენას თავიანთ წრეში ცუდად აღიქვამდნენ.

ერთხელაც სახლში დაბრუნებულმა ყოველივე ხსენებულის თაობაზე მოუყევი ჩემს ხანდაზმულ ხაზეიკას, რაზედაც მან მთელი სერიოზულობით განმიცხადა, „ალექსანდრე ნუ მიაქცევ ყურადღებას მსგავს გამობტომებს, გემაყებოდეს შენი აქცენტის, ჩვენ რუსებს ჯერ კიდევ ბევრი გვაკლია თქვენამდე რომ მოვიდეთ“, ასე დამამშვიდა იმ ცხოვრებულმა!

მესამე კურსზე გადასვლის შემდეგ მუშაობა დავინყე აეროპორტის გასამხედროებულ დაცვაში. ერთ წელშივე იქვე მიმიღეს სკკპ წევრობის კანდიდატად, რა დროსაც ბიუროს სხდო-

მას ესწრებოდა სკკ კპ ცკ-ს წევრი, ავტოქარხნის დირექტორი კისელევი.

მეოთხე კურსის დასრულების შემდეგ სალამოდან გადავედი დაუსწრებელ განყოფილებაზე და სანარმოო პრაქტიკის გასავლელად, – ბოლნისის პროკურატურასა და დმანისის სასამართლოში, – საქართველოში ჩამოვედი.

ბოლნისის პროკურატურის გამომძიებელმა ბარათოვმა მაშვე მითხრა, რომ თავის საქმეებში არ ჩამახედავდა, მაგრამ ხელს მომიწერდა ნებისმიერ დახასიათებაზე ინსტიტუტში წარსადგენად, რაც შეასრულა. ასე რომ რეალურად იქ პრაქტიკა არ გამივლია. დმანისის სასამართლოშიც იგივე მოხდა, წარმოებაში არსებულ საქმეებში არ ჩამახედეს, ვესწრებოდი სხდომებს და არქივში დაცული საქმეების მიხედვით შევადგინე ინსტიტუტში წარსადგენი მასალები.

მთელი სადიპლომო სამუშაო ავაგე ლეგენდებზე, რაც პრწყინვალედ დავიცვი, შემდეგ კი მუშაობა დავინყე მადნეულის სამთო გამამდიდრებელ კომბინატში უფროს იურიტკონსულტად.

ერთ წელშიც ჩავაბარე გამოსაშვები გამოცდები ინსტიტუტში და მივიღე ესოდენ ჩემთვის საოცნებო და სანატრელი იურისტის დიპლომი, „სასამართლო, საპროკურორო და საგამომძიებო სპეციალიზაციით“, რისთვისაც გადავიკარგე რუსეთში და ვიტანე არაერთი დამცირება და გასაჭირი! მეგონა, თითქოსდა ამიერიდან ჩემი ცხოვრება წარიმართებოდა ერთობ უკეთესად, მაგრამ, რა ვიცოდი უბედურმა, რომ ნამდვილი ტანჯვა ამის შემდეგ მენყობოდა!

უმალლესის დამთავრების შემდეგ რაც შეიცვალა ჩემს ცხოვრებაში, ეს იყო ნაცნობ ადამიანთა დამოკიდებულება, სულ სხვა თვალთ დამინყეს ყურება, ჩემში დაინახეს ძლიერი სული, რამეთუ ობლად გაზრდილი გლეხის შვილმა, რომელსაც სოფლის სკოლა მქონდა დამთავრებული ქართულ ენაზე, ყოველგვარი დახმარების გარეშე რუსეთში მოვენყე და დავამ-

თავრე უმაღლესი იურიდიული სასწავლებელი, რომლის მსგავსი განათლებაც ცოტა ვინმეს თუ ჰქონდა რაიონში, ჩვენს თემში კი მხოლოდ ერთ ადამიანს, – ჟორა მარქაროვს გააჩნდა ასეთი განათლება მიღებული.

დიპლომის ალების შემდეგ მთლიანად გადავერთე სამუშაოზე!

6. მადნეულის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში

მადნეულის კომბინატში მუშაობა დავიწყე 1975 წ-ის 31 ივნისს. იგი იყო განვითარებადი და უშვებდა ბარიტს, სპილენძს და ბროლის ნაწარმს. მასში დასაქმებული იყო სამი ათასზე მეტი ადამიანი. ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი წარმოადგენდა ქვეყნის სხვადა სხვა კუთხეებიდან ჩამოსულ მოქალაქეებს, მუშებს კი, – ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა იყო.

იმ თავითვე ამირჩიეს კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილედ, პროფკომიტეტის, პარტკომისა და ამხანაგური სასამართლოს წევრად. ხოლო, როდესაც პარტიის წევრად მიმიღეს, – სამმართველოს პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილედაც ამირჩიეს. მოკლეთ, გარდა იურიდიული საქმიანობისა, კომბინატში ვენეოდი ფართო საზოგადოებრივ საქმიანობას. თუმცა, როგორც მივხვდი, ხალხში „საპატიო“ ადგილი რომ დამემკვიდრა, ეს არ იყო საკმარისი, ამისათვის საჭირო იყო ხელთ მქონოდა ძალაუფლებრივი ბერკეტები ან/ და მატერიალური ფასეულობის განკარგვის უფლება, რაც არ გამაჩნდა, და გამოვიყურებოდი ჩვეულებრივ კლერკად. ასეთებს კი ხალხი არც თუ ძალიან აფასებდა.

ირგვლივ იყო მექრთამეობა და კორუფცია განვითარებული, წარმოება კი დანაშაულებრივი საქმიანობის პლატფორმად გამოიყურებოდა!

ამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მტკიცებულებად შემიძლია დავასახელო შემდეგი: კომბინატში მუშაობის დაწყები-

დან არც თუ ძალიან მოგვიანებით, პარტიისა და მთავრობის დადგენილებით, რა თქმა უნდა არა საკავშირო ფერადი მეტალურგიის სამინისტროს გარეშე, ვითომდა საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, კომბინატში მომუშავე ყველა მუშა-მოსამსახურე დააჯილდოვეს ფულადი პრემიებით, ხოლო დირექტორი-ირაკლი გოგიტიძე და ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი გიორგაძე, – პრემიებთან ერთად – ლენინის ორდენებით (ეს გიორგაძე იყო იმ გიორგაძის შვილი, რომელიც იმ ხანად სსრკ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად მუშაობდა).

მას შემდეგ მალევეც, რაიკომის მდივანი გიორგაძე გადაიყვანეს მოსკოვში საქართველოს სავაჭრო წარმომადგენლობის ხელმძღვანელად, ხოლო მის ადგილზე მდივნად დანიშნეს ირაკლი გოგიტიძე.

ბოლნისში გადასვლის შემდეგ ირაკლი გოგიტიძემ კომბინატის დირექტორის მოადგილედ, საერთო საკითხებში (კონტროლის განსახორციელებლად), რომლის შტატიც მანამდე არ იყო, გადმოიყვანა თავისი ბიძა, ქუთაისის გაერთიანება „გრუზნერუდის“ გენერალური დირექტორი იოსებ გოგიტიძე, რომელიც კარგი კაცი იყო, დირექტორად კი დაანინაურეს კომბინატის მთავარი ინჟინერი, – ვახტანგ მახარაძე.

როდესაც ამ საწარმოო „წარმატების“ ეიფორიამ ჩაიარა, მას შემდეგ 2-3 თვეში, მე როგორც ამ კომბინატის იურიდიული სამსახური უფროსს, გამომიძახეს კომბინატის სპეცნაწილში და სარკმელიდან მთხოვეს, იქვე რაღაც საბუთებზე მომწერა ხელი, ისე რომ მათი წესიერად გაცნობის საშუალება არ მომცა, რის გამოც განუცხადე უარი! თუმცა მითხრეს, რომ აღნიშნული საბუთების დეტალურად გაცნობა შემდეგ მინისტრთა კაბინეტთან არსებულ არბიტრაჟჟში.

მეორე დღეს გავეცანი არბიტრაჟჟში საბუთებს და ვნახე, რომ იგი იყო „გრუზნერუდის“ მიერ შემოტანილი სარჩელი, რომლითაც იგი ითხოვდა უკან მილიონობით, ვითომდა შეც-

დომით გადმორიცხული თანხების დაბრუნებას. თუმცა ეს თანხები იყო განზრახ, უსაქონლო ოპერაციისათვის გადმორიცხული, ვითომც კომბინატმა „გრუნერუდს“ მიაწოდა N რაოდენობის ბარიტი. ასე იყო შექმნილი გეგმის გადაჭარბებით შესრულების ფაქტი.

ქუთაისმა ეს თანხები უკან წაიღო, ვითომც არაფერი, ფაქტობრივად კი საქმე გვექონდა ორგანიზებულ დანაშაულთან, ყალბ მინერებთან, რომელთა შედეგად მნიშვნელოვნად დაზარალდა სახელმწიფო, განმკითხავი კი არავინ ყავდათ, რამეთუ თვით სახელმწიფო იყო დანაშაულებრივი პოლიტიკის მატარებელი! კომბინატზე იყო მომაგრებული კგბ-ს ინსპექტორი, რომელსაც ექვემდებარებოდა სპეცნაწილი და ვერ გაიგო რა ხდებოდა, რომ ეცნობებინა ზემოთ?!

აღნიშნული ფინანსური ოპერაცია საზოგადოებისათვის დარჩა უცნობი.

არბიტრაჟის მიერ ხსენებული საქმის განხილვის შემდეგ, რალაც საკითხთან დაკავშირეთ კომბინატის მთავარ ბუხგალტერს, ბ-ნ ტროეგუბოვს ვთხოვე გადმოეცა ჩემთვის ინფრა სტრუქტურული ობიექტების ექსპლოატაციაში მიღება-ჩაბარების რალაც აქტები. ამასთან დაკავშირებით მან წარმომიდგინა მთელი აქტების შეკვრა, ას ცალამდე მაინც და ყველა მათგანს მოხეული ჰქონდა მიმღები კომისიის ხელმოწერები. როცა ვკითხე, „თუ რა არის ეს?“ მან მიპასუხა, – „მოსკოვში წასვლამდე (რალაცაზე გამოეცახათ) დირექტორმა მახარაძემ აღნიშნულ აქტებს თავისი ხელით მოახია მიმღებთა ხელმოწერები, რომელთა შორის მისიც იყო.

ხსენებული აქტების საფუძველზე უამრავი თანხა იყო დანაშაულებრივად გაცემული, მასალა ჩამოწერილი, ხელფასები გაცემული, მაგრამ არავინ დასჯილა. მოსკოვში გამოცახილი მახარაძე კი დირექტორად აღარ დაგვბრუნებია, სად განამწესეს, ჩვენთვის უცნობია. მის მაგივრად კი დირექტორად დაგვინიშნეს გარუსებული მეგრელი, – აბესალომ ჭანტუ-

რია, რომელიც მანამდე მუშაობდა უკრაინაში, ქ. ნიკიტოვკის ქიმიური კომბინატის დირექტორად.

სამინისტროს სისტემაში იგი სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით და საქართველოს ხელმძღვანელობას არაფრად მიიჩნევდა. მან განაახლა ავტო პარკი, მოკლე დროში შემოიყვანა ასზე მეტი მძიმე ნონიანი „ბელაზი“ და უამრავი რუსი სპეციალისტიც მოაყოლა, დაიწყო კაზრეთის გარუსება. რუს ჩინოვნიკებს კი ჩვენი ხალხი არაფრად მიაჩნდათ და ხელყოფდნენ მათ უფლებებს.

ადმინისტრაციული პერსონალის ცვლილებასთან ერთად ჩემი პიროვნულობა შეილახა, რამეთუ ყველა დირექტორი თავისი პირველი „წრით“ მოდიოდა და ადგილზე დამხვდურთ არც თუ ძალიანაც ენდობოდნენ. ყველა სამსახურს თავისთან ჰქონდა დაცული სამეურნეო ხელშეკრულებები, არ მახედავდნენ მათში და შეუძლებელი გახდა კომბინატის მაშტაბით იურიდიული საქმიანობის წარმართვა. ამან თანდითანობით გამოიწვია ჩემი გაუცხოება, რასაც ხელი შეუწყო იმ გარემოებასაც, რომ იმ ხანად რუსთავიდან ბოლნისის კომკავშირის რაიკომის მდივნად გადმოიყვანეს ჭეიშვილი, რომელმაც თავის მხრივ მომავალ კომკავშირის მდივნად კომბინატში ფარულად ჩანერგა მეტრა ნახევრის სიმალლის, ვინმე სურგულაძე. კომკავშირის მდივნობა კი მე მინდოდა და ვასრულებდი კიდევაც მის მოვალეობას, ახალგაზრდობა, მიჭერდა მხარს.

როდესაც სურგულაძის შესახებ შეიტყო ახალგაზრდებმა, უმაღლეს საბჭოს დეპუტატისა და კომკავშირის ცკ წევრის, ბ-ნ მერაბის თავკაცობით, რომლის გვარი აღარ მახსოვს, ადგილობრივი იყო, კომბინატის მონინავე ახალგაზრდების ჯგუფთან ერთად იგი ეწვია საქართველოს კომკავშირის ცკ მეორე მდივანს, ბატონ მენაბდეს და სთხოვეს კომბინატის კომკავშირის კომიტეტის მდივნად ჩემი დანიშვნა (არჩევნები იყო ფიქცია) და არა იმ სურგულაძის, რაზედაც ეთქვა უარი, „საკითხი უკვე გადაწყვეტილია“! დემოკრატიულობა იყო ფარსი. სურგულა-

ძე აქციეს მდინად, იქიდან კი მერე გადაიყვანეს რუსთავის ობეხეს უფროსად!

ჭანტურიას რუსეთიდან ჩამოყვანილი ყავდა ძველი ნაც-ნობი, გერმანელი ვინმე გუფელდი, შრომისა და ხელფასების განყოფილების გამგედ, და იურიდიულ საკითხებსაც მას უთანხმებდა. არ აქცევდა ყურადღებას იმ გარემოებას, რომ მე წელიწადში საშუალოდ შემომქონდა 2-3 მილიონი მანეთი მოგება. ერთხელ საქ. ტრანსპორტის სამინისტროს 14 მილიონი მანეთიც კი მოუგე, თუმცა მოსკოვმა დაუბრუნა უკან!

კომბინატში ჩემი მუშაობის ერთ-ერთ საინტერესო მომენტად მიმაჩნია შემდეგი: მთავარმა ინჟინერმა თენგიზ გელიაშვილმა გამიმხილა, რომ სურდა პასუხგებაში მიეცა ნავთობპროდუქტების საწყოების გამგე გივი სელიმაშვილი, რომელიც, გამოგიტყდებით და გეტყვით, ნარჩენ თუ ნაქურდალს რეალიზებას უკეთებდა ჩემი ძმის ლუდიკო ქოჩორაძის დახმარებით, იგი მუშაობდა ბენზინ მზიდზე, და დამავალა ჩამეტარებინა ნავთობპროდუქტების ბრუნვის რევიზია. დასკვნა მიკერძოებული რომ არ გამომსვლიყო გადავწყვიტე ობიექტურად გამოემერკვია ყველაფერი. დრო და დრო მამონმებდა კიდევაც ამ საქმეში ბოლნისის ობეხეს უფროსიც, ელოდებოდნენ საკბილოს. რევიზია გაგრძელდა დაახლოებით 2-3 თვე, და თქვენ წარმოიდგინეთ როდესაც მოვრჩი გადახარჯვასა თუ გაფლანგვაში დამნაშავედ თვით გელეიშვილი გამოვლინდა! როდესაც ამის შესახებ წარუდგინე მას აქტი სიბრაზისაგან რამის გადაირია. მას შემდეგ მან შეწყვიტა სელიმაშვილის დევნა, მილიციას კი „კევი ნაცარში ჩაუვარდა“.

ორ წელზე მეტი დროის განმავლობაში ვიმუშავე მადნეულის კომბინატში და მთელი ამ ხნის განმავლობაში, ზამთარი იყო, თუ ზაფხული, – 15 კმ-ის მანძილზე, დიდი დმანისიდან – კომბინატის სამმართველომდე, – ჩემით დავდიოდი, ხშირად ფეხით. მიუხედავად არა ერთ გზის თხოვნისა, მოეცათ ჩემთვის საერთო საცხოვრებელში ადგილი, ანდა ერთ ოთახიანი ბინა,

– რჩებოდა დაუკმაყოფილებელი, რამე თუ ბინებსა და საცხოვრებელშიც კი ადგილებს ყიდიდნენ, და ილებდნენ ქრთამს, რასაც ჩემთან ვერ გაბედავდნენ.

ყოველივე ამან ამიცრუა გული სამსახურზე, მით უფრო ძმების ნასამართლეობის მოტივით მეუბნებოდნენ უარს სამართალ დამცავ ორგანოებში მიღებაზე, პარტიული ხაზითაც გაქანება არ მომეცა და გადავწყვიტე კვლავ სამხედრო სამსახურში წასვლა, მით უფრო, რომ თადარიგის ოფიცერი ვიყავი, უმაღლესი განათლებით. ვიფიქრე, იქიდან ორწლის შემდეგ ადვილი იქნებოდა სამხედრო პროკურატურაში გამომძიებლად გადასვლა, რადგან აქ, ამ მხრივ არაფერი გამომდიოდა.

ამ მიზნით მივწერე ჯერ ჩემს ყოფილ სამხედრო მეტაურს გერმანიაში, მაგრამ მივიღე უარი, შემდეგ, – ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალს, რაც დამიკმაყოფილა და განმეორებით გამინვიეს ჯარში, ამჯერად ოფიცრად, 1977 წ-ის აპრილში ჩავირიცხე აზერბაიჯანის რესპუბლიკის, დაბა ლაკში განთავსებულ სამხედრო-სამშენებლო ნაწილში ას მეტაურის მოადგილედ პოლიტიკურ ნაწილში.

7. კვლავ სამხედრო სამსახურში

განვევამდე ორი კვირით ადრე მშობლებმა ამაიძულეს ცოლად მომეყვანა ჩვენ სოფლელ ადრე ხსენებულ ბადალ ოგანეზოვის ქალიშვილი, რომლის ხასიეთსა და ჩვევებს საერთოდ არ ვიცნობდი. იგი იყო ტექნიკური განათლებით, და ვიფიქრე ვასწავლი უმაღლისში და ჩემს ყაიდაზე გადმოვიყვანთქო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, სწავლაზე სიტყვის გაგონება სულაც არ სურდა, აღმოჩნდა ჩემთვის მიუღებელი ადამიანი და ხასიეთით კერპი, თავის ნათქვამა, რომელმაც მთელი ცხოვრება გამანაშა. მასზე კი ყურადღება შევაჩერე იმ მიზეზთ, რომ მრავალ რიცხოვან ოჯახში გაზრდილს, სადაც უმეტესობა მამაკაცები ყავდათ, და თანაც მბრძანებლური ხასიათის, იგიც კაცის გამგონი იქნებამეთქი.

უცოლოდ კი ჩვენებს ჩემი გაშვება ჯარში არ სურდათ, რათა იქ რუსის ქალი არ მომეყვანა ცოლად და თავად არ გავრუსებიყავი, რაც მათი აზრით დამაკარგვინებდა სამშობლოს. მათდამი მოსმენით კი თელი ცხოვრება გავიუბედურე.

სამხედრო სამსახური დავინწყე უმცროსი ლეიტენანტის ნოდებით, თუმცა მალევე მივიღე ლეიტენანტის ჩინიც, ოფიციალური სამსახურის გარდა ვასრულებდი ასევე ნანილის მომკვლევის მოვალეობას.

დაბა ლაკში, რომელიც შედიოდა კუტკაშენის რაიონში, განთავსებულ იყო ახლად ჩამოყალიბებული არა ერთი სამხედრო – სამშენებლო, სატრანსპორტო დანიშნულების ნანილი, რომლებიც მოწოდებული იყვნენ გადაეტანათ ლაკის რკინიგზის სადგურიდან მასალები კუტკაშენის მახლობლად, კავკასიის მთებში მშენებარე სტრატეგიული დანიშნულების მქონე იონესფერული სადგურის მშენებლობაზე, რომელიც გააკონტროლებდა დედამინის სამხრეთ ნახევარ სფეროს.

ჩვენი სამხედრო ნანილი იყო თვითმცლელების, ამიტომაც ჩვენ უნდა გვეზიდა ინერტული მასალა. მთლიანად ობიექტზე დასაქმებულ იყო 30 000 ჯარისკაცი, 3000 ავტომანქანით. ჩვენი სამხედრო ნანილი კი ითვლიდა 300 ავტომანქანას, სამ ასეულს – 750 ჯარისკაცით. უშუალოდ ჩვენს ასეულს კი ერიცხებოდა 250 ჯარისკაცი, 100 ავტომანქანით, პლიუს სამი ოფიცერი, – მეთაური და ორი მოადგილე, საერთო და პოლიტიკურ ნაწილებში.

ჯარისკაცთა შემადგენლობის 80% იყო შუააზიელები და ამიერ კავკასიელები, დანარჩენები იყვნენ სლავები, რომლებიც უმცროს მეთაურებად მსახურობდნენ და მუშაობდნენ შტაბში.

ყაზარმები იყო მოუწყობელი და მათი კონდიციამდე დაყვანა ჩვენ მოგვინია.

თვით დაბა ლაკი მდებარეობს მარილიან ადგილას და ამის გამო მის გარშემო ფაქტობრივად არანაირ სასოფლო-სამეურ-

ნეო საქმიანობას არ ეწეოდნენ. ზაფხულში, დღისით ისე ცხელოდა, რომ წყლის არხებში თევზები სიცხეს ვერ უძლებდნენ და შებნედილები გულალმა წყალს მიყვებოდნენ ხოლმე, ღამით კი, – საშინელი სიცივე იყო. დღე-ღამის ტემპერატურათა ცვალებადობა იყო მეტად მაღალი. ქინქლა-კოლო კი იმდენი იყო, რომ ციმბირი გეგონებოდათ.

მეთაურების გარდა მოადგილეებს გვიხდებოდა ყაზარმებში ცხოვრება, ორ-ორი თითო ოთახში, რადგან საცხოვრებელი ბინები ჯერ კიდევ არ იყო საკმარისი რაოდენობით აგებული. აღნიშნულის გამო მეუღლე არ წამოვიყვანე და მიხდებოდა ყოველი თვის ბოლოს სახლში სიარული, რის გამოც იგი თანდითანობით აუტანელი ხდებოდა.

ჩვენი ასეულის მეთაური იყო ლოთი, მის მეორე მოადგილეს კი საერთოდ არ სურდა სამხედროში სამსახური, ძალით იყო წამოყვანილი და ფაქტობრივად მე მიხდებოდა მთელი ამ ასეულის მართვა. დილით ხაზზე რომ გაუშვებდი 90-100 ავტომანქანას, საღამოთი 10-15-ს ვერ ვითვლიდი და მიხდებოდა მათი მოძიება და მოყვანა. ჩემი მუყაითი შრომის წყალობით მალევე გარნიზონის მოწინავეთა რიგებში აღმოვჩნდი.

აღნიშნულით ვისარგებლე რა იმავე 1977 წ-ის ივლისში, სამხედრო ნაწილის მეთაურს გამოვართვი შუამდგომლობა და გავემართე ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რუსულ სექტორზე ფილოსოფიაში სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, მაძიებლად რომ გავფორმებულეყავი, თუმცა საბუთები არ მიიღეს იმ მოტივით, რომ სომხური ენა არ ვიცოდი. ასპირანტურის უფროსმა, წარმოშობით ბოლნისის რაიონის, სოფ. ხაჩინიდან, მკითხა: „ვიცოდი თუ არა სომხური ენა?“ როდესაც უპასუხე, – „არა“, მაშინ განმიცხადა, „თქვენ აქ არაფერი გესაქმებათ!“ ეს მაშინ, როდესაც მე რუსულ სექტორზე ვაპირებდი ჩარიცხვას და სომხური ენის არ ცოდნა სულაც არ მიშლიდა ხელს, თვითონ კი კარგად უნდა სცოდნოდა დამანისელ სომეხთა მდგომარეობა და აქეთ უნდა დამხმარებოდა. ეროვნებით

ვინერებოდი, როგორც სომეხი, გვარად „ქოჩაროვი“, ვიყავი სკკპ წევრი, სამხედრო პირი, წარმატებული ოფიცერი, მისული მეთაურთა შუამდგომლობით, და ყოველივე ამისთვის უნდა გაენია ანგარიში, მაგრამ არა!

ასპირანტურის უფროსის პასუხი ძალაში დატოვა უნივერსიტეტის რექტორმაც! მათი საქციელი არ გავასაჩივრე, რამეთუ მონყობის შემთხვევაში, შურს მაინც იძიებდნენ. როგორც ჩანს იქაც კორუფციას ჰქონდა ადგილი. მათმა ასეთმა მოქმედებამ მძიმე კვალი დატოვა ჩემს ცნობიერებაში.

რა გაენყობოდა, დაღონებული დავბრუნდი სამხედრო ნაწილში, რა დროსაც სამხედრო ნაწილის მეთაურის მოადგილემ პოლიტიკურ ნაწილში, – განმიცხადა, რომ სურდათ 200 უარყოფითი ქცევის ყჯარისკაცისა და ორი ცუდი ოფიცრის ბაიკანურზე გაგზავნა, შემდეგი სამსახურის გასავლელად და მთხოვა კანდიდატები დამესახელა. მე მაშვე ვთხოვე ცუდ ოფიცერთა სიაში შევეყვანე მეც, ვიფიქრე, იქ ადვილი იქნებოდა პროკურატურაში გადასვლა. ამაზე მან მითხრა, „თქვენ რა გაგიჟდით ჩვენ გვსურს თქვენი ნაყვანა გარნიზონის სხვა საუკეთესო ოფიცრებთან ერთად მოსკოვში საკავშირო ფესტივალზე, რომელიც მომდევნო თვეში იქნება და თქვენ კი გაგვირბიხართ“!?

მოკლეთ მან გამიგო და კაზახიტანში გასაგზავნ პირთა სიაში ჩამრიცხა. რკინიგზის პლატფორმაზე, ვაგონებში ჩასხდომის წინ კი პარტბილეთის სააღრიცხვო ბარათში დანიშნულების ადგილად, ნაცვლად ბაიკანურისა, – დამიფიქსირეს სვერდლოვსკის ოლქის ქალაქი არტეომოვსკი, სადაც არსებულ რკინა – ბეტონის სამხედრო ქარხანაში უნდა გვემუშავა.

ერთი კვირის მგზავრობის შემდეგ აღმოვჩნდით ქალაქ არტეომოვსკში. დაგვაბინავეს რკინა-ბეტონის ქარხნის მომსახურე სამხედრო ნაწილის თავისუფალ ყაზარმაში, სადაც, ისე როგორც მგზავრობის პერიოდში, ახლად ფორმირებულ სამხედრო ნაწილში ადგილის დასამკვიდრებლად ჯარისკა-

ცებს შორის არა ერთი ჩხუბი მოხდა. ქვედანაყოფში სათანადო ატმოსფეროს შექმნის მიზნით დიდი შრომის გაღება მომიხდა.

ამ დროს სსრკ-ს შეარაღებული ძალები ახალი შესულები იყვნენ ავღანეთში და ამასთან დაკავშირებით ქარხანაში, ღია ცის ქვეშ, სასწრაფოდ მოგვანყობინეს რამდენიმე მოედანი რკინა-ბეტონის კონსტრუქციების დასამზადებლად. ყინვა იყო თუ დარი, ჯარისკაცებს უნდა შეესრულებინათ გეგმა. ჯარისკაცებად კი გვყვანდნენ ძირითადად შუა აზიელები და ამიერკავკასიელები, რუსები აქაც რამდენიმე იყო და ისიც მეთაურებად, როგორც ლაკში. სახეზე გვქონდა აშკარა დისკრიმინაცია. ჯარისკაცები მუშაობდნენ დილიდან სალამომდე და სალამოდან დილის რვა საათამდე, ორ სმენად. შრომა იყო მონური, თუმცა კვებით – კარგად კვებადნენ.

ყოველი დილის რვა საათზე ქარხნის დირექტორი, ქარხანაში მომუშავე ორ ასეულთა მეთაურების პოლიტნაწილში მოადგილეებთან ერთად, მაშასადამე ჩემი მონაწილეობით, შემოივლიდა ხოლმე ყველა უბანს, შეამოწმებდა გეგმის შესრულების მდგომარეობას და მერე მართავდა ოპერატიულ თათბირს, სადაც სხვა ხელმძღვანელი პირებიც ესწრებოდნენ. თათბირზე გამოვთქვამდით ჩვენ-ჩვენს შეხედულებებს. ჩვენი ნაწილი უშუალოდ ქარხნის დირექტორს არ ემორჩილებოდა, უბრალოდ ჩვენ მის დავალებებს ვასრულებდით. ამის გამო ვიყავი გაბედული და ხშირად ვსაყვედურობდი მას, რომ ჯარისკაცებს, გეგმის გადამეტებით შესრულების შემთხვევაშიც კი არასოდეს ეტყოდა თბილ სიტყვას, იყო უხეში, აღარ ვლაპარაკობ ნახალისებაზე. მას აშკარად ეტყობოდა, რომ სძულდა არა რუსი ჯარისკაცები, რასაც პირად შეურაცყობად ვღებულობდი! მე კი ჯარისკაცთა საკეთილდღეოდ არაფერს ვიშურებდი. ამის გამო ყველა ჯარისკაცს უყვარდი, ჰქონდათ ჩემი ხათრი და პატივისცემას იჩენდნენ. ამან განაპირობა ის, რომ ყოველ დღიური, თუ თვიურ გეგმებს ვასრულებდით გადაჭარბებით და მალევეც გარნიზონში სოციალისტურ შეჯიბრებაში

გამარჯვებისათვის გარდამავალი წითელი დროშა მოვიპოვეთ, მე კი სსრკ უმაღლეს საბჭოს დეპუტატების საარჩევნო ოლქის კომისიის თავჯდომარედ დამნიშნეს. ეს იყო 1978 წლის დასასრული!

წარმატებებთან დაკავშირებით ახალ წლის წინა დღეებში გამომიძახეს ურალის სამხედრო ოლქის სამხედრო-სამშენებლო ნაწილების სამმართველოში, რომელიც მდებარეობდა ქ. პერმის მახლობლად მდებარე გასაიდუმლოებულ ქალაქ ბერშეტში, რომელსაც ასევე პერმ-76 ეძახდნენ.

მათ იქ ამირჩიეს ურალის სამხედრო ოლქის პარტკონფერენციის დელეგატად, რათა მაღალი ტრიბუნიდან ამეხსნა კოლეგებისათვის წარმატების საიდუმლო, რაც მოიცავდა ოფიცერთა ჯარისკაცებისადმი ერთგულ დამოკიდებულებას! კონფერენცია უნდა გამართულიყო სვერდლოვსკში ახალ წლის მომდევნო დღეებში და წინასწარ შემამზადეს.

აქ მინდა ავლნიშნო ამ საიდუმლო ქალაქ ბერშეტის შესახებ, რომ სავარაუდოდ იგი იყო რამდენიმე კვარტალისაგან შემდგარი პატარა ქალაქი, რომელსაც გარშემორტყმული ჰქონდა არა ნაკლებ სამი მეტრის სიმაღლის ბეტონის კედელი, ზედ მავთულხლართებით. მის იქით კი ტყეში იმალებოდა სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო არმია. თვით ქალაქში სუფევდა იდეალური წესრიგი, ნასვამს ვერავის ნახავდი და მაღაზიებიც სავსე იყო ყოველგვარი საქონლით.

სამი დღის შემდეგ დავბრუნდი არტიომოვსკში მატარებლით. იქნებოდა ღამის ორი საათი. ჩვენი სამხედრო ნაწილის გადასახვევამდე გავყევი ავტობუსს. იქიდან კი კაზარმამდე, სადაც საცხოვრებლად მოცემული მქონდა ერთი ოთახი და მელოდა მეუღლე, ერთი წლის ქალიშვილთან ერთად, – კიდევ უნდა გამევლო დაახლოებით სამი კილომეტრი გზა. როდესაც ჩამოვედი ავტობუსიდან უცებ შემკრა სიცვიემ, ხელთ მქონდა ბარგი, ცოლისთვის ნაყიდი შუბა და საახალწლო ნობათი, და გამიჭირდა სწრაფად სიარული, მათი გადაყრა კი არ შემეძლო.

ჩემთან ერთად ავტობუსიდან ჩამოვიდა ახალგაზრდა ქალ-ვაჟი, მათ არანაირი ბარგი არ გააჩნდათ და სწრაფი ნაბიჯით გაუყვნენ გზას და გაუჩინარდნენ, მე კი მომიწია მარტოს სიარული. არ იყო არანაირი მოძრაობა, არც ადამიანისა და არც ტრანსპორტის, არავის იმედი არ უნდა მქონდა, თუ რაიმე პრობლემა წარმოემქმნებოდა და მეც მარტო გაუყევი გზას. გასავლელი გზის გასწვრივ არ იდგა არანაირი შენობა, რომ საჭიროების შემთხვევაში შევსულიყავი, იყო მხოლოდ გაუქმებული ქვანახშირის შახტებიდან ამოტანილი უზარმაზარი ფუჭე ქანების გორები. არ იყო განათებაც და გზას მხოლოდ მთვარის ცივი სხივები მინათებდნენ.

მივიწვედი წინ ნელ-ნელა და ცოტა ხანში ვნახე, რომ ქარი, რომელიც არც თუ ძალიან ძლიერი იყო, ძვალსა და რბილში მატანს, ხოლო ატმოსფერული წნევისგან ყურებში სამინელი ზარის ხმა მესმის. მიუხედავად ამისა ჩვეულებრივად მიუყვებოდი გზას. ჩაცმული ვიყავი მსუბუქად, თითქმის როგორც საქართველოში იცვამენ ხოლმე ზამთარში ოფიცრები ისე. სახის დასაცავად ყინულოვანი სუსხისგან პირზე შემოვიხვიე „შარფი“, რომელიც მალევე ორთქლისგან თითქმის ყინულის სალტად გადამექცა. სირბილით სიარულიც ვცადე, მაგრამ ჟანგბადის ჩასუნთქვას ვერ ვგრძნობდი და ისევ სიარულით ვარჩიე სვლა. სახე რომ არ გამყინიყო წრიული მოძრაობებით დავიწყე სიარული, თან დრო და დრო ვჩერდებოდი და ხელებს ხან ილღიების ქვეშ, და ხანაც ლაჯებში ვიტენიდი, რომ არ გამყინიყო, მეკეთა თხელი ხელთათმნები. ასე, ნვალებ-ნვალებით, წრიული მოძრაობებით, როგორც იქნა მივალწიე სამხედრო ნაწილის მიმდებარედ არსებულ გარეუბნის, ნახევრად მიწაში ჩაფლულ პირველ ბარაკებთან და გადარჩენის მიზნით, რომ სახლში შევეყვანე ვინმეს, – ერთ-ერთ მათგანს ფანჯარაზე დაუკაკუნე. მალევეც შიგნიდან მომესმა ხმა, „რომელი ხარ?“ რაზედაც უპასუხე, რომ „სამხედრო ნაწილის ოფიცერი, სიცვისგან ვიყინები და გთხოვთ შემიშვათ სახლში

ცოტა ხნით გავთბე“. როგორც კი გაიგეს ჩემი ქართული აქცენტით ხმა, – იგი მეტი აღარ გამომპასუხებია. მცირე ლოდინის შემდეგ მივადექი ახლა მეორე ბარაკს და იგივე გავიმეორე. აქ საერთოდ არავინ გამომეხმაურა. ვიფიქრე, ტყუილად ვკარგავ მეთქი დროს და კვლავ წვალეზ-წვალეზით გაუყევი გზას, კიდევ მქონდა გასავლელი დაახლოებით 700 მეტრა და თანაც შემაღლებული, ბორცვიანი ადგილი, – რომლის გადალახვისას ქარი პირდაპირ შუბლში მიტევდა და არ ვიცოდი მივალწევდი თუ არა სახლემდე, რის და მიუხედავად მაინც არ გადავყარე ხელ-ბარგი და გავაგრძელე გზა, გინდაც რომ გავყინულიყავი უნდა მევლო. რაც მე მალეღვებდა, ეს იყო შიში, რომ მეორე დღეს არ ვენახე ჯარისკაცებს გაყინული გზაში, რომელთაგან ვილაც მაინც იტყოდა „ახია შენზე, რას დადიხარ ამ ყინვაში!“ გარდა იმისა, რომ ცოლშვილი აღმოჩნდებოდა უმძიმეს მდგომარეობაში და თანაც ახალი წლის დღეს!

როგორც იქნა მივალწიე ჩემს საცხოვრებელ ოთახამდე, როდესაც შევედი მაშვე სარკეში ჩავიხედე და ვნახე, რომ ყურები და ლოყის თავები გამყვითლებიყო. სასწრაფოდ ონკანიდან მოუშვი ცივი წყალი და დავისრისე პირ-სახე, და ხელები. ფეხებზე საგანგაშო არაფერი მჭირდა, თუმცა იგიც ცივი წყლით დავიბანე. გადავრჩი, სასწაულად გადავრჩი, მხოლოდ ანგინა დამემართა და ერთი კვირის განმავლობაში ვინექი, ამის გამო ვერ გამოვცხადდი ოლქის პარტკონფერენციაზე!

ახლა არ იკითხავთ ჩემო მკითხველო რამდენი იყო იმ ღამეს ყინვა? დილით ტელევიზორში გამოაცხადეს, რომ ბოლო ასი წლის განმავლობაში, იმ მხარეში არ ჰქონია ადგილი მსგავს ყინვას და იგი შეადგენდა მინუს 63 გრადუსს! წარმოგიდგენიათ – მინუს 63 გრადუსი?! გეგონება ანტარქტიდა ყოფილიყო.

აპრილში მიწევდა დემობილიზაცია, ამიტომაც უნდა გამემწყვიტა საქართველოში დავბრუნებულიყავი თუ სამხედროში გამეგრძელებინა სამსახური სამხედრო პროკურატურაში გადასვლის იმედით, რის პირობასაც მაძლევდნენ. სახლში დაბრუნე-

ბას კი აზრი ჰქონდა, თუ კი წმოვილებდი რაიმე შუამდგომლობას საქართველოს უმაღლეს ინსტანციებში წარსადგენად, რათა მათი წყალობით დამენყო პროკურატურის, ანდა პარტიულ სისტემაში მუშაობა და ასეთი დოკუმენტი მომცეს ორ ეგზემპლიარად. ერთი საქართველოს კპ ცკ-ს სახელზე, მეორე, – საქართველოს გენერალური პროკურორის სახელზე. ორივეს ხელს აწერდნენ ასეულის, ათასეულისა და ურალის სამხედრო ოლქის სამშენებლო სამმართველოს მეთაურები, თვით ურალის სამხედრო ოლქის სარდალის ჩათვლით! ორივე საბუთი ჩავაბარე შესაბამის დაწესებულებებს ისე, რომ მათი ასლიც კი არ დამიტოვებია, მაშინ ქსეროქსი არ იყო. იმედი მქონდა, რომ აუცილებლად დამიკმაყოფილებდნენ ერთ-ერთ მათგანს მაინც, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, პასუხის ღირსიც კი არ გამხადეს!

აღნიშნულთან დაკავშირებით როდესაც პირადად მივაკითხე გენერალურ პროკურორს, აღარ მახსოვს ბარაბაძე იყო მგონი, იგი ისეთი თვალებით მიყურებდა, გეგონება მის წინ პატიოსანი ადამიანი კი არა, ხალხის მტერი ყოფილიყო, „ჩვენი სტუდენტები ვერ დამისაქმებია და რუსეთის კადრი სადღა მივიღოვო“! ჩამთვალა რუსეთის კადრად, არადა ძალღის თავი სად იყო ჩაფლული კარგად ვიცოდი, უარის მიზეზი იყო ჩემი ეროვნული წარმომავლობა და არც ქრთამის გარეშე რამე კეთდებოდა, ფული კი მე არ გამაჩნდა!

8. კვლავ საქართველოში

როგორც აღმოჩნდა მოვიტყუე თავი!

როდესაც წარდგენილი შუამდგომლობებით არაფერი გამომივიდა მივაკითხე ადვოკატთა კოლეგიის თავჯდომარეს, – საქვეყნოდ ცნობილ მექრთამე გივი როინიშვილს, რომელმაც ყოველგვარი ქრთამის გარეშე მომცა მიმართვა ბოგდანოვკის რაიონში ადვოკატად დანიშვნის თაობაზე. იმ დროს იქ რაიკომის მდივნად მუშაობდა ქოჩინიანი, რომელიც თითქოსდა ერთი

შეხედვით ჩემი მოგვარე იყო და წესით უნდა მივებელიყავი, მაგრამ არა, მანაც უარი მითხრა, – „უცხო კაცს რაიონში ვერ შემოუშვებო!“! შეიძლება თვით როინიშვილმა გადაურეკა მას, – უარი რომ ეთქვა, მისგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი.

ამის შემდეგ იძულებული გავხდი მიმეკითხა მადნეულის კომბინატისათვის, რომელიც ვალდებული იყო მოეცა სამუშაო, არანაკლებ ადრინდელი სამსახურისა. მაგრამ არა, არც იგი მღებულობდა, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი თავისუფალი შტატი გააჩნდა. მიზეზი, – დირექტორის მოადგილე ვინმე ებრაელი გურევიჩი იყო, რომელიც სპეციალურად მოსკოვიდან იყო ჩამოსული ფულის საკეთებლად. იგი „სახმომარაგების კომიტეტთან“ დანაშაულებრივად შეკრული იყო და რუსეთიდან ჩამოჰქონდა ზედმეტი რაოდენობის სანვავი, და მას მოსახლეობაში რეალიზებას უკეთებდა ჩვენი მეზობელი სოფელ ვარდისუბანის მაცხოვრებელ ვიგენტი ტატუაშვილის მეშვეობით! იგი იმ დროს მუშაობდა ბენზინმზიდზე, ჩემი ძმა ლუდიკო კი ტრაილერზე იყო გადასული. ვიგენტი ლუდიკოს მტრობდა. მე თუ მიმიღებდნენ მათი დანაშაულებრივი «კარტა» გაიხსნებოდა, რამეთუ მეცოდინებოდა ვიგენტის ყოველი ნაბიჯი, რადგან სახლი გზის პირას გვიდგა და გინდა თუ არ გინდა დავინახავდი მის ყველა მოძრაობას, და ვიქნებოდი საქმის კურსში, რაც არანაირად არ აწყობდა გურევიჩს და მის დამქაშემს, კეძოდ დირექტორს, რომლის გარეშეც სახელმწიფო ქონებას, ცხადია თავად ვერ განკარგავდა. ამ დანაშაულებრივი სქემის შესახებ შევიტყე მოგვიანებით, როდესაც დროებით დაშვებულ ვიქენი სამსახურში.

პირდაპირი უარის შემდეგ სამსახურში მიღებაზე კომბინატის მხრიდან, დახმარებისათვის მივმართე ზემდგომ ორგანოებს და მათი ძალისხმევით კომბინატი იძულებული გახდა მიველებიყავი. სპეციალურად დამნიშნეს გურევიჩის დაქვემდებარებაში მყოფ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილების უფროსის მოადგილედ, ერთ თვიანი საგამოცდო

ვადით, რაც დაუშვებელი იყო, რომ შემდეგ გავეშვიყავი და აღარ მიმემართა მათთვის.

განყოფილებაში მუშაობდა 12 ინჟინერი. მთელი თვის განმავლობაში ისე ვიყავი, რომ არც განყოფილების უფროსსა და არც გურგენის ჩემთვის არანაირი დავალება არ მოუციათ. ამასთან დაკავშირებით განყოფილების უფროსი კობალავა მეუბნებოდა, რომ „უძლური ვარ ალექსანდრე რაიმე დავალება მოგცეო“. თუმცა იქ ყოფნისას მაინც შევძელი მატერიალურ ფასეულობათა „შეკვეთებსა და ათვისების“ ქალაქებისთვის გადამეწვოთ თვალი, საიდანაც ბევრი რამე ჩემთვის გახდა ცნობილი.

ერთი თვის შემდეგ პირადად გურგენიჩმა, რა თქმა უნდა დირექტორ ჭანტურიას თანხმობით, ერთპიროვნულად მომიწყო უმაღლეს მათემატიკაში უკანონო გამოცდები, რის ცოდნაც არ მევალებოდა, და გარკვეულ საკითხებზე ვერ გავეცი პასუხი, დამინერა ორიანი, და გამომიშვა სამსახურიდან.

აღდგენის მიზნით მივაკითხე რაიონულ სასამართლოს, მაგრამ ბოლნისის რაიკომის იმჟამინდელი მდივნის, ვინმე ჟღენტის დავალებით მოსამართლე გრძელიშვილმა მითხრა უარი. ამის თაობაზე მან თავად მიაგზო 30 წლის შემდეგ.

ამის შემდეგ, როდესაც აქ საქართველოში ყველაფერი ამოწურე, გადავწყვიტე მიმეკითხებინა სომხეთისათვის, ეგები სადმე მოეცათ იურიდიული სამსახური, უკვე აღარ დავეძებდი გამომძიებლად მუშაობას, სხვა სფეროში მუშაობა არ მაინტერესებდა! იქ, მინისტრთა კაბინეტში შემპირდნენ იურისკონსულტის თანამდებობა რესპუბლიკის ნავთობ ბაზაში. მაგრამ გადასვლაში ხელი შემიშალა ერთმა გარემოებამ. კერძოდ, როდესაც დავბრუნდი, სახლში დამხვდა მამიდაშვილი ერვანდი და მთხოვა წავყოლოდი ნიჟნი-ტაგილში, სადაც მისი ვაჟიშვილი გმირო იხდიდა სასჯელს, – „ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მისგან არაფერი ისმისო“ და მეც გავყევი მას. მოუგვარე რა მას შვილის საქმე, საჯარიმო იზოლაციორიდან გამოუყვანე და

დაუსაქმე მზარეულად. ვიცნობდი იმ ციხის უფროს და გაგე-
ბით მომეკიდა. შემდეგ, ერვანდი გამოუშვი საქართველოში,
მე კი ვიხელთე დრო და გადავედი ტიუმენში, სადაც ბუნე-
ბრივი რესურსების ათვისების ბუმი იდგა და ხალხი სჭირდე-
ბოდათ, იქნება რაიმე უფლება დაცვითი სტრუქტურაში სამ-
სახურს გამოვკრა მეთქი ხელი. ისე მინდოდა ჩემი პროფესიით
მუშაობა, რომ მისთვის პოლუსზეც კი წავიდოდი! თუმცა აქაც
შეცდომა დავეშვი, მთელი ცხოვრება შეცდომების კასკადის
გადალახვის გამომივიდა. სომხეთის ვარიანტი სათადარიგოდ
მე მოვიტოვე.

9. ტიუმენის ოლქის ადვოკატურასა და პროკუ- რატურის ორგანოებში – ოქტომბრის რაიონში

პირველი, რაც მე შემომხვდა სამართალ დამცავ ორგანო-
თაგან ქალაქ ტიუმენის ქუჩაში გავლისას, ეს იყო ოლქის ადვო-
კატთა პრეზიდიუმის ოფისი და შევედი მის თავჯდომარესთან,
ვთხოვე, თუ სადმე ჰქონდა თავისუფალი ადგილი გავეშვი
სამუშაოზე! მკითხა, თუ რომელ რაიონში ვისურვებდი, რაზეც
უპასუხე, – სადაც თვითონ ჩათვლიდა საჭიროდ. გაკვირვე-
ბულმა შემომხვდა და მითხრა, „გეტყობა თქვენ კარგად არ
იცნობთ ტიუმენის ოლქს? „ასეა“ მეთქი, ვუპასუხე. ბევრი
რომ არ გავაგრძელო გამიშვა ხანტი-მანსისის ავტონომიური
ოლქის ოქტომბრის რაიონში მეორე ადვოკატად.

მალევეც გადავფრინდი ვერტმფრენით, დაბლა იყო
უსასრულოდ, ჭაობად ქცეული ტბები, აქა-იქ მოჩანდა ახლად
გაყვანილი ნავთობ სადენები, უზარმაზარი მდინარე ობიც
მედიდურად მიიკლაკნებოდა ჩრდილოეთით. დაახლოებით
ორ საათიანი ფრენის შემდეგ დავეშვი ოქტომბრის რაიონის
აეროპორტში, მდებარე ობის მარცხენა მხარეზე. ეს იყო 1980
წ-ის ივნისი.

ოქტომბრის რაიონი ერთ-ერთი მსხვილი ადმინისტრაციუ-

ლი დანაყოფია ხანტი-მანსიისკის ავტონომიურ ოლქში, რომელიც თავისი ფართობით საქართველოს თითქმის არ ჩამოუვარდება, თუმცა მოსახლეობის რაოდენობით საკმაოდ მცირეა. მიმოსვლის საშუალებად იყო მხოლოდ სამდინარო და საჰაერო ტრანსპორტი, სახმელეთო ტრანსპორტით კი სარგებლობა შეგვეძლო მხოლოდ ზამთარის პირობებში, როდესაც წყალი მთლიანად გაიყინებოდა. ოქტომბერზე გადის „ურენგოი-უუგოროდის“ ევროპაში მიმავალი გაზ-ნავთობ სადენები.

თვით დაბა ოქტომბერი წარმოადგენდა ერთ მოზრდილ სოფელს, რომლის მოსახლეობაც, ისე როგორც რაიონის სხვა სოფლების, – სასმელად იყენებდა მდინარე ობის წყალს, რომელიც დაბინძურებული იყო ოპისტარხოზის ბაქტერიით. თვით წყალი ქვიშის გამო მოყვითალი შეფერილობით გამოირჩევა და დანახვისთანავე, ჯერ კიდევ არ დამელია, რომ თირკმელები ამტკივდა. ყოველი სახლის წინ იდგა „გუდრონით“ გამოვლენული ორას ლიტრიანი რკინის კასრები და მასში ასხავდნენ სასმელად მდინარიდან ამოტანილ წყალს, რომელიც ამოჰქონდათ ურიკებითა და მარხილით.

ამ ბაქტერიით დაავადებული იყო თევზთა უმეტესობა, თვით მდინარის წყალიც კი და ვინც სათანადო თერმიული დამუშავების გარეშე მიირთმევდა მას, თევზს, თუ გამომცხვარ პურს, რომელსაც ხანდა ხან გასდევდა მისი კვერცხი, – ავადდებოდნენ ოპისტარხოზით და უმოკლეს დროში ეთხოვებოდნენ სიცოცხლეს. ადამიანის ორგანიზმში ეს ბაქტერია, რაღაც პერიოდში იზრდება 15 სანტიმეტრის სიგრძის ძაფისებრ ჭიად და კუჭში, ღვიძლსა და ფილტვში ერთდროულად შეუძლია ყოფნა. სათანადო გაფთხილება თუ არა, ადამიანი უმაღვე წამოეგებოდა ამ სნეულებას. მისით ბევრი ადამიანი იყო დასნეულებული, რომლებიც გამოიყურებოდნენ ფერმკრთალად და იყვნენ დასუსტებულები.

თვით რაიცენტრი ოქტომბერი განფენილია მდინარე ობის მარჯვნივ შემალლებულ პლატოზე, ირგვლივ წვინივანი ტყეე-

ბის ლანდშაფტში ჩაძირული. მდინარის მარცხენა ნაპირი კი, ორი-სამი ათეული მეტრით დაბლაა და ფაქტობრივად წარმოადგენს ჭაობს.

რაიონის შემადგენლობაში შედიოდა ქალაქი ნიაგანი, დასავლეთ ციმბირის ერთერთი ცენტრი ნავთობ საბადოების ათვისების საქმეში და დაბა სერგინო, – ბოლო სარკინიგზო სადგური, – მოსკოვიდან ცენტრალურ, დასავლეთ ციმბირის მიმართულებით მიმავალ გზაზე.

რაიონის ძირითადი მოსახლეობა წარმოადგენდა ბოლშევიკური რეპრესიის პირობებში გადასახლებულ მოქალაქეების შთამომავლებს. სახალხო მეურნეობის ძირითად მიმართულებები იყო მეთევზეობა, მესაქონლეობა, ხე-ტყის დამუშავება და ნავთობ-მრეწველობა.

ადვოკატურა განთავსებულ იყო სასამართლოსა და პროკურატურის საერთო ორსართულიან შენობის პირველ სართულზე. კაბინეტი გვექონდა ნორმალური და იქვე დავინწყე ცხოვრებაც. ერთად-ერთი წამყვანი ადვოკატი, რომელსაც ოდეზლაც ემუშავა ლეონიდ ბრეჟნევიტან და გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით, – იყო გალოთებული და კვირაობით არ გამოდიოდა სამსახურში.

არ გამაჩნდა საადვოკატო საქმიანობის არანაირი გამოცდილება და ვმოქმედები შინაგანი რწმენით. არც კი მქონდა ოცი დღე ნამსახურევი, რომ მოსამართლეებმა (იქ იყო ორი მოსამართლე) დამინახეს რა, – რაც ვიყავი, თვითონვე გადამიყვანეს რაიონულ პროკურატურის გამომძიებლად. ჩემამდე იქ არსებული გამომძიებელი კი, რომელიც კარგი სპეციალისტი ყოფილა, – გადაეყვანათ სხვაგან. მათ ჩემს გარდა სხვა გამომძიებელი არ ყავდათ.

პროკურატურაში გამეფებული იყო ქაოსი, პროკურორი იყო გალოთებული და იგიც კვირაობით არ გამოდიოდა სამსახურში, მის მაგივრად კი მისი, ასევე გალოთებული მეუღლე მოდიოდა ხოლმე პროკურატურაში და იგი ურტყამდა ბეჭდებს

გამომძიებლებს საბრალდებო დასკვნებზე. პროკურორის თანაშემწე, რომელიც ეროვნებით ოსი იყო, ასევე იყო ლოთი, მაგრამ არ იმჩნევდა, დაღევდა თუ არა ჩაიკეტებოდა კაბინეტში და არ გამოდიოდა, ვიდრე არ გამოფხიზლდებოდა. ლოთობდა კანცელიარიის გამგეც, მაგრამ არა სამსახურში, ეტყობა სახლში სვამდა. იგი ასრულებდა მემანქანის მოვალეობასაც და ეტყობოდა რომ იყო დამსმენი ზედა ინსტანციებში.

დამახვედრეს 25 უძძიმესი სისხლის სამართლის საქმე, რომელთა მიმართ რა მომემოქმედა, – წარმოდგენა არ მქონდა, არც ჭკუის დამრიგებელი მყავდა ვინმე. პროკურორის თანაშემწე დაინტერესებული იყო ჩამვარდნოდა საქმე, რათა ჩემს ფონზე თავად კარგად გამოჩენილიყო. ამიტომაც მასთან მიკითხვებს აზრი არ ჰქონდა და არც იგი მიჩვენებდა პირს.

ჩემი ყოფილი უფროსი ადვოკატი კი მირჩევდა დახმარებისათვის მიმემართა ტიუმენის ოლქის პროკურორისათვის, მაგრამ ვიუკადრისე, ვიფიქრე, რას იტყვიან მეთქი, ჯერ არ დაუნყია მუშაობა და უკვე დახმარებას ითხოვსო. ვიფიქრე, რა მდგომარეობაშიც ვიმყოფები მათთვის ისედაც ცხადი იქნება და თუ ჩათვლიან საჭიროდ, – თავად დამეხმარებიან. სამწუხაროდ არავინ დამეხმარება და აღნიშნულ საქმეებს შევალეი ჯანმრთელობა.

სახელმძღვანელოდ გამოვიყენე პროცესუალური დოკუმენტების ნიმუშების წიგნი და ძველი საქმეები, მათ მიხედვით დავიწყე თითოეული საქმის წარმართვა. კაბინეტშივე მეძინა და ხშირად გათენებამდე ვმუშაობდი. ვეუბნებოდი ხოლმე ჩემს თავს, „გინდოდა გამომძიებლად მუშაობა და ესეც შენი გამომძიებლობა, ეხლა ჭიმე ჭაპანი“!

რუსული ენა არ ვიცოდი კარგად და ამის გამო ერთი და იმავე ტექსტს რამდენჯერმე უბრუნდებოდი, ვიდრე დავიყვანდი კონდიციამდე. ჩემს საბუთებს არ ვაბეჭდინებდი მდივანს, რადგან იგი შავ ნაწერებს აღარ მიბრუნებდა, და სავარაუდოდ უგზავნიდა მათ ზედა ინსტანციებს, ჩემს სამხილად, ვითომც

რომ ვიყავი რუსულის სათანადოდ არ მცოდნე. ამიტომაც დავინყე მევე ბეჭდვა.

კანცელარიის გამგესაც არ უნდოდა ჩემი გამოჩენა, რამეთუ „უძალლო ქვეყანაში მასაც თავი პროკურორად მიაჩნდა“.

სანოლად მქონდა ორ ტაბურეტკაზე გადებული საიდლანაც ჩამოხსნილი პოლირებული კარები, რომლიდანაც თითქმის ყოველ დამე მივარდებოდა ლეიბი, ისე რომ ნორმალური ძილიც არ მქონდა, ასე ვიყავი მთელი წლის განმავლობაში. საქმეს ართულებდა ის გარემოებაც, რომ კაბინეტი მქონდა პირველ სართულზე და თავისუფლად ამოდიოდა სარდაფში შესული ყინულოვანი ჰაერი. სასამართლოს გააჩნდა ორი სასტუმრო ოთახი, რომლებიც თავისუფლები იყვნენ, მაგრამ მათში მე არ შემეძვეს, თუმცა არც მითხოვია, თავი არ მოვაბეზრო მეთქი.

სამ-ოთხ თვეშიც დაგვინიშნეს ახალი პროკურორი, – იური ბედერინი, კაცი უაღრესად დახვეწილი და მცოდნე, მაგრამ ეროვნებით ებრაელი, რომელიც ორი წლით ჩემზე უმცროსი იყო. მისი მოსვლით საკმაოდ გამეზარდა საქმიანობა, თუმცა არც მისი გაზრდილი მოთხოვნების შემშინებია.

სისტემატურად, დღე-ღამეში ჩემმა არა ნაკლებ 18 საათიანმა შრომამ, გამოიწვია ჩემი ფსიქიკური გადატვირთვა და დამემართა „ობლეტარული ენდარტერიტი“, რაც ორ-სამ წელში მთავრდება იმით, რომ დაავადებულს ჯერ აჭრიან ქვედა კიდურებს, მერე, – ზედას, და კუნძად დარჩენილი ადამიანიც მალევე კვდება. დაავადება შეუქცევადია. აღნიშნულის გამო დამენყო ქავილი ფეხის თითებიდან ბარძაყებამდე, – გეგონება ჭიანჭველა მეხვია. ფეხებმა მიიღეს სპილოს ძვლის შეფერილობა და საკმაოდ გამიცივდა. სისხლის მიმოქცევა მთლიანად დამერღვა. ექიმებმა მიჩრჩის დაუყოვნებლივ დამეტოვა ციმბირი და დავბრუნებულიყავი მშობლიურ საქართველოში, წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალი იყო ხსენებული შედეგი.

ასეთი განაჩენი ჩემთვის მიუღებელი აღმოჩნდა და დაავადების გასანეიტრალებლად დაუყოვნებლივ დავინყე ყოველ

დილით ექვსს საათზე ადგომა, უკვე ზამთრის პერიოდში, გავდიოდი ტაიგაში და დავრბოდი იქ სამ-ოთხ კილომეტრს. შემდეგ, ვბრუნდებოდი პროკურატურაში, და 15-20 წუთის განმავლობაში ვვარჯიშობდი. მერე, დედიშობილა ფეხებით ვდგებოდი ყინულოვანი წყლით სავსე ტაშტში, რაც დაუშვებელი იყო და თავიდან ფეხის თითებამდე, განითლებამდე ვისრესდი ტილოთი. ამან გამოიწვია ის, რომ სიარული კი არა, უკვე ფრენა მინდოდა, თუმცა ვერ განვიკურნე, „ვალინკებშიც“ კი ვგრძნობდი მაგიდასთან მჯდომი კარის გალების შემთხვევაში თუ როგორ შემოდოდა ოთახში ჰაერი. ჩემი აქტიურობით შეიძლება ითქვას შევაჩერე ავადმყოფობა! მთლიანი გამოჯამთელობისათვის კი საჭირო იყო თბილ გარემოში ცხოვრება და ფსიქიკური დატვირთვისაგან განთავისუფლება.

... და მიუხედავად ყოველივე ამისა ვიყავი მონა ჩემი სინდისის და ერთგული მსახური ვალდებულების, არ მიფიქრია უკანონოდ სამუშაოს მოცულობის შემცირებაზე და არც ამ მხრივ გამომიჩენია ეშმაკობა. მთლიანად ვიყავი მინდობილი ვითარებაზე. შეიტყო რა ჩემი თავდადებული შრომის შესახებ ხანტი-მანსიისკის ავტონომიური ოლქის პროკურორმა პოდკორიტოვმა, იგი ხშირად მირეკავდა ხოლმე და მავალდებულებდა გამოსასვლელ დღეებში გავსულიყავი ბუნებაში და დამესვენა.

ჩემი საქმისადმი უღალატო და შრომის მოყვარეობის აშკარა დადასტურებაა შემდეგი: ერთხელ, უკვე ზამთრის პირას, როდესაც მდინარე ობზე, დაბა სერგინოსა და რაიცენტრ ოქტომბერს შორის ნავიგაცია წყდებოდა, ქ. ნიაგანის ერთ-ერთი ტრესტის მომარაგებელსა და პროფკომიტეტის თავჯდომარეს სერგინოში დაექირავათ მოტორიანი ნავი მძლოლით და გადმოსულიყვნენ დაბა ოქტომბერში. უკან დაბრუნებისას, კონკრეტულად კი, რა მოხდა მათ შორის, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ ძალღონით სავსე მენავე ობის მიუდგომელ ადგილას, გარეგნული ნიშნების გარეშე გარდაცვლილი აღმოჩნდა, რის შესახებაც მოგვიანებით გვაცნობეს და უკვე

შეუძლებელი იყო შემთხვევის ადგილზე გასვლა.

ამ მენავის გაკვეთას დავესწარი და ვნახე, რომ მას თხემის არეში აღენიშნებოდა ხელის გულის სიგანის ოდენა სისხლჩაქცევა, სავარაუდოდ ნიჩბის დარტყმისგან.

აღნიშნულის თაობაზე მოვახსენე პროკურორ ბედერინს და უთხარი, რომ ვაპირებ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას, თქო, რაზედაც განმიცხადა, „არც კი გაიფიქრო“, რამეთუ შემთხვევის ადგილზე ვერ გავიდოდით, ნავიგაცია უკვე იყო შეწყვეტილი, ვერ მოვნახავდით მონშეებს და გაუხსნელი დაგვრჩებოდა საქმე. დრო იყო გასული, არიალი კი თოვლით დაფარილი. ობის სიგანე იმ ადგილს ორ კილომეტრს აღემატებოდა, ნახევროდ დაფარული ყინულით და ძალიან რთული ვითარება იყო შექმნილი.

მიუხედავად პროკურორის პოზიციისა ამ ფაქტთან დაკავშირებით მე მაინც ავლძარი საქმე, მაგრამ პროკურორმა გამიუქმა თავისი დადგენილებით, რასაც შემეძლო ამოვფარებიყავი და ეს საქმე ამით დამთავრდებოდა. მაგრამ არა, მე იგი გაუსაჩივრე ტიუმენის ოლქის პროკურორთან და მან დამიჭირა მხარი. ჩემი შეგნებიდან გამომდინარე სხვანაირად არ შემეძლო, გარდაცვლილის ფეხმძიმე მეუღლე და დედა მოდიოდნენ ხოლმე ჩემთან და როგორც ღმერთს, ტირილით ისე მევედრებოდნენ, როგორმე გამომეძია საქმე. ვგრძნობდი, რომ ჩემს გარდა მას ვერავინ დაადგამდა თავს, გადავდე ჩემი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა გვერდზე, და შეუდექი მის გამოძიებასაც.

ოლქის პროკურორის მხარდაჭერის გამო პროკურორმა ბედერინმა მომილოცა წარმატებაა და თან გამაფთხილა, „თუ ამ საქმეს ვერ გაგიხსნი, – გადაგაყოლებ და ამით დაგიმთავრდება საგამოძიებო პრაქტიკა-ო“!

ქ. ტიუმენიდან საჩივრის პასუხის მიღებამდე გასული იყო ორი თვე და ამ ხნის განმავლობაში არანაირ საგამოძიებო მოქმედება არ მიწარმოებია, და ახლა უკვე აღძრულ საქმეზე საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად გადავწყვიტე

ქ. ნიაგანში წასვლა. როდესაც სერგინოში, სადაც ხდებოდა მატარებლების ფორმირება, ავედი ვაგონში და ჩემს ადგილზე დავჯექი. ვაგონი იყო, ე. წ. „პლაცკარტის“ ტიპის, დავინახე, რომ იქვე გვერდით ფანჯრის წინ, მაგიდის იქით-აქეთ მჯდომი ორი მოქალაქე ამ მკვლელობის თაობაზე საუბრობს. მე მაშვე ვცქვიტე ყურები და მთელი ყურადღება გადავიტანე მათ საუბარზე. მერე, როდესაც ვნახე, რომ საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებს შეეხნენ, ამოვიღე მოწმის დაკითხვის ბლანკები და მათი მონათხრობის მიხედვით დავინწყე მათში ცალკე-ცალკე ჩანწერების გაკეთება, ისე რომ არ მიმიქცევია მათი ყურადღება. ხოლო როდესაც ვაგონი ხალხით შეივსო და დაიძრა, ერთ-ერთი მათგანი ტუალეტისკენ წავიდა, გამოვედევნე მეც. როდესაც იგი გამოვიდა ტუალეტიდან, წარვედგინე ვინც ვიყავი და ვთხოვე გამომყოლოდა გამცილებლის კუპეში. იქ მას წარუდგინე მოწმის ოქმში დაფიქსირებული მისი ნაამბობი, რაც დამიდასტურა, გავაფრთხილე ცრუ ჩვენების მიცემაზე პასუხისმგებლობის შესახებ, დამატებით კიდევ დავკითხე და ხელი მოვანერინე. ასევე მოვექეცი მის ამხანაგსაც. მოვიპოვე შესანიშნავი მტკიცებულებანი.

მათი ჩვენების მიხედვით ფაქტობრივად დანაშაული უკვე იყო გახსნილი. როგორც ჩანს, ვიდრე ტიუმენიდან მივიღებდი საჩივრის პასუხს, რა დროსაც არ ვასრულებდი არანაირ საგამოძიებო მოქმედებებს, ბოროტმოქმედებს ეგონათ, თითქოსდა ამ საქმეზე გამოძიებას ჩაექნია ხელი, და მათაც საქმის გარემოებათა შესახებ თანდითანობით ეყბუდათ ნაცნობ-მეგობრებში, რომელთა წრეშიც ეს პირები შედიოდნენ.

მანამდე ისინი ორჯერ მყავდა გამოკითხული, მათ ერთმანეთში პირი ჰქონდათ შეკრული და რაიმე ღირებულ ინფორმაციას ვერ ვღებულობდი.

როდესაც მატარებელი უახლოვდებოდა ქ. ნიაგანს, ხსენებულ პირებს ვთხოვე, რომ გადაეცათ ვოლკოვისათვის, ვოლკოვი იყო ძირითადი დამნაშავე, რომ „ხვალ დილის 10 საათზე

ველოდები მილიციის განყოფილებაში“! მეორე დღით, როდესაც მივედი მილიციის განყოფილებაში, სადაც უკვე კარგად მიცნობდნენ, დანახვისთანავე სამძებროს უფროსმა ინსპექტორმა ბურვეცევმა პატაკით მომმართა, „ამხანაგო გამომძიებლო ქალაქში გვამია“! როდესაც ვკითხე „თუ რა გვამი“? მიპასუხა, – „ვოლკოვის“. იგი გადაესვენათ მორგში. ნავედი და ვინახულე, მას შუბლის არეში აღენიშნებოდა დარტყმის ნაკვალევი. როგორც შემდგომ გაირკვა, ჩემი სიტყვების „გადაცემის“ შემდეგ, მას დამართიყო ინფარქტი „ზილის“ მარკის თვითმცლელის კაბინაში, რომელზეც გადაეყვანა ხელმძღვანელობას დანაშაულის შემდეგ. სავარაუდოდ შუბლი დაერტყა სიჩქარის ბერკეტზე.

როდესაც მოვიპოვე სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, მას შემდეგ გამოვიძახე მეორე „თანამონაწილე“ და დავაყენე გარდაცვლილს თავზე. უთხარი, „ხომ ხედავ იგი ცოცხალი აღარ არის, საქმის გარემოებები ჩვენთვის ცნობილია და გირჩევ მომცე აღიარებითი ჩვენება“, თუ არ გინდა მეტად გაირთულო საქმე! მან მომცა ობიექტური ჩვენება, თუმცა მის ქმედებაში დანაშაულის შეუტყობინებლობა იკვეთებოდა.

მას შემდეგ ტელეფონით დაუკავშირდი პროკურორ ბედერინს და მოვახსენე რაც მოხდა, რაზედაც მიპასუხა, რომ „ბედმა გამილიმა“!

ჩემს თავდადებულ შრომასა და პრინციპულობასთან დაკავშირებით მოვიყვან კიდევ ერთ მაგალითს. 1981 წ-ის ახალი წლის მეოთხე დღეს, იმავე ნიაგანში, შემთხვევის ადგილზე გავედით მე, მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე ოპერატიულ დარგში და რაიონის პროკურორი. მსგავსი შემადგენლობით არასოდეს გავსულვართ შემთხვევის ადგილზე, რამეთუ პროკურორს ყოველთვის ჩემი იმედი ჰქონდა. კონკრეტულად, რა მოხდა მაშინ, ესენი არაფერს მეუბნებიან, თუმცა ოთხი დღის წინათ მილიციელებს მილიციის განყოფილებაში მოეკლათ ცემით ციხიდან ახლად გამოსული კრიმინა-

ლი, რომელსაც თურმე აიძულებდნენ ქალაქის დატოვებას და როგორ გამოსულიყვნენ შექმნილი ვითარებიდან წარმოდგენა არ ჰქონდათ, საზოგადოებას კი უკვე შეეტყო.

მილიციელებს შეექმნათ ვერსია, თითქოსდა შემთხვევით უბნის ინსპექტორი დაჯახებიყო მას თავის ავტომანქანა „უაზით“. მკვლელობის შემდეგ მილიციელებს მილიციის შენობიდან გადაეტანათ გვამი ხსენებული მანქანით და მისივე სახლისკენ მიმავალ ბილიკზე, თავით სახლისკენ დაეგდოთ.

ამ დროს, როდესაც უკვე გამოვცხადდით ადგილზე, არ მაჩვენეს პირველადი მასალები, რომ გამეგო, თუ რასთან გვეკონდა საქმე და მაკითხებინებდნენ, თუ ამას დაკითხვა ერქვა, უკვე მილიციის უფროსის მოადგილის მიერ დაკვალიანებულ და „ფილტრში“ გატარებულ პირებს, რომელთა შორის ძირითადად მილიციელები და მათი აგენტური პერსონალი ფიგურირებდა. პროკურორისა და იმ მილიციის უფროსის მოადგილის აზრით მე მათ ბრმად უნდა დავყოლოდი და საქმე ავტოავარიის კვალიფიკაციით უნდა წარმემართა.

როდესაც მივხვდი, რომ საქმე მქონდა სულ სხვა გარემოებასთან, პროკურორს ვთხოვე გამოძიება მენარმოებინა დამოუკიდებლევ, მილიციის უფროსის მონაწილეობის გარეშე, რაზედაც იგი ამიშარდა, ხოლო მილიციის უფროსის მოადგილე მთლა გადაირია. ამასთან დაკავშირებით ლამის მე და მან ერთმანეთს დედა ვაგინეთ. საბოლოო ჯამში მე გავიმარჯვე, პროკურორმა ჩემი მხარე დაიჭირა და დამოუკიდებლად დავინყე გამოძიება. პროკურორი და მოადგილე კი დაბრუნდნენ რაიცენტრში.

მივიღე რა ყველა მასალა ხელზე, ხალხის დასაკითხად მილიციის შენობიდან გადავბარგდი ქალაქის კულტურის სახლში და იქიდან მოსახლეობას რადიოთი მივმართე, „თუ ვინმე იყო საქმის კურსში მომხდართან დაკავშირებით მოსულიყვნენ ჩვენთან, სადაც არ იყვნენ მილიციის თანამშრომლები და თავისუფლად შეეძლოთ მოეცათ ჩვენება“.

შედეგმაც არ დააყოვნა, მომანყდა ხალხი და მივიღე მილიციის მამხილებელი ჩვენებები, თუმცა მათი გამაგრების მიზნით საჭირო იყო რიგი ექსპერტიზების ჩატარება. შესაბამისად ამოვიღე მილიციის „უაზის“ ჩიხოლები, გარდაცვლილის ტანსაცმელი, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა და ტიუმენში დავნიშნე ფიზიკო-ტექნიკური ექსპერტიზა სიკვდილის დადგომის მექანიზმის შესახებ. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ სიკვდილი დამდგარი იყო არა ავტო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად, არამედ ბლაგვი საგნის, როგორც შეიძლება იყოს ფეხი, – ზემოქმედების შედეგად.

მოკლეთ, ამ საქმეზე გამოძიება გაინელა დროში და როგორც კი ექსპერტიზის დასკვნა მოვიდა პროკურატურაში, ჯერ მე არ გამაცნეს, პროკურორმა ბედერინმა გამიშვა შვებულებაში და წამოვედი საქართველოში. ხოლო როდესაც დავბრუნდი უკან, პროკურორმა გამიმხილა, რომ ექსპერტიზის დასკვნით ჩემი ვერსია განმტკიცდა და კვლავ გამარჯვება მომილოცა, თან გადმომცა ტიუმენის ოლქის პროკურორის ბრძანება ჩემი ხანტი-მანსიისკის საქალაქო პროკურატურის უმფროს გამომძიებლად გადაყვანის შესახებ. შემდეგ რა უყვეს ამ საქმეს, ჩემთვის უცნობია!

ვიდრე ხანტი-მანსიისკის ისტორიის თხრობას დავიწყებდე მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო კიდევ ერთ საქმეზე, რომელიც ადასტურებს ოქტომბრის რაიონში ჩემი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე სიარულს, ნიშნად საგამომძიებლო საქმიანობისადმი დიდი სიყვარულისა!

1981 წ-ის თებერვალში, რაიცენტრიდან სადღაც, ორას კილომეტრზე მდებარე სოფელში მომხდარიყო მკვლელობა, ქმარს მოეკლა ცოლი. შემთხვევის ადგილზე გასასვლელად გავემართეთ მე და ერთი უბნის ინსპექტორი სამხიდიანი ავტომანქანა „ზილით“. გზად, სადღაც ტაიგაში გავიჭედეთ თოვლში, ადგილი ჰქონდა უგზოობას, არანაირი მოძრაობა არ იყო. ყინვა იყო არა ნაკლებ მინუს 40 გრადუსი. შემთხვევითი გამომვლელის

ლოდინში მძღოლთან ერთად ვისხედით ავტომანქანის კაბინაში, როდესაც შემოგვევლია ბენზინი და გამოირთო მოტორი, ყინვაში თანდითანობით შემოგვეპარა ძილი, ალბათ დავიღუპებოდით. აი მაშინ მოგვადგა „ბეტეერი“, ჩვენს საძებნელად გამოგზავნათ. მან მიგვათრია იმ სოფლამდე, სადაც მკვლელობა მოხდა, თუ იგი არა, ალბათ დავიღუპებოდით. იმ სოფელში არც კი მქონდა 2-3 საათი ნამუშავებული, რომ ვილაც მოვიდა ჩემთან და მითხრა, „ვერტმფრენი მიფრინავს დაბა ოქტომბერში, თუ ეხლა არ გაყევით მას, მთელი კვირა მოგიწევთ აქ ყოფნა-ო“. თურმე კვირაში ერთხელ მოფრინავს ვერტმფრენი და ამ სოფლიდან რაიცენტრში გადააქვს გაყინული თევზი. იძულებული გავხდით გავყოლოდი მას, იქ დარჩენილ უბნის ინსპექტორს კი დავავალე დაემთავრა ვილაცების გამოკითხვა.

როდესაც ვერტმფრენში ავედი, რომელიც დატვირთული იყო გაყინული თევზით, ვნახე, რომ მას შიდა გარსი, – „ობში-ვკა“ არ გააჩნდა და გარე სივრციდან გამიჯნული იყო მხოლოდ თხელი თუნუქის ფურცლით, მფრინავთა კაბინა კი, – ჰერმეტიკული ტიხრით იყო საიმედოდ გამიჯნული. თევზი ეყარა გორასავით, ირგვლივ არანაირი სკამი, დავდე ამ გაყინულ თევზებზე მკვლელობის მასალით გატენილი ჩემი „დიპლომატი“ და ზედ დავაჯექი მას. ასე დავინწყე მგზავრობა. ჩემს გარდა ვერტმფრენში სხვა მგზავრი არავინ არ იყო. რამდენი ვიფრინეთ დაბა ოქტომბრამდე ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ როგორც კი ვერტმფრენი აიჭრა ცაში და დაიწყო გარკვეულ სიმაღლეზე ჰორიზონტალური ფრენა, მე თანდითანობით სიცივემ ამიტანა და მალევეც ჭიპქვემით ველარ ვგრძნობდი სხეულს, დიახ, ჭიპქვემით ველარ ვგრძნობდი სხეულს, ჩქმეტაზეც კი აღარ მქონდა რეაგირება!

როდესაც დავემვით რაიცენტრის აეროპორტში, რომელიც მდინარე ობის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს, თვით რაიცენტრი კი, – მარჯვენა ნაპირზეა, – ვერტმფრენიდან გამოსულს გარეთ არსებული 40 გრადუსიანი ყინვა სითბოდ

მომეჩვენა. რამდენი იყო მაღლა ცაში ფრენისას, – ჩემთვის უცნობია, მაგრამ იქნებოდა არა ნაკლებ მინუს 60 გრადუსი. აეროპორტიდან არ მოვიწადინე შემოვლითი გზით რაიცენტრში დაბრუნება, რაც შესაძლებელი იყო ავტობუსით, რამეთუ მეშინოდა ყინულზე გავლის, არ ჩავარდნილიყო წყალში და გადავწყვიტე მოკლეზე ფეხით გადავსულიყავი პირდაპირ გაყინულ ობზე, რომლის მეორე მხარეზეც იყო აბანო საუნით და მინდოდა რაც შეიძლება მალე მივსულიყავი იქ. გადასასვლელიც გაკვალილ იყო საცალფეხო ბილიკით, თუმცა მასზე არავინ დადიოდა. მდინარის სიგანე არანაკლებ 2-3 კილომეტრია. აბანოდან კი პროკურატურა არც თუ შორს იყო.

როგორც კი შევედი გაყინულ მდინარეზე, ნაპირიდან არც კი მქონდა 200-300 მეტრი გავლილი, რომ ვიგრძენი საშინელი გამჭოლი ცივი ნიავის ძალა. ყინვა, აქაც, ისე როგორც არტემოვსკში პერმიდან დაბრუნებისას, – ძვალსა და რბილში მატანდა, და რაც ღრმად შევდიოდი მდინარეზე, უფრო და უფრო ძლიერდებოდა იგი. გვერდით არავინ მახლდა, გამომივიდა თავის გამოდება, უკან დაბრუნებაც ვიუკადრისე და ასე გავაგრძელე გზა! ამ შემთხვევაშიც, ისე როგორც მაშინ, იძულებული გავხდი ილღიებში ხელებ ამოჩრილი, რომ არ გამყენიყო, წრიული მოძრაობებით მევლო წინ, თუმცა მაშინდელისგან განსხვავებით ბარგი, ანუ მკვლელობის მასალებით გატენილი დიპლომატი, – ფეხის ნაკვრებით გამოვიტანე მეორე ნაპირზე.

როდესაც გადავედი მეორე ნაპირზე, ძლივას მივალწიე აბანომდე და ორი საათის განმავლობაში არ გამოვსულვარ იქიდან. მერე მივედი რა კაბინეტში, რომელსაც ბინადაც ვიყენებდი, ავადულე ორ ლიტრამდე ჩაი, დაუმატე ერთი ბოთლი კონიაკი და ნახევარი კილო სუფთა თაფლი, დავლიე და ორი დღე და ღამის განმავლობაში არ ავდგომილვარ სანოლიდან, ასე მოვიტყვი სული!

დაბა ოქტომბერში ერთი წლის განმავლობაში მუშაობის მანძილზე არა ერთხელ ვიყავი მსგავს სიტუაციაში, რასაც

ართულებდა ის გარემოებაც, რომ თბილი ტანსაცმლით არ ვიყავი უზრუნველყოფილი და არც ვთხოვდი ხელმძღვანელობას იმ მიზეზით, რომ განთავისუფლებისათვის არ მიმეცა მათთვის მიზეზი, თანაც არ მქონდა გამოცდილება ამ მხარეში ცხოვრების!

– ხანტი-მანსისკში

ქალაქი ხანტი-მანსისკი მდებარეობს ობისა და ირტიშის შესართავთან შემალლებულ ადგილზე, რომელიც ჩაფლილია ტაიგაში. ქალაქის პროკურატურა განთავსებული იყო ქალაქის ცენტრში არსებულ ხის ორსართულიან შენობაში, სადაც ასევე მდებარეობდა ავტონომიური ოლქის პროკურატურა და სასამართლო. დასაქმებული იყო მათში გამოცდილი იურისტები და შეიძლება მათგან ბევრი რამის სწავლა.

მეც ამავე შენობაში საცხოვრებლად მომცეს კრიმენალისტიკის კაბინეტი და ცოლშვილით შევსახლდი მასში. ისინი დაბა ოქტომბერში არ მყავდა და საქართველოდან ჩამოვიყვანე მოგვიანებით, იმ ხანად უკვე მყავდა მცირე წლოვანი ქალ-ვაჟი, – ლია და გია. სამუშაო კაბინეტიც დამახვედრეს ნორმალური, ორმაგი კარებით, წინ და უკან ხმის გაუმტარი მასალით განყოფილი, გინდა შიგ თოფი გაგესროლა დერეფანში არ გამოვიდოდა ხმა.

ჯერ არც კი ვიყავი შესახლებული ამ კაბინეტში, რომ უბრალოდ შესულს, პროკურორის ახლად დანიშნულმა მოდგილემ ელენჩუკმა, რომელსაც მანამდე ამ კაბინეტში ემუშავა გამომძიებლად მკითხა, – ხომ არ მინახავს სადმე მისი რალაც ნივთი, რომელიც მართლა არ მქონდა ნანახი და უპასუხე, რომ არ დამინახავს! მას ეგონა თითქოსდა მე იგი დაუმაღე და ამაზე განაწყენებულმა იმ თავითვე ჩემზე ღვარძლი ჩაიდო, და გადამემტერა, რაც გამოავლინა მოგვიანებით!

აქაც მელოდა თავაუღებელი შრომა და უმძიმესი დანაშაულებების გამოძიება, ძირითადად ვიძიებდი მკვლელობებს,

გაუპატიურებებსა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების დატაცებას. ერთხანს ვიყავი ჩართული რუსეთის ფედერაციული პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფშიც, რომელიც სკკპ პოლიტბიუროს ნევრ გეიდარ ალიევის მეთვალყურეობის ქვეშ იძიებდა ულიანოვსკში მომხდარ სამდინარესატრანსპორტო შემთხვევას, რა დროსაც ტურისტულ ხომალდ „ალექსანდრე სუვოროვზე“ დაიღუპა 270 ადამიანი. მაშინ რუსეთის ფედერალურ პროკურატურას სურდა ჩემი საგამოძიებო ნაწილში გადაყვანაც, მაგრამ ტიუმენის ოლქის პროკურორმა არ დაანება ჩემი თავი.

1982-1983 წლებში დავამთავრე სკკპ ტიუმენის საოლქო კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის პოლიტ ეკონომიის ფაკულტეტი და მივიღე უმაღლესი პოლიტიკური განათლება.

არ ჩამოვთვლი კონკრეტული საქმეების საგამოძიებო ისტორიებს, ავლნიშნავ მხოლოდ ერთს, რომელმაც გადაწყვიტა ჩემი იქ ცხოვრების ბედი. კერძოდ, 1983 წ-ის გაზაფხულზე სეზონურ სამუშაოებზე ჩამოსულ ჩეჩნებისა და ოსების სამშენებლო ბრიგადებს შორის მომხდარ ჩხუბზე აღძრულ საქმეს, რა დროსაც დაიღუპა ოსების მხრიდან ერთი და დაიჭრა ერთი. დაღუპულის დედა კი აღმოჩნდა სოციალისტური შრომის გმირი, რაც ჩემთვის შემდგომ გახდა ცნობილი.

ამ საქმესთან დაკავშირებით დავაპატიმრე ორი ჩეჩენი, – მედოვი აბოიაზიტი და მედოვი მაგომედი. მკვლელის, – აბოიაზიტის მამას ემუშავა მანგიშლაკის ნავსადგურში რესტორნის დირექტორად და როგორც აღმოჩნდა ფული ჰქონდა ნაშოვნი. იგი ჩამოვიდა ხანტი-მანსიისკში შვილის დასახმარებლად და დაინყო შუამავლის ძებნა ჩემთვის ქრთამის გადმოსაცემად. როდესაც ვერავინ ვერ მონახა და ვერც მონახავდა, მაშინ თავად შემოვიდა ჩემთან კაბინეტში ვებერთელა სამეურნეო ჩანთით ხელში, „პროვიზონკებს“ რომ ვეძახდით, გატენილი ფულით, დამიდო იგი მაგიდაზე, და მითხრა, „შვილო, აქ ცოტა ფული

არ არის როგორმე დაეხმარე ჩემს შვილს“, და გაემართა გასასვლელი კარებისაკენ, სხვა არანაირი სიტყვა არ დასცდენია.

მე მას მაშვეთივე ვთხოვე აელო ჩანთა და გასულიყო გარეთ, რაზედაც არ მომაქცია ყურადღება და გააგრძელა კარებისკენ სვლა. მე წამოვხტი მაშვე სკამიდან, გადაუჭერი გზა და უკვე მკაცრი ტონით მოვთხოვე, „თუ არ გინდა შვილთან ერთად აღმოჩნდე საკანში, – სასწრაფოდ გაიტანე მეთქი ჩანთა აქედან!“ მას შემდეგ მან ინება, აილო იგი და გავიდა დერეფანში, რომელსაც თან გავყევი, და კარებიდან გავიხედე თუ რა ხდებოდა დერეფანში. იქ ირეოდა უცხო ხალხი, როგორც შემდგომ გაირკვა უშიშროების ხალხი ყოფილიყო. როდესაც იგი გავიდა დერეფნიდან, ეს ხალხიც მასთან ერთად თანდითანობით გაიწურა გარეთ. იმ კაცის კაბინეტიდან ჩანთის გარეშე გასვლის შემთხვევაში, ცხადია დამაპატიმრებდნენ, მაგრამ ეს არ მოხდა, ყველაფერმა ჩაიარა ხმაურის გარეშე. ცხადია ამ ოპერაციის შესახებ შეიძლება საქმის კურსში ყოფილიყო ხელმძღვანელობა, ან სულაც არა.

ახლა თუ ვინმე იტყვის, თუ რატომ არ დავაპატიმრე ის კაცი ქრთამის შემოთავაზებისთანავე, ჩემგან, როგორც კავკასიელისაგან, – უბრალოდ ეს ულამაზოდ გამოვიდოდა და თავი შევიკავე.

შემდგომ, ამ საქმეზე მაგომედს, ყოველგვარი ინტერესის გარეშე, ბრალდების ერთ-ერთი მუხლი, კერძოდ 206-ის 3-ენაწილი, – შეუცვალე 2-ე ნაწილით და ისე გადავეცი საბრალდებო დასკვნა დასამტკიცებლად უკვე პროკურორად დანიშნულ იელენჩუკს, რომელმაც დახედა რა საბრალდებო დასკვნის თავფურცელს, მაშვე თქვა, „თქვენ რა ფული აიღეთ“?! ე. ი. სცოდნია სპეცოპერაციის შესახებ. გაოგნებულმა ვკითხე, „რის ფული, რა ფულითქო, ასე ჩავთვალე საჭიროდ და შევცვალე ბრალდების კვალიფიკაცია, რის უფლებაც გამაჩნდა“!

ამის შემდეგ მან სასწრაფოდ გამომიშვა და თვითონ საქმიანად გაემართა ავტონომიური ოლქის პროკურორ პოდკორი-

ტოვთან, რომელმაც გადმომიყვანა ხანტი-მანსიისკში! მალევეც მან გამომიძახა თავისთან და მივედი, მას უკვე მოეწვია კოლეგია და იხილავდნენ ჩემს საქმეს.

იელენჩუკმა ამ საქმესთან დაკავშირებით კოლეგიას მოახსენა ათასი სისულელე. მას შემდეგ პოდკორიტოვმა მითხრა, „თავის მართლებისათვის მომიცია სამი წუთი და აბა რას იტყვიო“. ამ სამ წუთში რა უნდა მოგახსენოთ მეთქი, მივხვდი რომ იგიც მის მხარეზე იყო გადაბირებული და განვაცხადე, „გთხოვთ გამანთავისუფლოთ დაკავებული თანამდებობიდან და საქმეები გადააბაროთ ვისაც გნებავთ“. პოდკორიტოვმა მითხრა, „არა ბატონო, ჯერ დაამთავრებ საქმეს, როგორც დაიწყე და მერე ვილაპარაკებთ განთავისუფლებაზეო“! ამ დროს მისმა მოადგილემ, ვიქტორ ჩისტოვმა, რომელიც მართლა შესანიშნავი ადამიანი იყო და თან პარტორგანიზაციის მდივნიც გახლდათ, კოლეგიას მოუწოდა, „ამხანაგებო ნუ დაჩქარდებოდი, მთელი ტიუმენის ოლქში ყველაზე საუკეთესო სტატისტიკური მაჩვენებლები ალექსანდრეს გააჩნია, წინა წელს მან დამემთავრა 34 სისხლის სამართლის საქმე, ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონოთ და ისე მივიღოთ გადაწყვეტილებაო“.

ასე თუ ისე დამავალდებულეს ეს საქმე დამემთავრა იმავე მუხლებით, რომლებითაც დავიწყე გამოძიება.

კოლეგიის სხდომიდან მესამე დღეს ტიუმენის ოლქის პროკურატურიდან მოვიდა ტელეგრამა, რომ ჩემთვის გაეცნოთ პროკურორ იელენჩუკის მიერ ჩემს დასასჯელად მათთან გაგზავნილი საჩივრის ასლი და მის შესაბამისად დამეწერა ახსნა-განმარტება, რომელიც უნდა გაგზავნილიყო მათთან.

როდესაც გავეცანი ელენჩუკის ამ საჩივარს, – თმები ყალყზე დამიდგა, დაენერა ათასი სისულელე და ცილისწამება, რათა როგორმე გავეგდიყავი სამსახურიდან ტიუმენის ოლქის პროკურორს. ჩემი გაგდება კი უპირატესად იმიტომ სდომებია, რომ ჩემი იქ ყოფნის პირობებში კავკასიელებს თურმე ვეღარ სძალავენ ფულს. მანამდე კი ერთ ამბავში ყოფილან. აღნიშნუ-

ლის თაობაზე მითხრა, იქ, ქალაქის მილიციის სამმართველოში ობეხეს ინსპექტორად მომუშვე ბაქოელმა თათარმა.

მოკლეთ ელენჩუკის „საჩივარზე“ ახსნა-განმარტების დასაწერად სამი დღე ვიფიქრე, თუ რა დამენერა. მერე, როგორც იქნა ჩამოვყალიბდი და ერთი საშინელი პასუხი მოვამზადე, და ტიუმენს პროკურატურას გაუგზავნე თავადვე არა ჩვენი პროკურატურის კანცელარიით, არამედ ქალაქის ფოსტით. ისე რომ ელენჩუკი აზრზეც კი არ იყო თუ რა პასუხი გაუგზავნე ტიუმენს.

მის კვალობაზე, მომდევნო დღეებში მენვია მარტო კაბინეტში ტიუმენის ოლქის პროკურორის პირველი მოადგილე გენერალი არშავსკი. იგი ჩემთან შემოსვლამდე ყოფილიყო ქალაქისა და ავტონომიური ოლქის სასამართლოებში, სამართალ დამცავ ორგანოთა ხელმძღვანელებთან და ეკითხა მათთვის ჩემს შესახებ, ხომ არ ჰქონდათ რაიმე პრეტენზია და ყველას დადებითად დავეხასიათე, ცუდსაც რატო იტყოდნენ როდესაც ცუდად არ ვიქცეოდი.

როდესაც არშავსკი კაბინეტში შემოვიდა, არც კი მომსალმებია და ფეხზე მდგომმა ჯიქურ მკითხა: „ვიცნობ თუ არა მას?“ რაზედაც უპასუხე, – „რომ ვიცნობთ“. „კეთილი“, თქვა მან და მიბრძანა მაგიდაზე დამენყო ყველა საქმე, რაც კი სეიფში გამაჩნდა, და მეც დავალაგე. არშავსკიმ თითოეულ საქმეზე მკითხა, თუ რა მდგომარეობაში იყო, მქონდა თუ არა მათზე საგამოძიებო გეგმები, და რა პრობლემები გამაჩნდა? ყველაფერზე სათანადო პასუხი გავეცი, გეგმებიც წარუდგინე და მოვახსენე, რომ არანაირი პრობლემები არ მქონდა. ბევრი რამ უშუალოდ შეამონმა.

ამის შემდეგ არშავსკიმ თავად შეიხედა სეიფის კარადებში, ხომ არ დავტოვე რამ შიგ, რომ სრულად დარწმუნებულიყო ჩემს პატიოსნებაში, რამაც გამაკვირვა თავისი უნდობლობით. მერე დამალაგებინა ყველა საბუთი მაგიდაზე, რაც მის კარადებში მელაგა. მათ შესახებაც იგივე მკითხა და მათზეც დადე-

ბითი პასუხი გავეცი. ბოლოს აქაც შემიძინა კარადები, ხომ არაფერი დაუმაღე და მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი არ დამჯდარა სკამზე, და ფეხზე იდგა. ყოველივე ამის შემდეგ მითხრა, „თუ მოისურვებ სადმე გადასვლას, – სადაც გინდა იქ გადაგიყვან, თქვენს მიმართ არანაირი პრეტენზია არა გამაჩნია, იელენჩუკს კი გადაეცით, რომ „ნუ ატრაკებს“! ამ დროს იელენჩუკი ადგილზე არ იყო.

ჩემს შემდეგ ვისთან ისაუბრა არშავსკიმ წარმოდგენა არა მაქვს, მაგრამ ფაქტია, რომ მისი წასვლიდან რამდენიმე დღეში მოსკოვიდან მივიღე სსრკ გენერალური პროკურორის, – რეკუნკოვისაგან ბრძანება, მორიგი ჩინის, „2-ე კლასის იურისტის“ მონიჭების შესახებ და სამი თვით გამაგზავნეს ლენინგრადის სსრკ პროკურატურასთან არსებული გამომძიებელთა დახელოვნების ინსტიტუტში კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

გზად მიმავალმა ლენინგრადში ოჯახი ჩამოვიყვანე საქართველოში, რა დროსაც ვნახე რა, რომ ჩვენს სომხურ მოსახლეობას, ყველას, გადაეკეთა გვარ-ეროვნება ქართულად, „გაქართველებულიყვნენ“, მეც ვიხელთე დრო და სომხური გვარ-ეროვნება შევიცვალე ქართული გვარ-ეროვნებად, თუმცა არა ქოჩიაშვილად, რაც მოგვიანებით განვახორციელე, არამედ – ქოჩორაძედ, რადგან ამ გვარზე იყვნენ ჩვენები გადასულები, ამ ახალი გვარით ნავედი ლენინგრადში.

– ლენინგრადის გამომძიებელთა დახელოვნების ინსტიტუტში

ლენინგრადში მანამდე არ ვიყავი ნამყოფი. საცხოვრებლად გამამნესეს კოსტიუშკოს ქუჩაზე მდებარე ამავე ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში, სამ ქართველთან ერთად მომიწია ერთ ბლოკში ცხოვრება. ერთი იყო გორის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი ნიკლაური, მეორე – ბორჯომის პროკურატურის გამომძიებელი სარალიძე, მესამე კი, – თელავის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი, – კრანაშვილი (მათი

სახელები აღარ მახსოვს).

თვით დახელოვნების ინსტიტუტი კი მდებარეობდა ლიტვი-ნის პროსპექტზე, სადაც დღეს სამართლის აკადემიაა. მის პროფესორ-მასწავლებელთა უმეტესობაც იყვნენ ებრაელები.

კურსებზე მიწვეული ვიყავით 400 გამოძიებელი, რომელ-თაგან ნახევარი იყო სოციალისტური ქვეყნებიდან. ლექციებს გვიკითხავდნენ მკვლევარების, გაუპატიურებისა და სამეურ-ნეო დანაშაულებების გამოძიების ახლებურ მეთოდებზე, რომელთა შესახებ ჯერ კიდევ არ იყო გამოცემული ლიტერა-ტურა.

მე მაინტერესებდა ცოდნის მიღება და ყველა ლექციას ვესწრებოდი, ჩემი თანამემამულეები კი, რომლებსაც უამრავი თანხა ჰქონდათ სახარჯოთ წამოღებული, ლექციებზე იშვია-თად თუ ჩნდებოდნენ და დღე და ღამ რესტორნებში დაიარე-ბოდნენ. მე, როგორც უფულო კაცი კი, მათ გაურბოდი, რათა უფულობის გამო არ შევრცხვნილიყავი. თავისუფალ დროს კი ვატარებდი თეატრსა და მუზეუმებში. ისინი მიხვდნენ რომ გვარ-ეროვნება მქონდა გადაკეთებული და ცოტა გაუცხოვე-ბა, გამოხედვაშივე შევატყე მათ ჩემგან დისტანცირება, თუმცა რაიმე გართულება არა გვქონია.

სამი თვის შემდეგ დაგვეწყო გამოცდები, გამოცდებს იბარებდა კომპიუტერი, კომპლექსური გამოცდები ჩავაბარე „ფრიადზე“, მათაც „მიიღეს ფრიადები“, მაგრამ არა ცოდნის, არამედ მეთოდისტიკის მოსყიდვის ნყალობით, რომელთაგა-ნაც შეიტყეს კოდები.

ამის შემდეგ მე დავბრუნდი ხანტი-მანსიისკში, მოსკო-ვზე გავლით, სადაც ვინახულე სსრკ-ს მეცნიერებათა აკადე-მიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი პისკუტინი, რომელიც შემდეგ გორბაჩოვის თანა-შემწე გახდა. მე მას გაუზიარე ჩემი შეხედულებები საერთო სამართლებრივი სისტემების მოწყობის შესახებ, რაც მოეწონა და მთხოვა მქონიყო მასთან კავშირი, მოსაზრების ცხოვრებაში

დანერგვის მიზნით, და დრო და დრო გამეწვლო მისკენ, თუმცა ჩემი ცხოვრება სამწუხაროდ სხვა გზით წარიმართა და ამის საშუალება აღარ მომეცა.

ხანტი – მანსიისკუი როდესაც ჩავედი ხელმძღვანელობამ რამდენიმე თანამდებობა შემომთავაზა, რომელთაგან ერთ-ერთი იყო იამალა-ნენეცკის ავტონომიური ოლქის პროკურორის თანამემნის, – სასჯელ-აღსრულების დაწესებულებებზე ზედამხედველობის დარგში და რატომღაც მე იგი ავირჩიე. გამოსამშვიდებლად პროკურატურის თანამშრომლებს ბუნებაში მოუწყე სუფრა, რა დროსაც რამდენიმე ჭიქა სასმელის შემდეგ ავტონომიური ოლქის პროკურორმა, – პოდკორიტოვმა ხელკავი გამომდო და გამიყვანა გვერდზე სალაპარაკოდ. მან მითხრა, „ალექსანდრე უარი თქვი იამალა-ნენეცკის ოლქში წასვლაზე და მე აქ უფრო უკეთეს სამსახურს მოგცემო“, რაზედაც უარი განუცხადე. უთხარი, ბატონო ჩვენთან იტყვიან „გატეხილი პური არ მთლიანდება“, ის სულიერი დამოკიდებულება აღარ გვექნება მეთქი, რომელიც გვექონდა მანამდე. ამასთან დაკავშირებით, თითქმის მოზოდიშებით წარმოთქვა: „იელენჩუკმა შემიყვანა შეცდომაში-ო“.

როდესაც სუფრასთან დავბრუნდით მისმა მოადგილემ, – ვიქტორ ჩისტოვმა თქვა, „ხო მართლა ლამის დამავინწყდა, იმ ჩეჩენი მედოვების საქმეზე რუსეთის უზენაესმა სასამართლომ განაჩენი გამოიტანა თქვენეული ვერსიით, ისე რომ თქვენთან მიმართებაში ჩვენ არა სწორი პოზიცია გავგაჩნდა“.

ეს იყო ჩემი უდიდესი გამარჯვება მთელ ხანტი-მანსიისკის ორივე პროკურატურაზე, რამაც ისეთი სიხარული მომანიჭა, გეგონება მთელი სამყარო ჩემთვის ერუქებინათ!

აქედან გამომდინარე, არ უნდა წავსულიყავი სალენხარდში, დავჩქარდი, რამეთუ მოპოვებული წარმატება აქ უფრო მაღალ სიმაღლეებზე ამიყვანდა და გამიმყარებდა ავტორიტეტს, ვიდრე მისი ხელახლა მოპოვება უხო კოლექტივში! ცხოვრება თურმე შეცდომებით სიარული ყოფილა!

– იამალა-ნენეცკის ავტონომიური ოლქის პროკურატურაში

სალეხარდისკენ გავემგზავრე სამდინარე ტრანსპორტით. ვიდრე მივიდოდეთ ქალაქამდე, დაახლოებით ასი კილომეტრის მანძილზე, ობის გასწვრივ ეყარა მზისგან დამწვარი უამრავი აუთვისებელი ხე-ტყის გორები, სავარაუდო დამზადებული ათეული წლების წინ პატიმრებისა თუ სამხედრო ტყვეების მიერ.

ქ. სალეხარდში წარვედგინე ოლქის პროკურორს, დავდექი პარტალრიცხვაზე და გადავედი ობის მარცხენა ნაპირზე, ქ. ლაბიტნანგში, იქ სადაც გამოყოფილი იყო ჩემთვის სამუშაო კაბინეტი ქალაქის პროკურატურაში. მიზეზი ამისა იყო ის, რომ ოლქში არსებული სამივე სასჯელ-აღსრულების კოლონია იმყოფებოდა მდინარის მარცხენა მხარეს, მდინარის სიგანე კი იქ იქნებოდა არანაკლებ 10 კილომეტრი, და რომ ამ მანძილზე წინდა უკან, წარა-მარა არ მერბინა მათზე ზედამხედველ პროკურორს, ლაბიტნანგის პროკურატურაში მქონდა კაბინეტი გამოყოფილი.

თვით ქ. ლაბიტნანგში იდგა ერთი კოლონია, – მკაცრი რეჟიმის, ორი კი, – განსაკუთრებული რეჟიმების, მისგან დაახლოებით 150 კმზე მდებარე დაბა ხარპში, თითოეულ მათგანში იყო განთავსებული არანაკლებ 1500, – 2000 პატიმარი, ნაცვლად 800-1000 კაცისა.

საცხოვრებლად გამომიყვეს ორ-ოთახიანი ხის ინდივიდუალური სახლი, რომელიც არანაირად არ იყო გარესამყაროსაგან დაცული და ნებისმიერ დროს შეიძლებოდა მისი დაწვა. ამ დროს ქალაქში დაიარებოდა უამრავი პატიმარი კონტროლს გარეშე და აღნიშნულის ჩადენა არ გაუჭირდებოდათ თუ კი დაავალებდნენ, ანდა მოისურვებდნენ. სალამოთი რომ შევიდოდი ამ სახლში, არ მეგონა, რომ დილით ცოცხალი გამოვიდოდი. ეს გრძნობა არ დამკარგავს მთელი ჩემი ერთწლიანი იქ

ყოფნის მანძილზე!

სახლში იდგა ერთი რკინის სანოლი, ერთი მაგიდა და ორიც სკამი, სხვა არანაირი კომფორტი. თუმცა სიღარიბის კონპენსირებას მივსებდა საინტერესო და მრავალ ფეროვანი სამსახური.

ჩემს მისვლამდე თურმე ყოველ წელიწადს იჭერდნენ, ხან მოსამართლეებს, ხან პროკურორებს, და ხანაც ადვოკატებს, მაგრამ არა კოლონიის თანამშრომლებს. მათ თურმე ზემოდან პატრონობს, ვერ წარმოიდგენთ, – სსრკ კპ გენერალური მდივნის ლეონიდ ბრეჟნევის სიძე, სსრკ შს მინისტრის მოადგილე, – გენერალი ჩურბანოვი, რის შესახებაც მოგვიანებით შევიტყვე. მის გამო კი კოლონიებში გამეფებულ იყო კორუფცია და თანაც რა მაშტაბებით, ვერ წარმოიდგენთ.

მოკლე დროშივე დავადგინე:

1. კოლონიის ხელმძღვანელებს ადვილად რომ ემართათ დანესებულები, ახლად მოყვანილ პატიმართაგან კავკასიელებს, თვალში საცემი ჯანმთელობის მქონეთ და კანონიერ ქურდებს, ყოველგვარი მიზეზების გარეშე, როგორც წესი, მამვეთივე ათავსებდნენ საჯარიმო იზოლატორში, – ექვსი თვით, რათა გატეხვის მიზნით დაესუსტებინათ და დაეავადმყოფებინათ ტუბერკულოზით. ამ დროს თითოეულ კოლონიას შეეძლო მოეთავსა ერთდროულად თავის იზოლატორში 120 – მდე პატიმრამი. ამ გვარ პატიმართა მოთავსების კანონიერების შემოწმება კი მევალებოდა მე, – განმეხორციელა ყოველ თვითურად;

2. კორუფციაში გარეულებს, დამსმენებსა, და „ლევ“ საამქროებში დასაქმებულ პატიმრებს, რომლებსაც ხელფასებს ურიცხავდნენ ლეგალიზებულად დასაქმებულთა ხარჯზე, – სასჯლიდან ათავისუფლებდნენ ვადაზე ადრე, ანდა გაყავდათ გასახლებაში, პატიოსნად მომსახურეებს კი ტოვებდნენ ბოლო დღემდე;

3. სამივე კოლონიას გააჩნდა არალეგარული, – „ლევი“

საამქროები, – ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კერვის, ფერწერის, და ე. წ. „შუკატულეების“. ხოლო ხარპში, ЯИ\34-ში, – „შუკატულეებს“ ამოფარებული – ოქროსა და ოქროს ნაკეთობათა წარმოების საამქროც. აწარმოებდნენ ირმის ტყავისა და სხვა მასალების დიდი რაოდენობით უკანონო შესყიდვებს, უკანონო საამქროებისათვის, შემოსავალს კი ინანილდებდნენ მთელ ვერტიკალზე, – მინისტრის ჩათვლით;

4. პატიმარებისათვის განკუთვნილ პროდუქციის ნაწილს ხელმძღვანელები ყიდდნენ გვერდზე და იყენებდნენ ასევე „ლევ“ საამქროებში მასალად, მათგან მიღებულ შემოსავლს კი იყობდნენ ერთმანეთში. უწყების ზემდგომი ხელმძღვანელობა კი ყოველივე ხსენებულზე ხუჭავდა თვალს;

5. არაფრად აგდებდნენ პატიმართა სიცოცხლეს და ხშირად ხელს უწყობდნენ კიდევაც მათ მოსპობას. ფაქტი: ერთხელ ზემოხსენებული ЯИ\34 – ის სამრეწველო ობიექტის, – რკინა-ბეტონის ქარხნის მუშაობას ვამონმებდი და აღმოვაჩინე, რომ (კოლონია ტუბერკულოზით დაავადებულთა მიმართულების იყო) საამქროში, რომლის სიგრძე-სიგანეც დაახლოებით 200/100 მეტრი იქნებოდა, და რომელშიც დასაქმებული იყო მინიმუმ 350 ტუბერკულოზით დაავადებული პატიმარი, ბოლისა და მტვერის გამო 5-10 მეტროში კაცს ვერ დაინახავდი. როდესაც ვკითხე გვერდზე მყოფ კოლონიის უფროსის მოადგილეს ოპერატიულ დარგში, თუ რამდენი ვენტილიატორი იყო დამონტაჟებული საამქროში და რამდენი მათგანი ჩართული, – მიპასუხა, რომ 15 მუშა მდგომარეობაში მყოფი ვენტილიატორიდან ჩართული იყო მხოლოდ სამი. კითხვაზე, თუ რატომ არ იყო ჩართული დანარჩენები? მიპასუხა, „მოქალაქე პროკურორო, ესენი ხომ ტუბერკულოზით არიან დაავადებულები და იხოცებიან, და დაე რაც შეიძლება მალე დაიხოცნენ, უკეთესი იქნება ქვეყნისთვისო“. ყურებს ვერ დაუფერე, თავი იეყოვის პერიოდში მეგონა. !

6. ხარპის ЯИ/34-ის დანესებულების ადმინისტრაციასთან

დანაშაულებრივ კავშირში შესულები იყვნენ ლაბიტნანეში განთავსებული სსრკ ოკიონოლოგიის შემსწავლელი ინსტიტუტის, ყინულოვანი ოკიანის შელიფის შემსწავლელი ექსპედიციის ხელმძღვანელები და შემდგომი გადამუშავება-რეალიზების მიზნით, მათთან უკანონოდ შეჭქონდათ მოპოვებული მარგალიტები და ამონაგებს იყოფდნენ.

არსებული ვითარების აღსაკვეთად დავინწყე მუშაობა და თანაც ზემდგომ ინსტანციებს ვაცნობე, მაგრამ არანაირი რეაგირება, არავითარი მხარდაჭერა, უფრო სანინაალმდეგოდ განვანწყე, რადგან როგორც მივხვდი მათაც ჰქონდათ მათგან-ხეირი.

საჯარიმო იზოლატორში მოთავსებულებზე ხშირად არ ჰქონდათ შექმნილი საქმეები, ანდა მოთავსებული ყავდათ სრულიად უკანონოდ, – ასეთებს მაშინათვე ვანთავისუფლებდი და უშვებდი ზონაში, რის გამოც ციხის უფროსები ხელების გასავსავებით მეუბნებოდნენ, „თუ ასე გააგრძელეთ ჩვენ ველარ შევძლებთ კოლონიების მართვას!“ მეც ვპასუხობდი, „დაიცავით კანონიერება და ასეთი შედეგი არ გექნებათ!“ შემოვლისას თითოეული კოლონიის საჯარიმო იზოლატორიდან ვანთავისუფლებდი არა ნაკლებ ოც პატიმარამს! აღნიშნული ქმედებით ბევრ ადამიანს შეუწარჩუნე ჯანმთელობა და სიცოცხლე.

„დაახლოებულ პირთა“ ვადაზე ადრე განთავისუფლებას, თუ გასახლებას, – დაუპირისპირე კანონი და ავაიძულე ადმინისტრაცია წარმოედგინა მხოლოდ ის პირები, რომლებიც ნამდვილად იმსახურებდნენ ამას. ყოველ თვე კი თითოეულ კოლონიას ვადაზე ადრე გასანთავისუფლებლად გამოყავდა 25-30 პატიმარი, მათგან კი უკან ვაბრუნებდი 10-15-ს. ამ მხრივ მოსამართლეს მისმენდა და ბოლო ჯამში კოლონიებში ამ მხრივ დავამყარე კანონიერება, რასაც თვით პატიმრები მიესალმებოდნენ. უკან დაბრუნებულთა საქმეების შესწავლით კი ვამხელდი თვით ადმინისტრაციას თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში.

„ლევნი“ საამქროების მხილებაში მეხმარებოდა არა მარტო ბუღალტრული რევიზიის მასალები და დამსმენები, რომელთა რიცხვში ოპერატიული მუშაკებიც იყვნენ, არამედ იმ ხანად კოლონიებში მოქმედი კონტრდაზვერვის ოფიცრებიც, რომლებიც ჩემდამი კეთილ-განწყობილნი იყვნენ. მათთან ვხედავდი „შავ ბუღალტერიას“, საიდანაც ნათლად ჩანდა კოლონიებში დამზადებული ტანსაცმელი თუ ფეხსაცმელი სად მიდიოდა და ვინ ყიდულობდა. კოლონიებში არსებულ კორუფციაში ჩართული იყო არა მარტო თვით კოლონიის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, არამედ ტიუმენის ოლქის შს სამმართველოსა და სამინისტროს მაღალ ჩინოსნები. კოლონიებში ამზადებდნენ მაღალხარისხოვან პროდუქციას და წილი მათამდე მიდიოდა.

ЯИЦ\34 – ში უკანონოდ მოქმედი ოქროს საამქროსათვის, ოქროს მოიპოვებდნენ ურალის მთებიდან აღმოსავლეთით მომდინარე მდინარის აუზში ქვიშის რეცხვით. მზა პროდუქცია კი იქიდან ყოველ თვიურად გაჰქონდა მატარებლით მოსკოვიდან სპეციალურად ჩამოსულ ბრეჟნევის სიძის კაცს.

ამ კოლონიის უფროსი იყო პოლკოვნიკი კოვგანკო, ნათლული ტიუმენის ოლქის შს სამმართველოს უფროსისა. იგი თავის თავს უწოდებდა „იემალის ბატონს“. ერთ-ერთი შემომხმებისას მას აღმოვაჩინე უკანონოდ შექმნილი 1200 ირმის ტყავი, რომლისგანაც კერავდნენ უნტებს, წყვილი 500 მანეთი. იგი მილიონობით ფულს აკეთებდა.

მის გვერით არსებულ კოლონია ЯИЦ/18-ში, რომელიც იყო ნარკომანთათვის განკუთვნილი, აღმოვაჩინე 1500-ზე მეტი პატიმრის ზამთრის თბილი ქუდი, – დამცავი ტყავის გარეშე, მარტო ქუდის შიგთავსით. მოხსნილი ტყავით კი შეეკერათ ფეხსაცმელი და შავ ბაზარზე გაეყიდათ. დარჩენილი ქუდის ჩიხლები კი მიეცათ პატიმრებისათვის, რომელიც ცხადია ვერ დაიცავდა 40 გრადუსიანი ყინვისაგან.

ხმა რომ არ ამომელო ნაკლოვანებებზე კოლონიის უფროსები მიმანიშნებდნენ, „ხელი-ხელს ბანს ორივე პირსო“, სურ-

დათ ჩემი კორუფციაში ჩათრევა, მაგრამ, რადგან კანონის გარდა არავინ მყავდა დამცველი, მათ თამაშებში არ ჩავერთვი და არც მათი ნდობა გამაჩნდა!

როდესაც **ჩჩ\ 34** შემონმების მასალები წარუდგინე ავტონომიური ოლქის პროკურორ, – საფრონოვს, კოლონიის უფროსის წინააღმდეგ საქმის აღსაღძრელად, მას ნიკაბის ცახ-ცახი დაეწყო და მითხრა, „თქვენ რა, არ მომცემთ საშუალებას, როგორმე პენსიამდე გავიტანო თავი“! იგი იქნებოდა 57 წლის. მან შემონმების მასალები დაიტოვა თავისთან, თუმცა საქმის აღძვრაზე მითხრა უარი.

მან კარგად იცოდა, რაც ხდებოდა კოლონიებში და ვინ იყო მათი მფარველი, რის შესახებაც შეეძლო თავიდანვე გავეფრთხილებინე და არ შემეტოპა ასე ღრმად. მაგრამ არა, დუმილით შემოიფარგლებოდა, რათა საჭიროების შემთხვევაში უცოდველი კრავის როლში გამოსულიყო, პენსიამდე ხომ როგორმე უნდა გაეტანა თავი!

ჩემი აქტიურობის „შედეგმაც“ არ დააყოვნა, გამომიძახეს რუსეთის ფედერაციის პროკურატურაში 1983 წლის გვიან შემოდგომით და მინიშნებებით ამიხსნეს, რომ კოლონიებში არსებული ტრადიციებისთვის არ უნდა შემეშალა ხელი. მათ მხრიდან არანაირი მხარდაჭერა, მხოლოდ ის მითხრეს გამომშვიდობისას, რომ „ძალიანაც არ უნდა მქონოდა ანდროპოვის იმედი“, რომელიც იმ ხანად იგი უკვე გარდაცვლილიყო ფილიყო. ანდროპოვი კი მიხსენეს იმიტომ, რომ თამამი და გაბედული მუშაობის გამო იამალა-ნენეცკში დამიგდეს ხმა, თითქოსდა ანდროპოვის გაგზავნილი ვყოფილიყავი წესრიგის დასამყარებლად, და ამ ჭორს მოსკოვშიც ჩაელწია. ჩემს დარად კი მანამდე არავის არ ემუშავა და ამან წარმოშვა ეს ჭორი.

ერთი კვირის დაბრუნებული არც კი ვიყავი მოსკოვიდან, რომ ანდროპოვის გარდაცვალების შესახებ ტელევიზიით გამოაცხადეს.

მიუხედავად ხსენებული გაფთხილებისა მაინც ჩემებურად

გავაგრძელებ მუშაობა, რამეთუ სხვანაირად არ შემიძლო. საქმით რომ ჩავეძირე კოლონიის უფროსებმა ერთმანეთში შეკრეს პირი და მათთან პატიმარების მიერ გაგზავნონ წერილები განსახილველად, რაც მათ ევალეობდათ, – დაიწყეს ჩემთან გამოგზავნა, ყოველდღიურად ვლებულობდი არანაკლებ 30-40 წერილს. ახლა უნდა მეზრუნა მათ პასუხების გაცემაზეც, რათა ამ გზით ჩამოვეშორებინე კოლონიებს. არც ამას შეუშინდი და გავართვი თავი ამ საშინელ დატვირთვასაც, თუმცა, ვახსენებდი მათ, რომ ამ წერილების განხილვა მათი მოვალეობა იყო!

ეს არ იკმარეს და ახლა მოინდომეს ჩემი ფიზიკური მოსპობა. ამასთან დაკავშირებით თვით იემალა-ნენეცკის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსი მენვია და გამაფთხილა, რომ სურთ ჩემი მოკვლა და დამიდგინა გადაადგლილების მარშრუტი და რეჟიმი.

და მანც, ეს ავადმყოფი კაცი, რომლის ნერვიულობაც დაუშვებელი იყო, ვერ ვლაღატობდი სამსახურს, კვლავ ჩემებურად ვაგრძელებდი მუშაობას, თან თეორიულ პრობლემებზე ვწერდი სტატიებს. ყოველივე ეს კი, ჩემი ჯანმრთელობის პირობებში ერთობ სარისკო იყო. მთლიანად ვიყავი ჩაფლული საქმეში, არანაირი პირადი ცხოვრება! ვიყავი მარტო, კვლავ ოჯახის გარეშე. თუ არ მოვწონდი კოლონიების ხელმძღვანელებს, – ვუყვარდი პატიმრებს და ეს იყო ჩემი ყველაზე დიდი სიხარული და საზღაური ტანჯვისა.

ერთხელ ერთმა ახალგაზრდა პატიმარმა ჩემი მონახულების მიზნით გამოაცხადა შიმშილობა, როცა მივედი და ვკითხე, თუ რატომ შიმშილობ, – მიპასუხა: „თქვენზე იმდენ კარგს ლაპარაკობენ, რაც ჩემთვის, ამ უსამართლო ცხოვრებაში დაუფერებელია, რომ დავრწმუნებულიყავი გაგონილში, რათა ცხოვრებაზე შემეცვალა აზრი, გადავწყვიტე თქვენი მონახულობის მიზნით გამომეცხადა შიმშილობა“.

დავსხედით მაგიდის იქით-აქეთ, და ვეკითხები: რა პრობლემები გაგაჩნია, რომ დაგეხმარო? მან კი მიპასუხა: „არა-

ნაირი პრობლემა არა მაქვს, თუ შეიძლება ხუთი ნუთი გიყურო მაინც!“ ასე ვისხედით მე და ის პატიმარი ხუთი – ათი ნუთის განმავლობაში ერთმანეთის პირისპირ და მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი უხმოდ მიყურებდა მოჩერებული.

ეს ფაქტი მივიჩნეო ჩემი კანონიერი ქცევის გვირგვინად, თუმცა მანამდე, ჩემი მონახულების მიზნით პატიმრებს ვენე-ბიც კი გადაუჭრიათ.

მსგავსი შემთხვევა მქონდა ЯИ\18 – კოლონიაში. ახალი გადმოეყვანილი ყავდათ ხაბაროვსკიდან კანონიერი ქურდი, ვინმე – იგორ სტალნოი, რომელიც ასაკით იქნებოდა დაახლოე-ბით 65 წ-ის. იგი ითვლებოდა სსრკ-ში მესამე ავტორიტეტად, იყო როსტოვის ქურდთა ყრილობის პრეზიდენტის წევრი, ციხე-ში კი მოთავსებული 12 წლის ასაკიდან. მისი პირადი საქმიდან ჩანდა, რომ იგი იყო სსრკ შს მინისტრ ბაკატინის აგენტი. მისი-ვე ბრძანებით, ვაგონთან, რომლითაც იგი გადმოიყვანეს, არა სხვებთან ერთად, არამედ მარტო, მის მიერ გაცემული საშვის გარეშე არავინ დაიშვებოდა. ეტყობა რაღაც სერიოზული დავა-ლება ჰქონდა მიცემული, რამეთუ კოლონიაში მისი გამოჩენის-თანავე შვიდმა პატიმარმა შიმშილობა გამოაცხადა და ზონაში აღარ გადიოდნენ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კოლონიის „ზამპა-ლიტს“ გადაეწყვიტა მასთან გასაუბრება და მთხოვა, საუბარში მეც მიმელო მონაწილეობა. ჯერ იგი ესაუბრებოდა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო და რომ არ უნდა შეხებოდა იმ ვილაც ქურ-დებს, რომელებმაც შიმშილობა გამოაცხადეს. მათზე კი სტალ-ნოი აცხადებდა, რომ ჩაჭრილებია და უნდა დაისაჯნენ. მალე მეც ჩავერთე საუბარში და წარუდგინე ჩემი თავი. როცა მან მოისმინა ჩემი გვარ-სახელი მითხრა, „მოქალაქე პროკურორო მე თქვენზე კარგი ინფორმაციები მომდიოდა შორეულ აღმო-სავლეთში, თქვენ კარგი ადამიანი ბრძანდებით და თქვენი ხათრის გამო, თუ გინდათ რომ ესენი გვამებად არ იქცნენ, რაშიც ბრალს ვერ დამიდგენთ, – მომაცილეთ აქედან ერთ ი

თვის განმავლობაში“. მე უთხარი, ხელმძღვანელობა გაერკვევა საკითხებში და ისე მოიმოქმედებენ, როგორც საჭიროა, თქვენ კი სამუშაოზე უნდა გახვიდეთ მეთქი. ამაზე გაელიმა და მითხრა, „გეტყობათ თქვენ ქურდულ კანონებში ვერ ერკვევით, ქურდები არ მუშაობენ, მაგრამ თქვენი ხათრის გამო გავალ სამუშაოზე, თუმცა არ ვიმუშავებ“!

მრავალი ორატორი მინახავს, მაგრამ ამ სტალნოის მსგავსი-არავინ, მკაფიო მჭერმეტყველი, გეგონება მისი სიტყვები კედელს გაანგრევენ და იქით მიალწევენ სანადელსო.

1984 წ-ის გაზაფხულზე ტიუმენის ოლქის პროკურორმა, ჩემი თანამდებობიდან განთავისუფლების მიზნით აპარატიდან გამომიგზავნა შესამონმებლად პროკურორი აკოპიანი. მან რა შეთხზა ჩემს შესახებ წარმოდგენა არა მაქვს, მაგრამ ფაქტია, რომ მის კვალობაზე გამომიძახეს ტიუმენში და კადრების სამმართველოს უფროსმა წინ დამიდო შევსებული, ვითომ ჩემი ატესტირების ფურცელი, რომელსაც აკლდა ხელმოწერები. ვითომც გამომცადეს და ვერ გავიარე ატესტაცია. თან მითხრა, „დანერეთ განცხადება სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ, თორემ ამ ატესტაციის ფურცელს ხელს მოვანერთ და ბიოგრაფიას გაგიფუჭებთო“! აღნიშნულთან დაკავშირებით ვკითხე, კი მაგრამ ეს ხომ პროვოკაციაა, თუ ატესტაციას მიტარებთ, მაშინ გამომცადეთ, როგორ წესი და რიგია, ანდა რას ეუბნებით იმ დახელოვნების ინსტიტუტს, რომელსაც გასულ წელს ფრიადიზე ჩავაბარე ატესტაცია?!

ამ სიტყვების შემდეგ მან თქვა, „რა ვქნა პარტიის საკავშირო ცკ ითხოვს თქვენს განთავისუფლებას“. მერე გამოალო სეიფი და იქიდან აღებული ფურცელი დამიდო წინ, რომელიც აღმოჩნდა ცკ-ს მიმართვა. მასში ეწერა, „დაუყოვნებლივ განთავისუფლეთ ალექსანდრე ქოჩორაძე დაკავებული თანამდებობიდან, მის გამო მთელი ჩრდილოეთი ჭყვიტინებს“ (ჟუჟატი)!

ბოლო ჯამში კადრების სამმართველოს უფროსმა შემომთავაზა სამხრეთში გადმოყვანა, მაგრამ ვიგრძენი რა შეურა-

ცყოფილად და დაუცველად თავი, – უარი განუცხადე. აღარაფერი მინდოდა გარდა ნანახისა და განცდილის მხატვრულ ნაწარმოებებად გადაქცევისა. მომინდა მწერლობა, საქვეყნოდ კივილი, ყვირილი, რაც ვითომდა მომგვრიდა შვებას. ამ იმედით დავბრუნდი საქართველოში!

ასე დამთავრდა ჩემი „ვოიაჟი“ ტიუმენის ოლქში, რაც უფრო წააგავდა გადარჩენისთვის ბრძოლას, ვიდრე უსამართლობასთან შერკინებას. ვერ ჩავენერე მლიქვნელთა და მტარველთა წრეში. ჩემი ადგილი, როგორც აღმოჩნდა, – იყო და დარჩა უბრალო ხალხში!

10. კვლავ საქართველოში – დმანისის აგროგაერთიანებაში

მშობლიურ სოფელში დავბრუნდი 1984 წ-ის ზაფხულის დასაწყისში, როგორც ავლნიშნე მინდოდა სამწერლო საქმიანობისათვის მომეკიდა ხელი და დამეწყო პასიური ცხოვრება. მაგრამ არა, თურმე განგებისაგან ადამიანი დაბადებიდან მომართული ყოფილა ერთ მთავარ მიზანზე, რომელსაც უნდა ემსახუროს მთელი თავისი სიცოცხლე, და ვერ გაექცევა იგი მას! ასე აღმოვჩნდი მეც ამ კანონზომიერების ქვეშ. მოკლეთ, ჩამოსვლიდან რამდენიმე დღეში, ახლობელთა დაჟინებული რჩევით გავიარე რაიონის აგროგაერთიანების თავჯდომარე ალექსანდრე მიქელაძესთან (მიქელიანცი), რომელიც წარმოშობით იყო მეზობელ სოფელ ვარდისუბნიდან და აუხსენი ჩემი მდგომარეობა, არადა არსებობა ხომ გინდა, მსურდა დამხმარებიყო სადმე სამართალდამცავ ორგანოებში მოწყობაზე, რამეთუ, ამ მხრივ, უკვე გამაჩნდა პრაქტიკული გამოცდილება. მან კი შემომთავაზა თავისი თანაშემწის თანამდებობა, რომელსაც დაექვემდებარებოდა კადრების განყოფილებაც და მეც დავთანხმდი. „ჯერ აქ წაიშუშავე, გაგიცნოს ხელმძღვანელობამ და მერე ვიფიქროთ დანარჩენზე“.

ამ აგროგაერთიანებაში შედიოდა რაიონში არსებული ყვე-

ლა წარმოება-დანესებულება, რომელსაც რაიმე კავშირი გააჩნდა სოფლის მეურნეობასთან და მათი რიცხვი აჭარბებდა ასს, თვით ჩვენს სათავე ოფისში კი დასაქმებულ იყო 57 ადამიანი.

ეს აგროგაერთიანება საბაზისო იყო მთელს საქართველოში შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების დანერგვის საქმეში (ანგარიშსწორების ანგარიშზე გადასვლა) და გამოცდილების მისაღებად მოდიოდნენ არამარტო სხვადასხვა რაიონებიდან, არამედ მოკავშირე რესპუბლიკებიდანაც კი.

აღნიშნულიდან გამომდინარე უამრავ დოკუმენტთა ბრუნვას ჰქონდა ადგილი, როგორც შემოსულს, ისე გასულს, ყველას ჩემს ხელში უნდა გაეველო. მე კი ვიყავი ერთგვარი მათი ცენზორი, უმფროსის დავალებათა შესრულებაზეც კონტროლსაც მე ვანარმოებდი და კადრების განყოფილებასაც ვხელმძღვანელობდი. ყოველი შემოსული დოკუმენტის მიხედვით ვის, რა უნდა შეესრულებინა, – მე ვადგენდი მონახაზს, მიქელაძე კი მხოლოდ ხელს ანერდა მათ. სამუშაო იყო უამრავი, სამსახურში დილის შვიდ საათზე რომ შევდიოდი, ღამის 12 – ზე გამოვდიოდი. იქვე ახლოს მქონდა ნაქირავები ბინაც, სადაც ოჯახით ვცხოვრობდი და ამაში ხელის შემშლელი არაფერი გამაჩნდა, თვითონ მიქელაძე კი ჩემზე მეტად მუშაობდა.

„დმანისური შრომის ორგანიზაციის“ სიახლე კი იმაში გამოიხატებოდა, რომ ქვეყანაში პირველად ჩვენთან ინერგებოდა „იჯარული ნარდი“ და ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა მმართველობის დემოკრატიული ფორმების შემოღებას ცდილობდნენ, რასაც სათავეში ედგა ალექსანდრე მიქელაძე, კაცი ვეტერინარიის მეცნიერებათა კანდიდატი, თუმცა იურისპრუდენციაში გაუნათლებელი, არადა ამ საქმეს სწორედ რომ იურისტი ესაჭიროებოდა. მიქელაძის სჯეროდა რაიკომის პირველ მდივანს – ემზარ ბერიძეს, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატს, და იგიც მთლიანად ენდობოდა მას, სადავეები ჰქონდა გადაცემული.

ამ დროს ხსენებული შრომის ორგანიზაციის სიცოცხლის

უნარიანობისა და სრულყოფისათვის, როგორც ეს შემდგომ დაავადებინე მოსკოვში სადისერტაციო ფონდში მუშაობის დროს, – საჭირო იყო 12 პრინციპის დანერგვა, ჩვენთან კი დანერგილი ჰქონდათ მხოლოდ შვიდი. დანარჩენთა დაუნერგაობით კი დარჩენილი ხვრელები გადაქცეული ჰქონდათ ქონების დატაცების გზებად. და რადგან მოსკოვიდან მომდინარე მეურნეობის მართვის დეცენტრალიზაციის ტალღაზე იყვნენ აყოლიებულები, – მათაც განმკითხავი აღარავინ ყავდათ, „ითბობდნენ ხელს“. თვით რესპუბლიკის აგროკომიტეტშიც კი ამ საკითხებში სათანადოდ ვერ ერკვეოდნენ. ვერ ერკვეოდნენ ასევე საქართველოს ეკონომიკის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტშიც, სადაც თემასთან დაკავშირებით მუშაობდნენ ქავთარაძე, ნიკლაური და მამა-შვილი პაპავები.

მათთან სამეცნიერო საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე გავაკეთე მოხსენება „იჯარული ნარდის“ შესახებ და აქედან ვიცი მათ შესახებ.

„იჯარის“ პრობლემებში ჩავერთე თავიდანვე იმ მიზეზით, რომ მიქელაძემ დამავალა შემედგინა სოფლად არსებული „იჯარული ურთიერთობის კოდექსი“, რასთან დაკავშირებითაც გავნე უზარმაზარი შრომა, თუმცა კავშირის დანგრევის შემდეგ ეს შრომა ჩამეყარა წყალში, რამეთუ კაპიტალიზმისათვის მიუღებელი აღმოჩნდა.

ასე, თუ ისე, ვშრომობდი მთელი ჩემი ენერგიით და თან ვწერდი სამეცნიერო ხასიათის წერილებს ჟურნალ-გაზეთებში.

ჰქონდა რა ჩავარდნა აგროსამმართველოს იურიდიულ საკითხებში, ექვს თვეშივე მიქელაძემ გადამიყვანა, მასთან არსებულ „სამეურნეობათაშორისო იურიდიული ჯგუფის“ უფროსად, სადაც იურისტებად მუშაობდნენ პენსიაში გასული პროკურორი, ობხ-ს უფროსი და მსგავსნი მათი, რომლებიც მხოლოდ დროს ტარებაზე იყვნენ გადასულები, და ადვილი არ იყო მათი მართვა. მომინია გარკვეული სიმკაცრის გამოჩენა, რასაც უპრობლემოდ არ ჩაუვლია, თუმცა წავნე საქმე წინ.

ჩემი თავდადებული შრომის შესახებ მიქელაძე თურმე საქმის კურსში აყენებდა ბერიძეს, და მანაც ერთ მშვენიერ დღეს გამომიძახა თავისთან და დამავალა, ამელო რაიკომის „ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის კომისიის“ გადამწყვეტილებები, გავცნობოდი და შემეფასებინა იმ პოზიციით, მე რომ ვყოფილიყავი მისი ხელმძღვანელი, როგორ გადამწყვეტილებებს მივიღებდი? ამ დროს კომისიის თავჯდომარე იყო თვითონ ბერიძე.

ერთი თვის განმავლობაში ვსწავლობდი კომისიის მასალებს, მერე შევადგინე მიუკერძოებელი დასკვნა და წარუდგინე, რაც ძალიან მოეწონა და კომისიის საქმიანობაში კორექტივის შეტანისათვის ბიუროზე გაიტანა საკითხი.

ასეთივე დასკვნის გასაკეთებლად ბერიძემ მიმავლინა რუსთავის საქალაქო კომიტეტშიც და მათაც გაუკეთე ასევე ანალოგიური დასკვნა.

ამის შემდეგ ემზარ ბერიძემ გადამიყვანა თავისთან, – პარტიის რაიკომის აპარატში იდეოლოგიური განყოფილების ინსტრუქტორად და თან დამავალა ხსენებული კომისიის მდივნობა.

ეს მოხდა მიქელაძესთან რვა თვის მუშაობის შემდეგ.

– დმანისის პარტიის რაიკომში

იდეოლოგიურ განყოფილებაში არ მქონდა ორი თვე ნამუშევარი, რომ იქიდან გადამიყვანეს საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორად, რა დროსაც განყოფილების უფროსმა მულაძემ, რომელიც მეორე კაცად მოიაზრებოდა რაიკომში, მითხრა, „ჩვენ რომ წავალთ (იგი და ბერიძე ჩამოსულები იყვნენ) რაიონს ჩაგაბარებთ თქვენ, ტატუაშვილ ალექსისა და თემურ მენტე-შაშვილს“. ბუნებრივია, იგი თუ იყო გულწრფელი, ამ საკითხს გაანდობდა სამართალ დამცავ ორგანოების ხელმძღვანელებსაც, რომლებსაც ყველაზე მეტად ენდობოდნენ, რათა არ დაეშვათ შეცდომა ჩემთან მიმართებაში, რომ გამოეჩხრიკათ რაიმე „კომპრა“, თუ კი გამაჩნდა. იმ ორს კი, – კარგა ხანია იცნობდნენ.

თვით სამართალ დამცავ ორგანოთა ხელმძღვანელები ყველა იყვნენ ჩამოსულები ფულის საკეთებლად და, არც თუ დიდი ჭკუით გამოირჩეოდნენ. ცხადია, გამოცდილი იურისტის სახელისუფლო სტრუქტურაში ყოფნა, მათ არანაირად არ აწყობდათ, მით უფრო რომ მათ პარტორგანიზაციებს მე ვუნევდი კონტროლს, მე გამქონდა მათ შესახებ ბიუროზე საკითხები და საერთოდ მათ ბევრ საქმიანობაში მიხდებოდა ჩარევა.

მოგვიანებით შევნიშნე, რომ ისინი ჩემს მიმართ მტრულად განენწყნენ და დაიწყეს ხელმძღვანელთან არა სწორი ინფორმაციების მიტანა, ...

რაიკომში მუშაობის დროს აუტანელი გახდა მეუღლესთან ცხოვრება და ოჯახიდან წამოვედი, სამსახურში დავიწყე სიარული სოფლიდან, შვილებს კი რაიკომის ფანჯრიდან ვადევნებდი თვალყურს, თუმცა ყოველდღე ისედაც ვხვდებოდი და პროდუქტებით ვამარაგებდი. ამ დროს ოჯახი უკვე შესახლებულ მყავდა რაიკომის მიერ იძულებით მოცემულ ბინაში.

პარტიის რაიკომი დაყოფილი იყო ურთიერთ მოქიშპე ჯგუფებად და მუდმივად ერთი-მეორის თხრაში იყვნენ. იქ „უპატრონო“ ვერ გაიხარებდა. ჩემი მფარველი მიქელაძე კი მალევე გადაიყვანეს საქართველოს აგროკომიტეტის სამდივნოს უფროსად და დავრჩი „დაუცველი“, დამიწყეს დევნა. უშიშროებისა და მილიციის უფროსები სპეციალურად მიყრიდნენ ხმებს, ვითომც მნიშნავდნენ პროკურორად, ობეხეს უფროსად, ვაჭრობის სამმართველოს უფროსად, მილიციის უფროსის მოადგილედ, და ასე, რათა თუ ვინმე რამეს ფლობდა ჩემს შესახებ ცუდს, დაენერათ ანანიმური საჩივარი. ასე ცდილობდნენ ჩემს „ლუსტრაციას“. მაგრამ რაც არა მქონდა უარყოფითი გაკეთებული რას მომიჩხრიკავდნენ. ადმინორგანოთა ხელმძღვანელების გავლენით რაიკომის პირველმა მდივანმა ემზარ ბერიძემაც დამიწყო აღმაცერად ყურება და ნაცვლად ჩემი პარტიული ავტორიტეტის გაფრთხილებისა დამიწყო ისეთი დავალებების მოცემა, რომლებიც ხალხში მიტეხდა სახელს.

ხშირად, მილიცია რომ ვერ ხსნიდა ამა თუ იმ დანაშაულს, – მე მახსენებდნენ, დამსახურებულ ხალხს, – პარტიიდან მე მარიცხინებდნენ და ა. შ. როდესაც არ შეიძლებოდა სამუშაო საათებში მუშა-მოსამსახურეთა მიერ სპირტიანი სასმელების მიღება, – მომამაგრეს მილიციელებისა და ექიმების ჯგუფი და შემამონმებინეს რესტორანი „ვიეტნამი“, მდებარე სომხეთის-კენ მიმავალი გზის ხეობაში, რა დროსაც აღმოვაჩინე მარტო თბილისიდან ჩასული 33 მაღალ ჩინოსანი, რომლებსაც სტუმრად ყავდათ წამოყვანილი სსრკ მინისტრთა კაბინეტის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი და პატივს სცემდნენ. მათ შორის იყვნენ ჩვენი რაიონის პროკურორი, სომეხ კოლეგებთან ერთად, და თვით ბერიძის დეიდაშვილი გოგი ლლონტიც კი. დავადგინე მათი ინდენტობა და სიმთვრალის ხარისხი, აქტი წარუდგინე ბერიძეს. მან, კი, როგორც ხმა დაირხა, ხსენებულ პირებს გამოართვა დიდი ფული, მე კი გამიტყდა სახელი, შემექმნა დაუნდობელის რეპუტაცია!

დავინახე რა ბერიძის ჩემდამი დამოკიდებულება, რომ უბრალოდ მიყენებდა ყოველგვარ პერსპექტივზე გათვლის გარეშე, – სამჯერ დაუნერე განცხადება დამსახურიდან განთავისუფლების შესახებ, მაგრამ არ გამანთავისუფლა. ხალხი მიცნობდა პატიოსან ადამიანად და სწორედ რომ მათ უწევდა ანგარიშს. მიუხედავად არსებული ვითარებისა მაინც ვაგრძელებდი „საიჯარო ურთიერთობის კოდექსზე“ მუშაობას.

ერთ მშვენიერ დღესაც ბერიძე (1987) გადაიყვანეს ლანჩხუთის, – მულაძე კი ხაშურის რაიკომის მდივანად. მე კი ვიხელთე დრო და ვიდრე ახალ მდივანს გამოგვიგზავნიდნენ ხსენებული „კოდექსით“ ხელში ჩავედი თბილისში, „ვასხნილის“ ამიერკავკასიის ფილიალის დირექტორის მოადგილესთან, პროფესორ, ბატონ რობერტ ანდლულაძესთან, რომელიც იყო ფოთისა და მესტიის სამეურნეო რეფორმების ავტორი. წარვედგინე როგორც მეურნეობის იურისტი და ვთხოვე გადაეხედა ჩემი „კოდექსისათვის“, რომელიც მოვამზადე, თუ გამოდგებოდა ახალი სასო-

ფლო სამეურნეო ურთიერთობის იურიდიულ ბაზისად?

მე ბატონ რობერტიზე ბევრი რამ მქონდა გაგონილი და ვიფიქრე, მომცემდა გონივრულ რჩევას. მან დახედა რა „კოდექს“, რომელიც თავისი მოცულობით 100 თავახის ფურცელს შეადგენდა, მითხრა, „ჩანს ბევრი გიშრომიათ, მაგრამ მოდი ამ ჯერად თავი შევიკავოთ მისი ანალიზისაგან, რამეთუ ველოდებით მოსკოვიდან, გარდაქმნასთან დაკავშირებით, მეურნეობის მართვის ახალ რეგულაციებს და მის შემდეგ დაუბრუნდეთ ამ საკითხსო“. ამავ დროს მირჩია შევხვედრიყავი ცკ-ში მომუშავე ყოფილ იუსტიციის მინისტრს, ბატონ აბესაძეს, რომელსაც ჩემს თვალწინ გადაურეკა და სთხოვა მოესმინა ჩემთვის და გამიშვა მასთან. იგი აღმოჩნდა ნამეტანი მონესრიგებული და ვიდრე მივიდოდე ცკ-ს შენობასთან, – იგი მის შესასვლელში მელოდებოდა. გამომკითხა იქვე რაღაცები და მითხრა რომ მისი სახელით გადავსულიყავი ეკონომიკისა და სამართლის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის დირექტორთან, ბატონ შავგულიძესთან, და მეც გავემართ იქით.

როდესაც შავგულიძესთან მივედი, მან გამოიძახა პროფესორი თენგიზ ლილუაშვილი და გადამაბარა მას. თუმცა მანამდე ერთობლივად გადახედეს ჩემს შემოქმედებას. ლილუაშვილმა დამავალა წარმედგინა „დმანისური იჯარის სამართლებლივი პრობლემებზე“ რეფერატი, რაც მოუგვარე ათ დღეში და ჩამრიცხეს „იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის“ მაძიებლად. სადისერტაციო თემად კი მომცეს „კოლექტიური იჯარის სამართლობლივი პრობლემები“. ჩარიცხვამდე არცერთმა მათგანმა არ იცოდა ჩემი სომხური წარმომავლობის შესახებ და მომეცნენ მაღალი ადამიანურობით.

ჩემს მიერ შედგენილი რეფერატი განეხილათ პარტიის ცკ-შიც, რასაც შედეგად მოყვა „დმანისური იჯარის“ საერთოდ გაუქმება, იგი კი მოხდა უკვე ახლად დანიშნული ჩვენი რაიკომის მდივანის ომარ ელოშვილის მოსვლიდან პირველსავე დღეებში. იგი საერთოდ ვერ ერკვეოდა ამ მეურნეობრივ საკი-

თხებში.

როდესაც ელოშვილი მოვიდა დმანისის რაიკომში, მან პირველსავე სხდომაზე გამოავლინა ჩემს მიმართ ანტიპატიური დამოკიდებულება. ცხადია იგი წინასწარ იყო ინფორმირებული თანამშრომელთაგან ვინ რას წარმოვადგენდით. ამაყენა ფეხზე და ზიზლით, მთელი რაიონული აქტივის წინაშე მეუბნება, „თქვენს მშობლებს უთხარით, იქ ხრამში მდინარის გაღმა არხის სათავესთან რომ ცხოვრობენ, სარეცხს ისე მოურიდეבלად ნუ გამოფენენ ხოლმე“? ამ დროს იქ მყოფნი კი არ იყვნენ ჩემი მშობლები, არამედ იყო დედიჩემის ძმის ოჯახი, რომელიც იცავდა სარწყავი არხის სათავეს, თუმცა, მათ ქმედებაში არანაირი დასაძრახი არ იყო. მით უფრო, რომ მათი სადგომი გზიდან იყო 150 მეტრზე დაშორებული. უბრალოდ, აღნიშნული შენიშვნით ელოშვილმა ჩემს მიმართ სახალხოთ უპატივცემლობა გამოხატა და აღნიშნა, რომ მე მის გვერდით არ მედგომებოდა!

მეორე დღეს გამომიძახა მან თავისთან და მეკითხება, თუ „რა პრობლემებს ვხედავ რაიონში?“ თუ მართლა გაინტერესებთ-მეთქი წარმოგიდგენთ ხვალ წერილობით და გაეცანით“. როდესაც წარუდგინე, დახედა რა, მითხრა, „პოლიტიკურ ცნობიერებაში ბადალი არ მოგენახება“ რაიონშიო. მეორე დღეს კი დამნიშნა დიდი დმანისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავჯდომარედ. ასე მომიცილა რაიკომიდან. ეს მოხდა 1987 წ-ს.

ელოშვილმა თავის გარშემო შემოიკრიბა უვიცი, ქეიფის მოყვარულნი და ავანტიურისტები, მცოდნენი კი მოიცილა. ასე დაიწყო თავისი მოღვაწეობა, რა დროსაც მთლიანად გაფლანგა რაიონის ქონება და განმკითხავი არავინ ყავდა.

– დიდი დმანისის სასოფლო საბჭოში

ჩვენს დიდი დმანისის სასოფლო საბჭოში, როგორც ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში, გაერთიანებული იყო ექვსი სოფელი – დიდი დმანისი, ვარდისუბანი, ბოსლები, მაშავერა,

უკანგორა და პატარა დმანისი, ფაქტობრივად აღორძინებული 19 საუკუნის დასაწყისში ყარაბაღიდან გადმოსახლებულ, გაქართველებულ სომეხთა ხარჯზე, საერთო რაოდენობით 3600 – მდე ადამიანით.

სამსახურის დაწყებისთანავე შემოვიარე ყველა სოფელი, შევხვდი მოსახლეობას, გავეცანი მათ პრობლემებს და შევადგინე საერთო წლიური და გრძელვადიანი სოციალ-ეკონომიკური განვითარების გეგმები. ამავე დროს სათანადო გამოცდილების მისაღებად ყოფილი საბჭოს თავჯდომრეებისა და მეურნეობის დირექტორებისაგან ჩამოვაყალიბე საკონსულტაციო საბჭო, და გავააქტიურე დეპუტატთა კორპუსი. ასე დავინყე საბჭოში საქმიანობა.

ვიფიქრე, მთელი ჩემი ცხოვრება გასული ვიყავი სოფლიდან და რაიმე მნიშვნელოვანი მისთვის არაფერი გამიკეთებია, და იმის შიშით, რომ დაავადების გამო შეიძლება მალევე დავინვალიდებოდი და დავიღუპებოდი, რის შიშის გამოც ყოველ დღით 3-4 კმ დავრბოდი და ვარჯიშობდი, – გადავწყვიტე, უპირველესი ყოვლისა, სამახსოვროდ ამეგო ომში დაკარგულ 37 თანასოფლელთა საპატივსაცემოდ მემორიალი. იგი ავაგე კიდევ მეორე წელსვე, გავხსენი 1988 წ-ის 9-მაისს. ზეიმზე მოვიწვიე ომის მონაწილენი ყველა სოფლიდან, რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატიდან, პარტრავიკომიდან და პრესის წარმომადგენლები. ჩემს ხარჯზე მოუწყე მათ 100 კაციანი სუფრა, რომელსაც ელოშვილი არ დაესწრო და რამდენიმე ავანტურისტთან ერთად საქეიფოდ მდინარეზე გაიპარა!

მალევე მომმზადეს მეზობელი სოფლების ახალგაზრდებმაც და მათაც აღუმართეს თავიანთ დაკარგულებს მსგავსი მემორიალები, გარდა მაშავერისა. ყველას აღმოუჩინე სათანადო მხარდაჭერა.

მომდევნო წელს კი ავაგე „შუშანიკის წამების 1500 წლის-თავთან“ დაკავშირებით იაკობ ცურტაველის ძეგლი, – 120 კუბამეტრის მოცულობის ბაზალიტის ჯვარზე, რომელიც შეუ-

თანხმე საქართველოს მხატვართა საბჭოს თავჯდომარე ელგუჯა ამაშუკელს და საქართველოს პატრიარქს, – ილია!!-ეს, რაც დღეს არამარტო რაიონის, არამედ მთელი ქვემო ქართლის ერთ-ერთ საუკეთესო ღირსშესანიშნაობაა! აღნიშნული ძეგლი ელოშვილმა სამი წლის განმავლობაში არ გამახსენებინა, რათა ვყოფილიყავი „ჩრდილში“, ვიდრე არ გამოვაქვეყნე კრიტიკული წერილი გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“. მე უნდა ამეგო ასევა ქრისტეს „ჯვარცმის“ მემორიალიც, რაც ასევე შეთანხმებული მქონდა ილია !!-თან, მაგრამ არც მისი აშენების საშუალება მომცა ელოშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ მაფინანსებდნენ სხვები! მიზეზი: იგივე, პლიუს, რომ ჩვენი სოფლები ყოფილიყვნენ უსახიეროდ, ბნელში!

ძეგლის აგება განპირობებულ იყო იმით, რომ „შუშანიკის ნამება“ ჩემის აზრით დანერგილი იყო არა სოფ. ხიდისთავის მეზობლად მდებარე ვითომ სოფელ ცურტავში, არამედ, – ციხე-ქალაქ დმანისში, რომელსაც შესაძლოა ადრე ეწოდებოდა ცურტავი. ამასთან დაკავშირებით იგივე აზრი გააჩნდა ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიის მკვლევარს, პროფესორ დევი ბერძენიშვილს, რასთან დაკავშირებითაც გამოცემულიც აქვს წიგნი. მხარი დამიჭირა ასევე ამ საქმეში საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა გიორგი მელიქიშვილმა და მომცა დასკვნა ელოშვილთან წარსადგენად, რომ სოფ ვარდისუბანში იაკობ ცურტაველის ქანდაკების აგება ისტორიულად გამართლებულია, და რომ აღნიშნული ძეგლით რაიონს დაუბრუნდება დაკარგული ღირსება!“ პირველი წიგნი ფაქტობრივად დაწერილია დმანისში!!!

გარდა ძეგლებისა, გავაკეთე სხვა მრავალი საქმე, გავაუმჯობესე ყველა სოფელში არსებული სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მდგომარეობა და მათი ინფრასტრუქტურა. ყველა სოფელში გავიყვანე წყალი და განათება, ხელი შეუწყე კომერციული ინფრასტრუქტურის განვითარე-

ბას. დავრგი უამრავი ხე, მათ შორის კაკლის, სამოსახლედ გავანაწილე 500 მიწის ნაკვეთი. დავაპროექტე დიდი დმანისის ახალი კულტურის სახლის მშენებლობა, თუმცა მის აშენებაში წყობილების დამხობამ შემიშალა ხელი. ამავე დროს ვიყავი რაიონული საბჭოს კანონიერების დაცვის კომისიის თავჯდომარე. ჩემი წარმატებების შესახებ წერდა რაიონული და რესპუბლიკური პრესა, მაღიარეს საქართველოში ყველაზე წარმატებულ საბჭოს თავჯდომარედ. აღნიშნულის გამო მიმიწვიეს საქართველოს უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმში საზოგადოებრივ მრჩევლად. ერთხანს მისი თანამშრომლებიც კი მეუბნებოდნენ, რომ სურდათ ჩემი პრეზიდიუმში გადაყვანა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა წარმომავლობის გამო შეიკავეს თავი და ალბათ ელოშვილმაც ამაში შემიშალა ხელი. ჩემს მიერ წარდგენილი „რეკომენდაციები“ წაელთ მოსკოვში და იქ მათ, „დიდ პრეზიდიუმში“ მოწონება დაემსახურა, – გამოუქვეყნებიათ კიდევ რომელიღაც აღმანახში, როგორც ეს მითხრა ინსტრუქტორმა ჭიჭინაძემ. პარალელურად ყოველივე ამისა, ვენეოდი სამეცნიერო-პოპულარული სტატიების წერას და ვმუშაობდი საკანდიდატო დისერტაციაზე, რასთან დაკავშირებითაც უკვე ჩაბარებული მქონდა სამეცნიერო მინიმუმი!

თუ ჩემი საბჭოს თავჯდომარედ დანიშვნამდე ჩვენი საბჭო პირველი იყო კრიმინალურ სტატისტიკაში, ჩემს პერიოდში ფაქტობრივად არანაირი საჩივარი აღარ შედიოდა რაიონულ ადმინისტრაციაში, ყველა პრობლემას ვაგვარებდი ადგილზე, რაშიც დამეხმარა ჩემი საგამოძიებო პრაქტიკა!

როგორც ცნობილია, 9 აპრილის შემდეგ ვითარება ერთდაგვარად შეიცვალა, ეროვნული მოძრაობის ფეხის ხმას აყოლილი ახალგაზრდობა, რომლებსაც არც თუ გაეგებოდა რამე მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისა, მხოლოდ იმის მცდელობაში იყვნენ, რომ როგორმე ევნოთ არსებული ხელისუფლებისათვის. ამ კუთხიდან გამომდინარე, პირველ რიგში მტრად მიმიჩნიეს მე, თავად სურდათ ადგილობრივ ხელისუფლებაში

მოსვლა და დამინყეს პროვოკაციების მოწყობა. რაც როგორც კი ვიგრძენი, – დავანებე მაშვე საბჭოს თავჯდომრობას თავი და გადავედი რაიონის ადვოკატურის გამგედ, ჩემს მაგივრად კი დანიშნეს არა „ეროვნული მოძრაობის“ წარმომადგენელი, არამედ ყოფილი კომკავშირის მუშაკი ზურიკო აკოფაშვილი, რომელიც არაფრით ინუხებდა თავს და დროის ტარებას მიეცა. ეს იყო 1991 წელი.

ადვოკატად გადასვლამდე საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ, ანზორ კალმახელიძემ გამომიძახა თავისთან და მთხოვა შემესრულებინა ერთი ქალბატონის თხოვნა, რომელიც ქალი კი არა „კაციაო“, მისი პროტეჟით გუმბარიძე დაინიშნა ქვეყნის ხელმძღვანელად“ და ამით მახარებდა, შენც-დაგეხმარება რამეშიო. იგი გახლდნა წითელ წყაროს რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი, სახელად მარო თუ გვარად მაროშვილი, ზუსტად აღარ მახსოვს, რომელიც იმ ხანად მუშაობდა პრეზიდიუმში. მან მითხრა 9 აპრილის შემდგომ ცვლილებებთან დაკავშირებით შევადგინეთ სახელმწიფო მმართველობის სისტემის რეგლამენტი და იგი რატომღაც არ მოეწონა გუმბარიძეს, მისი ხელმოწერის გარეშე დავაგზავნეთ რაიონებში სახელმძღვანელოდ და თუ შეიძლება გადახედე მას, და თქვენეული ვარიანტი წარმოგვიდგინეთო. წარმოგიდგინათ, მე გლახის შვილს უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა მთხოვა, – კონსტიტუციური დონის დოკუმენტის შედგენა! მე იგი ერთთვეშივე შევადგინე, დაახლოებით 80 თაბახის ფურცელზე და წარუდგინე იმ ქალბატონს, რომლის შემდეგაც მან მითხრა, ამიერიდან „თქვენთვის ყველა კარი ღია იქნება და დაგეხმარებით ყველაფერშიო“. სამწუხაროდ მალევე დაინგრა კომუნიზმის ერაყ და მე იგი აღარ მინახავს.

– დმანისის გამგეობაში

არ მქონდა ორი თვეც კი ნამუშევარი ადვოკატად, რომ რაიონის გამგებელმა, ჩემი ძმის შვილის მეუღლემ, პოლი-

ციის პოლკოვნიკმა რომან კავლელაშვილმა, ჩემთან შეთანხმების გარეშე გადამიყვანა თავისთან სოციალური დახმარების განყოფილების გამგედ და თან დამნიშნა ლტოლვილთა და განსახლების რაიონული კომისიის თავჯდომარედ!

დრო იყო არეული, ვითარებას სათანადოდ ვერ ვმართავდით, რამეთუ მარგიანისა და იოსელიანის ზენოლით კავლელაშვილს დავალებული ჰქონდა სვანებისათვის არაფერში შეეშალა ხელი და ისინიც რასაც მოისურვებდნენ, იმას აკეთებდნენ, არაფერში გვინევდნენ ანგარიშს, იტაცებდნენ უძრავ-მოძრავ ქონებას და ჩვენ მხოლოდ „უპრავებდით“ მათ, რაც ველარ ავიტანე და რვა თვეშივე წამოვედი მისგან.

სვანების თავგასულობას სათავე დაუდო ელოშვილმა, თუმცა ამავე მიზნით თავიდანვე განისაზღვრა მათი ჩასახლების იდეა, რომლებიც ჯერ შეაარაღეს ადგილობრივთა ხარჯზე ჩეჩნეთიდან გადმოტანილი იარაღით, მერე კი აამხედრაეს ჯერ თათრების, შემდეგ კი ჩვენს წინააღმდეგ. ზვიადის დროსაც მიიღეს დამატებით იარაღი, და ხელისუფლებას აღარ ემორჩილებოდნენ, მფარველად ჰყავდათ იოსელიანი, და ყაჩაღობდნენ როგორც უნდოდათ, და ვისზეც უნდოდათ. მათგან მოსახლეობა იყო დატერორიზირებული, მილიცია კი სათანადო ზომებს მათ მიმართ არ იღებდა.

თათრების დათრგუნვისა და განდევნის შემდეგ, რაიონიდან დაახლოებით 10 000 თათარი გავიდა, სვანებმა იერიში მიიტანეს გაქართველებულ სომხებზე. თუმცა მანამდე, ჩვენი ხალხის წინააღმდეგ ელოშვილს, ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, ყარაბახში მიმდინარე ომის ფონზე, სურდა თათრების გამოყენება. ამ მიზნით მან მოიწვია რაიონის აქტივის სახელით აგრესიულად განწყობილ, ბნელ ძალთა კრება, რომელსაც ესწრებოდა არა ნაკლებ 500 კაცი, მათ შორის 70 %, – მდე აზერბაიჯანელი, მაშინ კრებას ესწრებოდა პარტიის ცკ-ს ერთ-ერთი მდივანიც, და კიროვისის სასოფლო საბჭოს არა ოფიციალური მოადგილის პირით, რომელიც სავარაუდოდ

სახელმწიფო უშიშროების აგენტი უნდა ყოფილიყო, მანამდე იგი რაიონულ ღონისძიებებზე არასოდეს მინახავს ტრიბუნასთან, ამ ცკ-ს მდივნის მოკლე მოხსენების შემდეგ (მოხსენება ეხებოდა რაიონში და მთლიანად, ქვემო ქართლში არსებულ ნაციონალურ ვითარებას, რამეთუ მაშინ თათრები ბოლნისისა და დმანისის ქართულ მოსახლეობას დაესხნენ სვანების თავაშველებლობის გამო) მან პირდაპირ ტრიბუნიდან მოუწოდა რაიონის აზერბაიჯანულ მოსახლეობას თავს დასხმოდნენ გაქართველებულ სომხებს, – შემდეგი სიტყვებით: „ძმებო, ქართველებო, ჩვენ როგორც ვიყავით ერთმანეთში ძმურად, ისე უნდა დავრჩეთ, ჩვენ ურთიერთობაში ხელს გვიშლიან და ჩვენს შორის შუღლს აგდებენ „ხუთ-მანეთიანი ქართველები, და ისინი უნდა დაისაჯნენ“!!! ამ სიტყვების გარდა იმ თათარს სხვა არანაირი სიტყვა არ უთქვამს. ეს იყო მისი გამოსვლის ტექსტი. მის შემდეგ კი დარბაზში მყოფმა თათართა ბრბომ ერთხმად შესძახა, „დუზდუ, დუზდუ“, ე. ი. მართალია, მართალიყო! როგორც ჩანს ხალხი წინასწარ ყავდათ შემზადებული მხარდასაჭერად. მათ შემდეგ ჩვენს დასაცავად არც ელოშვილს და არც იმ ცკ-ს მდივანს არანაირი სიტყვა არ უთქვამთ, არც ჩვენ, იქ მყოფთ მოგვეცა საპასუხო სიტყვის თქმის უფლება. პროვოკაციული გამოსვლა, დაგეგმილი ჩვენივე ხელისუფლების მიერ გადაიქცა თათართა სამოქმედო გეგმად. იმ პროვოკატორის გამოსვლის შემდეგ კი კრება დახურეს და შურის საძიებლად აღრენილი თათრობა, რომელიც რეალურ აზერბაიჯანულ აქტივს არ წარმოადგენდა, – ღმუილით გამოვარდა გარეთ. ხელისუფლებას სურდა მათი ხელით დმანისში გაეთამაშა „მეორე სუმგაითი“! დაირხა ხმებიც, რომ თითქოსდა თვით ქალაქ დმანისში მცხოვრებ გაქართველებულ სომეხთა საცხოვრებელ ბინების კარებებზე, – მისანიშნებლად დაეხატათ ჯვრები. ხალხმა დაიწყო გახიზვნა. მე მაშვე წავედი სოფ ჯავახის საშუალო სკოლაში, სადაც რატომღაც რაიცენტრიდან განზრახვ მოშორებით გამსახურდიასთან დაახლოებულ პირის,

ამბროსი ბალახაძის თავკაცობით ტარდებოდა, ე. წ. ქართულ სოფლების დაცვის შტაბის სხდომა. აუხსენი მათ, რაც ხდებოდა რაიცენტრში და ვთხოვე სასწრაფოდ ამოსვლა, რაც შეასრულეს. შემდეგ მოვნახე ჩემივე კარის მეზობელი, რაიალმასკომის თავჯდომარე ფარვიზ მუსტაფაევი და შინაურულად ვთხოვე ელონა რამე, რომ არ დაღვრილიყო სისხლი!

ყოველივე ამის შემდეგ მართალია რალაცები მოიმოქმედეს თათრებმა, მაგრამ მათ თავხედობამ არ მიიღო ფართო მამტაბიანი ხასიათი!

თათრების შემდეგ, როცა ისინი განდევნეს დმანისის რაიცენტრიდან აზერბაიჯანში, ისე, როგორც მანამდე მეზობელ ტაშირის რაიონიდან სომხებმა, – თათრების რამდენიმე სოფელი, ჩვენს წინააღმდეგ აამუშავეს სვანები, ჩვენგან განმმენდის განსახორციელებლად, რაც სავარაუდოდ დავალებული ჰქონდათ ცენტრიდან. მაშინ ხელისუფლებაში უკვე მოსული იყო გამსახურდია.

ამ ამოცანის შესასრულებლად დმანისში თავი მოყრილი ჰქონდათ ყველა მხრიდან მოსულ სვანებს. მაგრამ რატომღაც არ გადადიოდნენ აქტიურ მოქმედებებზე, ხელი ეშლებოდათ ოსეთში დანყებული სეპერატისტული მოძრაობის გამო. რაიონის მილიციის მთელი შემადგენლობა ამ დროს ხანგრძლივი დროის განმავლობაში გასული იყო ტყეში მონაგონი მიზეზით, ვითომდა პროტესტის ნიშნად და დაპირისპირებული მხარეები მიტოვებული ყავდათ უსაფრთხოების (გამყოფი) ზოლის უზრუნველყოფის გარეშე. ამ დროს ბოლნისიდანაც ამოსული იყო, ავტომატური იარაღით დატვირთული მსუბუქი ავტო – მანქანა და ჩვენ პროვოკაციების მიზნით გვთავაზობდნენ შევიარალებულიყავით და გადავსულიყავით იერიშზე, თუმცა არ ავყევით მათ.

თუ არა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სეპერატისტული მოძრაობა ქართველებისათვის „ქართული სახელმწიფოს შექმნა“ გამსახურდიას უნდა დაეწყო დმანისიდან! მოვლენები, ერთი შეხედვით, ვითომ ქაოტურად რომ განვითარებულიყო

და მისი მართვადობის შესახებ არ სცოდნოდა ფართო საზოგადოებას, პარლამენტს, გამსახურდიამ ჩვენი რაიონის უმაღლეს საბჭოს დეპუტატს, ნოდარ ნონიაშვილს, რომელიც ასევე გაქართველებული სომეხია, – აუკრძალა დმანისში ამოსვლა, რათა თბილისში არ ჩამოეტანა რეალური ინფორმაცია.

მიზანი კი ყოველივე ამისა, ვფიქრობ იყო ზვიადის მცდელობა, ტაშირის რაიონიდან განდევნილი აზერბაიჯანული მოსახლეობის მიერ დაცარიელებული სოფლების ჩვენით შევსება!

ამის თქმის უფლებას მაძლევს ის გარემოება, რომ თვით ზვიად გამსახურდია წარმომავლობით უნდა იყოს სომეხი, რამეთუ ზუგდიდის 19-ე საუკუნის კამერალური აღწერების მიხედვით გვარი „გამსახურდია“ დაფიქსირებულია „ტერ-გამსახურდიანად“. და თუ ეს ასეა, მაშინ არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ მას გააჩნდა სომხური ფესვები, რასაც შეეძლო გაეჩინა მისთვის სომხური ინტერესი!

ჩვენი ხალხის განდევნა რომ სურდათ სომხეთში, ამის თაობაზე წინასწარ გვივრცელებდნენ პროკლამაციებს და იდეოლოგიურად გვამზადებდნენ, რასაც მონაშობს იმ ჟამინდელი პრესაც!

აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით ერთხანს რაიონის მოსახლეობის მიერ ზვიად გამსახურდიასთან გაგზავნილ ცხრა კაციან ჯგუფში მეც ვიყავი. ჯგუფში იყვნენ რაიონის ინტელიგენციის წარმომადგენლები. პრეზიდენტის მისაღებში იყო რობერტ პეტრიაშვილი, მან ყველას სათითაოდ გამოგვიკითხა, თუ რა უნდა გველაპარაკა პრეზიდენტთან. ყველაზე ბოლოს მე გამესაუბრა, როდესაც მიმიხვდა, რომ ვერკვევოდი მიმდინარე მოვლენებში მან მითხრა, „თქვენზე ინტერესებიდან გამომდინარე გამსახურდიასთან არ შეგიშვებო“ და არც შემიშვა!“ თუ რატომ, მანვე თქვა, „რომ გითხრათ ქერი ჩამოინგრევას!“ მისგან განაწყენებული იმავე დღესვე ამოვედი ტყეში გახიზნულ მილიციელებთან და უთხარი, რომ „ხალხის მოლაღატეები ხართ და ჩვენს წინააღმდეგ მონყობილი შეთქ-

მულების მონაწილენი“, რის გამოც ლამის ფიზიკური შეურაცყოფა მომაცენეს. მოგვიანებით აღნიშნულში დამეთანხმა რომან კავლელაშვილი, რომელიც იმ ხანად სამძებრო სამსახურის უფროსი იყო!

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლისთანავე რაიონის პრეფექტად დანიშნეს ვინმე გირგვლიანი, რომელსაც შეუდგინე რაიონის მართვის სისტემა, ერთ-ერთი პირველი საქართველოში და სანაცვლოდ მომცა ჩემი მოსამართლედ დანიშვნის თაობაზე მიმართვა. ჩემს ჩემდებ, ორ დღეშივე ანალოგიური მიმართვა მისცა ბოლნისის მაცხოვრებელ ელზა ხუციშვილსაც, რომელსაც ჩემზე ეთქვა, „რალა მაგ სომეხს მიეცით მიმართვა, მე მომეცით და საქმეს მოვაგვარებო“, და მისთვისაც მიეცა. იმ ხანად იუსტიციის მინისტრი იყო ჯონი ხეცურიანი და თქვენ წარმოიდგინეთ, კაცი, რომელიც ასპირანტურიდან მიცნობდა, მეუბნება „მოსამართლედ ვერ გაგიშვებ, რადგან ხალხი სომხად გიცნობს“! ხუციშვილს, რომელსაც მხოლოდ ბოლნისის ადვოკატურაში მემანქანედ მუშაობის გამოცდილება ჰქონდა, გაუშვეს დმანისის მოსამართლედ, მე კი, რომელსაც თითქმის სათანადო გამოცდილება გამაჩნდა და ასპირანტურაშიც ვსწავლობდი, წარმომავლობის გამო დამტოვეს გარეთ!

ანალოგიურად მომექცნენ მოგვიანებითაც, ნინიძის მინისტრობის დროს დმანისის მოსამართლის თანამდებობაზე გამოცხადდა კონკურსი, წარვადგინე ყველა საჭირო საბუთი, მაგრამ გასაუბრებაზე არ გამომიძახეს, თუმცა არაერთხელ მივაკითხე. ამ ჯერადაც დამტოვეს გარეთ, ჩემს მაგივრად კი მიიღეს მილიციის საბავშო ოთახის ინსპექტორად მომუშავე ბერძენი ეროვნების ქალბატონი, რომელმაც ქართული ენა კარგად არც კი იცოდა.

– საქართველოს თავდაცვის სამინისტროში

1993 წ-ის გაზაფხულიდან ნოემბრის ჩათვლით დავსეირ-

ნობდი თურქეთში და ვეცნობოდი მის ღირსშესანიშნაობებს, ნოემბრიდან კი დავინწყე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის მთავარ სამმართველოში გამომძიებლად მუშაობა. იქ სუფევდა ერთი საშინელება, არაკომპეტენტურობა და ქაოსი. ყველა იყო გადასული ფულის კეთებაზე, ხშირ შემთხვევაში ყაჩაღობდნენ, გამკითხავი კი არავინ ყავდათ. სამხედრო საწყობებიდან ჯარისკაცთათვის განკუთვნილი ფასეულობა კი დანაშაულებრივად ხვდებოდა ბაზარზე და იყიდებოდა. მოკლეთ ადგილი ჰქონდა საშინელ კორუბციას!

იქ ყოფნისას მომიწია ბარნოვის ქუჩაზე მდებარე აკადემიკოს ავლიძე ზურაბაშვილის სახლის გაჩხრეკა, რომელშიც მისი პროფესორი შვილი ცხოვრობს და მისგან ამოვიღე რამდენიმე ასეული წყვილი სამხედრო ჩექმა, რომელიც ხელმძღვანელობამ მიითვისა.

გაზაფხულით გაუქმდა ეს სამმართველო და გადამიყვანეს თავდაცვის სამინისტროს პირად შემადგენლობასთან მუშაობის მთავარ სამმართველოში უფროს იურისტად. სამმართველოს უფროსი იყო გენერალი სოხაძე, შემთხვევითი პირი, რომელიც თავისი გაგებით „ანგებოდა“ ქურდულ გაგებას.

პარლამენტის ეკონომიკური კომიტეტის თავჯდომარემ, აკადემიკოსმა ვალერიან ადვაძემ, საზოგადოებრივ საწყისებზე მიმიღო სამართლის ექსპერტად და დაუმუშავე იჯარის შეასახებ კანონის ძირითადი დებულებები. თუმცა, ამ საქმეს დისერტაციის დაცვის მიზნით აღარ გავყევი, რადგან თემა ახალი წყობილებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა, დისერტაცია კი დანერგილი მქოდა და დაცვაზე უპერსპექტივობის გამო აღარ გავიტანე, ნამუშევარი ჩამეყარა წყალში!

ამ სამმართველოში დავყავი 1995 წლის გაზაფხულამდე, მერე, როგორც იქნა გადავედი საქართველოს მთავარ სამხედრო პროკურატურაში პროკურორ-კრიმინალისტიკის თანამდებობაზე, თუმცა იყო შანსი გავსულიყავი ისნის ბრიგადის მეთაურის მოადგილედ აღმზრდელით ნაწილში.

– მთავარ სამხედრო პროკურატურაში

მთავარ სამხედრო პროკურატურაში გადახედეს რა ჩემს ბიოგრაფიას, რომ ნამუშევარი მქონდა გამომძიებლად, პროკურორ-კრიმინალისტიკის მოვალეობასთან ერთად დამაკისრეს ასევე სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებაც. გამოსაძიებელი იყო უამრავი საქმე ზვიადის პერიოდიდან აქეთ, ძირითადად სამეურნეო ხასიათის. გველაგა თავდაცვის ფონდის, თავდაცვის სამინისტროსა და მინისტრთა კაბინეტის რევიზიის მასალები. აგრეთვე აფხაზეთის ომთან დაკავშირებით. თითქმის ყველა მათგანი დამანერეს მე და მათ გამოსაძიებლად შემეძინეს მცირე საგამომძიებო ჯგუფი. მაშინ მთავარ სამხედრო პროკურორად მუშაობდა გენერალი ნუკრი გოგიტიძე, ხოლო გენერალურ პროკურორად-ჯამლეტ ბაბილაშვილი.

შეიძლება ითქვას ჯგუფის წევრები, ისე როგორც მთლიანად აპარატის თანამშრომლები, იყვნენ, ე. წ. „დედიკოს ბიჭები“ და შრომით ძალიანაც არ იწუხებდნენ თავს, გადასულები იყვნენ ფულის კეთებასა და დროსტარებაზე. სანინააღმდეგო დინებას ვერ შევექმნიდი და უნებლიოდ მეც ჩავერთე ამ დინებაში, მით უფრო, რომ ხელფასით 2-3 პური თუ შემეძლო მეყიდა. ოჯახი რომ გამოემეკვება ხშირად, სამუშაო საათების შემდეგ-ჩემი მანქანით გვიან ღამემდე ვტაქსაობდი. ამ პერიოდში ოჯახთან ვიყავი შერიგებული და თბილისში მყავდა ჩამოყვანილი, უმაღლესში ვასწავლიდი ორ ბავშვს.

ჩემს ხელთ არსებული მასალებიდან ჩანდა, რომ იმ დროინდელი სამოქალაქო თუ სამხედრო ადმინისტრაცია გადასული იყო სახელმწიფო ქონების დატაცებაზე. ქურდობდა ყველა, ვისაც რის მოპარვა შეეძლო, თუ არ გააჩნდა მოსაპარი-ყაჩაღობდნენ!

სამხედრო თნამდებობის პირები ერთი ხელის მოწერით ითვისებდნენ მილიონობით თანხებს. რუსი სამხედროების მიერ სამხედრო ნაწილებში დანატოვარ, უვარგის ფასეულო-

ბებზე ადგენდნენ ცალმხრივ აქტებს, თითქოსდა დაუდგენელ პირთაგან შეეძინათ და მის საფუძველზე ბანკიდან გამოტანილ თანხებს ითვისებდნენ. ამგვარ საქმეში ჩართულ იყვნენ თვით მინისტრებიც კი!

ერთი და იგივე მოწოდებაზე სამხედრო აღჭურვილობის რუსეთიდან, ხშირად ხდებოდა ორმაგი გადარიცხვები სხვა და სხვა წყაროებიდან, რომელთაგან იქ უკვე ერთმადგანს ეპატრონებოდა გადამრიცხველი. ამგვარი ოპერაციების გასაშიფრავად ვრთობდით რუსეთის სპეცსამსახურებს და ვიღებდით ობიექტურ ინფორმაციებს. როგორც წესი ასეთი ოპერაციების განსახორციელებლად სამხედრო არისტოკრატის თავად შირმად, – ჰქოდათ შექმნილი საშუამავლო ფირმები. ერთ-ერთი ასეთი იყო „ფასკუნჟი“, რომლის დამფუძნებელიც იყო გენერალი ჩხეიძე, – სასაზღვრო ძალების ხელმძღვანელი!

მათთან ალიანსში ფირმა „ივერიის“ სახელით არაერთი ოპერაცია ჰქონდა განხორციელებული პრეზიდენტ შევარდნაძის ძმის შვილს, – ნუგზარ შევარდნაძეს.

გამოვავლინე ისეთი ფაქტებიც, როდესაც აფხაზეთში მეომრებისათვის ერთი კომისიის მიერ გაგზავნილ პროდუქციას თუ აღჭურვილობას, უკან აბრუნებდნენ და როგორც ახლად შეძენილს, ისე ღებულობდნენ უკან შემოსავალში მეორე კომისიის მეშვეობით.

არც პრეზიდენტი გამოიყურებოდა პირნათლად. თავდაცვის ფონდის შემოწმებისას, რომლის ხელმძღვანელიც იყო მწერალი, – ჭაბუა ამირეჯიბი, პრეზიდენტის დავალებით მას სრულიად დაუსაბუთებლად გადაერიცხა ჩრდილოეთ კავკასიაში 170 მილიონამდე მანეთი. გენპროკურორის მითითებით ეს ფონდი მთლიანად არ შემომოწმებია. იქ კიდევ სხვა დარღვევებს ჰქონდა ადგილი.

დანაშაულის გახსნისა და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემისათვის არც თუ ძალიან თავს ინუხებდა სამხედრო პროკურატურა, რასაც უპრობლემოთ ვხედავდი. პრეზიდენტის წინა

საარჩევნო პერიოდში, საგამოძიებო ნაწილის უფროსი მინდორამეილი მბლოკავდა და სათანადოდ აქტიურობის საშუალებას არ მძლევდა. ამ დროს ჩემი საქმეების გამოძიების მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად ვახსენებდით გენერალურ პროკურორს, ის კი თავის მხრივ, – ახსენებდა პრეზიდენტს, რომელიც თურმე ამ გზით გვამონმებდა, თუ რამდენად ვეხებით თავდაცვის ფონდს, ანდა მის ძმის შვილს, რომლის შესახებაც ბევრი რამ არ ვიცოდით და ინფორმაციას შეგნებულად გვიმალავდა შს სამინისტრო.

ერთ-ერთი მორიგი მოხსენების დროს, რა დროსაც სამხედრო პროკურატურის ხელმძღვანელობასთან ერთად სხდომას ესწრებოდა, ჩემი საგამოძიებო ჯგუფის წევრები, – შს სამინისტროს დეპარტამენტის უფროსი, მომავალი მინისტრი-თარგამაძე და მისი ერთ – ერთი სამმართველოს უფროსი ჩხეიძე, გენერალურმა პროკურორმა მკითხა, თუ რატომ ვაყოვნებდი თავდაცვის სამინისტროს ზურგის შტაბის უფროსის დაპატიმრებას? ხომ არ ვეტყოდი, რომ ხელმძღვანელობა მბლოკავდა და დავინყე არა დამაჯერებლად საუბარი, რის გაგძელების საშუალებაც აღარ მომცა, შემანყვნიტინა და დაპატიმრებით დამემუქრა! ერთი თვის წინ შემპირდი, რომ დააპატიმრებდი და რა გიშლის ხელსო?! ამ დროს საუბარი აღარ მაცალა თარგამაძემ, წამოდგა და ბაბილაშვილს მოახსენა, „ბატონო ჯამლეტ, ჩვენი ხალხი მუშაობს ქორჩაშვილთან, რომელიც გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით, მუშაობს თავდაუზოგავად, მაგრამ, როგორც ჩანს მას რაღაც უშლის ხელსო“. აღარ აცალა მას საუბრის გაგრძელება და ბაბილაშვილმა გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილეს, – ორდე ბებიას უბრძანა, „მოემზადებინა ბრძანება ჩემი უშუალოდ მის განკარგულებაში გადაყვანის შესახებ“, და მოემარებინა ჩემზე ჯგუფის წევრებად გენერალური პროკურატურის ხუთი განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, ჯგუფის ხელმძღვანელად კი კვლავაც

დამნიშნეს მე!

მეორე დღესვე გადამიყვანეს გენერალურის განკარგულებაში და მომამაგრეს გამომძიებლები, მათ შორის შს სამინისტროდან ათამდე მაღალ ჩინოსანი!

აღსრულდა ჩემი ბავშობის ოცნება, მივალწიე იმას, რასაც ვოცნებობდი, რომ მქონიყო საშუალება, გამომეველინა ჩემი კრიმინალისტური ნიჭი და შემართება, რისთვისაც დავეხეტილობდი რუსეთში, რომ იტყვიან „ა, ბურთი და მოედანიო“, – ასე შემეცვალა ვითარება.

ეს უკვე ჩემს აღიარებას ნიშნავდა, თუმცა მერე მივხვდი, რომ უბრალოდ მიმაგდეს ამბრაზურასთან, თუ მოკვლა იყო რომ მე მოვეკალი იმ ვილაც ხელალებულს, ვიდრე მათი „დედიკოს ბიჭები“, რამეთუ განუკითხაობას ჰქონდა ადგილი, მათ კი აინტერესებდათ ფული!

საგამომძიებო ჯგუფის წევრებს გადაუნანილე საქმის მასალები და ვიფიქრე, ახლა სერიოზულად გაგშლი მეთქი საქმიანობას, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, თურმე ჩემს ზურგს უკან დაუნყვიათ ფულის კეთება, რაშიც ჩართულ ყოფილა საგამომძიებო ნაწილის ხელმძღვანელობა, კვალის დაფარვის მიზნით კი ზოგიერთს გაუნადგურებია კიდევაც მტკიცებულებები. ხელმძღვანელობა გამომძიებით არ იყო დაინტერესებული!

მე კი თავდაუზოგავად დავინწყე მუშაობა, სხვა ფაქტებთან ერთად მალევე გამოვავლინე აფხაზეთთან ომის დროს ჩეჩნეთიდან შემოსული ასი ვაგონი ბენზინის სომხეთში უკანონოდ გადაგზავნის ფაქტი, რასთან დაკავშირებითაც ახალქალაქში ჩასულს, ამ საქმის ერთ-ერთი მოთავე, დღეს პარლამენტში მჯდომი ვინმე ენძელა მეუბნება, რომელსაც ათამდე ავტომატებით შეარაღებული დაცვა ახლდა, „ნესიერად მოიქეცი, თორემ სანამ თბილისში ჩახვალ თანამდებობიდან იქნები მოხსნილი, თან ჯიბიდან იღებს სურათს და მაჩვენებს, თუ როგორაა გადაღებული ხელი-ხელ გადახვეული ედუარდ შევარდნაძესთან!

რალს გავაკეთებდი, დავბრუნდი უკან და მოვახსენეხე ხელმძღვანელს, გამოძიება ამ ფაქტზე შეჩერდა, ცოტა ქრთამი გაიღო სხვამ და ნაწილმაც ჩემამდე მოაღწია.

ამ საქმეში ჩართული პიროვნება, ვინც მოახდინა მისი ტრანსპორტირება, დღეს გენერალია, ერის კაცობაზე თავსა დებს და ხშირად პოლიტიკურ განცხადებებსაც აკეთებს, ხალხს კი წმინდანი გონია.

არა ერთი ეპიზოდი მქონდა გამოსაძიებელი კიტოვანთან დაკავშირებით, დაწყებული დრანდის ციხის გახსნით და დამთავრებული 100 000 ბოთლი კონიაკი „ენისელის“ რუსეთში უკანონო გატანით. პირველი ეპიზოდი ჰაერში გამოიკიდა, რადგან უსაფრთხოების სამსახურმა უსუსურობა გამოიჩინა. რაც შეეხება მეორე ეპიზოდს, – საქმე თითქმის დავამთავრე, – მაგრამ მისი სასამართლოში გაშვების საშუალება მთავარმა სამხედრო პროკურორმა არ მომცა, დაკავებული პირი კი გამომაშვებინა.

გარდა აღნიშნულისა მშრომელებმა დაიწყეს მიღება აგრეთვე წარმოებული ზეგეგმიური პროდუქციის 70% ნატურანაზღაურება პრემიის სახით. თუმცა მოგვიანებით ეს ნორმა დაყვანილი იქნა 25% – მდე, რაც განაპირობა 1986 წლის 20 მარტის სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილების „ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის სამეურნეო ეკონომიკური მექანიზმის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ გამოცემულმა ერთობლივმა დადგენილებამ.

სამეურნეო ანგარიშგებიანი ქვედანაყოფის ხელმძღვანელები განეული ხელმძღვანელობისათვის თავისი ძირითადი

ხელფასიდან სტიმულის სახით იღებენ დამატებით შრომით ანაზღაურებას 15%-ის რაოდენობით.

რაიონში ადგილობრივი დებულებებით გათვალისწინებულია აგრეთვე მთელი რიგი დამატებითი ნატურანაზღაურების მიღება სოფლის მეურნეობის დარგის რიგითი და ხელმძღვანელი სპეციალისტებისათვის.

პროგრესულ წამოწყებას პარტიის რაიკომმა არ მოაკლო სათანადო მზრუნველობა, 1964 წლის მეორე ნახევარში ჩაატარა მთელი რიგი ორგანიზაციული ღონისძიებები – გააერთიანა მეურნეობებში არსებული ბუღალტერიისა და ეკონომიკური სამსახურების განყოფილებები და აქცია ისინი ერთიან საფინანსო-ეკონომიურ განყოფილებებად, რათა ადგილი არ ჰქონოდა შიდადარგობრივ წინააღმდეგობებს. ამ გაერთიანებული განყოფილებების გამგეებში კი შეყვანილ იქნა ბიუროს ნომენკლატურაში. მოაწყო აღრიცხვის დარგის მუშაკებისა და მეურნეობის დირექტორების ატესტაცია შიდა სამეურნეო ანგარიშისა და კოლექტიური იჯარის ცოდნაზე, რამაც ბევრი სპეციალისტი დააფიქრა სერიოზულად მოეკიდა ხელი საქმისათვის.

1985 წლის დასაწყისში საქართველოს კომუნისტური პარტიის დმანისის რაიკომმა პარტიული სწავლების კაბინეტთან ჩამოაყალიბა სამეურნეო ანგარიშის იდეოლოგიური მომსახურეობის მეთოდური საბჭო და მის მეშვეობით პრაქტიკულად რაიონის ყველა მშრომელი ჩააბა ეკონომიკური სწავლების ქსელში სამეურნეო ანგარიშის დასაუფლებლად. დაიწყეს ეკონომიური სწავლების სკოლებმა. რაიკომის პირველ მდივანთან – რაიონის ხელმძღვანელი და რაიკომის აპარატის პასუხისმგებელ პირთათვის; სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავჯდომარესთან-მრეწველობის დარგების საწარმოთა ხელმძღვანელთათვის, აგროსამრეწველო გაერთიანების თავჯდომარესთან, საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელ კადრთათვის. ყოველივე ამან დააჩქარა რაიონში დროულად დანერ-

გილიყო სამეურნეო ანგარიში და კოლექტიური იჯარა სოფლის მეურნეობის ყველა ქვედანაყოფში.

დღეისათვის დმანისის რაიონში კოლექტიური იჯარა სამეურნეო ანგარიშზე, რომელმაც განვლო თავისი განვითარების გარკვეული სტადიები ორგანიზებულია შემდეგნაირად:

რაიონში სულ 13 საბჭოთა მეურნეობაა, რომელთა ორგანიზაციულ სტრუქტურას შეადგენს: მემცენარეობის, მეცხოველეობის, მექანიზაციისა და დამზადება-რელიზაციის შიდა-სამეურნეო დარგობრივი ქვედანაყოფები, ე. წ. საწარმოო ეკონომიკური კომპლექსები (სეკები), რომლებიც თავის დარგში აერთიანებენ არსებულ ყველა პირველად ქვედანაყოფთა რგოლებს. ეს უკანასკნელნი კი სპეციალიზირებულია ამათუ იმ სახეობის პროდუქციის წარმოებაზე ან მომსახურეობის განვლაზე. (იხილეთ დანართი ცხრ. №).

აქედან შიგა სამეურნეო ანგარიშგებიანი კოლექტიური იჯარით მომუშავე ქვედანაყოფებია წარმოების პირველადი ქვედანაყოფებიდან მხოლოდ მემცენარეობაში და მეცხოველეობის დარგის რგოლებში, ხოლო დარგობრივი ქვედანაყოფებიდან-მექანიზაციისა და დამზადება-რელიზაციის სეკ-ში, სხვა დანარჩენი კი არა. 5 რაც აიხსნება იმით, რომ თავდაპირველად იჯარა შემოღებული იყო მემცენარეობის და მეცხოველეობის დარგის რგოლებში. მათვე ჰქონდათ მიმაგრებული სათანადო რაოდენობის სასოფლო სამეურნეო ტექნიკა ოპერატიულ სარგებლობაში. და როცა რგოლების რიცხვმა საგრძნობლად იმატა მეურნეობებში მათი საჭირო რაოდენობის ტექნიკით უზრუნველყოფა შეუძლებელი გახდა. მდგომარეობიდან გამოსვლის თვალსაზრისით იჯარით მომუშავე რგოლებს ტექნიკა და ზოგიერთი სამსახურები ჩამოერთვათ და მათ ბაზაზედ ჩამოყალიბდნენ მემცენარეობა-მეცხოველეობის დარგის სამეწარმეო რგოლების მომსახურე დარგობრივი ქვედანაყოფები, ისეთები როგორცაა მექანიზაციისა და დამზადება რელიზაციის სეკ-ში. მეურნეობებში დროებით შექმნილმა

ორგანიზაციულმა სტრუქტურამ განაპირობა ის, რომ მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგის იჯარით მომუშავე რგოლების გეგმიური დავალების შესრულების უმნიშვნელოვანესი ნაწილი მოდის მომსახურე ქვედანაყოფების წილად. რაც თავის მხრივ ეწინააღმდეგება სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტრო 1983 წლის რეკომენდაციებს. 6 რომლის შესაბამისად მომსახურე ქვედანაყოფების ხარჯზედ შესრულებული სამუშაოები არ უნდა აღემატებოდეს 20-30%-ს საანგარიშგებო დავალებით გათვალისწინებული სამუშაოებს.

ასეთ პირობებში თანახმად საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მიერ შემუშავებული „სოფლის მეურნეობის საწარმოებში კოლექტიური იჯარის დანერგვის ტიპიური დებულებისა და რეკომენდაციების“⁷ შესაბამისად საჭიროა აღნიშნული ქვედანაყოფების შესაბამისი შერწყმა, რათა მივიღოთ სრულფასოვანი კომპლექსური ქვედანაყოფები და ამოითესოს შიგა მეურნეობრივი დარგობრივ ქვედანაყოფებს შორის არსებული საანგარიშგებო ურთიერთობის ზედმეტი რგოლი.

ბოლო დროს რაიონის პრაქტიკაში შემოვიდა კიდევ ერთი სახეობის სამეურნეო ანგარიშგებიანი იჯარით მომუშავე მეურნეობის ტერიტორიული ქვედანაყოფი – რეგიონალური სეკ-ი, რომელიც აერთიანებს თავის ქვედანაყოფში სოფლად არსებულ ყველა რგოლს საკუთარი უფლებების შენარჩუნებით.

რეგიონალურმა სეკ-მა მიიღო გამჭოლი ქვედანაყოფის ფუნქცია, მაგრამ მისი ჯერ კიდევ არა სწორი ორგანიზებულობით მემცენარეობისა და მეცხოველეობის სამეურნეო ანგარიშგებიანმა რგოლებმა ფაქტიურად დაკარგეს კავშირი თავიანთ უშუალო სამეურნეო პარტნიორებთან – მეურნეობის ადმინისტრაციასთან. მოხდა მათი უფლებების შეზღუდვა. ჩვენის აზრით ეს კი ეწინააღმდეგება სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრკ სოფლის მეურნეობის ეკონომიკა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის და სოფლის მეურნეობის მუშაკთა

პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებულ ერთობლივ რეკომენდაციებს „სამეურნეო ანგარიშგებიანი საწარმოო ქვედანაყოფების კოლექტიურ იჯარაზე ორგანიზებულიობის შესახებ“⁸, და სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფესიონალური კავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1984 წლის 30 მარტის №91/6-24 ერთობლივი დადგენილების „საწარმოო ბრიგადების ტიპიური დებულების“⁹ მოთხოვნებს, რომელთა შესაბამისად მემცენარეობისა და მეცხოველეობის რგოლებს უნდა გააჩნდეთ თავისუფლება ოპერატიულ-საწარმოო საკითხების გადაჭრაში, განაწილებითი ურთიერთობის, შრომის რაციონალური რეჟიმისა და დასვენების დადგენაში, წარმოების ტექნოლოგიაზე მათი პასუხისმგებლობის გაზრდით, სამუშაო ზონაში დამოუკიდებლად მართონ საწარმოო პროცესები მათი რეგიონალური სეკისადმი დამორჩილება კი ამის საშუალებას პრაქტიკულად არ აძლევს, მიუხედავად იმისა, რომ მათ გარეგნულად ვითომდა შენარჩუნებული აქვთ თავისი იურიდიული უფლებები. XXVII ყრილობის შესაბამისად საჭიროა წარმოების მართვის რგოლიან სისტემაზე გადასვლა და არაა საჭირო მათი გაართულება.

ასეთ პირობებში მიზანშეწონილად მიმაჩნია რეგიონალური სეკი ცნობილ იქნას მეურნეობის სრულუფლებიან სამეურნეო ანგარიშგებიან ქვედანაყოფად, რადგან აღებული კურსი გვაღალღებულებს მოვახდინოთ წარმოებისა და მისი ქვედანაყოფების გამსხვილება სპეციალიზაციის შენარჩუნებით.

რეგიონალურმა სეკ-მა თავისი გამოხატულება ვერ ჰპოვა რაიონში შემუშავებულ სათანადო რეკომენდაცია-დებულებებში, რომელთა რიცხვიც ოცდაათს აღემატება, მაგრამ მათ რაიონში პრაქტიკულად უკვე მოიკიდეს ფეხი.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა დარგობლივი სეკ-ებიდან რეგიონალურზე მთლიანად და საბოლოოდ გადასასვლელად. რამეთუ ამ უკანასკნელს გააჩნია გარკვეული უპირატესობა დარგობრივთან შედარებით. კერძოდ, დარგობრივი

სეკები ერთდროულად მოიცავენ მეურნეობაში შემავალი ყველა სოფლის შრომით კოლექტივებს და მეურნეობის ადმინისტრაციის ნაწილს. რეგიონალური კი მეურნეობაში დასაქმებული ერთი რომელიმე სოფლის მთლიან შრომით კოლექტივს. დარგობრივი სეკები სოფლებს ანაწევრებენ მიკრო ჯგუფებად, უკარგავენ მათ მეურნეს, რეგიონალური კი აერთიანებს სოფლებს ერთიან შრომით კოლექტივებად კოლმეურნეობის მსგავსად, რომლებიც სპეციალიზაციასთან ერთად ეწევიან სანარმოო ძალების კონცენტრაციას და აძლევს მათ საშუალებას დაქვემდებარებულ პირველად შრომით კოლექტივებს გააერთიანონ თავიანთი სოციალურ-კულტურული საჭიროების ფანდები ერთიან სასაოფლო ფონდად და გამოიყენონ ისინი საერთო საჭიროებისათვის.

რეგიონალური სეკ-ებით მეურნეობის მართვა ხელსაყრელია თუ მეურნეობაში გაერთიანებულია რამდენიმე სოფელი, ხოლო დარგობრივი სეკებით კი მაშინ თუ მეურნეობაში შედის ერთი სოფელი.

რეგიონალური სეკი თავისი სტრუქტურით მოგვაგონებს კომპლექსურ ბრიგადას. მისი სათანადოდ დახვეწისას საშუალებას მივიღებთ გადავიდეთ წვრილმანი, არა სრულყოფილი სამეურნეო ანგარიშგებიანი სპეციალიზირებული ქვედანაყოფიდან – მსხვილ, სრულყოფილ კომპლექსურ ერთიან ანგარიშგებიან ქვედანაყოფებზე. ასეთ პირობებში ადმინისტრაცია შესძლებს გააუქმოს მექნიზაციისა და დამზადება-რეალიზაციის სეკები დამათი ტექნიკა გადაუნაწილოს რეგიონალურ სეკებს ოპერატიულ სარგებლობაში, რათა იმოქმედონ სრულ შიდა სამეურნეო ანგარიშზე. ასეთი ღონისძიების გატარება ჯერ-ჯერობით შეუძლებელია მეურნეობებში რგოლების დიდი რაოდენობის გამო, რომელთა რიცხვიც მერყეობს 10-დან 24-მდე.

დღეისათვის რეგიონალური და მათთვის დაქვემდებარებული სამეურნეო ანგარიშგებიანი ქვედანაყოფების ერთდროული

არსებობა გამოწვეულია ჯერ კიდევ კოლექტიური იჯარის სამეურნეო ანგარიშზე არა სწორი ორგანიზაციით, ეფექტიური ვარიანტის ძიებით, სპეციალური ქვედანაყოფებიდან კომპლექსურზე გადასვლით ანუ დაწყებული საქმე ჯერ კიდევ დაუმთავრებელია.

რაიონში ყველა სახის სეკ-ებს გააჩნია თავისი მმართველობის დემოკრატიული ორგანოები – საბჭოები. მემცენარეობისა და მეცხოველეობის სამეურნეო ანგარიშგებიან რგოლებს კი ასეთი ორგანოები არ აქვს, რაც თავის მხრივ ბადებს გარკვეულ წინააღმდეგობებს მათი შრომითი კოლექტივების უფლებების რეალიზაციის საქმეში. იჯარით მომუშავე შრომით კოლექტივებს თავინთი უფლებების სარეალიზაციო ორგანო უნდა გააჩნდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება სათანადო კომპეტენციის საკითხების გადაჭრისას მთელი კოლექტივის მოცდენას, ან სეკ-ის საბჭოზე გატანისას არაფრით დაინტერესებული პირების საქმეში ჩართვას ანდა ქვედანაყოფის ხელმძღვანელის მიერ მის ერთპიროვნულად გადაწყვეტას, რაც შრომითი კოლექტივის უფლებების დარღვევა იქნება.

სამეურნეო ანგარიშგებიან სეკებში, მათ შორის რეგიონალურიც შემავალ ქვედანაყოფთა საერთო საბჭოების არსებობა პრაქტიკულად გამართლებულია მათივე საერთო ინტერესებიდან გამომდინარე.

თანახმად რაიონში შემუშავებული ნორმატიული მასალებისა, მეურნეობებში ქვედანაყოფების ფორმირება ხდება დემოკრატიულ პრინციპებზედ-შრომითი კოლექტივების საერთო გადაწყვეტილებებით იშრომონ ერთობლივად, და ამასთან დაკავშირებით დგება სათანადო ოქმი. ქვედანაყოფის ოფიციალურად გამოცხადება წარმოებს მეურნეობის დირექტორის მიერ ბრძანების გამოცემით.

აღსანიშნავია, რომ რაიონში სამეურნეო ანგარიშგებიანი ქვედანაყოფები მოქმედებენ ადმინისტრაციისაგან მიღებული ერთიანი აკორდული განრიგებით. წარმოებულ სამეურნეო

ოპერაციებზე მეურნეობის ადმინისტრაციასა და შიდა მეურნეობრივ და სოფლის მეურნეობის მომსახურე და გადამამუშავებელი საწარმოების ქვედანაყოფებთან ანგარიშსწორებას აწარმოებენ ქვითრების (ჩეკების) მეშვეობით. გააჩნიათ თავიანთი გეგმიური ფონდები, გამოდიან მეურნეობის ადმინისტრაციასთან პარტნიორებად გეგმიური დავალების შესრულების საქმეში.

მექანიზაციისა და დამზადება-რეალიზაციის სექციები მომსახურებას უწევენ ძირითად მწარმოებლურ ქვედანაყოფებს – მემცენარეობისა და მეცხოველეობის რგოლებს და რეგიონალურ სექციებს. მათი ასეთი ურთიერთ პოზიციური დამოკიდებულობიდან გამომდინარე მომსახურე ქვედანაყოფები გვევლინებიან საწარმოო ქვედანაყოფების „მოიჯარეებად“, მწარმოებელი კი მათ „დამკვეთებად“.

„მოიჯარეების“ გეგმიური ხელფასის ფონდები ჩართულია ან უფრო სწორად დამოკიდებულებაშია „დამკვეთთა“ პროდუქციის წარმოების სარეალიზაციო გეგმასთან. მომსახურე ქვედანაყოფები ხელფასს და სხვა ფულად საშუალებებს ღებულებენ მწარმოებელი ქვედანაყოფებიდან, თანახმად მათთან შესრულებული სამუშაოების საბოლოო შედეგებისა.

მათი ასეთი ურთიერთ დამოკიდებულება განპირობებულია საწარმოო ქვედანაყოფებისათვის გათვალისწინებული ტექნოლოგიური რუკებითა და საანგარიშსწორებო საწარმოო დავალებებით, რომლებშიაც თავის მხრივ გათვალისწინებულია ამა თუ იმ პროდუქციის წარმოებაზე, სად, როდის, რა სახის და რა ღირებულების სამუშაოებია ჩასატარებელი და რომელი ქვედანაყოფებია ამ სამუშაოების შემსრულებლები. (იგულისხმება როგორც შიდა მეურნეობრივი ქვედანაყოფები, ისე მათი მომსახურე და გადამამუშავებელი საწარმოების ქვედანაყოფები).

მომსახურე და მწარმოებელ ქვედანაყოფებს შორის ურთიერთობა ყალიბდება ზეპირი გარიგებით. მათ შორის უთანხმოებას არეგულირებს დირექცია. მოცემული საკითხი

მოითხოვს სათანადო დამუშავებასა და დახვეწას, რადგან ასეთ პირობებში ურთიერთ ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობები და პასუხისმგებლობის ნორმები ჯერ კიდევ რაიონის პრაქტიკაში არ არის გათვალისწინებული.

ჩვენი აზრით მიზანშეწონილი იქნება თუ მათ შორის ჩამოყალიბდება სახელშეკრულებო ურთიერთობები. ამასთანავე, მომსახურე ქვედანაყოფები არ იქნებიან საიჯარო დამოკიდებულებაში მეურნეობის ადმინისტრაციასთან. ასეთ დამოკიდებულებაში უკეთესია იყვნენ მწარმოებლურ ქვედანაყოფებთან. ან მოხდეს მათი შერწყმა ისე, როგორც ეს შიდა სამეურნეო ანგარიშის პრინციპებით მომუშავე მსხვილი კომპლექსური ქვედანაყოფებისათვისაა გათვალისწინებული. (მხედველობაში გვაქვს რეგიონალური სეკი დახვეწის შემდეგ).

ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში რგოლებსა და სეკებში ტარდება საარჩევნო-საანგარიშგებო კრებები. რგოლის კრებაზე რგოლის შრომითი კოლექტივის საქმიანობის შესახებ გასულ საანგარიშგებო პერიოდში ანგარიშს აკეთებს რგოლის ხელმძღვანელი. მისი პირადი საქმიანობის დადებითად შეფასებისას შრომითი კოლექტივი უფლებამოსილია აირჩიოს იგი განმეორებით თავის ხელმძღვანელად კიდევ ერთი წლით ანუ ზედიზედ რამდენჯერმე. რგოლის ხელმძღვანელები თავიანთ უფლებამოსილებას ტოვებენ საარჩევნო-საანგარიშგებო კრებებზე. მათი ახლად არჩევისას – ისევე, როგორც პირველად მეურნეობის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას, მათი რგოლის ხელმძღვანელებად დანიშვნის შესახებ.

რგოლის ხელმძღვანელის თანამდებობა არჩევითია. არ აქვს მნიშვნელობა რგოლი იჯარით მომუშავეა თუ არა. როგორც წესი რგოლის ხელმძღვანელად ირჩევენ კოლექტივის მოწინავე, ავტორიტეტულ და გამოცდილ მუშას. გადაწყვეტილების მიღება სწარმოებს ღია კენჭისყრით, ხმის აბსოლიტური უმეტესობით. ფორმდება სათანადო ოქმი.

რგოლების შემდეგ კრებები ტარდება სეკ-ებში. მათზე ანგა-

რიშით გამოდიან სეკის საბჭოს თავჯდომარეები გასულ საანგარიშგებო პერიოდში განეული მუშაობის შესახებ. მათ ირჩევენ ახალ საანგარიშგებო წლის დასაწყისში სეკის საბჭოს პირველსავე სხდომაზედ, ღია კენჭის ყრით, ერთი წლის ვადით. სეკის საბჭოს შემადგენლობაში შედიან სეკში შემავალი რგოლების ხელმძღვანელები, დარგის ბუღალტერი, მეურნეობის საზოგადოებრივი ორგანიზაციების საამქრო ქვედანაყოფების არჩევითი ორგანოების ხელმძღვანელები, მონინავე მუშები. საბჭო უფლებამოსილია მოინვიოს სხდომა თუ სახეზეა მისი წევრების არანაკლებ 2/3. გადწყვეტილება გამოაქვს ხმის აბსოლიტური უმეტესობით ფორმდება ოქმი. საბჭოს გადწყვეტილება სეკში ღებულობს ყველასათვის სავალდებულო ძალას. საბჭოს სხდომა ტარდება არა ნაკლებ თვეში ერთხელ, ხოლო საერთო კრება კვარტალში ერთხელ. რგოლებში კი კრებები ტარდება საჭიროების მიხედვით. სეკის საბჭოსა და მისი შრომითი კოლექტივების საერთო კრების გადწყვეტილების შესაბამისად დირექციას შეუძლია გამოსცეს გარკვეული ბრძანება.

რგოლებისა და სეკების შრომითი კოლექტივები თავის საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ღებულობენ წლიურ საწარმოო გეგმებს, ეცნობიან საანგარიშგებო საწარმოო დავალებებს.

თანახმად რაიონის „სოფლის მეურნეობის მართვის სტრუქტურის დებულებისა“ მემცენარეობისა და მეცხოველეობის რგოლების ხელმძღვანელებად ირჩევენ ამ ქვედანაყოფებიდან შესაბამისი პროფესიის რიგით მუშებს. ამ დარგების სეკების თავჯდომარეებად კი მათში შემავალი წარჩინებული რგოლების ხელმძღვანელებს. მექანიზაციის სეკის თავჯდომარედ – მეურნეობის მთავარ ინჟინერ-მექანიკოს, ხოლო დამზადებარეალიზაციის სეკის თავჯდომარედ მეურნეობის სხვა რომელიმე სპეციალისტს. (იხ. „ნორმატული საბუთები“ გვ. 8). რაც თავის მხრივ გამოწვეულია დანაყოფში სათანადო საშტატო ერთეულების დაუშვებლობით და წარმოების მართვის დემო-

კრატიზაციით.

აქვე აღსანიშნავია, რომ „სოფლის მეურნეობის მართვის სტრუქტურის დებულება“ შესაბამისად სამეურნეო ანგარიშგებიანი ქვედანაყოფის ხელმძღვანელები, მთავარი და რიგითი სპეციალისტები ემორჩილებიან მეურნეობის დირექციას. 9 ჩვენი საზრით გეგმიური დავალების შესრულების საქმეში სამეურნეო ანგარიშგებიანი ქვედანაყოფის ხელმძღვანელების დამორჩილება დირექციისადმი არასწორია, რამეთუ რიგითი და უფროსი სპეციალისტების ამოთესვა შესაბამისი დარგობრივი ქვედანაყოფებიდან, იწვევს მათ გარკვეულ დაპირისპირებას იჯარით მომუშავე კოლექტივებისადმი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების საქმეში სამეურნეო ანგარისგებიანი ქვედანაყოფების ხელმძღვანელები წესით უნდა იდგნენ მეურნეობის დირექციის დონეზე და ამ მხრივ არ უნდა ემორჩილებოდნენ მას, რადგან დირექცია სამეურნეო ანგარიშგებიანობის პირობებში უფლებამოსილია მათ დაქვემდებარებულ შრომით კოლექტივზე აწარმოოს ეკონომიკური კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს მათზე სათანადო რეაგირება ყოველდღიურ დაქვემდებარებაში ყოლის გარეშე. მეურნეობის ადმინისტრაციასთან გარიგებით მომუშავე კოლექტივის ხელმძღვანელის თამნამდებობა არჩევითია და იგი წარმოადგენს თავისი კოლექტივის, როგორც მისი პარტნიორის ინტერესებს. პარტნიორის მიერ კი პარტნიორის წარმომადგენლის დამორჩილება კანონსაწინააღმდეგოდ მიგვაჩნია. სამეურნეო ანგარისგებიანი ქვედანაყოფების ხელმძღვანელობის დამორჩილება მეურნეობის ადმინისტრაციისადმი მონმობს მას, რომ მათ როგორც ამ კოლექტივის თანამდებობის პირები არ შესწევთ უნარი დამოუკიდებლად გაატარონ ცხოვრებაში მათი კოლექტიური გადაწყვეტილებები, ისე როგორც დირექციის მითითებები როგორც მისი დაქვემდებარებული პირები. რადგან ისინი თავიანთი მდგომარეობით იმყოფებიან ორი სამეურნეო პარტნიორის განუყოფელ

დაქვემდებარებაში. ყოველივე ეს კი უარყოფითად მოქმედებს შრომითი კოლექტივების ინიციატივობასა და აქტიურობაზე.

ქვეყანაში არსებული ტენდენციის თანახმად, შრომითი კოლექტივის საქმიანობის საბოლოო შედეგებით სპეციალისტების მეტი დაინტერესების თვალსაზრისით, მიზანშეწონილი იქნება თუ შესაბამისი დარგის ქვედანაყოფებში შევიყვანთ მათ სრულუფლებიან ნევრებად და არ იქნებიან დირექციის უშუალო დაქვემდებარებაში.

სამეურნეო ანგარიშგებიანი ქვედანაყოფები მეურნეობებში იქმნება იმ აზრით, რომ ამ მეურნეობებში გაერთიანებული კოლექტივები თავისი შრომითი ანაზღაურების საქმეში მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ამ სანარმოთა საქმიანობის საბოლოო შედეგებთან. მატერიალურად დაინტერესდნენ საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდაში, ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობით ხარჯვაში და მოქმედებდნენ საკუთარი წარმოებითი რისკით.

ასეთი დანიშნულების მქონე იჯარით მომუშავე ქვედანაყოფები თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე უფლებამოსილი არიან:

- ჰქონდეთ ოპერატიულ სარგებლობაში სანარმოო უბანი, მიწის ფართობები, შენობანაგებობანი, პირუტყვი, ტექნიკა, სათავსოები და წარმოების სხვა საშუალებები, სათანადო ეკონომიკური და ტექნიკური დოკუმენტაცია, ტექნოლოგიური რუკები, სანარმოო დავალებები, ქვითრების (საჩეკე) წიგნები, ხელფასის გეგმიური ფონდების, დანახარჯების ლიმიტები;

- აწარმოონ თავიანთი საქმიანობა, მეურნეობის ადმინისტრაციასთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად;

- ყოველთვიურად მისცენ თავიანთ და მოწვეულ მუშაკებს შესრულებული სამუშაოების შესაბამისად ტარიფით გათვალისწინებული ხელფასის 70%, როგორც ხელფასის დროებითი ავანსირებული ანაზღაურება. ხოლო დანარჩენი 30% წლის ბოლოს საქმიანობის საბოლოო შედეგების მიხედვით. აგრეთვე

წარმოებული ზეგეგმიური პროდუქციის 25% ნატურანაზღაურების სახით;

– დასვან საკითხი მეურნეობის ადმინისტრაციასთან თავიანთი შრომითი კოლექტივების წევრთა დასჯა-ნახალისების ან ხელმძღვანელთა არჩევა გადარჩევის შესახებ. მისცენ ადმინისტრაციას თანხმობა ახალი წევრების მიღება – განთავისუფლებაზე;

– გადანყვიტონ თანამშრომელთა მორიგ შვებულებაში გაშვება, ამ შვებულებიდან მათი გამონვევის საკითხი;

– იზრუნონ ქვედანაყოფებში შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის განსამტკიცებლად;

– აწარმოონ კონტროლი თავისი და მონვეული მშრომელთა საქმიანობის ხარისხზე;

– დამოუკიდებლად მართონ საწარმოო უბნებზე მიმდინარე წარმოებითი პროცესები;

– შექმნან და დამოუკიდებლად გამოიყენონ „სოციალურ-კულტურული საჭიროების ფონდები“;

– დაამყარონ სამეურნეო ურთიერთობა შიდა მეურნეობრივ და სოფლის მეურნეობის სხვა მომსახურე ან გადამამუშავებელ საწარმოთა შიდა სამეურნეო ანგარიშგებიან ქვედანაყოფებთან, მეურნეობის ადმინისტრაციის ჩარევის გარეშე, ტექნოლოგიური რუკების შესაბამისად. აწარმოონ მათთან ანგარიშწორება ჩატარებული სამეურნეო ოპერაციებზე ქვითრების მეშვეობით;

– დაიცვან შრომის უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო წესები. ასევე ადმინისტრაციის მიერ მათთვის გადაცემული წარმოების საშუალებების დატაცება-გაფუჭებისაგან

(ხსენებული უფლებები რაიონში შემუშავებული ერთი რომელიმე კონკრეტული დებულებით არაა გათვალისწინებული. ისინი გაბნეულია სხვადასხვა დებულება-რეკომენდაციებში, რომელთა რიცხვიც თხუთმეტს აღემატება. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილად მიმაჩნია უფლებათა წყაროდ

დავასახელოთ „ნორმატიული საბუთები“, რომელშიაც ყველა რეკომენდაცია – დებულებაა თავმოყრილი.)

აქვეა აღსანიშნავი ისიც, რომ რაიონში შემუშავებული ზოგიერთი უფლებები ეწინააღმდეგება რესპუბლიკურ და საკავშირო ტიპიურ დებულებათა მოთხოვნებს, ან უსაფუძვლოა და არ გაჩნიათ სათანადო სარიალიზაციო ბაზები. ასეთებს განეკუთვნება, მაგალითად, იჯარით მომუშავე ქვედანაყოფების უფლება „დაამყარონ სამეურნეო ურთიერთობა ზეპირად, როგორც შიგა მეურნეობრივ სამეურნეო ანგარიშგებიან ქვედანაყოფებთან, ისე სოფლის მეურნეობის მომსახურე ან გადამამუშავებელ სანარმოთა სამეურნეო ანგარიშგებიან ქვედანაყოფებთან ან კიდევ სოფლის მეურნეობის მომსახურე და გადამამუშავებელ სანარმოთა სამეურნეო ანგარიშგებიან ქვედანაყოფებთან, მნეურნეობის ადმინისტრაციის ჩარევის გარეშე და აწარმოონ მათთან ანგარიშგება ქვითრების მეშვეობით (იხ. „ნორმატიული საბუთები“ გვ. 39, 40, 43, 44, 48, 59, 64-74).

თანახმად სსრკ სოფტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის და სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1983 წლის 30 დეკემბრის №249/302 ერთობლივი ბრძანების, 1. 2 მუხლის 10 შესაბამისად „კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის და სხვა სასოფლო-სამეურნეო სანარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ტექნიკური მომსახურეობის შესასრულებლად. საჭიროა წლის დაწყებამდე მეურნეობებსა და მათ მომსახურე ორგანიზაციებს შორის დაიდოს სათანადო და დროული ორმხრივი წერილობითი ხელშეკრულებები, მაგრამ არა ისე, როგორც ეს რაიონის ექსპერიმენტის თეორიული მასალებიდან მომდინარეობს – ტექნოლოგიური რუკების შესაბამისად.

თანახმად შიდა სამეურნეო ანგარიშგების პრინციპებისა, მეურნეობაში იჯარით მომუშავე ქვედანაყოფი დაუშვებელია, რომ გამოვიდეს სხვა სანარმოო – ორგანიზაციების ან მათი ქვედანაყოფების პარტნიორად, რამეთუ მას ასეთი უფლე-

ბები მხოლოდ საკუთარი მეურნეობის ადმინისტრაციისა და შიდა მეურნეობრივ, იჯარით მომუშავე სხვა ქვედანაყოფებთან გააჩნია. მეურნეობაში იჯარით მომუშავე ქვედანაყოფებს შეუძლიათ ერთმანეთში დაამყარონ ორმხრივი ან სამმხრივი სამეურნეო ხელშეკრულებითი ურთიერთობები და არა ტექნოლოგიური რუკებით.

რაც შეეხება ქვედანაყოფების არაუზრუნველყოფილ უფლებებს, რომელთა რიცხვსაც განეკუთვნება „უფლება“ „ჰქონდეთ ტექნიკა და წარმოების სახვა საშუალებები ოპერატიულ სარგებლობაში“, დამოუკიდებლად მართონ თავიანთ საწარმოო უბნებზე მიმდინარე წარმოების პროცესები“, – მემცენარეობისა და მეცხოველეობის იჯარით მომუშავე რგოლებს ამის საშუალება არ გააჩნია.

აღსანიშნავია, რომ ადგილზე შემუშავებული საბუთებით გათვალისწინებული უფლებები არ მოიცავს ქვედანაყოფებისათვის გათვალისწინებულ საერთო უფლებების სრულ ნუსხას, რომლებიც თავის მხრივ გათვალისწინებულია „ტიპური დებულებით“.

იჯარით მომუშავე ქვედანაყოფები თავისი უფლებების რეალიზებას ახდენენ საკუთარი კრებების გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებით. ამ მხრივ არსებობს გარკვეული სიძნელები. კერძოდ მეურნეობის სტრუქტურიდან გამომდინარე რაიონის „ნორმატული საბუთებიდან“ არა ჩანს ამა თუ იმ ქვედანაყოფს თავის საერთო კრებაზე რა საკითხების გადაჭრა შეუძლია. არსანიშნავია, რომ ქვედანაყოფის ხელმძღვანელს შეუძლია კოლექტივის საქმიანობის მართვა, აწარმოოს საქვითრო ნიგნი, დაიცვას აღრიცხვა, მოაწეროს ხელი აკორდულ განრიგებს (ხელშეკრულებებს). რაც შეეხება „ტიპური დებულებების“ მე-4. 1, 4. 2, 4. 3, 4. 4, 4. 5 პუნქტების სათანადო მოთხოვნებს, რაიონული დებულებები მათ დუბლირებას არ ეწევა. ასევე არაა ნაჩვენები, რომ ქვედანაყოფის ხელმძღვანელი მოვალეა მართოს წარმოებითი პროცესები მართოს

ქვედანაყოფებზე განპიროვნებულ უბანზე, გაანაწილოს მუშა ხელი სამუშაოების მიხედვით, აწარმოოს მათ მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხი, მიიღოს შესრულებული დავალებები, თვალყური ადევნოს შრომისა და ტექნოლოგიური ნორმების დაცვას, და ა. შ. ყოველივე ეს კი ბადებს გარკვეულ სიძნელეებს მუშაობის პროცესში. რაც შეეხება სეკის საბჭოს უფლებამოსილებას, „ნორმატიული საბუთებით“ გათვალისწინებულია, რომ მან აწარმოოს თავისი და მასში შემავალი ქვედანაყოფების კოლექტივების საქმიანობის დაგეგმარება, გაატაროს საჭირო ღონისძიებები მოსავლიანობის ასამაღლებლად, არეგულიროს ხელფასის ფონდი, სისტემატურად მოისმინოს ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა ანგარიშები, გადანყვიტოს მატერიალური და მორალური ნახალისების საკითხები, მისცეს მეურნეობის ადმინისტრაციას თანხმობა თავის წევრების დასჯა-ნახალისებაზე და არეგულიროს მშრომელთა შვებულებაში გამგების საკითხი და ა. შ.

ისეთი საკითხები კი, როგორცაა „ტიპიური დებულების“ 11 2. 9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული: ქვედანაყოფების კომპლექტაცია, ხელმძღვანელების დანიშნვა-გადარჩევის საკითხი, პრემირების ნორმების დადგენა, სხვა ქვედანაყოფებსა და ადმინისტრაციასთან ხელშეკრულების დადება, სოცმეჯიბრებაში გამარჯვებულთა გამოვლენა და მათი ნახალისება. ასევე სხვა მნიშვნელოვანი საკითხები „ნორმატიული საბუთებით“ გათვალისწინებული არა არის და ეს ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

სამეურნეო ანგარიშგებიანი ქვედანაყოფები თავიანთ სამეურნეო საქმიანობას აწარმოებენ გეგმიური დავალების შესასრულებლად მეურნეობის ადმინისტრაციისაგან მიღებული „აკორდული განრიგების“ შესაბამისად.

აკორდული განრიგი დმანისის რაიონში მიჩნეულია მეურნეობის ადმინისტრაციისა და იჯარით მომუშავე ქვედანაყოფებს შორის ხელშეკრულების გაბატონებულ სახედ. შრომითი

კოლექტივი, როგორც წესი, წლის დასაწყისში საანგარიშგებო-საარჩევნო კრების შემდეგ ღებულობს აკორდულ განრიგს ადმინისტრაციისაგან და მასში მოყვანილი გეგმიური დავალების მონაცემების შესასრულებლად დარგში ან მის რომელიმე ქვედანაყოფში წლის ბოლომდე წარმართავს თავის საქმიანობას. იჯარით მომუშავე შრომითი კოლექტივისა და მეურნეობის ადმინისტრაციას შორის „აკორდული განრიგის“ გარდა სხვა წერილობითი შეთანხმება არ იდება.

მოგვყავს აკორდული განრიგის ფორმა, რომელიც გამოყენებულია რაიონის მემცენარეობის დარგში.

I

მემცენარეობის აკორდული განრიგი¹² ანგარიშგებიანი ქვედანაყოფი№ – ----- – მეურნეობა.

გვარი – -----

სახელი – -----

მამის სახელი – -----

ქვედანაყოფზედ მიმაგრებულია სახნავ-სათესი მიწები –
----- – ჰა

მემცენარეობის პროდუქტების წარმოების გეგმა:

კულტურების დასახელება : პროდუქციის სახეობა: ფართობი ჰა: მოსავლიანობა:

– ---- – I – ----- – 2 – -----

– ----- – 3 – ----- – 4 – -----

პროდუქციის ხელფასის ანაზრაურების: დახარჯული საერთო ფონდი. კაცდღეები მწარმოებლურობა

-----5-----
-----6-----
-----7-----

1. პური
2. ხორბალი
3. ქერი
4. შვრია
5. ლობიო
6. სიმინდი

სულ თავთავიანი კულტურები
კარტოფილი
ჭარხალი
მრავალწლიანი ბალახები
ერთ წლიანი ბალახები
სასილოსე კულტურები

მთელი წლის მანძილზე ყოველ თვიურად ეძლევა ხელფასი რგოლს ავანსის სახით – ----- – მანეთი.

დამატებითი ანაზღაურება:

ა/ წარმოებულ პროდუქციაზე 25%

ბ/ ზეგეგმიური წარმოებული პროდუქციის 70% ნატურით ან ფულადი ანაზღაურებით.

ვ/ რგოლის ხელმძღვანელის განეული ხელმძღვანელობისათვის ეძლევა დამატებითი ხელფასის ანაზღაურება 15% რაოდენობით.

გ/ გეგმის ზევით თესლის სათანადო კონდიციამდე დაყვანის შემთხვევაში და მათი რელიზაციისას რგოლი მიიღებს მისი ღირებულების 50%, ხოლო თესლის მოყვანის გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი მეურნეობა სხვაობას მიიღებს ამ

ქვედანაყოფის ხარჯზედ.

ღირექტორი:

რგოლის ხელმძღვანელი:

როგორც ჩანს, ზემოთ მოყვანილი „აკორდული განრიგი“ არ შეიცავს იჯარული ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებულ საჭირო ინფორმაციას. მასში არაა ანდა ნაწილობრივაა გამოკვეთილი მხარეთა ურთიერთ ვალდებულება და ამ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში სათანადო პასუხისმგებლობის ნორმები, განრიგით გათვალისწინებული დავალების შესრულების პირობები და სხვა.

ყველა სხვა სახეობის „აკორდული განრიგები“ თითქმის ასეთივე შინაარსისაა.

აღსანიშნავია, რომ აკორდულ განრიგებში მოყვანილი რეკვიზიტების უმეტესი ნაწილი დაუხვეწელი და მიუღებელია. ზოგიც აზრობრივად გაუმართავი და გაუგებარია.

მექანიზაციისა და დამზადება-რეალიზაციის სეკციების რგოლებისათვის გათვალისწინებული „განრიგები“ პრინციპულ წინააღმდეგობაში იმყოფებიან „ნორმატიულ საბუთებთან“. საიდანაც ჩანს, რომ სამეურნეო ანგარიშგებიან ქვედანაყოფებად გამოცხადებულია თვით ეს სეკები და არა მათ ქვედანაყოფებში მყოფი რგოლები. რომლებმაც დღეისათვის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების ეკონომიური სამსახურის მუშაობის დონის დაწვეასთან დაკავშირებით იჩინეს თავი, როგორც სამეურნეო ანგარიშგებიანმა ქვედანაყოფებმა. მოცემული საკითხი მოითხოვს სათანადო მონესრიგებას, რადგან ასეთ პირობებში თვით მექანიზაციისა და დამზადება-რეალიზაციის სეკები, როგორც ერთიანი დარგობრივი იჯარით მომუშავე გამსხვილებული ქვედანაყოფები ტოვებენ თავიანთ პრაქტიკულ პოზიციებს.

რეგიონალური სეკ-ებისათვის აკორდული განრიგების ფორმები არაა შემუშავებული და ისინიც სარგებლობენ ჩვეუ-

ლებრივი განრიგის ბლანკებით.

ალსანიშნავია, რომ რაიონში შემუშავებული განრიგის ფორმები ვითომდა შეიცავს სათანადო ნორმატიულ ინფორმაციას. მაგრამ ასე როდია. უფრო მეტიც ბევრი მათგანი საფუძველ მოკლებულია. ჩვენის აზრით მიზანშეწონილად მიგვაჩნია „აკორდული განრიგებიდან“ გადასვლა უშუალოდ სახელშეკრულებო ფორმებზე.

მემცენარეობისა და მეცხოველეობის რგოლების შრომითი კოლექტივებისა და მეურნეობის ადმინისტრაციას შორის საიჯარო ხელშეკრულება საჭიროა დაიდოს „საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმოების სახელმწიფო კომიტეტის, ლენინის სახელობის სსრკ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილების და საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ 1984 წელს შემუშავებული „კოლექტიური იჯარის სოფლის მეურნეობის საწარმოებში დანერგვის ტიპიური დებულებისა და რეკომენდაციების „შესაბამისად“¹³ ხოლო მექანიზაციის სექციის ქვედანაყოფებსა და მეურნეობის ადმინისტრაციას შორის-სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1983 წლის „მექნიზაციის ქვედანაყოფებში კოლექტიური იჯარის ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად“¹⁴.

მოყვანილი ტიპიური დებულებების შესაბამისად შეიძლება დაიდოს ხელშეკრულება აგრეთვე დამზადება-რელიზაციისა და რეგიონალური სეკ-ები კოლექტივებსა და მეურნეობის ადმინისტრაციას შორის. ამასთანავე საჭიროა გათვალისწინებული იქნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1086 წლის 20 მარტის №358 დადგენილება „ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის მეურნეობის ეკონომიური მექანიზმის შემდგომი სრულყოფის შესახებ“, რომლის შესაბამისად მეურნეობის და სხვა სოფლის მეურნეობის საწარმოების ქვედანაყოფების კოლექტივების პრემირება საჭიროა მოხდეს პირ-

დაპირი დანახარჯების ეკონომიის 70%-ის ფარგლებში. ხოლო პირდაპირი დანახარჯების გაზრდისას კი სხვაობა დაიფაროს კოლექტივების პრემირებისა და შრომის ანაზღაურების ფონდების ხარჯზე. და ეს მითითება საფუძვლად დაედოს მხარეთა ურთიერთ პასუხისმგებლობას.

გარდა აღნიშნული წინააღმდეგობებისა შიდა სამეურნეო ანგარიშის ფუნქციონირების საქმეში ჯერ კიდევ არსებობს ისეთი სიძნელეები, როგორებიცაა: ხარჯსანიანაღმდეგო მექანიზმის შეუმუშავებლობა, სპეციალისტების დაბალი დონე, არადაამაკმაყოფილებელი იდიოლოგიური მომსახურება, იჯარული ქვედანაყოფების არა სათანადო მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, თვით იჯარის ორგანიზებულობის მოუწესრიგებლობა, დავების მომწესრიგებელი კომისიის არარსებობა და სხვა.

თვით კოლექტიური იჯარა სამეურნეო ანგარიშზე საზოგადოებიდან მოითხოვს მაღალ იდეოლოგიურ-პროფესიონალურ მომზადებას. ამ მხრივ კი რაიონის მშრომელები ჯერ კიდევ სათანადოდ არ არიან მზად. იჯარა მოითხოვს მასების ხარისხობრივად გარდაქმნას, რასთან დაკავშირებითაც პარტიის რაიკომი ამახვილებს განსაკუთრებულად ყურადღებას.

დანართი: ცხრილი №1

გამოყენებული ლიტერატურის სია.

საქართველოს კომპარტიის

დმანისის რაიონული კომიტეტის

საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორი, იურისტი:

1986 წ. ა. ქოჩორაძე

თემა: კოლექტიური იჯარის ორგანიზებულობა დმანისის რაიონის სოფლის მეურნეობაში, მისი ფუნქციონირებისა და შემდგომში განვითარების პრობლემები

გეგმა

კოლექტიური იჯარის სამეურნეო ანგარიშზე ცხოვრებაში დანერგვის პრობლემა – პარტიისა და მთავრობის ეკონომიური სტრატეგიის მთავარი ქვაკუთხედი.

1. კოლექტიური იჯარის დანერგვა სამეურნეო ანგარიშზე დმანისის რაიონის სოფლის მეურნეობაში.

2. კოლექტიური იჯარის ორგანიზებულობა რაიონის სოფლის მეურნეობაში, მისი იურიდიული მხარე, ფუნქციონირების პრობლემები.

3. დმანისური იჯარის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის საჭირო რეკომენდაციები.

საბჭოთა ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ისტორიულ ეტაპზე პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კოლექტიური იჯარის შიდა სამეურნეო ანგარიშზე დანერგვას. ამ მხრივ განსაკუთრებულად გაამახვილა ყურადღება პარტიის 27 ყრილობამ.

„სსრ კავშირის ეკონომიური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებაში“ ნათქვამია, რომ სახალხო მეურნეობის მართვის შემდგომი სრულყოფისათვის საჭიროა „განვამტკიცოთ სამეურნეო ნაგარიში წარმოების ყველა რგოლში, საყოფაცხოვრებო და სხვა სახეობის მომსახურების სფეროში, შევქმნათ სამეურნეო ანგარიშგებიანი ურთიერთობა სულ უფრო მეტად ხუთწლიანი გეგმის დავალებისა და დამადგენელი ეკონომიური ნორმატივების საფუძველზე, მაკავშირებელი გაერთიანებებისა და სანარმოების განკარგულებებში დასატოვებელ საშუალებ-

ბათა რაოდენობა მათი მუშაობის შედეგებთან“.

მოცემული ეკონომიკური კონცეფციის გაზრდილი მნიშვნელობა აიხსნება იმით, რომ „სსრკ სასურსათო პროგრამის“ და ქვეყნის სხვა ეკონომიურ-სოციალურ პრობლემათა სარეალიზაციო ძირითად მიმართულებათა რეალიზაცია შესაძლებელია უპირველეს ყოვლისა, კოლექტიური იჯარის დანერგვით სამეურნეო ანგარიშზე.

ამ ვითარებით გამოწვეული სსრკ კპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრკ მინისტრთა საბჭოსთან 1986 წლის 20 მარტს № 358 მიღებული ერთობლივი დადგენილებით „ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის მეურნეობის ეკონომიური მექანიზმის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ დაავალდებულა სსრკ სახაგრომრეწვი და მისი ადგილობრივი ორგანოები „მოკლე დროში გადაიყვანონ სოფლის მეურნეობის ყველა წარმოების, გადამამუშავებელი და სხვა საწარმოების ქვედანაყოფები კოლექტიური იჯარის სამეურნეო ანგარიშზე ფუნქციონირების პირობებზე“.

კოლექტიური იჯარა როგორც ეს ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა თქვა 27 ყრილობაზე, „ნამდვილ სამეურნეო ანგარიშზე“ განაპირობებს ეკონომიური და სოციალური განვითარების შემდგომი დაჩქარების ბედს.

2. საქართველოს კომუნისტური პარტიის დმანისის რაიონულმა კომიტეტმა ბევრად ადრე საკითხის მკაცრად დაყენებამდე, მიიღო რა მხედველობაში კოლექტიური იჯარის პერსპექტიურლი მნიშვნელობა, სკკპ 26 ყრილობის, 1982 წლის მაისის და 1983 წლის ივნისის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადანყვეტილებათა შუქზე ერთ-ერთ პირველთაგანმა გაშალა ფართო მუშაობა მასებში საზოგადოებრივი მეურნეობის ინტენსიურ რელსებზედ გადასაყვანად.

1982 წლის 25 თებერვალს პარტიის რაიკომმა თავისი ბიუროს სხდომაზე მიიღო დადგენილება 9 მეურნეობის 10 მექანიზებულ რგოლში კოლექტიური იჯარის სამეურნეო ანგარიშზე

ექსპერიმენტის სახით დანერგვის შესახებ.

ამ მექანიზებული რგოლების მშრომელებს დაევალებათ მოეყვანათ კართოფილი 189 ჰა მიწის ფართობზე. რგოლის თითო წევრზე მოდიოდა 2 ჰა მიწა, ნაცვლად ადრე დადგენილი 0, 32 ჰა მიწისა. მათ მიეცათ საშუალება მიეღოთ მოყვანილი ზეგემიური პროდუქციის 40% პრემიის სახით.

ექსპერიმენტმა გამოიღო დადებითი შედეგები, რგოლების მშრომელებმა მიიღეს 3170 ტონა კარტოფილი ნაცვლად გემ-მით გათვალისწინებული 1978 ტონისა. რგოლებში საშუალო მოსავლიანობა გაიზარდა 60% გემიურთან შედარებით. გაი-ზარდა შრომის ნაყოფიერება ორჯერ. რგოლების ყველა მშრო-მელმა მიიღო სამ-სამი ტონა კარტოფილი პრემიის სახით.

1982 წლის ოქტომბრიდან ექსპერიმენტი გავრცელებუ-ლი იქნა კიდევ მეცხოველეობის სამ რგოლზე. პრემიალური ნატურანაზღაურება გაზარდეს წარმოებული გემიური პრო-დუქციის 70%. საქმის ასეთი დაყენებით, სამ თვეში, ექსპერი-მენტული რგოლების მშრომელებმა რძის წარმოება გემიურ-თან შედარებით გაზარდეს 18102 კილოგრამით. საიდანაც მათ მიიღეს პრემია ნატურანაზღაურების სახით 13202 კგ. რძე. ამ რგოლებში შრომის მწარმოებლურობა გაიზარდა 1, 8 ჯერ, ხოლო მუშების საშუალო თვიური ხელფასი – 44 მანეთი. ეს მაშინ, როცა ამ რგოლების შრომითი კოლექტივები ადრე ქრო-ნიკულად წარმოების გეგმებს ვერ ასრულებდნენ.

აღმოჩნდა რა შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმის უპი-რატესობა ძველთან, პარტიის რაიკომმა 1983 წლის დასაწყისში შექმნა სპეციალური სამეურნეო ანგარიშის დამწერგავი კომი-სია, რომელმაც მალე რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანე-ბის სპეციალისტებთან ერთად შეიმუშავა დებულება „დმანისის რაიონის სოფლის მეურნეობის მართვის სამეურნეო ანგარიშ-ზე“.

შემდეგ, ჩატარდა სათანადო აგიტაციური განმარტებითი მუშაობა მასებში. სოფლებში შედგა თავყრილობები, შრომით

კოლექტივებში – კრებები. ხალხმა სცნო კოლექტიური იჯარის სამეურნეო ანგარიშზე ფუნქციონირების უპირატესობა არსებულთან შედარებით და გადაწყვიტეს იგი დაენერგათ ყველგან. იმავე წელს კოლექტიურ იჯარაზე გადავიდა კიდევ 115 რგოლი. მათ გააერთიანეს მემცენარეობის დარგში დაკავებული მუშაკების 91%, ხოლო მეცხოველეობისა – 72%. რგოლის ხელმძღვანელები შეყვანილნი იქნენ რაიკომის ბიუროს ნომენკლატურაში.

1984 წლის დასაწყისში პრაქტიკულად რაიონის მეურნეობების ყველა შრომითი კოლექტივი ფუნქციონირებას განიცდიდა სამეურნეო ანგარიშზე.

1986 წლის I იანვრისათვის რაიონში მოქმედებდა სულ 248 რგოლი სამეურნეო ანგარიშზე. მათ შორის მემცენარეობის დარგში – 84, მეცხოველეობისა – 97, მექანიზაციისა – 39, ხოლო დამზადება-რეალიზაციაში – 28. სულ წელიწადში 4 მილიონ 300 ათასი მანეთის ეკონომიური ეფექტით.

დამანისის რაიონში კოლექტიური იჯარის დანერგვის საქმეში დიდი მუშაობა ჩაატარეს მაშინდელმა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა აზხ. ე. ა. ბერიძემ და რაიკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ აზხ. ე. მიქელაძემ.

3. დმანისის რაიონის სოფლის მეურნეობაში კოლექტიური იჯარა სამეურნეო ანგარიშზე, რომელმაც გაიარა გარკვეული ევოლუცია დღეისათვის ორგანიზებულია შემდეგნაირად:

რაიონში 13 საბჭოთა მეურნეობაა. ყოველი მათგანის სტრუქტურული დანაყოფებიდან კოლექტიური იჯარით სამეურნეო ანგარიშზე მოქმედებენ მხოლოდ მემცენარეობა-მეცხოველეობის დარგების სპეციალიზირებული რგოლები და მექანიზაციისა და დამზადება-რეალიზაციის მთლიანად დარგობრივი სამსახურები, ეგრეთწოდებული სამრეწველო-ეკონომიური კომპლექსები /სეკ-ბი/. რაიონის ყველა საბჭოთა მეურნეობაში მოქმედებენ მემცენარეობის, მეცხოველეობის, მექანიზა-

ციისა და დამზადება-რეალიზაციის სათითაო სეკ-ბი. ყოველი მათგანი აერთიანებს მეურნეობაში არსებულ დარგობრივ სამსახურებს და მათში დასაქმებულ რგოლების შრომით კოლექტივებს. ყველა რგოლი სპეციალიზირებულია. მემცენარეობა-მეცხოველეობის რგოლების გარდა ყველა დანარჩენი რგოლები არა იჯარულისა, მაგრამ შედიან სამეურნეო ანგარიშებიან ქვედანაყოფების შემადგენლობაში. /იხილეთ „სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში სამეურნეო ანგარიშის დანერგვის პრაქტიკის შესახებ საქართველოს სსრ დმანისის რაიონში“ გვ. 37, ე. ა. ბერიძე, თბილისი 1983. „ნორმატიული საბუთები, სამეურნეო ანგარიშის დმანისის რაიონის სოფლის მეურნეობის წარმოებაში“, გვ. 13., ე. ა. ბერიძე, ა. ე. ბერიძე, თბილისი 1985/. გარდა აღნიშნულ სექტა სახეობისა ამ ბოლო დროს რაიონის მეურნეობებში წარმოიშვნენ რეგიონალური სეკ-ებიც დასახელებული პუნქტების მიხედვით. ისინი აერთიანებენ სოფლად არსებულ სხვადასხვა სახის სპეციალიზირებულ რგოლებს და თვითონ ითვლება სამეურნეო ანგარიშებიან სტრუქტურულ ქვედანაყოფებად. ასეთ სეკებში ერთდებიან იჯარით მომუშავე მემცენარეობა-მეცხოველეობის რგოლებიც სამეურნეო ანგარიშებიანი ქვედანაყოფის სტატუსის შენარჩუნებით.

მთლიანად მემცენარეობა-მეცხოველეობის რგოლებიც სამეურნეო ანგარიშებიანი ქვედანაყოფის სტატუსის შენარჩუნებით.

მთლიანად მემცენარეობა-მეცხოველეობის სეკები სამეურნეო ანგარიშზე არ მოქმედებენ, როგორც ავლნიშნეთ ამ დარგის ქვედანაყოფებიდან იჯარით მუშაობენ მხოლოდ მათში შემავალი რგოლები.

მეურნეობებში ბრიგადები არ არიან. ისინი დაიშალნენ ანგარიშებიანი რგოლების წარმოშობასთან დაკავშირებით.

ყველა სეკს გააჩნია თავისი მმართველობის დემოკრატიული ორგანო-საბჭო.

კოლექტიური იჯარით მომუშავე ქვედანაყოფების ფორ-

მირება ხდება დემოკრატიულ პრინციპებზედ – მათ ნევრთა ურთიერთ ნებაყოფლობით იშრომონ ერთად. გადანყვეტილება გამოაქვთ საერთო კრებაზე. ქვედანაყოფის ოფიციალურად გამოცხადება სწარმოებს მეურნეობის დირექტორის მიერ სათანადო ბრძანების გამოცემით.

სამეურნეო ანგარიშგებიანი ქვედანაყოფები მეურნეობაში არსებული სხვა დანაყოფებისაგან იმით განსხვავდება, რომ ეს ქვედანაყოფები მოქმედებენ ერთიანი აკორდული განრიგით და სამეურნეო ოპერაციებზე სხვა ქვედანაყოფებთან ანგარიშსწორებას აწარმოებენ ჩეკების /სისტემით/ მეშვეობით, თანახმად სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1986 წლის 6 აპრილის № 135-18/269-1 რეკომენდაციისა. იჯარით მომუშავე ქვედანაყოფები მეურნეობის ადმინისტრაციასთან გამოდიან პარტნიორებად გეგმიური დავალების შესრულების საქმეში. და ითვლებიან სამეურნეო სამართლის სრულყოფილებიან სუბიექტებად.

მემცენარეობა-მეცხოველეობის რგოლები და რეგიონალური სეკები წარმოადგენენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებლურ ძირითად ქვედანაყოფებად, ხოლო მექანიზაცია და დამზადება – რეალიზაციის სეკები – მათ მომსახურებს. აქედან გამომდინარე პირველნი არიან მეორეების „შემკვეთელები“, ხოლო მეორენი პირველის „სუბმოიჯარენი“. ამ უკანასკნელებს არ გააჩნიათ თავიანთი საკუთარი ხელფასის ფონდები. ისინი ხელფასს და სხვა საშუალებებს ღებულობენ „შემკვეთელებისაგან“ თანახმად მათთან შესრულებული სამუშაოების საბოლოო შედეგებისა მათი ასეთი ურთიერთდამოკიდებულება განპირობებულია სათანადო ტექნოლოგიური რუკებითა და სამეურნეო ანგარიშგებიანი დავალებებით. სადაც თავის მხრივ გათვალისწინებულია ამა თუ იმ პრიდუქციის მოსაყვანად რა დროს, რა სახის და რაოდენობის სამუშაოებია ჩასატარებელი გეგმიური დავალების შესასრულებლად. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „შემკვეთელებსა“ და „სუბმოიჯარეებს“ შორის

ურთიერთდამოკიდებულება რეგულირებას განიცდის ყოველგვარი წერილობითი ხელშეკრულების გარეშე, არაა დამუშავებული სათანადო ნორმატივი. ურთიერთმეუთანხმებლობას აწესრიგებს მეურნეობის ადმინისტრაცია.

ამჟამად რაიონში მიმდინარეობს გარკვეული მუშაობა მეურნეობების ყველა სახეობის რგოლისა და სექციის სამურნეო ანგარიშზე გადასაყვანად.

რაიონის „ნორმატიული საბუთების“ შესაბამისად კოლექტიური იჯარით მომუშავე სტრუქტურული ქვედანაყოფები უფლებამოსილნი არიან:

- დადონ ხელშეკრულებები მეურნეობის ადმინისტრაციასთან სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ან მომსახურეობის რომელიმე სახის მათ მიერ მიღებული გეგმიური დავალებების შესასრულებლად;

- იქონიონ სათანადოდ გაპიროვნებული სამუშაო უბნები, მიწის ფართობები, პირუტყვი, ტექნიკა, სათავსოები და წარმოების სხვა საშუალებები. აგრეთვე, ეკონომიურ-ტექნიკური დოკუმენტაცია ტექნოლოგიური რუკები, სამეურნეო ანგარიშგებიანი დავალებები, საჩიკე წიგნები, დანახარჯების ლიმიტები, სპეციალისტები, მუშახელი თანახმად მათი სპეციფიკისა;

- ჰქონდეთ საშუალება ყოველთვიურად მისცენ თავიანთ მშრომელებს შესრულებული სამუშაოების შესაბამისად ტარიფით გათვალისწინებული ხელფასის 70%, ხოლო დარჩენილი 30% კი წლის ბოლოს სათანადო დებულების მოთხოვნილებათა გათვალისწინებით;

- მისცენ თანხმობა მეურნეობის ადმინისტრაციას ქვედანაყოფიდან რომელიმე წევრის დასჯა-განთავისუფლებაზე, ან ქვედანაყოფში ახლის მიღებაზე. აირჩიონ თავიანთი ხელმძღვანელები-მერგოლურები, სეკის თავმჯდომარეები, საბჭოს წევრები;

- გადანყვტონ თავიანთი წევრების შვებულებაში გამგების ან შვებულებიდან უკან გამოწვევის საკითხი. იზრუნონ

ქვედანაყოფში შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებაზე, წარმოების საშუალებების სწორად სწორად გამოყენებაზე;

– შექმნან და დამოუკიდებლად გამოიყენონ „სოციალურ-კულტურული საჭიროების ფონდი“ მოქმედი კანონების შესაბამისად;

– დაამყარონ სამეურნეო ურთიერთობა არა მარტო მეურნეობის შიგნით არსებული სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან, არამედ სხვა სოფლის მეურნეობის მომსახურე და გადამამუშავებელი საწარმოების სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან მეურნეობის ადმინისტრაციის ჩარევის გარეშე. ამასთანავე აწარმოონ მათთან ანგარიშსწორება ყოველივე სამეურნეო ოპერაციაზე ჩეკებით;

– გაუნიონ წარმოებულ პროდუქციას და მართვას დროებით გადაცემული წარმოების საშუალებებს სათანადო დაცვა;

– დაიცვან შრომის უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო წესები;

/შენიშვნა: „ნორმატიულ საბუთებში“ თავმოყრილია რაიონში შემუშავებული 15 დებულება-რეკომენდაცია კოლექტიური იჯარის სამეურნეო ანგარიშზე დანერგვის თაობაზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამეურნეო ანგარიშგებიანი ქვედანაყოფის, ე. ი. კოლექტიური იჯარით სამეურნეო ანგარიშზე მომუშავე შრომითი კოლექტივის უფლებამოსილება არაა გათვალისწინებული ერთი რომელიმე დებულებით, რომ შეგვეძლოს მისი დასახელება და არ ვიხსენიებდეთ მთლიანად დებულება-რეკომენდაციათა კრებულის დასახელებას „ნორმატიულ საბუთებს“. იგი „გაფანტულია“ მთელ დებულება-რეკომენდაციებში. ამიტომ სამართლიანი იქნება ვიხმაროთ მათი კრებულის დასათაურება „ნორმატიულ საბუთები“/.

კოლექტიური იჯარით მომუშავე ქვედანაყოფის უფლებამოსილების რეალიზაცია ხდება მისი საერთო კრების გადანყვეტილებათა სისრულეში მოყვანით, უშუალო ხელმძღვანელის

მიერ სათანადო განმკარგულებელ-აღმასრულებელი ღონისძიებათა გატარებით, დარგობრივი საბჭოს და მისი თავმჯდომარის ქმედითობით.

სამეურნეო ანგარიშგებიანი ქვედანაყოფის შრომითი კოლექტივის საერთო კრება ტარდება – რგოლში თვეში ერთხელ, სეკში – კვარტალში ერთხელ. მშრომელთა საერთო რაოდენობის არა ნაკლებ 2/3 თანდასწრებით. კრების გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, ქვედანაყოფში ლეზულობს კანონის ძალას. როგორც წესი ქვედანაყოფის საერთო კრებაზე ხდება მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა. ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში იჯარით მომუშავე ქვედანაყოფების საერთო კრებებზე წარმოებს შესაბამისი ხელმძღვანელების ანგარიშგებები შრომითი კოლექტივების წინაშე და მათი ახლად არჩევა ან გადარჩევა. ასეთი რონისძიებების შემდეგ წარმოებს მეურნეობის დირექტორის მიერ სათანადო ბრძნებების გამოცემა მათი არჩევითი თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ.

რაიონის „სოფლის მეურნეობის მართვის სტრუქტურის დებულების“ შესაბამისად მემცენარეობისა და მეცხოველეობის რგოლების ხელმძღვანელებად ირჩევენ გამოჩენილ სათანადო პრაქტიკისა და ავტორიტეტის მქონე რიგით მუშებს. ამ დარგების სეკების საბჭოების თავმჯდომარეებად კი ირჩევენ მათში შემავალი რომელიმე წარჩინებული რგოლების ხელმძღვანელებს. მექანიზაციის სეკის თავმჯდომარედ ირჩევენ მეურნეობის მთავარ ინჟინერ-მექანიკოსს, ხოლო დამზადებარეალიზაციის სეკის საბჭოს თავმჯდომარედ მეურნეობის სხვა რომელიმე სპეციალისტს. სეკების საბჭოების თავმჯდომარეები ერთდროულად ითვლებიან ამ დარგების თავმჯდომარეებად, ე. ი. დარგის მმართველებად. მათ ირჩევენ ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში სეკების საბჭოების წევრებთან ერთად სეკების საერთო კრებებზე, ხოლო მათი უშუალო არჩევა საბჭოს თავმჯდომარეებად ხდება ამ საბჭოების პირველივე სხდომებზე 2/3 ხმის მიცემით.

3. დღეისათვის დმანისის რაიონში კოლექტიური იჯარა სამეურნეო ანგარიშზე, რომელმაც განვლო თავისი განვითარების გარკვეული საფეხურები – ორგანიზებულია შემდეგნაირად:

რაიონში არსებულ საბჭოთა მეურნეობების, რომლებიც სულ 13, ორგანიზაციულ სტრუქტურას შეადგენს მემცენარეობის, მეცხოველეობის, მექანიზაციისა და დამზადება-რეალიზაციის შიდა სამეურნეო დარგობრივი ქვედანაყოფები, ეგრეთწოდებული „სამრეწველო ეკონომიური კომპლექსები“ /სეკ-ები/, რომლებიც თავის მხრივ აერთიანებენ თავიანთ დარგში არსებულ პირველად სანარმოო ქვედანაყოფებს-რგოლებს. /იხილეთ სქემა/. ეს რგოლები სპეციალიზირებულებია ამა თუ იმ სახეობის პროდუქციის წარმოებაზე, ან მომსახურეობის განვითარებაზე.

აქედან სამეურნეო ანგარიშგებიანი, ანუ კოლექტიური იჯარით მომუშავე ქვედანაყოფებია: მემცენარეობის, მეცხოველეობის დარგის რგოლები და მექანიზაციის, და დამზადება-რეალიზაციის სეკ-ები. იხილეთ „სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში სამეურნეო ანგარიშის დანერგვის პრაქტიკის შესახებ საქ. სსრ დმანისის რაიონში“, ე. ა. ბერიძე, თბილისი 1983 წელი, გვ. 37, „ნორმატიული საბუთები“, დმანისის რაიონში სოფლის მეურნეობის წარმოებისა და სამეურნეო ანგარიშზე /ექსპერიმენტის მასალები/, ე. ა. ბერიძე, ა. ე. მიქელაძე, თბილისი 1985 წელი, გვ. 13.

ბოლო დროს რაიონის პრაქტიკაში შემოვიდა კიდევ ერთი სახეობის სამეურნეო ანგარიშგებიანი ქვედანაყოფი-რეგიონალური სეკ-ი, რომელიც აერთიანებს თავის ქვედანაყოფებად კონკრეტულ სოფლად არსებულ ყველა მოქმედ რგოლებს. ამასთანავე მემცენარეობისა და მეცხოველეობის სამეურნეო ანგარიშგებიან რგოლებს უნარჩუნებს თავიანთ იურიდიულ სტატუსს. ხოლო მექანიზაციისა და დამზადება-რეალიზაციის რგოლებს უქმნის ორმაგი დაქვემდებარების პირობებს.

აქვე აღსანიშნავია, რომ მემცენარეობისა და მეცხოველეობის რგოლების ასეთ პირობებში ჩაყენება ნიშნავს მათი შრომითი კოლექტივების უფლებების შეზღუდვას, რაც ეწინააღმდეგება „სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს „სამეურნეო ანგარიშგებიან სანარმოო ქვედანაყოფების კოლექტიურ იჯარაზე ორგანიზებულობის შესახებ“. /ყურნალი „სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, № 10, 1984წ. „კოლექტიური იჯარის არსი და ძირითადი პრინციპები“ – ავტორი ვ. ბაშმაჩნიკოვი, ეკ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. / რომლის შესაბამისად მემცენარეობისა და მეცხოველეობის რგოლებს უნდა გააჩნდეთ თავისუფლება ოპერატიული – სანარმოო საკითების გადაჭრაში, გამანაწილებლობითი ურთიერთობის, შრომის რაციონალური რეჟიმისა და დასვენების, დადგენაში, წარმოების ტექნოლოგიაზე მათი პასუხისმგებლობის გაზრდით. თანახმად „სანარმოო ბრიგადების ტიპური დებულებისა“, რომელიც მიღებულია სსსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფესიონალური კავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭოს ერთობლივი დადგენილებით 1984 წლის 30 მარტს, № 91/6-24, პუნქტი 3. 4. 2. იჯარით მომუშავე შრომით კოლექტივებს უფლება აქვთ ნაუყენონ პრეტენზია მეურნეობის ადმინისტრაციას, თუ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით კოლექტივმა ვერ შეასრულა თავისი გეგმიური დავალება, ან მიიღო რაიმე ზარალი. აღნიშნული უფლებების რეალიზაცია მემცენარეობისა და მეცხოველეობის რგოლებს ასეთ პირობებში ვერ შეუძლიათ რეგიონალური სეკის ხელმძღვანელობის „სანქციონირების“ გარეშე. რაც თავისთავად მოწმობს მას რომ საჭიროა რგოლებს ჩამოერთვას „იჯარული“ უფლებები და სოფლად მარტო რეგიონალური სეკი იცნეს სამეურნეო ანგარიშგებიან ქვედანაყოფად მეურნეობის მიმართ.

რეგიონალურმა სეკ-მა თავისი გამოხატულება ვერ ჰპოვა რაიონში შემუშავებულ რეკომენდაცია-დებულებებში სიახლის გამო. მაგრამ მან პრაქტიკულად მოიკიდა ფეხი. რაიონში დიდი სოფლების გარკვეული ნაწილი გადავიდა შრომის ორგანიზაციის რეგიონალურ ფორმაზე.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა დარგობრივი სეკებიდან რეგიონალურზედ მთლიანად გადასვლისათვის.

რეგიონალურ სეკებს დარგობრივად შედარებით გააჩნიათ გარკვეული უპირატესობა. თუ დარგობრივი სეკები ერთდროულად მოიცავენ რამდენიმე სოფლის შრომითი და მეურნეობის ადმინისტრაციის კოლექტივების ნაწილს, რეგიონალური სეკები მოიცავენ სათითაო სოფლების შრომით კოლექტივებს. დარგობრივი სეკებით მეურნეობის მართვა სოფლებს ანაწევრებს „მიკრო ჯგუფად“, ხოლო რეგიონალური კი სოფლებს აერთიანებს ერთიან მუშა ძალად, სპეციალისთან ერთად ახდენენ საწარმოო ძალების კონცენტრაციას. პირველად შრომით კოლექტივებს საშუალებას აძლევს გააერთიანონ თავიანთი სოციალურ-კულტურული საჭიროების ფონდები ერთიან ფონდად და იგი გამოიყენონ საერთო სასოფლო საჭიროებისათვის.

1881 წელს გამოცემული „სახაზინო მიწების“ იჯარით გაცემის წესების თანახმად, „მოიჯარე გლეხს“ საშუალება ეძლეოდა მანამდე არსებულ „ფულადი გარანტიის“ ნაცვლად მეიჯარესათვის წარედგინა სოფლის კრებაზე მიღებული „თავდები“ გადახდისუნარიანობის დასტურად (Сборник правительственных решений по устройству поселения кавказского края. 1880-1883гг, стр. 8).

მიწის შემდგომ რეფორმას, რომელსაც გარკვეული ცვლილებები უნდა მოეტანა „საიჯარო ურთიერთობებში“ – იყო სტოლიპინის რეფორმა, მაგრამ მის განხორციელებას ხელი შეუშალა მეფის ხელისუფლების დამხობამ.

სტოლიპინის რეფორმა ითვალისწინებდა დროებით ვალდებული გლეხების მიწიანად განთავისუფლებას, ისე, როგორც

ამას ადგილი ჰქონდა აფხაზეთსა და სვანეთში.

ალსანიშნავია ის, რომ 1862-1921 წლებში საქართველოში ფართო გაქანება ჰპოვა „საიჯარო ურთიერთობის“ განვითარებამ მინათსარგებლობის საქმეში და ამას ხელი შეუწყო 1864 წლის რეფორმით დაშვებულმა მიწის ყიდვა-გაყიდვამ.

1917 წელს, როგორც კი ბოლშევიკებმა ხელთ იგდეს ძალაუფლება, რუსთა ჯარმა დატოვა ამიერკავკასია და გადავიდა ქვეყნის სიღრმეში. საკუთარი ძალ-ღონის ამარა დარჩენილმა საქართველომ ისარგებლა შემთხვევით და 1918 წლის 26 მაისს თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა (სახელმწიფო და სამართალი, №5, 1990, გვ. 7).

თავისთავად ცხადია, ამ ფაქტსი შემდეგ, 1917 წლის 25 ოქტომბერს, რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების მეორე ყრილობაზე მიღებული „მიწის დეკრეტი“, რომელიც კრძალავდა მიწის ყიდვა-გაყიდვას, „იჯარით“ გადაცემას თუ სხვას, საქართველოში მაშინვე ვერ გავრცელდებოდა (Решение партии и правительства по хозяйственным вопросам (1917-1967) 1967г стр. 15-17). ეს მოხდა 1921 წლის თებერვალში. ამ დრომდე შემორჩა და მოქმედებდა არა მარტო ადრე მიღებული კანონები, არამედ საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ ამ მხრივ მიიღო სხვა მრავალი დამხმარე ანალოგიური ხასიათის აქტებიც. კერძოდ, 1919 წლის 28 იანვარს – „სახელმწიფო-საადგილმამულო ფონდიდან მცხოვრებთათვის მამულის კერძო საკუთრებაში მიცემის“ და „ყოფილ სანარდო, სახაზინო და სხვა მიწების კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921, თბ, 1990, გვ. 217-218, 222-223).

მალე, ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, 1921 წლის 6 აპრილს, საქართველოს რევკომმა, როგორც სოციალისტური რეჟიმის ადგილობრივმა ორგანომ, გამოსცა დეკრეტი №17 „მიწის შესახებ“, ანალოგიური „ლენი-

ნური მინის დეკრეტისა“ და აკრძალა მინის ყიდვა-გაყიდვა, „იჯარით“ გადაცემა და ყველა სხვა გზა და ხერხი მისი გასხვისებისა (საბჭოთა მინათსარგებლობისა და საკოლმეურნეო უფლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი აქტების კრებული, თბ, 1961, გვ. 14). მინა გამოცხადდა მთელი ხალხის საკუთრებად, რაც, ბუნებრივია, ტოტალიტარული მმართველობის დასაწყისს მოასწავებდა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მინის საყოველთაო კონფისკაცია თუ მისი ამ გზით სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა, რაც ბოლშევიკების მიერ იყო „ინსცენირებული“, თითქოს და სხვა არაფერი ყოფილიყო, თუ არა „გლახთა კლასის“ რევოლუციური მიზანსწრაფვის შედეგი. და ცხადია, ასეთ პირობებში, „იჯარა“, რომელიც მანამდე გამოიყენებოდა „მემამულეთა“ მიერ „მინათმოქმედთა“ ექსპლუატაციის სამართლებრივ მექანიზმად, პროლეტარიატის დიქტატურასთან წინააღმდეგობაში აღმოჩნდა და როგორც კაპიტალისტური რიგის მოვლენა, უარყოფილი იქნა.

გლეხებისათვის მინების სარგებლობაში გადაცემის პრინციპები არ იყო განსაზღვრული არა მარტო „მინის ლენინური დეკრეტით“, არამედ მის შემდგომ მიღებული „მშრომელთა და ექსპლოატირებულ ხალხთა დეკლარაციითაც“. ამ მიზნით, 1918 წლის 27 იანვარს მიღებულ იქნა კანონი „მინის სოციალიზაციის შესახებ“, რომელმაც პრაქტიკულად შთანთქა არა მარტო ხსენებული „აქტები“, არამედ ბოლშევიკების აგრარული პროგრამიდან გამომდინარე მინათსარგებლობის დებულებაც. (Решение партии и правительства по хозяйственным вопросам (1917-1967), т. 1, М, 1967, стр 33).

ეს კანონიც, ისე როგორც მისი წინამდებარე სამართლებრივი აქტები, კრძალავდა როგორც „იჯარას“, ისე დაქირავებული შრომის გამოყენებას, უფრო სწორად, არ ითვალისწინებდა მათ.

„მინის სოციალიზაციის შესახებ“ კანონის თანახმად,

მინათსარგებლობა შეეძლო მას, ვისაც გააჩნდა უნარი პირადი შრომით მისი დამუშავებისა. უპირატესობა ენიჭებოდა საზოგადოებრივ მეურნეობებს – „არტელებს“, – „კოოპერატივებს“, „ამხანაგობებს“ და სხვა მისთანებს. რამდენადაც ბოლშევიკური რეჟიმის მესვეურნი მათში ხედავდნენ სოციალისტური წყობილების შემდეგი განვითარების გზებს.

ლენინი, რომელმაც პრინციპში შეიმუშავა სოციალისტური წყობილების აგრარული პოლიტიკა, მოითხოვდა რა მთელი მიწების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემას, წინააღმდეგი იყო მიწის მესაკუთრესა (სახელმწიფოს) და მის მოსარგებლეს შორის ნებისმიერი შუამავლისა, რამდენადაც ნებისმიერ „გლეხს“ იგი ხედავდა მიწის „მოიჯარედ“ სახელმწიფოს წინაშე (В. И. Ленин. Избр. Тр. т. 2, М, 1976, стр. 31, 85). იგი აღნიშნავდა: «Но ведь собственность государства означает, что всякий крестьянин есть арендатор земли государства». (В. И. Ленин. Избр. Тр. т. 2, М, 1976, стр. 85).

საგულისხმოა, რომ ლენინი წინააღმდეგი იყო ტრადიციული „იჯარისა“ იმ მიზეზით, რომ მისი აზრით, იგი გამოიწვევდა შეძლებულ გლეხთა (კულაკთა) შემდგომ გამდიდრებასა და გაძლიერებას, რც უარყოფითად იმოქმედებდა „კოლექტივიზაციის“ განხორციელებაზე. „კოლექტივში“ იგი ხედავდა ერთპიროვნული მეურნეობრიობიდან საზოგადოებრივ მეურნეობრიობაზე ქვეყნის გადაყნავისა და განვითარების გზებს. ხოლო კოლექტივიზაციის ჩაშლა – ახალი წყობილების დამხობას მოასწავებდა. უნდა აღინიშნოს, რომ მთელი მიწების სახელმწიფოს ხელში გადასვლით მოხდა სოფლის მეურნეობაში არსებული წარმოებითი ურთიერთობის ცენტრალიზება. მასთან ერთად, სახელმწიფო აღმოჩნდა ერთადერთი რეალური „მეიჯარე“. ყოველივე ამან, ცხადია, განაპირობა სოციალისტური მეურნეობის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ფორმის – „კაბალური იჯარის“ შემოღება და მისი შემდგომი განვითარება, რამაც, პრინციპში, იარსება 80-იან წლებამდე.

ლენინის მიერ შემუშავებული აგრარული პროგრამა, რომ „მცდარი და ანტიხალხური“ იყო, ჯერ კიდევ 1904 წელს გამართულ რსდპ-ს პირველ კომფერენციაზე მიუთითებდნენ მას ლიბერი, მახი, ეგოროვი და სხვა რევოლუციურად მოაზროვნენი. მათი აზრით, ლენინის აგრარულ პროგრამას ისტორიული უსამართლობის გამოსწორებასთან თამაშის სუნი სდიოდა და დემაგოგიისა და ავანტიურიზმის ჩრდილი ედო. სიტყვა-სიტყვით: «Несколько пахнет игрой в исправлении исторических несправедливостей и на ней лежит оттенок демагогии и авантюризма» (В. И. Ленин Избр. тр. т. 1 М. 1976 стр. 262).

რუსეთის ბოლშევიკურ ხელისუფლებას სამოქალაქო ომით გამონვეულმა სასურსათო განერამ სულ მალე აჩვენა „ტრადიციული იჯარის“ დაშვების აუცილებლობა. აღნიშნულის გამო „გლეხობა“ დიდ უკმაყოფილებას იჩენდა ხელისუფლების მიმართ. შემცირდა სათესი ფართობები, იგრძნობოდა სასურსათო პროდუქტების უკმარისობა, ქალაქებსა და სოფლებს შორის მოიშალა საქონელბრუნვა. სათანადო უზრუნველყოფის გარეშე დარჩენილმა მსხვილ სამრეწველო საწარმოთა მუშახელმა თვითნებურად იწყო სოფლისაკენ დინება. სოფლად დაბრუნებულმა მუშებმა კი ფაქტობრივად წარმოშვა არალეგალური და კანონგარეშე „იჯარით ურთიერთობანი“, გამოიყენებოდა დაქირავებული შრომა, რაც არკრძალული იყო და სხვა.

პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბლოკადაში მყოფ სახელმწიფოს კი ომით მიყენებული ზარალის აღგდენა შეეძლო მხოლოდ თავისუფალი მენარმეობის განვითარებით, რაც „იჯარისა“ და დაქირავებული შრომის გამოყენების გარეშე შეუძლებელი აღმოჩნდა. ამგვარი ღონისძიებების გატარება კი მაშინ სახელმწიფოსათვის საშიშროებას აღარ წარმოადგენდა, რამდენადაც ხელთ ეპყრო ეკონომიკური თუ პოლიტიკური მართვის ბერკეტები.

ასეთ ვითარებაში „იჯარაში“ ხელისუფლებამ დაინახა სწორედ ის მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც შეეძლო საწარმოო

ძალთა განვითარება, მოეხდინა კანონგარეშე მდგომი „იჯარის“ ლეგალიზება, შეაესებდა მუშათა და გლეხთა სამხედრო-პოლირიკურ კავშირს – ეკონომიკურით და სხვა.

ყოველივე ამის საფუძველზე, რკპ(ბ) ცკ-მ 1921 წლის 14 მაისს, რკპ (ბ) X ყრილობის დაგანყვეტილებათა შუქზე, რომელმაც, პრინციპში, დასახა ახალ ეკონიმოლურ პოლიტიკაზე გადასვლა, – მიიღო დადგენილება „სასურსათო გადასახადთან დაკავშირებით სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამეურნეო პოლიტიკის შესახებ“, რომლის საფუძველზეც სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და მის შესაბამის ორგანოებს დაევალოთ „იჯარით“ გაეცათ საწარმოები, როგორც კერძო პირთათვის, ისე საზოგადიებრივი მეურნეობებისათვის. ასე და ამგვარად, დაშვებული იქნა „იჯარა“ მრეწველობაში (Решение Партии и правительства по хозяйственным вопросам 1917-1967ю т. 1. М. 1967 стр. 313). ხოლო რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, იგი ამ დარგში შემოღებული იქნა იმავე წელს 26 დეკემბერს, სრულიად რუსეთის საბჭოების IX ყრილობაზე მიღებულ დაგანყვეტილებათა შუქზე, სადაც ნათქვანია: «Поручить Всероссийскому ВЦИК издать поставленные о временной краткосрочной переуступке прав на землепользование ослабленным трудовым хозяйствам (аренде) и об условиях применения наёмного труда». (Решение Партии и правительства по хозяйственным вопросам 1917-1967ю т. 1. М. 1967 стр. 269).

შესაბამისად, ხსენებული ყრილობის დაგანყვეტილებათა საფუძველზე, 1922 წლის 27 ნოემბერს საქართველოს კპ(ბ) ცკ-ს „მინის შესახებ“ მიღებული დადგენილების თანახმად, ჩვენშიც დაშვებულ იქნა მინის იჯარა. (Компартиядов и Грузии в резолюциях и решениях съездов и пленумов. т. 2 1920-1931, т. 5 1975 стр. 49-50).

ახალი ეკონომიკური პოლიტიკით გამოწვეული „იჯარა“ რევოლუციამდელი „იჯარისაგან“ იმით განსხვავდებოდა, რომ იგი ამჯერად აშკარა კლასობრივი ხასიათის იყო და მასში

რელიზებას განიცდიდა მხოლოდ „პროლეტარიატისა“ თუ „ულარიბესი გლახობის“ დიქტატურის შინაარსი.

„ნებ“-ის პირველ ეტაპზე მიწის „იჯარით“ გაცემის უფლება ჰქონდა „იმ ინდივიდუალურ მეურნეობებს“, რომლებიც დროებით დაუძღურებულნი იყვნენ სტიქიური უბედურებებით (მოუსავლიანობით, ხანძრით, საქონლის განყვევით და სხვა) ან კიდევ ინვენტარის ან და მუშახელის ნაკლებობით, ასევე, მუშახელის შემცირებით – სიკვდილის, სამხედროში მობილიზაციით, ბეგარით განწვევით, საბჭოთა თუ საზოგადოებრივ სამსახურში არჩევის გზით და სხვა (საბჭოთა მიწათსარგებლობისა და საკოლმეურნეო უფლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი აქტების კრებული, თბ. 1961, გვ. 17, 21, 22).

„საიჯარო ვადა“, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, არ შეიძლება ყოფილიყო სამ წელზე მეტი ხანგრძლივობის. ამასთანავე, მიწის „იჯარა“ შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ შრომითი, ანუ არავის არ შეეძლო აელო იმაზე მეტი მიწა, რასაც თვითონ ან თავისი ოჯახის წევრები ვერ დაამუშავებდნენ (საბჭოთა მიწათსარგებლობისა და საკოლმეურნეო უფლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი აქტების კრებული, თბ. 1961, გვ. 22).

„საიჯარო ხელშეკრულება“, რომელიც შეიძლება ყოფილიყო როგორც ზეპირი, ისე წერილობითი, აუცილებლად რეგისტრირებული უნდა ყოფილიყო სათემო-სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში (საბჭოთა მიწათსარგებლობისა და საკოლმეურნეო უფლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი აქტების კრებული, თბ. 1961, გვ. 22).

„იჯარით“ აღებული მიწის „ქვეიჯარით“ გაცემის უფლება „მოიჯარეს“ არ ჰქონდა. მას შეეძლო გამოეყენა დაქირავებული შრომა, თუ თვითონაც იმუშავებდა მასთან ერთად (საბჭოთა მიწათსარგებლობისა და საკოლმეურნეო უფლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი აქტების კრებული, თბ. 1961, გვ. 23). მიწათსარგებლობისათვის საზრაური შეიძ-

ლება ყოფილიყო, როგორც „შრომითი“, ისე „ნატურალური“ ან „ფულადი“ გადასახდის სახით, ანუ ადგილი ჰქონდა შერეულ „რენტას“.

1924 წლის 1 იანვრიდან გადასახადების ნატურით აკრეფვის შემოღებასთან ერთად, ჩატარდა ფულის რეფორმა, რომლის შემდეგაც დაწესდა მხოლოდ ფულადი გადასახადი.

„მინის იჯარის“ შემოღებამ საქართველოში შემდეგი სურათი მოგვცა:

1. დასავლეთ საქართველოში „მეიჯარეებად“ (მეიჯარეთა საერთო შემადგენლობიდან) მოგვევლინენ:

- უღარიბესი „გლეხობა“ 56,0%
- საშუალო „გლეხობა“ 33,6%
- „კულაკობა“ 10, 4%

2. აღმოსავლეთ საქართველოში:

- უღარიბესი „გლეხობა“ 84, 8%
- საშუალო „გლეხობა“ 13,9%
- „კულაკობა“ 1, 3%

სულ, საქართველოში მინას „იჯარით“ აძლევდნენ საერთო ინდივიდუალურ მეურნეთა 2, 98%.

„იჯარით“ მინის გაცემის მიზეზები იყო:

1. დასავლეთ საქართველოში:

- წარმოების ძირითად საშუალებათა უკმარისობა ან უქონლობა..... 12, 5%

- მუშახელის უკმარისობა..... 65,5%
- მუშახელის გაშვება..... 7, 6%
- მინის შორს ყოფნა..... 0,6%
- სხვა მიზეზები..... 13,8%

2. აღმოსავლეთ საქართველოში:

- წარმოების ძირითად საშუალებათა უკმარისობა ან უკონ-
ლობა..... 60, 1%
- მუშახელის უკმარისობა..... 22,8%
- მუშახელის გაშვება..... 4, 0%
- მიწის შორს ყოფნა..... 3,2%
- სხვა მიზეზები..... 10,2%

„მოიჯარებად“ მოგვევლინენ (საერთო მოიჯარეთა რიცხვიდან) :

1. დასავლეთ საქართველოში:

- უღარიბესი „გლეხობა“..... 52,4%
- საშუალო „გლეხობა“..... 41,0%
- „კულაკობა“..... 6,6%

2. აღმოსავლეთ საქართველოში:

- უღარიბესი „გლეხობა“..... 7,6%
- საშუალო „გლეხობა“..... 68, 7%
- „კულაკობა“..... 33, 7%

სულ მთლიანად საქართველოში საერთო ინდივიდუალურ მეურნეთაგან მიწას „იჯარით“ იღებდა 4, 46%.

მიწის „იჯარით“ ალების მიზეზები იყო:

1. დასავლეთ საქართველოში:

- მუშახელისა თუ წარმოების ძირითად საშუალებათა სიჭარბე..... 31, 7%
- საკუთარი მიწის უვარგისობა..... 68, 3%

2. აღმოსავლეთ საქართველოში:

- მუშახელისა თუ წარმოების ძირითად საშუალებათა სიჭარბე..... 40, 3%
- საკუთარი მიწის უვარგისობა..... 59, 7%

„იჯარით“ მინათსარგებლობის მისაგებელს წარმოადგენდა:

1. დასავლეთ საქართველოში:

- ფული..... 2, 0%
- მოსავლიდან წილი (“ იზდოლი“)..... 98, 0%

2. აღმოსავლეთ საქართველოში:

- ფული..... 4, 7%
- მოსავლიდან წილი (“ იზდოლი“)..... 92, 1%
- „შრომითი ბეგრა“..... 3, 2%

ხანგრძლივობის მიხედვით მიწის „იჯარით“ გაცემას ადგილი ჰქონდა:

1. დასავლეთ საქართველოში:

- 1 წლის ვადით..... 64, 8%
- 2 წლის ვადით..... 20, 2%
- 3 წლის ვადით..... 15, 0%

2. აღმოსავლეთ საქართველოში:

- 1 წლის ვადით..... 78, 5%
- 2 წლის ვადით..... 19, 7% (ბ. ხასია, სოციალის-

ტური მინათმოქმედების განვითარება საქართველოში ნ. 1 თბ. 1961, გვ. 135. ასევე А. Азизян и И. Великевич, Арендные отношения в советской деревне м. л. 1928. стр. 66, 90, 97, 107, 139).

საქართველოში „იჯარის“ დაშვებას, ისევე როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, მოჰყვა საწარმოო ძალთა განვითარება. 1925 წლისათვის „გლეხური“ მეურნეობის რიცხვი 1921 წელთან შედარებით საქართველოში გაიზარდა 320360-დან 413948-მდე, ანუ 87588 ერთეულით. კერძო პირთა მიერ დაქირავებული შრომის ხარჯზე დასაქმდა 60000-ზე მეტი ადამიანი (ნუცუბიძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა 1921-1925წწ. საქ.

მეცნ. აკად. ეკონ. ინსტ. შრონები, ტ 9, 1956. გვ 187-188), ამთგან „მოიჯარეთა“ მეურნეობებში 26, 86% მომუშავე იყო. უღარიბესმა გლეხობამ გადაიტანა ეკონომიკური გაჭირვება, ათვისებულ იქნა ახალი მიწები, გაიზარდა სათესი ფართობები და სხვა. სულ, 1929 წლისათვის 1917 წელთან შედარებით სათესი ფართობები გაიზარდა 498117 ჰექტარიდან 839667 ჰექტარამდე (ბ. ხასია, სოციალისტური მიწათმოქმედების განვითარება საქართველოში ნ. 1 თბ. 1961, გვ. 157).

1925-26 წწ. „იჯარის“ წყალობით, საქართველოს სოფლის მეურნეობამ 1913 წლის დონეს მიაღწია, რასაც უდაოდ ხელი შეუწყო საზოგადოებრივი მეურნეობებისადმი ხელისუფლების მხარდაჭერამ და მატერიალურმა დახმარებამ.

1923 წლისათვის საქართველოში სულ იყო 1 – არტელი, 7 – მიწის დამამუშავებელი ამხანაგობა, 1924 წლისათვის 2 – არტელი, 6 – კომუნა, 9 -ამხანაგობა, 1925 წლისათვის – 5 – კომუნა, 10 – არტელი, 14 -ამხანაგობა. 1927 წლისათვის – 7 – კომუნა, 19 – არტელი, 59 -ამხანაგობა. 1929 წლისათვის – 21 – კომუნა, 590 – არტელი, 288 -ამხანაგობა (საბჭოთა საქართველოს 10 წელი, სტატისტიკური კრებული, თბ, 1931. გვ. 205).

სახელმწიფო ყოველწლიურად უწევდა მათ ფინანსურ და მატერიალურ დახმარებას, რასაც თავისთავად მოყვა 30-იან წლებში სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორის მძლავრ ეკონომიკურ სისტემად გადაქცევა, რომელზედაც დაყრდნობით, დიპლომატიურ და ეკონომიკურ ბლოკადაში მყოფმა ქვეყანამ საბოლოოდ შეძლო გამარჯვება.

ქვეყანაში მიმდინარე ძვრებმა განაპირობა ის, რომ 1925 წლის სკბ(ბ) XIV პარტკონპერენციაზე ითქვა: „სოციალიზმის გამარჯვება ერთ ალებულ ქვეყანაში უსიტყვოდ შეიძლება“. კოლექტივიზაციის „წარმატებით“ დაიმედებულმა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ „დასძლია“ რა ეკონომიკური სიძნელები, სახალხო მეურნეობის ერთიანი მმართველობის

შემოდების მცდელობით დაიწყო „კულაკთა“, როგორც „არასაიმედო კლასის“ ჯერ იურიდიულად შეზღუდვა, შემდეგ კი ფიზიკურად მოსპობა. რაც, ცხადია, მიმართული იყო ასევე დამკვიდრებული „საიჯარო ურთიერთობის“ წინააღმდეგაც, მისი უფრო „კაბალურ“ ფორმებში გადაზრდის მიზნით.

ამ მიზნით კულაკებს აეკრძალათ მიწის „იჯარით“ გაცემა და თუ ასეთს ექნებოდა ადგილი, მაშინ (1928 წლის სსრ ცკ-ის №69 დადგენილების თანახმად) ჩამოერთმეოდათ მიწის ნაკვეთები. უკანონოდ ითვლებოდა მიწის „იჯარით“ გაცემა, თუკი იგი „კაბალურ ხასიათს“ ატარებდა „ხელმოკლე გლეხებისათვის“, ან მინა ეძლეოდა „კულაკს“ (საბჭოთა მიწათსარგებლობისა და საკოლმეურნეო ურთიერთობების მომწესრიგებელი აქტების კრებული, თბ, 1961, გვ. 55, 66, 67, 68).

სსრკ კომპარტიის XVII ყრილობაზე, რომელიც შედგა 1934 წელს, ლ. ბ. კამენევმა არსებული მიწის „იჯარით“ გაცემა და დაქირავებული შრომის გამოყენება შეაფასა, როგორც „კულაკური გადახრა“, ხოლო გ. ე. ზინოვიევმა დააყენა საკითხი „კულაკური გადახრისთვის“ დაეპირისპირებინათ „ბოლშევიკური მუშტი“ (кулак) (Сельская жизнь №57. 1989გ. 10 марта. Коллективизация пути и уроки).

ამის შემდეგ დაიწყო აშკარა დევნა და რეპრესიები „კულაკების“ მიმართ, რომლებიც, პრინციპში დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულებს წარმოადგენდნენ.

სულ მალე „ანტიკულაკურ“ კომპანიას მოჰყვა 1937 წლის 4 ივნისის საკავშირო ცკ-ის და სახკომსაბჭოს ერთობლივი დადგენილება მიწის „იჯარის“ აკრძალვისა და მის დანაშაულად გამოცხადების შესახებ (საბჭოთა მიწათსარგებლობისა და საკოლმეურნეო ურთიერთობების მომწესრიგებელი აქტების კრებული, თბ, 1961, გვ. 178, 179). საიდანაც კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ „იჯარა“ არა იმდენად იურიდიული კატეგორიაა, რამდენადაც ეკონომიკური, მაშასადამე პოლიტიკურიც, რამეთუ იგი წარმოებითი ურთიერთობების უფრო ღრმა

ფესვებს მოიცავს, ვიდრე ეს ჩვენ ერთი შეხედვით გვგონია.

ანალოგიური დადგენილება საქართველოში მიიღეს 1937 წლის 11 სექტემბერს, რომლის საფუძველზეც „იჯარის“ აკრძალვასთან ერთად სახელმწიფო გამგებლობაში არსებული სათესი ფართობები გადაეცა არტელებს უვადო სარგებლობაში ყოველგვცარი გამოსასყიდის გარეშე.

ამის შემდეგ, თუ კოლმეურნეები „იჯარით“ გასცემდნენ საკარმიდამო ნაკვეთებს, გარიცხავდნენ მათ კოლმეურნეობებიდან და ჩამოართმევდნენ მიწის ფართობებს (სკკპ ყრილობების, კომფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტების პლენუმების რეზოლუციები და გადაწყვეტილებები, ნან. II, თბ, 1955, გვ. 555).

სოციალისტური წყობილების განვითარების აღნიშნულ ეტაპზე, მიწისა თუ წარმოების სხვა ძირითად საშუალებათა „იჯარით“ გაცემა აიკრძალა იმ მოსაზრებით, რომ მაშინ კომპარტიის მიერ მუღებული II ხუთწლიანი გეგმა, რომელიც მოიცავდა 1933-37 წწ., ძირითადად ითვალისწინებდა კაპიტალისტური ელემენტების (ბურჟუაზიული კლასის, ადამიანთა ექსპლუატაციისა და სხვა მისტანანი) წარმომშობ ფაქტორთა საბოლოო ლიკვიდაციას, ბოლშევიკური იდეოლოგია კი ასეთ ფაქტორთაგანად მიიჩნედა „იჯარასაც“.

აღნიშნული განაპირობა იმ გარემოებამ, რომ 30-იან წლებში კოლექტივიზაციის „პროცესი“ დამთავრდა, გლეხობა გაერთიანებული აღმოჩნდა საზოგადოებრივ მეურნეობებში. „კულაკობა“, როგორც კლასი, ლიკვიდირებული იყო, წარმოების ძირითად საშუალებათა განვითარებამ ომამდელ დონეს მიაღწია. და ცხადია, ყოველივე ამის შემდეგ, „იჯარა“ როგორც მეურნეობრიობის მართვის ეკონომიკური მეთოდი – მიუღებელი „აღმოჩნდა“ სახელმწიფოსათვის, რომელიც მაშინ მიწასა თუ სხვა წარმოების ძირითად საშუალებათა ერთადერთ მესაკუთრეს წარმოადგენდა. ასეთი ნაბიჯების გადადგმა ხელისუფლების მხრიდან გამოწვეული იყო იმითაც, რომ

მოახლოებული მსოფლიო ომის საშიშროება ავალდებულებდა მას ცენტრალიზებულად ემართა ქვეყნის ეკონომიკა. ამდენად, როგორც ვხედავთ, „იჯარის“ კაბალური სოციალირტური ფორმის შემოღება „კანონზომიერად“ გვევლინება.

1937 წლის 11 სექტემბრის დადგენილების თანახმად „მინის იჯარის“ აკრძალვასთან ერთად დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, და საწარმოებსა და კერძო პირებს გადაეცათ მიწა (ვითომდა) უფასო სარგებლობაში და დაეკისრათ მათ ეხადათ გარკვეული გადასახადი „რენტის“ სახით (საბჭოთა მიწათსარგებლობისა და საკოლმეურნეო ურთიერთობების მომწესრიგებელი აქტების კრებული, თბ, 1961, გვ. 106, 107).

ამასთან დაკავშირებით ნ. ი. ბუხარინმა თქვა: «Партия в целом, как и товарищ Сталин, исходя из того, что Крестьянство, которое ещё переплачивает на ценах промтовары и не дополучает, на ценах сельхозпродукты, что это сверхналог, «дань» не может быть уничтожен теперь же» (Бурахин Н. И. Проблемы теории и практики социализма. Л. 1989 стр. 257-258).

ბუხარინის ეს სიტყვები ნათლად მოწმობს მას, რომ აღნიშნულ, „გადასახადს“ არ შეიძლება რაიმე გააჩნდეს საერთო, „მიწათსარგებლობის“ მხარეთა ურთიერთ თანასწორუფლებიანობასთან, ანუ რომ იგი კაბალური“ ხასიათის იყო, ისე როგორც მანამდე არსებული, „იჯარის“ სხვა მრავალი ფორმა.

ამ მხრივ ი. დოლიძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ გლეხური მიწათსარგებლობის ფორმები, როგორც არ უნდა იყოს იგი თავისი განვითარების ეტაპობრიობიდან გამომდინარე, იქნება ეს მონათმფლობელური, ფეოდალური, ბურჟუაზიული თუ სოციალისტური-ყველა ისინი, „კაბალური იჯარის“ ნაირსახეობას წარმოადგენენ, რამდენადაც შინაარსობრივად მათ მონაწილე მხარეთა შორის ურთიერთობა თანასწორობის პრინციპს არ ემყარებოდა და მომდინარეობდა იძულებიდან (ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ. 1953, გვ. 128, 129.).

„იჯარის სოციალისტური კაბალური“ ფორმა შემორჩა 80-იან წლებამდე და მთელი ამ ხნის განმავლობაში სოფლის მეურნეობა სულ უფრო და უფრო უკან და უკან წავიდა. შემცირდა სათესი ფართობები, გაუარესდა მათი ხარისხი“ „გლახთა“ კლასმა დაიწყო გადაგვარება, ეკონომიკური ზრდის ტემპები შემცირდა, იზრდებოდა სხვაობა წარმოების ეფექტიანობასა და პროდუქციის ხარისხს შორის. საწარმოო ურთიერთობები საჭიროებდა სერიოზულ ცვლილებებს. წარმოიშვა ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც მოიცვა ზედნაშენიცი და შეიქმნა სახელმწიფოს ნგრევის საშიშროება.

მოძველებული აღმოჩნდა იმ დროისათვის მოქმედი 30-იან წლებში შემუშავებული მეურნეობის მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდები, რომლებიც ითვალისწინებდა ეკონომიკური პოტენციალის ექსტენსიურ ზრდას, სამეურნეო თუ პოლიტიკურ საქმიანობის ცენტრალიზებულ მართვას, შრომის რეგლამენტირებას ზემოდან-ქვემოთ, ბიუჯეტურ ასიგნირებას და სხვა ამგვარს. ისე რომ, ვითარება მოითხოვდა სერიოზულ ცვლილებებს სოფლის მეურნეობაში, შეიქმნა საჭიროება ხელმძღვანელობის ყველა დონეზე ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებიდან ეკონომიკური მმართველობის, დეცენტრალიზაციისა და დემოკრატიის, ადამიანთა ფაქტორების საყოველთაო გააქტიურობაზე გადასვლა. სხვანაირად, საწარმოო ერთეულთა თუ მათ სტრუქტურულ დანაყოფთა დამოუკიდებლობის მკვეთრად გაზრდა, მათ სამეურნეო ანგარიშზე თუ თვითდაფინანსებაზე გადასვლა, ისე, როგორც ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვის ძირეული შეცვლისა და ქვემდებარე სამეურნეო რგოლების ოპერატიულ საქმიანობაში ზემოდან ჩართვის აღკვეთა-შეუძლებელი იყო. ყოველივე აღნიშნულის გადაჭრის ერთ-ერთ უნივერსალურ საშუალებად კი მიჩნეული აღმოჩნდა ტრადიციული გაგების, „იჯარა“ „რამდენადაც იგი ამავე დროს ხელს უწყობდა წარმოების ძირითად საშუალებათა კერძო მესაკუთრეთა ხელში გადასვლას, და

მასთან ერთად ახალი, ქონებრივად ძლიერ მენარმეთა ფენის გაჩენას, რასაც, საგულისხმოა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობის გარანტიის ფუნქცია დაეკისრებოდა.

უნდა ითქვას, რომ 80-იან წლებში ასეთი, „იჯარა“ მთელი თავისი სამართლებრივი შინაარსით ერთდროულად არ დაშვებულა ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ნეპის დროს. თუმცა მაშინ იგი მიწადმოქმედთა მიმართ დიფერენციულად იყო გააზრებული. ამჯერად კი, იჯარა დაუშვეს თანდათანობით, ნაწილ-ნაწილ, შრომის ორგანიზაციის ეფექტური ფორმების ექსპერიმენტული ძიებისა და სამუშაო ძალისათვის სულ უფრო და უფრო მეტი სანარმოო უფლებების გადაცემის კვალდაკვალ.

ამ საქმეში პირველ ეტაპად მოგვევლინა, „ნარდად“ მუშაობის შემოღება, მეორე ეტაპად – „სანარდო იჯარა“ ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ XIII საუკუნის ინგლისში, რა დროსაც, „მოიჯარეებს“, „მმართველები“ ერქვათ, რომლებიც არ იყვნენ პირადად თავისუფალნი, ხოლო მომდევნო საუკუნეში ისინი გადაიქცნენ, „ფერმერებად“ რომლებსაც ამარაგებდნენ მემამულეები ყველა საჭირო ტექნიკითა და სხვა საშუალებებით, რათა დამოუკიდებლად ეწარმოებინათ სოფლის მეურნეობის პროდუქტები. მათ დაქირავებული შრომის გამოყენების უფლებაც ჰქონდათ. მალე ისინი, „მეთაურთა“ ფენაში გადაიზარდნენ, სანახევროდ მოიპოვეს პირადი დამოუკიდებლობა და, „იჯარის“ ამ ფორმის დროს, რომელსაც კ. მარქსი, „ბაილიფს“ უწოდებს, მონეული მოსავალი მხარეებს შორის ნაწილდებოდა კონტრაქტის მიხედვით (К. Маркс, Капитал. т. 1, М. 1988, стр. 752, 753) ., „ფერმერული“ მეურნეობის დროს, „ფერმერი“ ეკონომიურად დამოუკიდებელი ყოფილა ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 90-იანი წლების საქართველოში მიწის საკუთრებაში გადაცემამდე.

მესამე ეტაპზე კი, „ტრადიციული გაგების იჯარა“ დაეშვა

მთელი თავისი მთლიანობითა და ნაირსახეობით.

ხსენებულ ეტაპობრიობას ნათლად მოწმობს, ამ საკითხში 1980 წლის აქეთ მიღებული ნორმატიული აქტების ქრონოლოგიაც. კერძოდ, რსფსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების მთავარი სამმართველოს 1982 წლის 12 დეკემბრის, „მეთოდური რეკომენდაციები სარძეო მეცხოველეობაში კოლექტიური იჯარის ორგანიზაციის შესახებ“ (საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის, „მეთოდური რეკომენდაციები სარძეო მეცხოველეობაში კოლექტიური იჯარის ორგანიზაციაზე“ თბ. 1982.) (მიღებული სახელმძღვანელოდ საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მიერ), სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოციალური დაზღვევისა და შრომის მთავარი სამმართველოს 1983 წლის, „რეკომენდაციები მემცენარეობაში“ სამეურნეო ანგარიშებიანი მექანიზებული რგოლების ორგანიზების შესახებ, რომლებიც იმუშავებდნენ შრომის სანარდო-პრემიალური სისტემის ანაზღაურებით (კოლექტიური ნარდობა). (Министерство С/х СССР, рекомендации по организации хозяйственных механизированных подразделений с аккордно-премиальной системы оплаты труда и повременном авансированием в растениеводстве (коллективный подряд) М. колос, 1983); საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის 1984 წლის, „სოფლის მეურნეობის სანარდობში კოლექტიური ნარდობის დანგრევის შესახებ დებულება“ (Госкомитет С/х СССР, «Типовое положение и рекомендации по внедрению коллективного подряда в С/х предприятиях» Т. 1984); სსრკ სოციალური დაზღვევისა და შრომის სახელმწიფო კომიტეტის 1984 წლის 30 მარტის №91/6-24 დადგენილება, „სოფლის მეურნეობის სანარდო ბრიგადის საბჭოს, ბრიგადირისა და ბრიგადირების საბჭოს შესახებ დებულება“ (Постановление Госкомитета СССР по труду и социальным вопросам и секретарят Всесоюзно-

го центрального Совета профсоюзов, 1984, 91/-24); 1988 წლის, „სასოფლო-სამეურნეო სანარმოებში იჯარული ურთიერთობის დროს დაგეგმვის, აღრიცხვისა და ანგარიშგებიანობის შესახებ დებულება(სოფლის ცხოვრება, №288, 1985, გვ. 2.) 1989 წლის, „იჯარისა და საიჯარო ურთიერთობათა შესახებ“ (კომუნისტი, №83, 1989.); 1989 წლის, „საკავშირო კანონი იჯარის კანონმდებლობის საფუძვლების შესახებ“ (კომუნისტი, №277, 1989.) და ამ კანონთა რესპუბლიკური ანალოგები.

80-იანი წლების პირველ ნახევარში, „იჯარა“ პრაქტიკულად დამკვიდრდა სანარდო-პრემიალურ სისტემაზე დაფუძნებული, „ინდივიდუალური“, „ოჯახური“ და, „კოლექტიური“ შრომის ანაზღაურების სამეურნეო-ანგარიშებიანი ფორმის სახით. ხოლო როგორც სამოქალაქო სამართლებრივი გარემოს კონკრეტული ფორმა, ანუ მეურნეობის ეკონომიკური მართვის მეთოდი-მოგვიანებით დაინერგა.

90-იან წლებში დაშვებული, „იჯარა“ არ წააგავს ნების დროინდელ, „იჯარას“, რამდენადაც ამჯერად დაშვებულ, „იჯარაში“ აშკარად რეალიზებას არ განიცდის რომელიმე კლასის ინტერესები. 90-იან წლებში დაშვებული, „იჯარის“ შესაბამისად მხარეთა შორის კონტრაქტი შეიძლება დადებულიყო 50 წლის და მეტი დროის ხანგრძლივობით. ამასთანავე „მოიჯარეს“ შეუძლია გამოიყენოს დაქირავებული შრომაც. ასევე, გასცეს აღებული მიწა, „ქვეიჯარით“ სხვა პირებზე და სხვა.

ცხადია, მიწაზე თუ წარმოების სხვა ძირითად საშუალებებზე სახელმწიფო მონოპოლიური საკუთრების პირობებში, „თავისუფალი, თანასწორუფლებიანი იჯარის“ დაშვება განპირობებული იყო თვით სსრკ შენარჩუნების მცდელობის მიზნით. რასთან დაკავშირებითაც პროფესორი ვ. ს. ნერსესიანცი სამართლიანად აღნიშნავს: «Появление же новых форм хозяйствования в недрах которых сознательно или стихийно, явно или латентно идёт процесс приватизации общенародной собственности – это конечно, не решение проблемы, а лишь сигнал о том, что

время для её решения уже настало. Это симптом далеко зашедшего процесса кризиса государственной формы собственности, убедительное практическое подтверждение того, что государство не справляется с ролью хозяина общенародного достояния, что государственная форма выражения и функционирования общенародной собственности, исчерпав своё назначение и потенции, исторически изжила себя и превратилась в затратный механизм в производство для производства» (Советское государство и право. №10, 1989, стр. 42).

აღნიშნული მოსაზრება ერთნაირად მისაღებია წარმოების ძირითად საშუალებათა ყველა მესაკუთრეთათვის, რომლებიც უნარმოკლებულნი ხდებიან საკუთარი ძალებით მოიყვანონ ისინი მოქმედებაში. რამდენადაც ასეთი საშუალებები სოციალურად უსამართლო წარმომავლობის არიან და მათი მონოპოლურ მფლობელობის რანგში აყვანა პარალელურად ზრდის მართვასა თუ მოქმედებაში მოყვანის პრობლემას. ამიტომაც ასეთი პრობლემის გადაწყვეტა შესაძლოა მხოლოდ საკუთრების მართვის დეცენტრალიზაციისა და მათი შემდგომი განაწილების გზით, რის ერთადერთ საშუალებასაც წარმოადგენს „იჯარა“.

თსზო II „იჯარის“ ეკონომიკური არსი

მესაკუთრის განმგებლობაში არსებული ძირითადი და საბრუნავი ფონდები, მათ შორის მიწა, ასევე სხვა მატერიალური ფასეულობა და ფინანსური რესურსები ჰქმნის მის მეურნეობას. მისი წარმართვა ანუ დანიშნულებისამებრ მოქმედებაში მოყვანა მესაკუთრეს უხდება მფლობელობის, სარგებლობის და განკარგვის უფლებების გამოყენებით.

დანიშნულებით მეურნეობა შეიძლება იყოს სამომსახურეო და სამენარმეო ხასიათის.

სამენარმეო დანიშნულების მეურნეობა ეკონომიკურად სრულყოფილად ითვლება, თუ მასთან სამუშაო ძალის შეერთებით ახალი პროდუქცია იქმნება.

მეურნეობის მართვის იერარქიას მისი მესაკუთრის ხელქვეითობის წესით უფლებამოსილებათა დელეგირების მქონე რგოლები განსაზღვრავენ. ასეთ სიტუაციაში მეურნეობის პირველად საწარმოო ერთეულში მიღებული მოგება (შემოსავალი) გადანაწილებას განიცდის ქვემოდან ზემოთ მესაკუთრემდე.

საწარმოო დანიშნულების მეურნეობის მოქმედებაში მოყვანა საწარმოო ურთიერთობის დამყარების შედეგად ხდება და იგი მოიცავს ისეთ ფაზებს, როგორიცაა წარმოება, განაწილება, გაცვლა და მოხმარება. თითოეული მათგანი ნებითი ეკონომიკური აქტია და მათ თან სდევს სამოქალაქო-სამართლებრივი უფლებების შეცვლა, წარმოშობა ან შეწყვეტა.

არ აქვს მნიშვნელობა მეურნეობა შედგება სამრეწველო კომპლექსისა თუ ერთი რომელიმე რიგითი კონკრეტული მიწის ნაკვეთისაგან, მათი სრულყოფილად ამოქმედებისათვის ერთნაირად დამახასიათებელია აღნიშნული ფაზები.

წარმოება-გულისხმობს სამ ელემენტს:

- «1) Труд как целесообразную деятельность человека;
- 2) Предмет руда, т. е. всё то, на что направлена целесообраз-

ციკლის ყველა ელემენტს.

სამომსახურო დანიშნულების მეურნეობათა სანარმოო ციკლი წარმოების ფაზას არ შეიცავს.

ყოველივე ზემოხსენებულ წარმოებითი ურთიერთობის ფაზებს მოიცავს ასევე საიჯარო ურთიერთობაც. რამდენადაც ეკონომიკურად სრულყოფილ წარმოების ძირითად საშუალებათა დანიშნულებისამებრ მოქმედებაში მოყვანას თან სდევს ახალი პროდუქციის შექმნა (წარმოება), მისი მხარეთა და სხვათა შორის სახდელების სახით გადანაწილება, გაცვლა და მოხმარება. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა, „მეიჯარის“ მიერ, „რენტის“ მიღება.

ამასთან ერთად, „წარმოების“ პროცესში თავს იჩენს ისეთი ურთიერთობები, როგორცაა:

– „მოიჯარესა“ და დაქირავებულ მუშა ხელს შორის შრომის პირობების, სამუშაო რეჟიმის, შრომის დაცვისა და ანაზღაურების შესახებ;

– „მოიჯარესა“ და წარმოების დაქირავებული მართვის აპარატის ხემძღვანელებს შორის აღრიცხვიანობის, ტექნოლოგიური ნორმების დაცვის, სანარმოო პროცესების მართვის, ძირითად საშუალებათა ექსპლუატაციისა და მოვლა-პატრონობის შესახებ;

– მართვის აპარატსა და დაქირავებულ მუშახელს შორის წარმოების პროცესების შესახებ;

– მართვის აპარატსა და მომწოდებლებს შორის წარმოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო საშუალებებით უზრუნველყოფის შესახებ და სხვა.

„განაწილების“ პროცესში –

– „მეიჯარესა“ და, „მოიჯარეს“ შორის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შესახებ;

– „მოიჯარესა“ და დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეებს შორის ხელფასისა და სხვა გასამრჯელოს ანაზღაურების შესახებ;

– „მოიჯარესა“ და სახელმწიფო ბიუჯეტს შორის სხვადასხვა სახედლების შესახებ;

– „მოიჯარესა“ და მომწოდებლებს შორის განეული მომსახურეობის შესახებ;

– „მოიჯარესა“ და სხვა მომსახურე დანესებულებებს შორის განეული მომსახურეობის შესახებ და სხვა.

„გაცვლის“ პროცესში –

– „მოიჯარესა“ და სხვა პირებს შორის წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის შესახებ;

„მოხმარების“ პროცესში –

– „კვლავწარმოების ორგანიზებასთან დაკავშირებული ურთიერთობები“;

– საიჯარო ურთიერთობის მხარეთა და სხვა პირთა მიერ მიღებული შემოსავლებისადმი დამოკიდებულება და სხვა.

ყოველივე ზემოხსენებული ურთიერთობები სამოქალაქო და სხვა სახის სამართლის ნორმებით რეგულირებადია და უპირველეს ყოვლისა მომდინარეობს, „მეიჯარის“ საკუთრების უფლებათა ტრანსმისიით. რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ დაუშვებელია ვცნოთ, „მეიჯარის“ უფლებები მხოლოდ ქონებრივ ასპექტში. მას სამართლებრივად განსაზღვრული უნდა ჰქონდეს თავისი ნების გამოხატვის შესაძლებლობა საიჯარო ხელშეკრულებაში ნებისმიერ ზემოხსენებულ ურთიერთობასთან მიმართებაში. ამის შანსს იძლევა თავად საიჯარო გარიგების მხარეთა მიერ, „იჯარით“ გადაცემული ქონების თანამფლობელობისა და თანასარგებლობის იდეა, რომელიც კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის.

ამ მხრივ, „მეიჯარის“ უფლებების გაზრდა ავტომატურად არ ზღუდავს, „მოიჯარის“ უფლებებს, რამდენადაც, „საიჯარო ხელშეკრულების“ დროს საქმე ეხება, „მეიჯარის“ სამეწარმეო უფლებების დათმობის დოზირებას.

ქონების, „იჯარით“ გადაცემას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც წარმოების ძირითად საშუალებათა მესაკუთრეს უწინდება

სხვა უფრო მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო, რასაც სურს დაუთმოს განსაკუთრებული ყურადღება და სამეწარმეო ინტერესი ეკარგება აღნიშნული საშუალებებისადმი, ან არ, ან აღარ შესწევს უნარი საკუთარი ძალებით მოიყვანოს ისინი მოქმედებაში და მათი მოსალოდნელი დაკარგვის შიშით იძულებული იქმნება დროებით გადასცეს (დაუთმოს) ეს ქონება აღნიშნულ საშვალეებს მოკლებულ ან მქონე პირებს გარკვეული ვალდებულებების პირობით, რითაც აქცევს მათ თავის სამუშაო ძალად და მათგან ექსპლუატაციის გზით ახერხებს, „კონტრიბუციის“ მიღებას, „რენტის“ სახით.

ქონების, „იჯარით“ გადაცემის დროს წარმოების ხარჯები და რისკი მთლიანად გადადის, „მოიჯარეზე“ და იღებს შემოსავლის უდიდეს ნაწილს“ „მეიჯარე“ კი-უმვირეს ნაწილს., „იჯარით“ გადაცემული ქონებით მეიჯარის მიერ მისით კვლავ სარგებლობის იდეა ჩვეულებრივ ძალაში რჩება და მას ამ ქონებით გარიგების მხარეთა თანასარგებლობისა და თანამფლობელობამდე მივყვართ. ისე რომ“ „იჯარა“ იურიდიულად მოდელირებული ეკონომიკურ ურთიერთობათა კომპლექსური სისტემა!

თსსო III

„იჯარის“ სამართლებრივი პრობლემები

სამართლებრივი პრობლემები დაკავშირებულია წარმოებით ურთიერთობასთან, წარმოებითი ურთიერთობა-საკუთრებასთან. იცვლებასაკუთრების უფლება, იცვლება წარმოებითი ურთიერთობაც, ჩნდება სამართლებრივი პრობლემებიც.

წარმოებითი ურთიერთობა ყოველთვის განვითარების პროცესშია, მასთან ერთად ვითარდება საკუთრების უფლებაც. აქედან გამომდინარე, მათთან დაკავშირებული, „კატეგორიები“, „იდეა“ თუ, „პრინციპები“ დრო და დრო ახლებურად გააზრებასა და კორექტირებას საჭიროებს.

წარმოებითი ურთიერთობის, „იდეა“ მის მიზანთანაა დაკავშირებული და სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის ქვაკუთხედს წარმოადგენს. იგი აშკარა იურიდიული ინტერპრეტაციას არ განიცდის სამართლებრივ ნორმებში და ქვეცნობიერად საგულისხმოა., „იდეა“ მესაკუთრის ეკონომიკური პოლიტიკის მატარებელია. მისი, „დანახვა“ შესაძლებელია მხოლოდ მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მოდელის ანალიზით. იგი მისაღებია მაშინ, თუ იგი საერთო სამართლებრივ ურთიერთობათა კონტექსტში ჯდება.

მაგალითად, „მეიჯარის“, „იდეა“ მილოს უშრომელი შემოსავალი – „რენტა“ (А. Э. Сагайдак «Как рассчитывать арендную плату за землю» М. 1990, стр. 10) ეს, ერთი შეხედვით. მეორე მხრივ გვევლინება როგორც წარმოების ძირითად საშუალებათა, „მოხმარებითი ღირებულების ნაწილ-ნაწილ და ყოველთვის გარკვეული დროით გაყიდვა (К. Маркс, Ф. Энгельс соч. изд. т. 18 стр. 266). პირველს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სახეზე გვაქვს მიწის (კაბალური), „იჯარის“ ფორმები. ხოლო მეორეს – დამოუკიდებელ სანარმოო ერთეულთა – ფაბრიკების, ქარხნების და ა. შ. გაქირავების დროს. ისე რომ“ „იდეა“ მესაკუთრის სოციალური შესაძლებლობიდან მომდინარეობს

და მისი, „შეხოჭვა“ შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ.

„პრინციპები“ – ურთიერთობაში მონაწილე პირთა საურთიერთობო საწყისია და გულისხმობს მატერიალურ და იურიდიული ბაზის არსებობას. იგი, როგორც წესი, დაფიქსირებულია კერძო საჯარო სამართლის ზოგად ნორმებში – მხარეთა თანასწორუფლებიანობისა და დისპოზიტიურობის სახით. კაბალური იჯარის დროს ეს პრინციპები ირღვევა, რამდენადაც ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი „მოიჯარე“, „მეიჯარის“ ადმინისტრაციული გავლენის ქვეშ ექცევა, რა დროსაც, „მოიჯარე“ იძულებულია მიიღოს არა მხოლოდ, „მეიჯარის“ მიერ შემოთავაზებული საიჯარო გარიგებისა თუ ურთიერთობის პირობები, არამედ უხადოს მას როგორც, „ქირა“ ისე ქონების გადასახადი. ასეთ ურთიერთობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც, „მეიჯარედ“ სახელმწიფო ან მისი სტრუქტურები გამოდიან. იგი თავისი ბუნებით წააგავს უკვე არქივში ჩაბარებულ სამეურნეო სამართლებრივ ურთიერთობებს და საჭიროებს დიფერენციულ მიდგომას კანონმდებლის მხრიდან.

საიჯარო ურთიერთობაში საწყისად მისაღებია ის გარემოებაც, რომ, „მოიჯარეს“ უნდა გააჩნდეს უნარი საკუთარი ძალებით მოიყვანოს მოქმედებაში იჯარით აღებული ქონება და ამ მხრივ მისი შესაძლებლობა არ უნდა იყოს გათვლილი მხოლოდ იურიდიულ პასუხისმგებლობაზე.

საიჯარო სამართლებრივ ურთიერთობებში, „კატეგორიებად“ გვევლინება საიჯარო გარიგების, „ობიექტი“, „სუბიექტი“, „გარიგების შინაარსი“, „გარიგების საგანი“, „გარიგების ვადები“ და, „გარიგების შესაგებელი“ („ქირა“) ანუ ყველა ის ატრიბუტი, რასაც მათემატიკური განზომილება შეიძლება გააჩნდეს.

საქ. სამოქ. კოდექსის 7-ე მუხლის თანახმად, კერძო სამართლებრივი ურთიერთობის – ობიექტად–მიჩნეულია, „ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური სიკეთე“. იგი ერთგვარ წინააღმდეგობაშია 50-ე მუხლით გათვალისწინე-

ბულ გარიგების არსთან, რამდენადაც ამ მუხლით, „გარიგება ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენაა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ“ და მიგვანიშნებს იმაზე, რომ საქმე გვაქვს, „უფლებასთან“ პირველ შემთხვევაში კი მატერიალურ, „საგანთან“., „უფლება“ კი იგულისხმება, „საგანთან“ მიმართებაში. მაგრამ მათ შორის არსებითი სხვაობაა.

581-ე მუხლის თანახმად „იჯარის ობიექტად“ მოხსენებულია, „განსაზღვრული ქონება“ და არა უფლება ამ ქონებაზე, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ კანონმდებელი ერთმანეთთან აიგივებს, „საკუთრების უფლებასა“ და, „საკუთრებას“. რამდენადაც საიჯარო გარიგების დროს ადგილი აქვს არა მარტო, „ქონების“ (თანა) სარგებლობასა და (თანა) მფლობელობაში დროებით მისაგებლიან გადაცემას, არამედ, „ამ ქონების“ საკუთრების უფლების შემდგომი რეალიზაციის შედეგად წარმოშობილ წარმოებით და მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეთა უფლებასაც, ამდენად, „საგნობრივი ობიექტი“ ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს. ფაქტობრივად, „იჯარის“ დროს ადგილი აქვს, „მეიჯარის“ მიერ გარკვეული უფლებების დათმობას და მას საკუთრების უფლებიდან გამომდინარე იურიდიულად უნდა შესწევდეს უნარი ხელშეკრულებით განსაზღვროს თავისი ადგილი და როლი, ანუ ფუნქცია, „იჯარის“ საფუძველზე წარმოშობილ წარმოებითი ურთიერთობის ნებისმიერ ეტაპზე. ამის შესაძლებლობას იძლევა მეურნეობის (საკუთრების), „იჯარული“ ფორმით ეკონომიკური მართვის იდეაც., „იდეას“ კი უნდა ემსახუროდეს ურთიერთობის სამართლებრივი მოდელი.

„იჯარაში“ დასაანახია წარმოების ძირითად საშუალებათა ეკონომიკური დანიშნულების რეალიზება მათ მოქმედებაში მომყვან სამუშაო ძალის ექსპლუატაციის ხარჯზე, რომლის ღირებულებასთანაც დაკავშირებულია მხარეებს შორის გადასანაწილებელი მოგება თუ შემოსავალი. ამდენად, იჯარის

ობიექტად მისაღებია ის უფლება, რომელიც ამის შესაძლებლობას აძლევს ერთი მხრივ მოიჯარეს, ხოლო მეორე მხრივ აკლდება, „მეიჯარეს“. რაც შეეხება უშუალოდ წარმოების ძირითად საშუალებებს – მისაღებია როგორც მისი (ამ უფლების) შინაარსობრივი შემავსებელი – ნივთობრივი დანამატი. იგი სუბიექტური ანუ პროცესუალური უფლებისაგან ცალკე მდგომი ობიექტური ანუ მატერიალური უფლებაა. ამასთანავე, თუ ვიმსჯელებთ საიჯარო ქონების ექსპლუატაციის შედეგად მიღებულ შემოსავლის – რენტის წარმოშობა – გადანაწილების ანალიზით, მივალთ იმ დასკვნამდე, ვთქვათ რომ, „ეს უფლება-ობიექტი“ სხვა არაფერია, თუ არა მეიჯარე-მესაკუთრის მიერ მოიჯარისათვის დათმობილი, „მფლობელობასა და სარგებლობის“ უფლებების გარკვეულ ნაწილთა მთლიანობა, ვითომდა მეურნეობის დამოუკიდებლად მოწყობა-გაძლოლისათვის, რაც არასწორია. რამეთუ თვით საკუთრების უფლებაშია გათვალისწინებული მეიჯარის საკუთრების უფლების აბსოლიტურობა და მისდამი მოიჯარის ეკონომიკური დამოკიდებულება. ამიტომაცაა საკუთრების უფლება ცნობილი, „წარმოების წინა პირობად და მითვისების ფორმად“.

საიჯარო ურთიერთობაში გარიგების, „საგანი“ შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ წარმოების ძირითადი საშუალებები, რამდენადაც გარიგების მისაგებელი – „ქირა“ განისაზღვრება ყოველი სამეურნეო ციკლის შემდეგ და როგორც წესი, წლის ბოლოს, სამეურნეო შედეგების მიხედვით. თუმცა, კანონმდებელი აღნიშნული მუხლით, „ქირის“ განსაზღვრის სხვადასხვა საშუალებებსაც იძლევა. პრაქტიკამ კი ამ მხივ არაერთი – შრომითი ნატურალური ფულადი თუ შერეული – ფორმები დაადგინა.

არასანარმოო დანიშნულების ობიექტის საიჯარო გარიგების, „საგანად“ მიჩნევა არასწორია, რამდენადაც ასეთი ობიექტების, „ქირა“ განისაზღვრება თვითურად და მათი მოქმედებაში მოყვანით პროდუქცია არ წარმოიშობა.

გარიგების, „სუბიექტი“ შეიძლება იყოს, „ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი“, ისე როგორც ამას საქ. სამოქ. კოდექსის 8-ე მუხლი ითვალისწინებს. ერთი რამ ცხადია „მეიჯარე“ უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ წარმოების ძირითად საშუალებათა მესაკუთრე, ხოლო თუ იგი სხვის კუთვნილ ქონებას, „აქირავებს“, მაშინ სახეზე გვაქვს, „ქვეიჯარა“.

„კაბალური იჯარის“ დროს, „მეიჯარედ“ გვევლინება სახელმწიფო, მაგრამ კანონით იგი ამ რანგში არ მოიხსენიება შიდაეკონომიკურ პოლიტიკიდან გამომდინარე. როდესაც საქმე გვაქვს გლეხური მიწათსარგებლობის ფორმებთან, ცხადია, ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო წარმოადგენს, „მეიჯარეს“.

„გარიგების შინაარსი“ გულისხმობს მხარეთა მიერ ნაკისრ ვალდებულებებს. კერძოდ „მეიჯარე“ – თუ რა სახეობის ქონებას უთმობს, „მოიჯარეს“, რა ვადით რა სახით, რა უფლებით, რა ვალდებულებას იღებს ამ ქონების მიმართ გარიგების ხანგრძლივობის პერიოდში., „მოიჯარე“ – როგორც გამოიყენებს აღნიშნულ ქონებას, როგორ გაუწევს მოვლა-პატრონობას, რა პერიოდულობით, რა სახით და რა რაოდენობით გადაუხდის შესაგებელს – „ქირას“. და რა მდგომარეობაში და როდის დაუბრუნებს, „მეიჯარეს“ აღებულ ქონებას.

აქ ყურადსაღებია ის გარემოება, რომ, „საიჯარო ქონება“ არ უნდა იყოს ამორტიზირებული და გააჩნდეს მოხმარებითი ღირებულება. ამ მხრივ კანონი არანაირ ახსნას არ იძლევა, მაგრამ აღნიშნული საგულისხმოა. დაუშვებელია ამორტიზაციის ვადაზე მეტი დროით საიჯარო ხელშეკრულების დადება.

„საჯარო ქონების“ მდგომარეობა, „მოიჯარისათვის“ გადაცემისა და მისი უკან დაბრუნების შემთხვევაში დადასტურებული უნდა იყოს მიღება-ჩაბარების აქტებით.

„იჯარით“ აღებული ქონების დანიშნულებისამებრ მოქმედებაში მოყვანის შედეგად წარმოშობილ – წარმოებით თუ

სამართლებრივ ურთიერთობებში „მეიჯარეს“ შეუძლია „მოიჯარის“ თანხმობით იკისროს რაიმე ფუნქციის შესრულება, ან შეზღუდოს „მოიჯარე“ მათ განხორციელებაში.

ტრადიციული გაგებით, „იჯარის“ დროს ქონება გადაეცემა „მოიჯარეს“ დროებით სარგებლობაში, მაგრამ ფაქტობრივად სახეზე გვაქვს ამ ქონების თანამფლობელობა და თანა-სარგებლობა, რამდენადაც ამის უფლებას გვაძლევს (უმეტეს შემთხვევაში) წარმოების შედეგების მიხედვით „ქირის“ სახით „რენტის“ გადახდა.

ხელშეკრულების განმავლობაში „საიჯარო ქონების“ კაპიტალური შეკეთება „მეიჯარის“ მოვალეობაა, ხოლო მიმდინარე რემონტის – „მოიჯარის“. თუმცა ამ მხრივ შეიძლება მხარეთა შორის სხვაგვარ გარიგებასაც ჰქონდეს ადგილი.

„საიჯარო ქონება“, „მოიჯარემ“ უნდა გამოიყენოს მისი ეკონომიკური დანიშნულების შესაბამისად და დაიცვას საამისოდ გათვლილი ექსპლუატაციის პირობები. შემთხვევითი დაღუპვის რისკი კი ყოველთვის „მეიჯარეზეა“.

რაც შეეხება „ქირას“, თუ როგორ მოხდეს მისი განსაზღვრა, ამ მხრივ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არანაირ არგუმენტაციას არ იძლევა. ვფიქრობ, იგი უნდა დადგინდეს „საიჯარო ქონების“ წლიური ექსპლუატაციის შედეგად მიღებული სუფთა შემოსავლის საბანკო პროცენტის ფარგლებში.

გარიგების ფორმა საგულისხმოა, უნდა იყოს წერილობითი და დამონმებული ნოტარიუსით. რამდენადაც ამას ითხოვს მისი შინაარსის სირთულე და სერიოზულობა, რაც თავის მხრივ აღიარებულია კანონით.

(ხელშეკრულების ნიმუშის გაგრძელება)

1. ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში მოვალე უხდის კრედიტორს შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების..... %-ს ჯარიმის სახით. გარდა ამისა, კრედიტორს ენიჭება უფლება გააუქმოს ხელშეკრულება ან გაატაროს

კანონიერი ზომები მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად.

2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, მხარეების მიერ განუცხადებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ხელშეკრულება ითვლება დადებულად იგივე ვადით და პირობებით, როგორც მანამდე.

3. „იჯარით“ გაცემული ქონების უკან დაბრუნება უნდა მოხდეს ნორმალური ცვეთის ფარგლებში, წინააღმდეგ შემთხვევაში „მოიჯარე“ ვალდებულია აუნაზღაუროს „მეიჯარეს“ მიყენებული ზიანი.

4. საიჯარო ქონების მიღება-ჩაბარება როგორც გარიგების დასაწყისში, ისე მის დასასრულს უნდა მოხდეს მიღება-ჩაბარების აქტებით.

5. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტა მოხდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და სხვა მოქმედი კანონების შესაბამისად.

მეიჯარე: მოიჯარე: დასკვნა

„იჯარა“ ეკონომიკურად სრულყოფილი წარმოების ძირითად საშუალებათა გარკვეული ვალდებულებების პირობით სხვა პირზე გადაცემაა, რა დროსაც ფაქტობრივად ადგილი აქვს გარიგების მონაწილე მხარეთა მიერ აღნიშნულ საშუალებათა თანამფლობელობასა და თანამშრომლობას, რასაც განაპირობებს მესაკუთრე-მეიჯარის მიერ ქირის სახით მიღებული „რენტა“. იგი ამავე დროს გვევლინება, როგორც სამართლებრივად მოდელირებული სამეწარმეო მეურნეობის, უძრავი ქონების ეკონომიკური მართვის მეთოდი.

წარმოების ძირითად საშუალებებზე სახელმწიფოებრივი და სხვა მონოპოლისტური საკუთრების პირობებში „იჯარას“ ყოველთვის გააჩნია კაბალური ხასიათი და მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი დარღვეულია.

„იჯარა“ წარმოიშვა მინაზე კერძო საკუთრების უფლების გაჩენისთანავე და იარსებებს მუდამ მის გვერდით.

იგი თავისი ფორმით შეიძლება იყოს შრომითი, ნატურალური, ფულადი და შერეული, ხოლო ხანგრძლივობის მიხედვით, როგორც დროებით, ისე მემკვიდრეობითი ხასიათისაა. ყოველი მათგანი კი დამოკიდებულია წარმოებითი ერთიერთობების განვითარებასა და სახელმწიფოებრივ წყობილებაზე.

საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების ისტორიაში „იჯარით ურთიერთობის სტრუქტურა“, ლეგალური თუ ფარული, იქმნებოდა და იცვლებოდა იმისდა მიხედვით, თუ როგორ იყო მოწყობილი მიწათსარგებლობა.

საკუთრების საფეხურეობრივი მმართველობის პირობებში საკუთრების უფლების შემადგენელი ქვეუფლებები – სარგებლობა და მფლობელობა ეძლეოდა ქვემდგომ ინსტანციებს, რომლებიც თითქოსდა სამოქალაქო ბრუნვაში გამოდიოდნენ თავიანთი სახელებით, მაგრამ ისინი ფაქტობრივად წარმოადგენდნენ“ ერთიანი საიჯარო ურთიერთობების“ მარეგულირებელი მექანიზმის ცალკეულ რგოლებს, რომელთა მეშვეობითაც საიჯარო ობიექტის მესაკუთრე რეალიზებას უწევდა თავისი საკუთრების უფლების ეკონომიკურ შინაარსს.

„იჯარა“ წარმოებითი ურთიერთობის კონკრეტული ფორმაა. იგი თავისი შინაარსით არსებითად განსხვავდება ქირავნობისაგან და ამდენად მათი გარიგების ერთ სახედ მიჩნევა ყოვლად დაუშვებელია. ქირავნობას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე გვაქვს არა საწარმოო დანიშნულების, არამედ დამხმარე ხასიათის უძრავ-მოდრავი ქონების დროებით გადაცემა, რა დროსაც წარმოებით ურთიერთობებს არ აქვს ადგილი. ხოლო ქირა განისაზღვრება ყოველთვიურად და იგი არ შეიცავს „რენტას“.

ალექსანდრე ქოჩიაშვილი 1992 წ

ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ი ს ახალი პერსია

ნებისმიერ მოვლენას, იქნება ეს ბუნებრივი თუ სოციალური, ადამიანი აღიქვამს როგორც რიგით, რეალურად მომხდარ ცხოვრებისეულ ფაქტს. მაშინ, როდესაც ჭეშმარიტება სამყაროს წარმოშობა-განვითარების ძირითადი პრინციპია, კანონზომიერებაა და გამოხატავს საერთოდ ყოფიერების მიზეზ-შედეგობრივ არსს. იგი მუდმივი, უცვლელი და აბსოლუტურია, რასთან დაკავშირებითაც მისი გაიგივება ცალკეულ ცხოვრებისეულ ფაქტებთან ყოვლად დაუშვებელია. ხოლო, რაც შეეხება თვით ბუნებრივ, მატერიალურ თუ სოციალურ მოვლენებს, – მისაღებია, როგორც აღნიშნულ პრინციპთა რეალიზების პრაქტიკული შედეგები.

ჭეშმარიტებას ადამიანი ეუფლება თანდათანობით, ცხოვრებასეული პრობლემების დაძლევის შედეგად მიღებული გამოცდილებით და ამას იგი სჩადის თვით მამა ღმერთის მიერ დაშვებული მადლით, ხალხისადმი დაახლოების, გახსნილობის მიხედვით. ამ მეთოდით, რაც კაცობრიობის შემადგენელ მუდმივ სოციალურ სუბსტანციათა – ინდივიდის, ოჯახის, ერის თუ რასის ამა თუ იმ საკითხთა ღვთისნიერებით გადწყვეტას ნიშნავს, ღმერთი ამჟღავნებს თავის სიყვარულს, რაშიც ტრანსფორმირებულია მისი ძლევამოსილება ყველასა და ყველაფრისადმი. ამასთანავე, იგი იზიდავს მათ თავისკენ და თანდათანობით გადადის მათში. ცალკეული ადამიანები თუ მათი ჯგუფები ამ გზით ეუფლებიან სიბრძნეს სიბერემდე, ითვისებენ მის არსს ანუ ჭეშმარიტებას. გარდაცვალების შემდეგ კი ყოველივე ეს გადადის თაობათა საგანძურში კულტურისა და ცივილიზაციის სახით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კაცობრიობაში ადრე თუ გვიან მიღებული დოგმები, კონცეპციები თუ მოძღვრებები ყველა თავის დროზე მართებულად მიღებულია, მაგრამ არა

ყოველ ისტორიულ ეტაპზეა ისინი გამოსადეგარნი. რამეთუ ასეთებად მისაღებია მხოლოდ სამყაროს წარმოშობისა და განვითარების ძირითადი პრინციპები, რომლებიც, როგორც წესი მიჯნავენ წარსულს მომავლისაგან და თავად წარმოადგენენ აწმყოს.

სამყაროში ყველაფერი იცვლება და მას საერთო კოსმიური რითმი განაპირობებს. საზოგადოებრივი ცხოვრება, როგორც ამ კოსმიური რაობის ერთერთი შემადგენელი ნაწილი, მართებულად და ობიექტურად მონყობილი რომ იყოს, საჭიროა მას საურთიერთობო საწყისად თვით ბუნების წარმოშობისა და განვითარების ძირითადი პრინციპები დავუდოთ, რომლებიც უცვლელი და სტანდარტულია. საჭიროა ამისათვის ვერკვეოდეთ არა მარტო თვით სამყაროს წარმოშობა-განვითარების საქმეში, არამედ მის შემადგენელ სუბსტანციათა (...) სტიქიების, ვარსკვლავთა სისტემების და მათზე ბინადარ ბიოსოციალურ ინსტანციათა ურთიერთ დამოკიდებულებამაც, რათა არ ვიყვნეთ დამოკიდებულნი ცალკეულ ადამიანთა თუ მათ ჯგუფთა ნება-სურვილზე. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ამ უკაცრიელ უსასრულობაში საკუთარი თავის შეცნობის და სწორი ცხოვრების მონყობის მცდელობა.

ვიდრე სამყარო შეიქმნებოდა, იყო ქაოსში მყოფი, უარყოფითი ენერჯის შემცველი მიკრონაწილაკებით აღსავსე, ყველაფრის „მიზეზი“ და „მიზანი“, ბნელი და უსასრულო სივრცე, რომელიც არასოდეს წარმოშობილა, იყო, არის და იქნება მუდამ. მისი ფუნქციაა ყველაფერი წარმოშოს და დაასაბამოს, მათ შორის დროც და მოძრაობაც.

როგორც ყველაფერს ორმაგი სახე გააჩნია, – სულიერი და მატერიალური, დადებითი და უარყოფითი, უშუალო და ფარდობითი, სივრცეცა და თავისი ანტისახე უძრაობაში მყოფ თავის ცენტრში ტრანსფორმირებით პერსონოფიცირებაში ჰპოვა. ამ მოვლენამ სივრცე ცენტრთან ერთად წარმოაჩინა როგორც ერთი, მათლიანი, სრულყოფილი და განუყოფელი მონადა და

ცხოველქმედი ორგანიზმი.

ცენტრმა სივრცის საწყისის სახე მიიღო და უსასრულობაში აღმოჩნდა მის შემადგენელ უარყოფით, მიკრონაწილაკების ერთადერთ მაორიენტირებლის როლში. ამან ცენტრს ძალმომრეობის მაგნეტიზმის უნარი გაუჩინა, რამაც წარმოშვა მსოფლიო მიზიდულობის ანუ სიყვარულის ძალა. ხოლო ამ უკანასკნელმა სივრცეს მისცა ბირთვის ანუ უპრინციპობის ფორმა. ქაოსში მყოფი უარყოფითი ენერგიის მატარებელი მიკრონაწილაკები მოვიდნენ რა გარკვეულ ნესრიგობრივ მდგომარეობაში, მიიზიდნენ მისკენ.

ცენტრს ამ ვალდებულებითმა ფუნქციამ შესძინა გონი, – მისი კოსმიური დანიშნულების განმსაზღვრელ იდეათა საწყისი. გონმა შვა სული, – მოვლენის არსისა და მთლიანობის გამომხატველი სიმბოლო. სულმა ცხოველქმედებაში მოიყვანა სივრცის ცენტრი და აქცია აბსოლუტად. ასე და ამრიგად ჩამოყალიბდა სამყაროს საწყისი და სასრული მამა-ლმერთი.

მამა-ლმერთმა მიიღო რა თავისკენ მიზიდული უარყოფითი ენერგიის შემცველი, საყოველთაო, მდედრობითობის საწყისი მიკრონაწილაკები („–“ „–“ „–“), მათთან შემხებლობის ნიშნად დაუმატა მათ თავისი არსის, – გონისა და სულის გამომხატველი საყოველთაო ათვლის საწყისი („1“) ერთიანები. აქცია ისინი საყოველთაო მამრობითობის საწყის, დადებით, სასიცოცხლო ენერგიის მატარებელ მიკრონაწილაკებად („+“ „+“ „+“) და განიზიდა ისინი უსასრულობისაკენ, რომლებიც შემდგომ აღმოჩნდნენ რა სამყაროს შექმნის მატერიალ თანდათანობით წარმოშვეს ციური სხეულები და მათი სისტემები.

ასე დაიწყო უარყოფითი ენერგიის საყოველთაო მსოფლიო მოძრაობა, (წრებრუნვა) მსგავსად სუნთქვისა სივრცის უკიდურესობიდან მისი ცენტრისაკენ, ხოლო მათი დადებითად გადაქცევის შემდეგ – ცენტრიდან უკიდურესობისაკენ. ამ მოვლენამ მიიღო სისტემური ხასიათი და ეწოდა კოსმიური რითმულობა.

მთელს უსასრულო ბნელ სივრცეში, საყოველთაო სამართ-

ლიანობის სწორად განხორციელების მიზნით, რაც მის განათებას, განათლებას და შავიდან თეთრის გამოყოფას ნიშნავს, და რისითვისაცაა თავად მამა ღმერთი შექმნილი, მან თავისგან განზიდული, ცეცხლოვანი, დადებითი ენერჯის მატარებელი მიკრონაწილაკების ირგვლივ ბრუნვითი მოძრაობით შექმნა რვა უძრავი დედა-მნათობი, ოთხი თავის ზემოთ და ოთხი თავის ქვემოთ. მათი ურთუერთ შეერთებით იქმნება კუბი. თითოეულ მათგანს სივრცის კიდიდან თანაბარი მანძილი აშორებს და ერთნაირად ანათებენ მთელ ამ უსასრულო სივრცეს, ცენტრში კი აბსოლუტია.

გარკვეული დროის შემდეგ, როგორც ზედა, ისე ქვედა ე. წ. უუძრავმა მნათობებმა თავთავიანთი ღერძების და აბსოლუტის გარშემო ბრუნვით შექმნეს „შვილი პლანეტები“, შვილმა პლანეტებმა, – „ვარსკვლავთა სისტემები“ და ასე დააბალანსეს უსასრულობა კოსმიური ჩონჩხით.

უძრავი მანათობების ანუ დედა პლანეტების გარშემო მოძრავი შვილი პლანეტები ყველა ერთდროულად არ შექმნილა. პირველად შეიქმნენ ის პლანეტები, რომლებიც დღეისათვის ყველაზე შორეულ ორბიტებზე მოძრაობენ. ხოლო მოგვიანებით შეიქმნენ ის პლანეტები, რომლებიც უახლოეს ორბიტებზე მოძრაობენ. უკიდურეს ორბიტებზე მყოფი პლანეტები დაბადებისას იყვნენ პირველ ორბიტებზე და მომდევნო შვილ პლანეტათა გაჩენისდა მიხედვით თანდათანობით გადავიდნენ მომდევნო ორბიტებზე. ასე და ამგვარად ისინი თანდათანობით დასცილდნენ თავის წარმომშობ პლანეტებს და აღმოჩნდნენ უკიდურესობაში.

თითოეული „შვილი პლანეტის“ გაჩენა იყო და არის „დედა პლანეტის“ კოსმიური აუცილებლობით ნაკარნახევი და მაჩვენებელია იმისა, რომ განვითარების კონკრეტულ ფაზაში შედის. საგონებელია, რომ „შვილი პლანეტები“ „დედა პლანეტათა“ კოსმიური მცველებია.

ასე და ამრიგად ვითარდებოდა და ვითარდება ვარსკვლავ-

ვთა სისტემები, მათ შორის მზის სისტემაც. აქვე უნდა ითქვას, რომ ყველა მათგანი კონკრეტული მატერიალური სტიქიონის მატარებელია და ისინი ერთმანეთს თავიანთი შემადგენლობით ერთმანეთს არ წააგვანან. უძრავი მნათობები, მათ შორის მზეც, ერთი სტიქიონისაგან, – კონკრეტულად ცეცხლისაგან შედგება. „შვილი პლანეტები“ კი შედგებიან იმდენი სტიქიონებისაგან, მერამდენე ორბიტაზეც იმყოფებიან + 1.

პირველ ორბიტაზე მოძრავი „შვილი პლანეტა“ შესდგება ცეცხლისაგან და დედის სიშორით გამოწვეული ამ „ცეცხლის“ მიწად ქცეული ნაცრისაგან, სადაც ცეცხლი გულშია, მიწა კი გარსად აკრავს.

მეორე ორბიტაზე მოძრავი „შვილი პლანეტა“ შედგება ცეცხლისაგან, მიწისაგან და წყლისაგან.

მესამე ორბიტაზე მოძრავი პლანეტა, ისე როგორც თვით დედამიწა, – შედგება ცეცხლისაგან, მიწისაგან, წყლისაგან და ჰაერისაგან.

მეოთხე ორბიტაზე +1 მოძრავი პლანეტა – უდაოდ იქნება შემდგარი ხსენებული სტიქიონებისაგან და ჰაერისაგან გამოყოფილ კონკრეტულ სახედ ქცეული სხვა რომელიმე სტიქიონისაგან, რომელიც შეიძლება იყოს წყალბადი.

ასე და ამრიგად თითოეული „დედა პლანეტა“ „შვილი პლანეტის“ გაჩენით ახდენს საკუთარ კოსმიური დანიშნულების რეალიზებას, ასაკობრივ გამოვლინებას, ერთი სახეობიდან მეორეში გადასვლასა და მატერიალურ წრებრუნვას, რაშიც მამა-ღმერთის ნებაა ჩადებული. დედამიწაზე მათი ანალოგი ადამიანთა ოჯახებია.

ვარსკვლავთა სისტემების წარმოშობა-განვითარებით დასტურდება, რომ ცეცხლი, როგორც მატერიის გამოვლინების პირველი ფორმა, სამყაროს აღმშენებლობის მთავარი საწყისია.

„დედა პლანეტაგან“ „შვილი პლანეტების“ თანდათანობითი დაშორებით მათ გულში არსებული ცეცხლოვანი ბურ-

თი სულ უფრო და უფრო მცირდება და გადადის სხვადასხვა მომდევნო სტიქიონებში. ასე ხდება უარყოფითობის უარყოფის გამოვლენა, რასაც სული თავად საზღვრავს განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე სააღზევო ენერჯიად მატერიის რომელი სახე გამოიყენოს.

თავის მხრივ, ორბიტათა რიგითობა + 1 საზღვრავს მათზე მოძრავ „შვილი პლანეტათა“ ფუნდამენტალურ საკითხებს, როგორებიცაა ამ პლანეტათა შინაგანი სტრუქტურა, წელიწადის დრო, სტიქიონთა რაოდენობა და მათზე არსებულ ბიოსოციალურ ინსტანციათა სისტემები.

ასე მაგალითად, იმასთან დაკავშირებით, რომ დედამინის პლანეტა მოძრაობს მესამე ორბიტაზე (+1) მისი წელიწადი შედგება ოთხი დროსაგან, თავად პლანეტა ოთხი განედისაგან, ოთხი რასისაგან, ოთხი ბიოსოცსუბსტანციისაგან – პიროვნება, ოჯახი, ერი, რასა და სხვა ამგვარი.

სავარაუდოდ, დედამინის ყოველი შემდგომი პლანეტის წელიწადი თითო დროით მატულობს და შესაბამისად წლის ხანგრძლივობაც იზრდება.

პლანეტარული წლების დროთა წყობა მათზე ბინადარ უმაღლეს კატეგორიის ცოცხალ ორგანიზმთა, მათ შორის ადამიანის წარმოშობა-განვითარების ძირითად საფეხურთა – დაბადება-გაზრდის, დანიშნულების რეალიზებისა და სიკვდილის განმსაზღვრელია. შესაბამისად პრიორიტეტულად უნვითარებს მათ ამა თუ იმ ეტაპზე ამა თუ იმ ძირითად ორგანოს, ამა თუ იმ სტიქიის პრიორიტეტულად გადამუშავება-გამოყენებისათვის.

ასე მაგალითად, ადამიანს დაბადებისას პრიორიტეტულად ესაჭიროება რა წყალი, – უნვითარებს მას შარდგამომყოფ ორგანოებს, რომლებიც სტიქიათა გადამუშავების ორგანოთა წყობაში ქვემოდან პირველია. გაზრდას ესაჭიროება რა პრიორიტეტულად მინა, შესაბამისად უნვითარებს ამ სტიქიის მატარებელ პროდუქტთა გადამამუშავებელ ორგანოს – კუჭ-ნაწლავ-

ვს, რომელიც შარდგამომყოფ ორგანოებს ზემოთაა და რიგით მეორეა. კოსმიური დანიშნულების რეალიზებას სჭირდება რა ცეცხლი, ანუ ენერგია, რომლის სიმბოლური გამოხატულებაც დიაფრაგმაა, ქვემოდან ზემოთ რიგით მესამეა. სიკვდილის ანუ სხეულიდან სულის ამოსვლას ესაჭიროება ჰაერი, რომლის განსახიერებაც ფილტვებია – რიგით მეოთხეა.

ამდენად, აქ საქმე ისაა, რომ ორბიტათა რიგითობა + 1 წლის დროთა მეშვეობით უმაღლეს ცოცხალ ორგანიზმებს უყალიბებს სტრუქტურას, რომელთა ცხოველქმედებითაც პრაქტიკულად გადაყავს მატერიალური სტიქიონი ერთი სახეობიდან მეორეში, უფრო მსუბუქსა და ჰაეროვანში და ამით იგი ერთიმეორეს უარყოფს. ამ უარყოფით პროცესში კი თვით სტიქიონებში არსებული ღვთაებრივი სულები უდაბლესიდან უმაღლესისაკენ განვითარებას განიცდიან, რაც სხვა არაფერია, თუ არა ამ სტიქიათა ერთიმეორეში გადაყვანისა და ტრანსფორმაციის გზით ინფორმაციის მიღება აბსოლუტის მიერ და მის საფუძველზე სამყაროს მართვა.

შეუძლებელია ორ სხვადასხვა რიგის ორბიტებზე მყოფ პლანეტებზე ბინადრობდნენ ერთნაირი ანატომიური წყობის მქონე ორგანიზმები. მინიერ ადამიანთა მსგავსი არსებები შეიძლება იყვნენ სხვა გალაქტიკის მესამე ორბიტებზე +1 მოძრავ პლანეტებზე და არა სხვა რიგის ორბიტებზე მოძრავ პლანეტებზე.

ყველა მომდევნო სუბსტანცია წინამდებარე სუბსტანციის კოსმიური დანიშნულების რეალიზების შედეგია, ემსახურება წინამდებარეს და დამოკიდებულია მასზე. ამასთანავე, მისი დაცვის ბუნებრივი მექანიზმი და არსთა გამოსახულებაა.

როგორც პიროვნების კოსმიური დანიშნულების რეალიზების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილია ოჯახი, ერი და რასა, ისე ყველა ორბიტაზე მოძრავი „შვილი პლანეტა“ შექმნილია თვით „დედა პლანეტის“ დაცვისა და მისი კოსმიური დანიშნულების რეალიზების ხელშემწყობ მექანიზმად. ყველა ერთად

აღებული კი თვით მამა-ღმერთის იდეათა განხორციელებაა.

დედამინაზე, ადამიანის, ისე როგორც სხვა ბიოლოგიურ ინდივიდთა დანიშნულებაა მატერიალურ სტიქიათა ერთი სახეობიდან მეორეში გადაყვანა; ოჯახის – ინდივიდის გაჩენა, აღზრდა და კოსმიური დანიშნულების რეალიზებაში ხელის შეწყობა; ერის – ოჯახის დაცვა, დახმარება და მათ მეშვეობით ზღვებსა თუ ოკეანეებში ჩამდინარე ერთი რომელიმე დიდი აუზის მქონე მდინარის ფაუნის ორგანიზებული ათვისება და გადამუშავება; რასის, – ცალკეული კონტინენტის ფაუნის ათვისება და გადამუშავება, რა თქმა უნდა მასზე ბინადარ ერების ურთიერთ დაკავშირებისა და დახმარების გზით; კაცობრიობის – საერთაშორისო ორგანიზაციათა მეშვეობით დედამინის პლანეტის ფაუნის ათვისება და გადამუშავება.

ყველა აქ ხსენებული სოციალური ინსტანციების საწყისი – ინდივიდია. ამიტომაც, რომ ადამიანით იზომება დედამინის ნებისმიერის საკითხი და იგი მის გვირგვინს წარმოადგენს.

თითოეული რასა თავის ამოცანას წყვეტს პლანეტარულ სულის მიერ ამორჩეული ერთი რომელიმე ერსი მეშვეობით, რომელიც უფრო ღვთის მოშიშია. ასეთები კი კოსმიურ ცთომილთაგან ლებულობენ ინფორმაციებს და გადასცემენ დანარჩენ ერებს. თავად კი გვევლინებიან ღვთაებრივი ცოდნის, განათლების გამტარ ჭურჭლად. დანარჩენი ერები რჩეულ ერთა გარშემო ბრუნავენ „შვილ პლანეტათა“ მსგავსად და უზრუნველყოფენ მათ არსებობასა და განვითარებას. ასეთ წრებრუნვის პროცესში მეორეხარისხოვანი ერები წარმოიშვებიან დიდი მდინარეების სათავეებთან, თანდათანობით ჩადიან დინების მიმართულებით ზღვებამდე, ითვისებენ მდინარეთა აუზების ფაუნას, უკუსვლისას კი გადადიან სხვა მდინარეთა აუზებში და იწყებენ გადაგვარებას, ძირეულის დაკარგვასა და უცხო სთვისებას.

ერი თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე მაშინ იმყოფება, როდესაც მას მთლიანად ათვისებული აქვს დიდი

მდინარის აუზი, უკუსვლით კი უარყოფს საკუთარ თავს.

ყოველივე აღნიშნული გასათვალისწინებელია გეოპოლიტიკურ ვითარებათა განსაზღვრისას.

საერთო საყოველთაო წრებრუნვაში ერები მოძრაობენ როგორც დამოუკიდებელი სოციალურ-ბიოლოგიური ერთეულები, შესაბამისად შემოფარგლულებიც არიან სივრცესა და დროში.

პლანეტებზე არსებული უმაღლესი რიგის ცოცხალ ორგანიზმთა სახით, ისე როგორც ადამიანებით დედამიწაზე, მთავრდება ამ პლანეტების საერთო მატერიალური განვითარების ციკლი და იწყება არამატერიალური ანუ ასტრალური განვითარების ერა, რომელიც, როგორც მატერიალური სამყარო იერარქიულადაა მონყობილი, – მთავრდება მამა-ლმერთის აბსოლუტური სულით.

ასე და ამგვარად მამა-ლმერთი თავისგან გამოყოფილი დადებითი ენერჯის შემცველი მიკრონანილაკებით შექმნილ სამყაროთი ახორციელებს ბნელ, უსასრულ სივრცის განათებას, განათლებას, სამართლიანობის განხორციელებასა და მის დაბალანსებას. ამასთანავე, აღნიშნულ ენერჯიას თანდაყოლილი მთლიანობისა და არსის გამომხატველი სულების მეშვეობით აწარმოებს მატერიალურ სტიქიათა ერთი სახეობიდან მეორეში გადაყვანას და საბოლოო ჯამში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათგან საერთო ინფორმაციის მიღებას, საერთო ყოფიერების შესახებ. ანუ ამყარებს კავშირს თავის სულსა და სხეულს შორის თვით უსასრულობაა მამა-ლმერთი. ამიტომაც ამბობენ, რომ ლმერთი ყველგანაა.

დასკვნა

1. ქვემარტება სამყაროს წარმოშობა-განვითარების ღვთაებრივი პრინციპია, რომლის თანახმადაც მამა-ლმერთისაგან გამოყოფილი, დადებითი, სასიცოცხლო ენერჯის მატარე-

ბელი, ბნელეთის მანათობელი, ცეცხლოვანი სტიქიის მიკრო-ნაწილაკებს თანდაყოლილი სულები, როგორც მათი არსისა და საგნობრივი მთლიანობის განმაპირობლები, გადიან რა საერთო საყოველთაო წრებრუნვას, აბსოლუტიდან „შვილ პლანეტთა“ უმაღლეს ცოცხალ ორგანიზმებამდე და ამ ცოცხალ ორგანიზმებიდან კვლავ აბსოლუტამდე ანუ მამა ღმერთამდე, რა დროსაც მიაქვთ მასთან მატერიალურ და არამატერიალურ სამყაროებში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაცია, ამრიგად მყარდება კავშირი აბსოლუტის სულსა და სხეულს შორის და იმართება უსასრულობა, გვევლინება იგი ერთიან ცოცხალ ორგანიზმად.

2. აღნიშნული ადამიანს ავალდებულებს სწორად განსაზღვროს თავისი ადგილი და როლი სივრცესა და დროში.

წ ი ნ ა დ ა ლ ე ბ ე ბ ი:

1. საჭიროა დედამიწაზე შეიქმნას ერთიანი მსოფლიო რელიგია, ხოლო კონტინენტების მიხედვით სექტები, ცხადია მათივე ბუნების გათვალისწინებით;

2. თითოეულ სოციალურ სუბსტანციას – პიროვნებას, ოჯახს, ერს, რასას – საჭიროა გააჩნდეს თავის განვითარების საფეხურობრივი მდგომარეობის გამომხატველი ანგარიში (პასპორტი), ზეკონსტიტუციური სახელმწიფოებრივი აქტი, რათა მათზე დაყრდნობით ხორციელდებოდეს პოლიტიკური, რელიგიური თუ კანონშემოქმედებითი საქმიანობა;

3. სახელმწიფო უნდა იყოს რელიგიური და მას მართავდეს სულიერი მამა, ხოლო სამოქალაქო ხელისუფლება ემორჩილებოდეს მას;

საერთიერთობო ნორმები დარგობრიობისაგან განსხვავებით დალაგდეს ბიოსოციალურ ინსტანციათა – ინდივიდის, ოჯახის, ერისა და რასის მიხედვით.

ზემოსხენებულთა სწორად გაგების მიზნით საჭიროა ვიცოდეთ:

1. ყოფიერების ძირი არყოფნაა;
2. მატერიალური ემსახურება სულიერს;
3. ყოველივე ადამიანური კოსმიურის სახეა;
4. ყველაფერს ინტერესი ჰქმნის, ინტერესს – სულიერი მოთხოვნილება;
5. ბუნებრიობა – ჰარმონიულობაა, ხელოვნურობა – წინააღმდეგობრიობა;
6. სული პირველია და უმაღლესი, მატერია მეორე და უდაბლესი;
7. მოძრაობა (?) შედეგია ძალის, რომელიც შეიძლება იყოს განზიდვის ან მიზიდვის. თუმცა ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ძალმომრეობის საწყისთან;
8. დრო ახლობლებს ამორებს, შორეულებს – აახლოებს, კეთილს – აბოროტებს, ბოროტს – აკეთილებს, თეთრს – აშავებს, შავს – ათეთრებს, პატარას – ადიდებას, დიდს – აპატარავებს, გონიერს – აუგონიერებს, უგუნურს – აგონიერებს, ცეცხლს – ამიწებს, მიწას – აწყალავს, წყალს – ჰაერად აქცევს, ჰაერს – ცეცხლად. ასე და ამგვარად დროს ყველაფერი გადაყავს ერთი სახეობიდან მეორეში, მთლიანობაში კი იგი ილუზიაა, სინამდვილე კი – შენი ადგილი უსასრულობასთან მიმართებაში;
9. სიკეთეს მართავს ბოროტება, ბოროტებას – მოთხოვნილება, მოთხოვნილებას – აუცილებლობა, აუცილებლობას – დანიშნულება. ამიტომაც საჭიროა იურიდიული ნორმები სოციალურ სამართლიანობას ეფუძვნოდეს, სოციალური სამართლიანობა კი – ბუნებრივ მოთხოვნებს. ურთიერთობა კი სხვა არაფერია, თუ არა ადამიანურ სიბრტყეზე გადმოტანილი თავად მამა-ღმერთის პირველი წესი, რომ მიიღე – გაეცი.

10. სიყვარული სხვა არაფერია, თუ არა ღმერთის ამ პირველი წესის დაცვა, რაც განაპირობებს როგორც საგანთა, ისე პირთა ერთომეორისაკენ ლტოლვას, მიზიდულობას, თანაარსებობას, მსგავსებას, მთლიანობას, სრულყოფას, ახლის საფუძვლიანობას, ერთი სახეობიდან მეორეში გადასვლის აუცილებლობას. საერთო ჯამში კი ღვთაებრივი მაღლით დაჯილდოებული საგნებსა და მოვლენებში ტრანსფორმირებული მსოფლიო მიზიდულობის ძალაა.

თუ მოვლენას, საგანს, სოციალურ სუბსტანციას, – პიროვნებას, ოჯახს, ერს, რასას – სიყვარულის ანუ მიზიდულობის (გნებავეთ, დავარქმევდი მომრეობითს) ძალა არ მართავს, მაშინ იგი იშლება, ნაწილდება, თითოვდება და ასე თანდათანობით დაშლით კვდება, ქრება და გადადის ერთი სახეობიდან მეორეში. ამასთანავე გამოდის ერთის გავლენის ქვეშიდან და ექცევა მეორის განლენის ქვეშ. ამასთან ერთად იგი კარგავს თავის პირველად დანიშნულებას და იძენს მეორადს.

სიყვარულში ყოველთვის მოქმედებს არანაკლებ ორი ძალა, რომელთაგან ერთი ძლიერია მეორეზე და მოვლენას სძენს საგნობრივ მთლიანობას. სუსტის ძალა კი საზღვრავს მონაწილეთა ურთიერთობის სუბორდინაციას.

11. სიკეთის ანუ გაცემის ძალა ადამიანს ადუნებს, ამშვიდებს და უხამებს მას გარემოსთან. ბოროტების ანუ მიზიდულობის ძალა კი პირიქით, ადამიანს აფხიზლებს, ააქტიურებს და აგებინებს მას ვითარების არსს.

ამიტომაცაა, რომ ცხოვრებაში რაც ხდება – უძლიერესთა ნამოქმედარია, ხოლო სუსტის ქმედებანი – ძლიერთა მოქმედების პასუხია.

აღნიშნულის შეცნობა დაგვეხმარება:

- გავიგოთ ვინ ვართ, რისთვის მოსულნი, რანი ვაკეთოთ;
- როგორ მოვანყოთ საკუთარი ყოფა, რომ ვიყოთ ჰარ-

მონიულნი;

– როგორ გამოვავლინოთ საკუთარი ნიჭი, რომ ვიყოთ შემომქმედნი.

ყოველივე ეს კი ჩვენი კოსმიური დანიშნულების რეალიზების სანინდარია.

ა. ქოჩიაშვილი
1997 წ.

**საქართველოს საზღვრის დაცვის
დეპარტამენტის თავმჯდომარეს
გენერალ-ლეიტენანტს
ბ-ნ ვ. ჩხაიძეს**

**ასლი: საქართველოს გენერალური პროკურორის
მოადგილეს, მთავარ სამხედრო პროკურორს,
იუსტიციის გენერალს
ბ-ნ ბ. ბინაძეს**

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

**/ახალციხის სასაზღვრო რაზმში არსებული
მდგომარეობისა და არმენ ნანაიანის
მკვლელობის საქმეზე/**

1999 წლის 9 მაისს დაახლოებით დღის 12 საათზე, ნინონმინდის რ-ის სოფ. დიდი და პატარა ხანჩალის დამაკავშირებელ გზის მონაკვეთზე, ქ. ნინონმინდის მცხოვრებმა არმენ თათულის ძე არზუმანიანმა, ახალციხის სასაზღვრო რაზმის ნინონმინდის კომენდატურის 18-ე სარეზერვო საგუშაგოს დეზერტირობაში მყოფ სერგეი ამასის ძე მანველიანის თანდასწრებით შემთხვევით სასიკვდილოდ დაჭრა თავის არეში დანაშაულებრივი გზით შექმნილი მცირე კალიბრიანი პისტოლეთიდან გასრო-

ლით, აღნიშნული ქალაქის მაცხოვრებელი არმენ ჰამლეტის ძე ნანაიანი, მისივე კუთვნილ გაზ-3110 მარკის ავტომანქანაში. შემდეგ შეეცადნენ სოფ. პ. ხანჩალზე გავლით ახალქალაქის საავადმყოფოში წაეყვანათ იგი დახმარების ამლოსაჩენად. პ. ხანჩალიდან დაახლოებით ორ კილომეტრზე გაზ იყო გაუვალი და უკან დაბრუნდნენ. ამ დროს ა. ნანაიანი ცუდად გახდა, მანამდე ლაპარაკობდა და ჩადენილი დანაშაულის დაფარვის მიზნით ა. არზუმანიანმა მას განზრახ მკვლელობის მიზნით მეორედ ესროლა თავის არეში და მოკლა, ხოლო გვამი მანველიანის დახმარებით კვალის დაფარვის მიზნით გადაიტანეს ტყეში. მისი ავტომანქანა კი გაიტაცეს ახალციხის მიმართულებით. ახალქალაქში ს. მანველიანი გასცილდა არზუმანიანს და დაბრუნდა ნინოწმინდაში. არზუმანიანი ახალქალაქის საგზაო პოლიციის ინსპექტორებმა მანქანის საბუთების უქონლობის გამო ჯერ დააკავეს, შემდეგ დააბრუნეს უკან ნინოწმინდაში. ამის შემდეგ ნაცვლად ნინოწმინდისა ა. არზუმანიანმა ავტომანქანა გადამალა ახალქალაქის ერთ-ერთ მახლობელ სოფელში, ხოლო მეორე დღეს ს. მანველიანთან ერთად ჩაბარდა ახალქალაქის პოლიციას.

ნინასწარი გამოძიებით დადგენილია, არმენ არზუმანიანი საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სამსახურში განწვეულია 1997 წ. 24 მაისს, ახალციხის სასაზღვრო რაზმის 7-ე საგუშაგოზე, იგივე საკომენდატო ასეულში იმსახურა 1997 წლის 1 დეკემბრამდე. 1 დეკემბერს იგი „ჰეპატიტ-ა“-ს დიაგნოზით მოთავსებულ იქნა რაზმის ლაზარეთში. დაენიშნა მკურნალობა. მეორე დღეს მიაკითხეს მშობლებმა და რაზმის მეთაურის ბატონ ლაზიაშვილის ნებართვით იგი წაიყვანეს სახლში. მას შემდეგ ა. არზუმანიანი უკან აღარ დაბრუნებულა. 1997 წლის შემოდგომაზე მას მიანიჭეს „უმცროსი სერჟანტის“ წოდება. 1997 წლის მაისში (დაახლოებით), როდესაც ბატონი პრეზიდენტი ჩამოსული იყო სოფ. კუმურდოში წყაროს გახსნასთან დაკავშირებით, სხვა ჯარისკაცებთან ერთად, მან ა. არზუმა-

ნიანსაც ჩამოართვა ხელი, და გამოელაპარაკა მას, იცოდა თუ არა ქართული, რაზეც მას დადებითად მიეცა პასუხი. ბატონ ლაზიაშვილის გადმოცემით, ეს ფაქტი დაედო საფუძვლად იმას, რომ დეპარტამენტის ინიციატივით 1999 წლის მარტის თვეში ა. არზუმანიანი დაჯილდოებულ იქნა მედლით „მხედრული მამაცობისათვის“ სასაზღვრო რაზმიდან ყოველგვარი დოკუმენტაციის წარდგინების გარეშე. მედლის მისაღებად ბატონ ჩხაიძეს ა. არზუმანიანზე წარდგინება გაკეთებული აქვს და ახასიათებს უაღრესად დადებითად. საქმის აუცილებლობიდან გამომდინარე, ბატონი ლაზიაშვილი თავს არიდებს მონმედ დაკითხვას.

იმის დასადგენად, თუ რეალურად რა პერიოდი აქვს ნამსახურები სასაზღვრო რაზმში 7-ე საგუშაგოს უფროსმა – კინწურაშვილმა დამიძალა პირადი შემადგენლობის საღამოს შემონმების ყურნალები.

თავად ა. არზუმანიანის ჩვენებით, ავადმყოფობის გამო 1997 წლის დეკემბრიდან 5 თვით ყოფილა გაშვებული სახლში. შემდეგ კი ვითომც ჩარიცხეს და მსახურობდა ნინონმინდის მე-18 საგუშაგოზე დემობილიზაციამდე. იგი დემობილიზებულია 1999 წლის 4 მაისს, – 20 დღით ადრე. ნინონმინდის კომენდატურის და მე-18 საგუშაგოს მეთაურთა ჩვენებით ა. არზუმანიანს არცერთი დღე არ უმსახურია მათთან – 1997 წლის დეკემბრის აქეთ. ხოლო 1997 წლის ოქტომბერში იგი მათთან ყოფილა მხოლოდ ერთი თვით მივლინებული. 1999 წლის მონაცემებით ა. არზუმანიანი ნინონმინდის კომენდატურისა და საგუშაგოების სიებში არ ფიგურირებს. მიუხედავად ყოველივე ზემოთ ხსენებულისა 1998 წლის იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის, მაისის ივნისის, ივლისის, აგვისტოს (სექტემბერ-ნოემბრის თვეებში ჯარისკაცებზე ხელფასები არ გაცემულა) და 1999 წლის იანვრის, თებერვლის და მარტის თვეებში მე-7 საგუშაგოზე ა. არზუმანიანზე ხელფასებია გაცემული მისი ხელმონერების გაყალბებით. მარტის თვის ხელ-

ფასი გასაცემია. ა. არზუმანიანის ჩვენებით 1997 წლის დეკემბრიდან დემობილიზაციამდე ე. ი. 1999 წლის 4 მაისამდე მას ხელფასი არ მიუღია, შესაბამის უწყისებზე ხელი არ მოუწერია, ხელფასის მისაღებად სხვისთვის მინდობილობა არ გაუცია და არც არავის გადაუცია მისთვის მასზე გამონერილი ხელფასი.

მკვლელობის შემდეგ, მეორე დღეს, ლაზიაშვილმა ტელეფონით სთხოვა მე-18 საგუშაგოს უფროსს აბრამიშვილს შეექმნა საბუთი, თითქოსდა ა. არზუმანიანი მას რამდენიმე დღით ყავდა გაშვებული. როდესაც აბრამიშვილისაგან მიიღო უარი ა. არზუმანიანი 1999 წლის 4 მაისს გამოცემულ დემობილიზაციის ბრძანებაში ჩანერეს უკანა რიცხვით, რათა თავიდან აეცილებინათ მომხდარ დანაშაულზე გარკვეული პასუხისმგებლობა და საქმე სამხედრო პროკურატურაში არ გადაეგზავნათ. 11 მაისს ლაზიაშვილის ბრძანებით ა. არზუმანიანის ნამსახურების ბარათი და მინერილობა ნინონმინდის ზემდეგმა კირაკოსიანმა თავისი ხელით ჩაუტანა ნინონმინდის სამხედრო კომისარიატს. ხოლო სამხედრო ბილეთი ა. არზუმანიანს ხელზე ჰქონდა მიღებული 1999 წლის მარტში.

რაც შეეხება სერგეი მანველიანს, იგი სამხედრო სამსახურში გამოწვეულია და მსახურობს ახალციხის სასაზღვრო რაზმში 1998 წლის 7 დეკემბრიდან. ხოლო ნინონმინდის მე-18 საგუშაგოზე განერილია 1999 წლის 23 თებერვლიდან. ფაქტობრივად კი გამოცხადებულია იქ 5 მარტს, უმსახურია 15 მარტამდე და წასულა თვითდათხოვნაში. 1 აპრილიდან 30 აპრილამდე იყო ერევნის ეკონომიკურ-იურიდიული უნივერსიტეტის ნინონმინდის საკონსულტაციო პუნქტში საგაზაფხულო სესიაზე. ამის შესახებ გაცემულია უნივერსიტეტის ცნობა. ს. მანველიანი I კურსის სტუდენტია. 1 მაისიდან 9 მაისამდე კი იგი კვლავ თვითდათხოვნაშია. ს. მანველიანის გარდა ხსენებულ საკონსულტაციო პუნქტის სტუდენტად ირიცხება მე-18 საგუშაგოს რვა ჯარისკაცი. პლიუს ამას, ორი ჯარისკაცი მუშაობს მასწავლებლად. აღნიშნული რაიონების ჯარისკაცები გაშვებული იყვნენ

საგაზაფხულო სესიაზე, ნაცვლად იმისა, რომ სწავლასთან დაკავშირებით აელოთ აკადემიური შვებულება.

აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ს. მანველიანთან დაკავშირებით მე-18 საგუშაგოს პირადი შემადგენლობის საღამოს შემოწმების ჟურნალების ანალიზით, 1999 წლის მარტის მდგომარეობით მე-18 საგუშაგოს სიით ერიცხება 77 ჯარისკაცი. 1 მაისის მდგომარეობით – 85. ამათგან თვითდათხოვნაშია თვეობით: 1999 წლის 1 იანვრიდან 11 ჯარისკაცი, 1 თებერვლიდან – 2, 1 მარტიდან – 13, 1 აპრილიდან – 11. 13 მაისს დემობილიზაციაში ნაჩვენები 25 კაცი, ნებართვით გაშვებულია – 4, ღამის 11 საათის მდგომარეობით ადგილზე არ აღმოჩნდა 22 ჯარისკაცი. მათგან პროკურატურაშია გადმოგზავნილი 5 მასალა, ისიც ხსენებული მკვლელობის შემდეგ.

ნინოწმინდის კომენდატურის მეთაურების სუდაძის, აბრამიშვილისა და სხვათა ჩვენებით ლაზიაშვილის ბრძანებით აღწერილი პირები დეზერტირებზე მასალებს არ აგზავნიან პროკურატურაში, უფრო მეტიც, ყველას ხელფასები ერიცხება. საქმეში ჩემი ჩარევის შემდეგ 1999 წლის მარტის თვეში მთელი ნინოწმინდის მე-18 საგუშაგოს 47 ჯარისკაცს, რომლებიც დეზერტირობაში არიან, ხელფასები დაუკავდათ და თანხები „ნითელი სტორნოს“ მეთოდით სალაროს დაუბრუნდა. ანალოგიური ჩემამდე არცერთ ხელფასის გაცემის უწყისში არ იყო გაკეთებული. ყველა დეზერტირობაში მყოფ პირზე ხელფასები გაცემულია, საკითხავია, ვისი ხელმოწერებია დასმული უწყისებში.

მე-18 საგუშაგოს ჯარისკაცთა ყოფითი პირობები ყოვლად აუტანელია, დილ-დილობით მხოლოდ ჩაის აძლევენ ჯარისკაცებს კარაქისა და ულუფის გარეშე. ჯარისკაცებს ტანსაცმლით სძინავთ სანოლებში, უმეტესობას ზენრები არ გააჩნიათ, ვისაც გააჩნია, რამდენიმე თვის გასარეცხია. პირადი შემადგენლობა დაუსაქმებელია და უსაქმურობენ. ყაზარმაში განათება არ არის, არ არის ასევე გათბობა. არ აქვთ სანვაფი, კაბინეტები

მოუწყობელია, ცეცხლსასროლი იარაღები ინახება შესაბამისი მოთხოვნების უხეში დარღვევებით. იქ არსებული პირადი შემადგენლობის 90 % ადგილობრივია, რომლებსაც იქ არსებული მდგომარეობა ისე, როგორც მათ სამხედრო კომისრებს და ბატონ ლაზიაშვილს ერთნაირად აწყობთ, რამდენედაც კომისარს გეგმის შესრულება უხდება იოლად, ჯარისკაცები სახლებში არიან, სწავლობენ ადგილზე იურიდიულ ფაკულტეტზე და ჯარში ფორმალური ყოფნა მათთვის აუცილებელია. შემდგომ სამართალდამცავ ორგანოებში მოსახვედრად, ლაზიაშვილი კი გაურბის დეზერტირობაზე მასალების პროკურატურაში გადმოგზავნას, ვითომდა რეგიონში ოპერატიული ვითარების გართულების თავიდან აცილების მიზნით. ფაქტობრივად კი ხელს უწყობს ნაწილში დეზორგანიზაციას, სახელმწიფოს მოტყუებასა და გაქურდვას. ნინოწმინდის კომენდატურაში არსებული მდგომარეობა ქართველი მესაზღვრეების დისკრედიტაციის უდაო ფაქტია. მართებული იქნებოდა, თუ ჯავახეთის რეგიონის წვევანდელები სამხედრო სამსახურს გაივლიდნენ საქართველოს სხვა რეგიონებში.

1998 წლის 12 დეკემბრის მდგომარეობით მე-4 საგუშაგოს არიციხია 57 ჯარისკაცი, იმავე დღეს გაცემულია პროდუქტი 45 კაცზე, მე-6 საგუშაგოს არიციხია 41 კაცი, გაცემულია პროდუქტი 49 კაცზე, იმავე წლის 25 დეკემბრის მდგომარეობით მე-4 საგუშაგოს არიციხია 15 კაცი, პროდუქტი გაცემულია 45 კაცზე, მე-5 საგუშაგოს არიციხია 15 კაცი, პროდუქტი გაცემულია 27 კაცზე, მე-6 საგუშაგოს არიციხია 14 კაცი, პროდუქტი გაცემულია 47 კაცზე; 1999 წლის 16 მარტის მდგომარეობით საკომენდანტო ასეულს, რომელიც დისლოცირებულია ახალციხეში და რომელშიც „მსახურობდა“ ა. არზუმანიანი არიციხია 166 კაცი, პროდუქტი გაცემულია 41 კაცზე. 1999 წლის 26 აპრილის მდგომარეობით ტექნიკურ ნაწილს არიციხია 24 კაცი, პროდუქტი გაცემულია 19 კაცზე. საკომენდანტო ასეულს არიციხია 158 კაცი, პროდუქტი გაცემულია 37 კაცზე. ფერმას არი-

ცხია 7 კაცი, პროდუქტი გაცემულია 7 კაცზე. კინოლოგიურ სკოლას არიციხია 16 კაცი, პროდუქტი გაცემულია 13 კაცზე და სხვა.

საგულისხმოა, მათზე ხელფასები გაცემულია სიების მიხედვით, რაც მთლიანობაში კომპლექსურ დანაშაულებათა შემადგენლობას გვაძლევს.

აღნიშნული მოწმობს იმას, რომ ახალციხის სასაზღვრო რაზმში ადგილი აქვს თანამდებობრივ დანაშაულებებს დეზერტირთა დიდი რაოდენობით დაფარვას და ამ დანაშაულში მათთვის ხელის შეწყობას, რაც უდაოდ კომპლექსურ შემოწმებას და ანალიზს საჭიროებს.

სასაზღვრო რაზმის პირადი შემადგენლობის უდიდესი ნაწილი განთავსებულია სხვადასხვა დაშორებულ ადგილას, სადაც გადაყვან-გადმოყვანა წარმოებს ყოველგვარი ბრძანებების გაფორმების გარეშე, ეს კი სპეციალურად გააზრებულია და დეზერტირთა დაფარვის ერთერთი მეთოდია.

პროკურორის საზედამხედველო მოთხოვნებს რაზმის ხელმძღვანელობა იგნორირებას უწევს. მოკვლევის შემოწმებით დაავადგინე: 1999 წლის 24 აპრილის მდგომარეობით რაზმის მომკვლევ ხაზალაშვილს გადაწყვეტილებისა და ყოველგვარი მოკვლევის გარეშე გააჩნდა 13 წერილობითი შეტყობინება დანაშაულის შესახებ. მათგან 9 – დეზერტირობის ფაქტზე, ქურდობის ფაქტზე, მათ შორის თავად ლაზიაშვილის კაბინეტიდან ვიდეოაპარატურის გატაცების ფაქტზე, რასაც ადგილი ჰქონდა 1998 წლის 11 ივნისს, მაგრამ პროკურატურაში არცერთი მათგანი არ იყო გადმოგზავნილი. ხაზალაშვილის განმარტებით იგი შემოსულ მასალებს მსვლელობას ვერ აძლევს ლაზიაშვილის აკრძალვის გამო. აღნიშნულ ფაქტებზე მასალები გადმოვაგზავნივ პროკურატურაში, ხაზალაშვილი ასევე არ ასრულებს ჩემს, როგორც მოკვლევაზე ზედამხედველი პროკურორის მითითებას.

ჩემი საპროკურორო საქმიანობასთან დაკავშირებულ

მოთხოვნებს ლაზიაშვილი არ ასრულებს და გადააქვს პირადულში, მემუქრება, რომ სამსახურიდან გაანთავისუფლებინებს ჩემს თავს ხელმძღვანელობას. ამის მიზეზი არის ისიც, რომ 1996 წლის მის სასურსათო სანყოფნაში 500 კგ-მდე შაქრის და 80 კგ-მდე კარაქის გატაცების ინსცენირების ფაქტზე ჩემი ჩარევის დროს პირადად ლაზიაშვილმა პროკურორის თანაშემწის ასპანიძის თანდასწრებით განმიცხადა, რომ დაფარავდა მათ ღირებულებას, ოღონდაც საქმე არ აღძრულიყო. ამის შესახებ დავალებული ჰქონდა ასპანიძეს დაეკითხა ლაზიაშვილი, მაგრამ კარგი ურთიერთობის გამო საქმე გაუხსნელობის მოტივით შეჩერებულია დღემდე. მე იმ დროს ვიყავი მთავარ სამხედრო პროკურატურაში ზონის პროკურორი და მევალებოდა დახმარება გამენია აღნიშნულ ფაქტზე გამომძიებლისათვის.

კუპატაძემ გამიქცია დაკითხვაზე მყოფი პირები. უფრო მეტიც, დაურიგებია დამნაშავეთათვის თუ სად, ვისთან, როგორ მოვიდეს თბილისში ჩემზე საჩივრელად, ჩემს წარმოებაში მყოფ საქმეებზე ჩემთან შეთანხმების გარეშე, ჩემს ზურგს უკან აუღია კიდევაც ქრთამი, რასაც კარგად ახერხებდა სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე თომა ბარბელიშვილთან შეთანხმებით. ზოგჯერ კუპატაძეს აღებული თანხები დავაბრუნებინე, ზოგჯერაც თანამონაწილე გავხდომილვარ, რადგან თბილისს შენი ადამიანობა სულაც არ აინტერესებდა. აქ იყო მთავარი ფული ჩამოსულიყო ადგილზე. ერთერთი ასეთი ოპერაციის დროს კუპატაძემ მითხრა, რომ თუ 500 აშშ დოლარს მოიტანდნენ ერთ ჯარისკაცსაც ეშველებოდა. მეც სულელივით ვუთხარი ეს ადრესატს. ამის შემდეგ ეს ადრესატი ქიმბრაშილი დაიკარგა, ხოლო 8 თვის შემდეგ მისი შვილი მანამდე ჩადენილი დანაშაულისთვის დაჭერილ იქნა თბილისში.

როდესაც ჩამოვედი მის ჩასაყვანად ახალციხეში მამამისმა შს სამინისტროში დაანომრინა ჩემთვის გადმოსაცემი ფული და შეეცადა გადმოცემას. უშიშროება კი ცდილობდა ფაქტზე

ჩემს დაჭერას, რაც ვერ გამოუვიდათ, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, ფულს ხელი არ მოვკიდე. მიუხედავად ამისა შემდგომ ამ მიზეზით სამსახურიდან გამანთავისუფლეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს სსსკ-ს 280-ე მუხლით,

გთხოვთ

I. ახალციხის სასაზღვრო რაზმში სანესდებო მოთხოვნის დატანა განმტკიცებისა და დანაშაულებათა ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრის მიზნით:

ა) პროკურატურის წარმომადგენლის თანდასწრებით ჩაატაროთ კომპლექსური შემოწმება პირადი შემადგენლობის მოძრაობის, მათზე ფულადი თანხების, ნივთებისა და პროდუქტების გაცემა-ჩამონერის კანონიერების თაობაზე, საღამოს შემოწმების ჟურნალების და სხვა შესაბამისი დოკუმენტების გათვალისწინებით. რევიზიის მასალები გადმოეგზავნოს პროკურატურას;

ბ) ნინოწმინდის კომენდატურის პირადი შემადგენლობით დაკომპლექტებას დაეთმოს სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით ყურადღება, გაიზარდოს ქართულენოვანი ნვევანდელების კონტიგენტი, ხოლო ადგილობრივი მცხოვრებლები სამსახურის გასავლელად გადაყვანილ იქნენ ქვეყნის სხვა რეგიონებში;

გ) საკომენდანტო ასეულის მეთაური კინწურაშვილი და სხვა ზემოთ ხსენებული ოფიცრები მიეცნენ პასუხისმგებლობაში დაშვებული დარღვევებისათვის;

ე) გადანყვიტოთ რაზმის მეთაურის ბატონ გ. ლაზიაშვილის, როგორც რაზმში არსებული უამრავი დარღვევების მფარველის, ორგანიზატორისა და ხელშემწყობის – თანამდებობაზე ყოფნის საკითხი.

მიღებული გადანყვეტილების შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ პასუხი არა უგვიანეს ერთ თვეში.

ახალციხის რეგიონის
სამხედრო პროკურორის მოადგილე
იუსტიციის მაიორი: ა. ქოჩიაშვილი
1999 წლის 15 ივლისი

სამხედრო ნაწილის ან სამსახურის თვით- ნებურად დატოვებასა და დეზერტირობაზე ვადიანი სამხედრო მოსამსახურის დაცვა სისხლის საქმეთა სამართალწარმოებაში

2001წ.

ნაშრომი გათვალისწინებულია ადვოკატებისათვის. შეი-
ცავს სამხედრო ნაწილის ან სამსახურის თვითნებურად დატო-
ვებასა და დეზერტირობაზე ვადიანი სამხედრო მოსამსახურის
დაცვის ზოგად მეთოდოლოგიას სისხლის საქმეთა სამართა-
ლწარმოებაში.

გამოადგებათ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს,
სამხედრო პროკურატურის მუშაკებს, სამხედრო მოსამსახუ-
რეებს, ინტერესმოკლებული არ იქნება ასევე საზოგადოების
სხვა ფართო წრეებისათვის.

ავტორი

სამხედრო ნაწილის ან სამსახურის თვითნებურად დატო-
ვებასა და დეზერტირობაზე ვადიანი სამხედრო მოსამსახურის
დაცვა სისხლის საქმეთა სამართალწარმოებაში

ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველოს შეიარაღე-
ბულ ძალებში ვადიანი სამხედრო სამსახურის გავლა თითოეუ-
ლი ახალგაზრდის სანუკვარი ოცნება და საპატიო მოვალეობაა.
Bბევრი მათგანი სიხარულით მიდის ჯარში. მაგრამ, დღემდე
აქ არსებული მდგომარეობა (არასათანადო კვება, ჩაუცმე-
ლობა, არასანესდებო ურთიერთობები, ოფიცერთა დაბალი
პროფესიონალიზმი და სხვა), ასევე, ავადმყოფ პირთა უკანონ-
ო განწევვა, მათ გარკვეულ ნაწილს იძულებულს ხდის თვი-

თნებურად მიატოვოს სამხედრო ნაწილი, სამსახურის ადგილი ანდა ჩაიდინოს დეზერტირობა, რაც საქ. სისხლის სამართლის კოდექსის 388-ე და 386-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებია.

„388-ე მუხლი – სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება (გულისხმობს) :

1. განვეული სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება, აგრეთვე, ნაწილში დანიშვნის, ნაწილიდან დათხოვნის ან გადაყვანის დროს, მივლინებიდან, შვებულებიდან ან სამკურნალო დაწესებულებიდან სამსახურში საპატიო მიზეზის გარეშე დროულად გამოუცხადებლობა ორ დღე-ღამეზე მეტი ხანგრძლივობით, მაგრამ არა უმეტეს ათი დღელამისა, – ისჯება ტუსალობით ვადით ექვს თვემდე ან სადისციპლინო სამხედრო ნაწილში მოთავსებით ვადით ერთ თვემდე;

2. იგივე ქმედება, ჩადენილი იმ სამხედრო მოსამსახურის მიერ, რომელიც სასჯელს იხდის სადისციპლინო სამხედრო ნაწილში, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე;

3. განვეული სამხედრო მოსამსახურის ან კონტრაქტით სამხედრო სამსახურში მყოფის მიერ სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება, ანდა სამსახურში საპატიო მიზეზის გარეშე დროულად გამოუცხადებლობა ათ დღე-ღამეზე მეტი ხანგრძლივობით, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა, – ისჯება სამხედრო პირის სამსახურეობრივი შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე;

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ერთ თვეზე მეტი ხანგრძლივობით, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე;

შენიშვნა:

სამხედრო მოსამსახურე, რომელიც პირველად ჩაიდენს ამ მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას შეიძლება გათავისუფ-

ფლდეს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილას თვითნებურად დატოვება გამონვეული იყო მძიმე ვითარებით“.

„389-ე მუხლი – დეზერტირობა (კი გულისხმობს) :

1. დეზერტირობა, ესე იგი სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდების მიზნით ანდა ამავე მიზნით სამსახურში გამოუცხადებლობა, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდ წლამდე.

2. იგივე ქმედობა, ჩადენილი:

ა) სამსახურეობრივი სარგებლობისათვის მინდობილი იარაღით;

ბ) ჯგუფურად, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე.

შენიშვნა:

„სამხედრო მოსამსახურე, რომელიც პირველად

ჩაიდენს ამ მუხლის პირველი ნაწილით

გათვალისწინებულ ქმედებას, შეიძლება გათავისუფლდეს

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან,

თუ დეზერტირობა გამონვეული იყო მძიმე ვითარებით“.

388-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ნაკლებად მძიმე კატეგორიისაა, ხოლო 389-ე მუხლით გათვალისწინებული მძიმე კატეგორიის.

მათი ხვედრითი წილი ქვეყანაში მომხდარი საერთო დანაშაულებათა რიცხვში, რომელსაც სამხედრო პროკურატურის სისტემა იძიებს, იმდენად დიდია, რომ იგი ქვეყანაში აღწევს ათას და ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემადაა, რაც სერიოზულ მიდგომას საჭიროებს.

ჭ ორივე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში, ბრალდებულ პირთა დაცვის მეთოდოლოგიის ერთად გადმოცემა

განპირობებულია იმით, რომ ხშირ შემთხვევაში მათი ერთგვარი შინაარსობრივი მსგავსობის გამო 388-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე საქმეს განზრახ ღზრავენ 389-ე მუხლით. ხოლო გამოძიების დამთავრებისა თუ სასამართლო განხილვის სტადიაზე სცვლიან მას 388-ე მუხლით და ამგვარად ხშირად ხდიან მას სპეკულაციის საგნად. ამიტომაც, ერთი რომელიმეს მიმართ მსჯელობა მეორის გარეშე, – არასრულ წარმოდგენას შეგვიქმნიდა.

აღნიშნულ დანაშაულში მხილებულ პირთა დაცვას ვერ შესძლებს იურისტი, თუ იგი სათანადოდ ვერ ერკვევა სამხედრო ნაწილების სტრუქტურებსა და სამხედრო მოსამსახურეთა (ჯარისკაცთა) ყოველდღიური ცხოვრების შესაძლო ნიუანსებში, რამაც პრინციპში მაიძულა დამენერა მოცემული ნაშრომი.

როგორც ყველა კატეგორიის, ისე ზემოხსენებულ დანაშაულთა სისხლის სამართლის საქმეთა სრული წარმოება ეფუძნება ოთხ ძირითად შემაჯამებელ გადანყვეტილებას. კერძოდ: საქმის აღძვრის დადგენილებას, პირის ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის დადგენილებას, საბრალდებო დასკვნასა და განაჩენს. თითოეული მათგანი გარკვეულ გარემოებათა დამამტკიცებელ საბუთებსა და წინამდებარე შემაჯამებელ გადანყვეტილებებს ეფუძნება, ამასთან ერთად, ერთიმეორისაგან მომდინარეობენ, და გამოხატავენ დანაშაულებრივ ფაქტისა და ბრალეულობის სულ უფრო და უფრო მაღალ დამაჯერებლობით ხარისხს. ამდენად, თითოეული შემაჯამებელი გადანყვეტილება სამართალწარმოების დამოუკიდებელ ეტაპს აგვირგვინებს. ნებისმიერი მათგანის გაუქმება შესაძლოა მხოლოდ მათ საფუძველთა (მოკვლევის მასალების, პროცესუალური აქტების და სხვა კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებათა) – გაბათილებით. წინამდებარე შემაჯამებელ დადგენილების გაუქმება კი ავტომატურად იწვევს მომდევნო, ანალოგიური ხასიათის დოკუმენტების იურიდიული ძალის დაკარგვას, რაც უკანონოდ პასუხისგებაში მიცემულ

პირის სასჯელისაგან ხსნის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს და აქეთკენ უნდა იყოს მიმართული ადვოკატის ყურადღებაც, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ეტაპზეა დაშვებული იგი საქმეში.

ამის შესაძლებლობას იძლევა მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 7-ე მუხლის 5-6 პუნქტები; 10-ე მუხლის 4-ე პუნქტი; III-ე, 132-ე, 468-ე და სხვა მუხლები.

არსებობს დაცვის სხვა ფაქტორები და მეთოდებიც, მაგრამ ყველა შემთხვევაში ისინი მაინც აღნიშნულ შემაჯამებელ დოკუმენტთა გაბათილებისაკენ უნდა იყოს მიმართული.

თითოეული შემაჯამებელი „დოკუმენტი“ ადვოკატმა არა-რაობად რომ აქციოს, იგი უნდა ერკვეოდეს მის კანონიერებაში, უარყოს პროცესუალური ნორმების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები, რომლებიც დაედო საფუძვლად. ასევე იცოდეს სამხედრო ნაწილებსა და სამართალწარმოების სფეროში არსებული „მანკიერებანი“, რათა გაიგოს, ხომ არ იქნენ „ისინი“ გამოყენებულნი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიმართ

როგორც 388-ე, ისე 389-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებათა შემთხვევების დროს საქმის აღძვრის დადგენილების საფუძველს წარმოადგენს:

მოკვლევის მასალები, – რომლებსაც სამხედრო ნაწილის მეთაური უგზავნის სამხედრო პროკურატურას. როგორც წესი, შესდგება სამხედრო ნაწილის მეთაურის მიმართვის, ბატალიონის (ან ცალკეული ასეულის) – მეთაურის პატაკის, შედგენილი სამხედრო ნაწილის მეთაურის სახელზე სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო ნაწილის თვითნებურად დატოვების, დროზე გამოუცხადებლობისა ანდა დეზერტირობის ფაქტურეაგირებისათვის; ბატალიონის მეთაურის სახელზე ასეულის მეთაურის პატაკი მომხდარის შესახებ ცნობისათვის; ასეულის ზემდეგის, ოცმეთაურის, ათმეთაურის ან კიდევ ორი-სამი სხვა სამხედრო მოსამსახურის პატაკების ანდა ახსნა-განმარტებებისაგან სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო ნაწი-

ლის თვითნებურად დატოვებისა და დეზერტირობის შესახებ; „დამნაშავე“ სამხედრო მოსამსახურის სამხედრო ნაწილში ჩარიცხვისა და კმაყოფიდან მოხსნის ბრძანებების ასლების, სამსახურეობრივი დახასიათების; სამხედრო ნაწილში ბარათის; სამხედრო ბილეთის; სამსახურეობრივი ბარათის და მის შესაძლო გამოძახებების მიმართვებისაგან, რომელთა ნაწილიც ხშირ შემთხვევაში გაყალბებულია.

„ბოროტმოქმედი სამხედრო მოსამსახურის“ ან მისი ახლობლების ახსნა-განმარტება, როგორც წესი, არ ერთვის. თუ გამოცდილებიდან და საერთო პრაქტიკიდან ამოვალთ არცერთ ზემოხსენებულ დოკუმენტს სათანადო მოთხოვნილების დაცვითა და ხარისხით არ ადგენენ. ამასთანავე, არცერთი ხსენებული დოკუმენტი 388-ე თუ 389-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულების უშუალო დამამტკიცებელ საბუთად მიჩნევა არ შეიძლება. რამდენადაც ასეთად უპირველეს ყოვლისა მისაღებია „ბოროტმოქმედ სამხედრო მოსამსახურის“ ასეულის პირადი შემადგენლობის საღამოს შემოწმების ყურნალი, სადაც ყოველდღიურად აღირიცხებოდა მათი მოძრაობა და სამხედრო ნაწილის მეთაურის ბრძანებების წიგნი, რომელიც ინახება სამხედრო ნაწილის სამწყობრო ნაწილში.

სამხედრო ნაწილის, ბატალიონისა თუ ასეულის მეთაურები ყველა ღონეს ხმარობენ, რომ აღნიშნული „ყურნალი“ და „ბრძანების წიგნი“, პროკურატურის მუშაკებს და სხვა პირებს ხელში არ ჩაუვარდეთ. თუმცა, როგორც წესი, გამომძიებლები, ისე როგორც მოსამართლეები ამ „წიგნებს“, არ ითხოვენ და მათ ყურადღებით არ ეცნობიან. კმაყოფილებიან მხოლოდ წარდგენილი მასალებით. მოთხოვნის შემთხვევაში კი მეთაურები „მათ“ ანადგურებენ ანდა მალავენ. მიზეზი კი ისაა, რომ საღამოს შემოწმების ყურნალში მთლიანადაა მოცემული ასეულის ყოველდღიური რეალური მონაცემები, თუ სად იყო თითოეული სამხედრო მოსამსახურე არა თუ იმ დღეს – ნაწილში ჩარიცხვიდან დღემდე, კერძოდ განწესში, ჰოსპიტალში, შვებულებაში,

თვითდათხოვნაში, ჰაუპტვახტში, ადგილზე თუ სხვაგან. მისით ფაქტობრივად შეიძლება ნებისმიერი ჯარისკაცის განვლილი სამსახურეობრივი გზის დადგენა. ამასთანავე შეიძლება დადგენა მეთაურები ვის როგორ ეპყრობოდნენ, ვის უფრო ხშირად აგზავნიდნენ განწესში, ვის „ინახავდნენ“ „თბილ ადგილებში“, სულ რამდენი დეზერტირი თუ სამხედრო ნაწილის სხვა მოტივით თვითნებურად მიმტოვებელი ჰყავთ და რამდენ მათგანზეა გადაგზავნილი მასალები პროკურატურაში და თუ გადაგზავნეს, დროზეა თუ არა ისინი გადმოგზავნილი და სხვ., რაც, საერთო ჯამში, მრავალკითხვას ბადებს და თავადვე იძლევა მათზე პასუხს.

ხშირ შემთხვევაში პროკურატურაში გადაგზავნილ მასალებში აღნიშნულ სამხედრო ნაწილის მიტოვების დღე არ ემთხვევა ჟურნალის მონაცემებს. როგორც წესი, აღნიშნული დანაშაულების შესახებ პროკურატურას უგზავნიან დიდი ხნის მოგვიანებით, რამდენიმე თვის შემდეგ ან ედავებიან თვითდათხოვნაში მყოფს ბოლო პერიოდზე, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მეთაურები გარკვეულ სარგებელს – ელოდნენ ამ სამხედრო მოსამსახურისაგან დანაშაულის დაფარვის სანაცვლოდ. მიუღებლობის ან ასეთის მიცემის შეწყვეტის შემთხვევაში კი ჯარისკაცს აძლევენ პასუხისგებაში. აღნიშნულ კატეგორიათა დანაშაული ხშირ შემთხვევაში თავად მეთაურთა მიერაა ინსცენირებული.

რაც შეეხება „ბრძანების წიგნის“ წარუდგენლობას, ამის მიზეზია ის, რომ ზემოხსენებულიდან გამომდინარე, თვითდათხოვნაში თუ დეზერტირობაში მყოფ ჯარისკაცის კმაყოფიდან მოხსნის ბრძანებას აფორმებენ მოგვიანებით, მაგრამ უკანარიცხვით, რაც ნათლად ჩანს ბრძანების წიგნში, ან საერთოდ არ აფორმებენ ასეთ ბრძანებებს სურსათისა თუ სხვა ფასეულობების დატაცების მიზნით და პროკურატურაში აგზავნიან უსაფუძვლო „ამონაწერებს“, რაც გადამონმებას უდაოდ საჭიროებს.

ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, ადვოკატმა უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები, რომ მოიპოვოს აღნიშნული „სალამოს შემონმების ჟურნალი“, და „ბრძანების წიგნი“ შესაბამისი პერიოდების ქსეროასლები. უუკიდურეს შემთხვევაში, საქმის მწარმოებელ პირს გამოათხოვნიოს ისინი.

ხშირ შემთხვევაში სამხედრო გამომძიებელი მიღებულ მასალებს გადამონმებას არ უკეთებს და მათ საფუძველზე პირდაპირ აღძრავს ხოლმე სისხლის სამართლის საქმეს. ამასთანავე, შესაბამის დადგენილებაში უჩვენებს მხოლოდ „განვიხილე სამხედრო ნაწილიდან გადმოგზავნილი მასალები ამა და ამ პირის მიმართ“, რომელიც ამა და ამ დროს ჩაირიცხა სამხედრო ნაწილში და ამა და ამ დროს მიატოვა სამხედრო ნაწილი სამსახურისაგან თავის არიდების მიზნით. ვიხელმძღვანელებ რა ამა და ამ მუხლებით, დავადგინე: აღიძრას სს საქმე საქ. სსკ 388-ე ან 389-ე მუხლით“. ანუ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დადგენილებებს ადგენენ მარტივად, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, არ უჩვენებენ მათში, თუ რამ განაპირობა სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო ნაწილის მიტოვება თუ გამოუცხადებლობა, რამდენადაც, როგორც წესი, არამართო არ მოიპოვება მოკვლევის მასალებში აღნიშნული ინფორმაცია, არამედ არც აინტერესებთ მათ იგი. რამეთუ გამომძიებლის ძირითად მიზანს შეადგენს გაურთულოს საქმე სამხედრო ნაწილის „მიმტოვებელს“ თავის დაზღვევისა თუ ქრთამის გამოძალვის მიზნით. ამ უკანასკნელის საფუძველზე კი გამომძიებელი საქმეს თუ ვერ წყვეტს, თუმცა წინასწარ გამოძიების სტადიაზე „დამნაშავეს“ პირდება არასაპატიმრო განაჩენის გამოტანას, ან უფრო მსუბუქ მუხლზე გადასვლას სასამართლოში. მიუხედავად თავისი უკანონო ქმედებისა, რომ მაინც მას გამოძალოს რაიმე თანხა ქრთამის სახით. ჯარისკაცსაც სჯერა მისი და შემდგომ იგიც “აღიარებს” რომ ვითომდა მართლაც მან ჩაიდინა წაყენებული ბრალდება და თავის მართლებას აღარ ცდილობს. ამასთანავე დამცველზეც უარს აცხა-

დებიინებენ.

აღნიშნული კატეგორიის საქმეები მარტივ წარმოებადია და მათ ხარჯზე პროკურატურის სტატისტიკური მაჩვენებლები საკმაოდ იზრდება. ამ დროს სულაც არ დაგიდევენ საქმეების ობიექტურად გამოძიებასა და გადანყვეტას. სერიოზულ სამეურნეო საქმეებს კი საერთოდ ხელს არ კიდებენ და შეჩერებული აქვთ სხვადასხვა მონაგონი მიზეზით, უფრო მეტად კი ამ კატეგორიის საქმეებზე დრო რომ არ დაკარგონ და ჯიბეები გაისქელონ, მუშაობენ სადეზერტირო საქმეებზე.

საქმის აღძვრის დადგენილების კანონიერების შემოწმებისას ადვოკატმა ყურადღება უნდა დაუთმოს:

1) სამხედრო ნაწილისა თუ სამსახურის თვითნებურად დამტოვებელი თუ დეზერტირი, განწვეულია თუ არა სამხედრო სამსახურში „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ კანონის“ 21-ე მუხლის შესაბამისად; ხომ არ ექვემდებარებოდა იგი განწვევისას განთავისუფლებას – ამავე კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად; განწვევის გადავადებას – 30-ე მუხლის შესაბამისად; სამხედრო სამსახურისაგან დათხოვნას – 37-ე მუხლის შესაბამისად ან 2000 წლის 28 დეკემბრის ამინისტრაციის კანონის თანახმად რეზერვში ჩარიცხვას (ხსენებული კანონის 461 მუხლით).

1.29-ემუხლის თანახმად – განწვევისაგან თავისუფლდება:

„ა) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად ცნობილი პირი;

ბ) პირი, რომელმაც სამხედრო სამსახური სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალებში გაიარა;

გ) პირი, რომელიც სისხლის სამართლის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის არის ნასამართლევნი.

დ) პირი, რომელიც გადის არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურს;

ე) ასპირანტი;

ვ) პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს სამეცნიერო ხარისხი და ეწევა პედაგოგიურ ან სამეცნიერო მუშაობას;

ზ) ერთადერთი ვაჟი ოჯახში, რომლის ერთი წევრი მაინც დადილა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში ან სამხედრო სამსახურის გავლისას.

2) საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია გაანთავისუფლოს სამხედრო ვალდებულების მოხდენისაგან განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული წვევამდელი“.

2.30-ე მუხლის თანახმად – განწვევა გადაევადა პირს, თუ:

„ა) ჯამრთელობის მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურის გავლისათვის დროებით უვარგისად არის ცნობილი – ვადით ერთ წლამდე;

ბ) მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე – სამართალდამცავი ორგანოების მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე;

გ) არის უმაღლესი ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის სტუდენტი და სამხედრო სწავლებას გადის შესაბამის სამხედრო კათედრაზე – სასწავლებლის დამთავრებამდე;

დ) არის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი და არ გადის სამხედრო მომზადებას სამხედრო კათედრაზე ან საზღვარგარეთ იმყოფება სასწავლებლად სწავლის დამთავრებამდე, ერთჯერ 24 წლის ასაკამდე;

ე) არის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო, დაწყებითი, პროფესიული ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის მოსწავლე – 20 წლის ასაკამდე;

ვ) პატრონობს შრომისუნარო, მის კმაყოფაზე მყოფ ბებიას ან პაპას, თუ მას არ ჰყავს სხვა კანონიერი მომვლელი, რომელსაც შეუძლია მისი მოვლა – პატრონობა;

ზ) ჰყავს 20 და მეტი კვირის ორსული ცოლი;

თ) ჰყავს ერთი და მეტი შვილი;

ი) მის კმაყოფაზეა ოჯახის შრომისუუნარო წევრი, რომელიც საჭიროებს მუდმივ მზრუნველობას და არა ჰყავს სხვა კანონიერი მომვლელი, რომელსაც შეუძლია მისი მოვლა-პატრონობა;

კ) მის კმაყოფაზეა ოჯახის შრომისუუნარო წევრი, რომელიც საჭიროებს მუდმივ მზრუნველობას, ჰყავს ცალკე ოჯახად მცხოვრები და, რომელსაც არ შეუძლია ოჯახის შრომიუუნარო წევრის მოვლა-პატრონობა;

ლ) მი კმაყოფაზეა არასრულწლოვანი ანდა ორსული დამა;

მ) არის მღვდელთმსახური ან სწავლობს სასულიერო სასწავლებელში;

ნ) არის დედისერთა;

ო) მუშაობს სოფელში მასწავლებლად ან ექიმად;

პ) განვევის გადავადების უფლება ეძლევა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

2. თუ წვევამდელი განვევის დღისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულია, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, მას სამხედრო სამსახურში განვევა გადაევადება არჩევნების შედეგების დამტკიცებამდე. საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შემთხვევაში იგი თავისუფლდება სამხედრო ვალდებულების მოხდისაგან.

3) 37-ემუხლის თანახმად – სამხედრო სამსახურისაგანდა თხოვნას ექვემდებარება;

„1. ვადიანი სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნა ხდება კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით დადგენილი ვადების გასვლის შემდეგ“.

ეს პუნქტებია:

განვევით ვადიანი სამხედრო სამსახურის გამვლელისათვის – 24 თვე;

ა) უმაღლესი განათლების მქონე განვევით ვადიანი სამხედრო სამსახურის გამვლელისათვის – 12 თვე;

სამხედრო სამსახურის დანყების დღედ ითვლება სამხედრო ნაწილის პირად შემადგენლობაში ან შესაბამის სამხედრო უწყების სამხედრო სამსახურში ჩარიცხვის დღე.

სამხედრო სამსახურის დამთავრების დღედ ითვლება კანონით დადგენილი სამხედრო სამსახურის ვადის გასვლისა და სამხედრო ნაწილის პირადი შემადგენლობის სიიდან ამორიცხვის დღე“ (მუხ. 32).

4) 2000 წ. 28 დეკემბრის ამინისტრის კანონის თანახმად რეზერვში ჩაირიცხებიან (მუხ.461).

„1. აღნიშნული კანონის საფუძველზე ამინისტრირებული პირები, გარდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში 2000 წელს განვეული ან გასანვევი პირებისა, არ მოიხდიან სამხედრო ვალდებულებას და ჩაირიცხებიან რეზერვში.

2. სამხედრო სავალდებულო სამსახურში 2000 წელს განვეული ან გასანვევი პირები, რომლებიც „ამინისტრის შესახებ“ კანონის საფუძველზე არიან ამინისტრირებულნი და რომელთა მიმართაც არსებობს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან მიმდინარეობდა საქმის სასამართლოში განხილვა, არ მოიხდიან სამხედრო ვალდებულებას და ჩაირიცხებიან რეზერვში.

3. „ამინისტრის შესახებ“ კანონის საფუძველზე ამინისტრირებული სამხედრო მოსამსახურეები ამორიცხებიან ან სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის პირადი შემადგენლობის სიიდან“.

5. „საქართველოს სამხედრო ძალებში ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ“, რომელიც წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1996 წ. №360 ბრძანების დანართს

დაძალაშია 1997 წლის 1 თებერვლიდან, –ჯამრთელობის მდგომარეობის გამო განწვევისაგან თავისუფლდებიან პირები, თუ დაავადებულნი არიან;

1. სუნთქვის ორგანოების (ფილტვების, ბრონქების, მკერდშიდა ლიმფური კვანძების, პლევრის) – აქტიური მიკრობაქტერიების გამოყოფის ან რღვევის ფაზის ტუბერკულოზით;

2. გულ-მკერდგარეთა (ფილტვგარეთა) ლოკალიზაციის ტუბერკულოზის (პერიფერიული და ჯორჯლის ლიმფური კვანძების, პერიკარდის მუცლის ფარის, ნაწლავების, ძვლებისა და სახსრების, შარდსასქესო ორგანოების, თვალის კანისა და სხვა ორგანოების) – აქტიური განვითარებით;

3. კეთრით;

4. დაავადებით, რომელიც გამონწვეულია ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით (“ აივ“) – შიდსით, „აივ“ – ინფიცირებულია;

5. მესამეული თანდაყოლილი სიფილისით;

6. რადიკალური ამოკვეთის შეუძლებლობის და შორეული მეტასტაზების ყველა ლოკალიზების მქონე ავთვისებიანი ახალწარმონაქმნებით, გარდა ნერვიული თვისების სიმსივნეებისა;

7. ლიმფოდური, სისხლმზადი და მონათესავე ქსოვილების (ლიმფომიელო რეტიკულოსარკომები, ლეიკოზები, ლიმფოგრანულომატოზი) ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების, პარაპროტეინემიური ჰემობლასტოზების ისეთი სახეებით, როგორიცაა:

ა) სწრაფად განვითარებადი, აგრეთვე თანდათანობით განვითარებადიმნიშვნელოვანი ცვლილებებით სისხლის შემადგენლობაში და პერიოდული გამწვავებით;

ბ) თანდათანობით განვითარებადი სისხლმზადი სისტემის ფუნქციის ზომიერი მოშლილობით და იშვიათი გამწვავებით;

გ) სხივური და ციტოსტატიკური მკურნალობის შემდგომი მდგომარეობით;

8. კეთილთვისებიანი ახალწარმონაქმნების მქონე სიმსი-

ვნით (გარდა ნერვიული სისტემის სიმსივნეებისა), რომელსაც გამონწვეული აქვს ფუნქციის მნიშვნელოვანი დარღვევა;

9. სისხლისა და სისხლმზად ორგანოთა დაავადებების (ანემიები, სისხლის შედედების დარღვევები, პურპურა და სხვა ჰემორაგიული მდგომარეობით, სისხლის და სისხლმზად ორგანოთა დაავადებები) – სწრაფად განვითარებადი ფუნქციის მნიშვნელოვანი დარღვევითა და თანდათანობით განვითარებადი სისხლის შემადგენლობის მნიშვნელოვანი ცვლილებებითა და პერიოდული გამწვავებებით;

10. ახლომდებარე ორგანოების ფუნქციის დარღვევის გამომწვევი ენდოკრინული დაავადებებით, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის მოშლილობებით, ჩიყვით (მარტივი ჩიყვით, არატოქსიური კვანძოვანი ჩიყვით) ;

11. ფუნქციის მნიშვნელოვანი დარღვევის მქონე ფარისებრი ჯირკვლის, სხვა ენდოკრინული ჯირკვლების დაავადებით, კვების მოშლილობით, ნივთიერებათა ცვლის და სხვა დარღვევით (თირეოტოქსიკოზი), თირეოდიტებით, ჰიპოთირეოზით, შაქრიანი დიაბეტით, პარაფარისებრი ჯირკვლების, თირკმლისზედა ჯირკვლების დაავადებებით, ჰიპოვიტამინოზებით, ნიკრისის ქართ, სიმსუქნით);

12. თავის ტვინის ორგანული დაზიანებით გამონწვეული ფსიქოტიური და არაფსიქოტიური მოშლილობებით, რასაც თან ახლავს მკვეთრად გამოხატული მყარი ფსიქიური დარღვევები.

13. შიზოფრენიითა და ხშირად განმეორებადი ფაზების მქონე აფექტური ფსიქოზით;

14. სიმპტომატური ფსიქოზებითა და ეგზოგენური ეთიოლოგიის სხვა ფსიქიკური მოშლილობებით გამონწვეული მკვეთრად გამოხატული მყარი ფსიქიური დარღვევებით;

15. რეაქტიული ფსიქოზებითა და ნერვოზული მოშლილობებით გამონწვეული მკვეთრად გამოხატული, მყარი ავადმყოფური გამოვლინებებით;

16. მკვეთრად გამოხატული განმეორებითი ხანგრძლივ დეკომპენსაციებთან ან პათოლოგიურ რეაქციებთან მიდრეკილებით გამოწვეული პიროვნული მოშლილობებით;

17. ქრონიკული ალკოჰოლოზმით, ნარკომანიითა და ტოქსიკომანიით გამოწვეული მკვეთრად გამოხატული, მყარი ფსიქიური დარღვევებით;

18. გონივრული განუვითარებლობის ნებისმიერი ფორმებით, მათ შორის მკვეთრად გამოხატულ ხარისხში – დებილობით;

19. ეპილეპსიით, თუ მას თან ახლავს ხშირი შეტევები ან გამოხატული ნერვიული დარღვევებით;

20. ფუნქციის მნიშვნელოვანი დარღვევის ან განვითარების სწრაფი ტემპის მქონე ცენტრალური ნერვიული სისტემის ინფექციური, პარაზიტული ან ვირუსული დაავადებებით, მათი შედეგებით. ასევე, თავისა და ზურგის ტვინის ზოგადი ინფექციებით, მწვავე და ქრონიკული ინტოქსიკაციების დროს გამოწვეული დაზიანებით ან მათი შედეგებით;

21. თავისა და ზურგის ტვინის ტრამევებით და მათი შედეგებით, გარეშე ფაქტორებით ცენტრალური ნერვიული სისტემის დაზიანებათა შედეგებით, – რომელთაც მოყვა ფუნქციის მნიშვნელოვანი დარღვევა;

22. თავისა და ზურგის ტვინის სისხლძარღვოვანი დაავადებებით (სუბარაქნოიდული, ტვინშიდა სისხლჩაქცევები, ტვინის ტრანზიტორული იშემია, თავისა და ზურგის ტვინის სისხლძარღვოვან დაზიანებათა შედეგებით), რომელთაც მოყვა ფუნქციის მნიშვნელოვანი დარღვევა;

23. ცენტრალური ნერვიული სისტემის განვითარებადი ორგანული დაავადებებით, ცენტრალური ნერვიული სისტემის მემკვიდრეობითი და დეგენერაციული დაავადებებით (ცერებრალური დეგენერაციებით, პარკინსონის დაავადებებით, სხვა ექსტრაპირამიდული დაავადებებით, სპინოცერებრალური დეგენერაციებით, თავისა და ზურგის ტვინის სიმსივნეებით,

ბავშვთა ცერებრალური სიდამბლით, თანდაყოლილი ანომალიებით (განვითარების მანკებით) და სხვა ნერვული კუნთოვანი დაავადებებით, – თუ მათ მოყვა ფუნქციის მნიშვნელოვანი დარღვევა;

24. ფუნქციის მნიშვნელოვანი დარღვევის მქონე პერიფერიული ნერვული

სისტემის დაავადებით;

25. ფუნქციის მნიშვნელოვანი დარღვევის მქონე პერიფერიული ნერვების ტრამეებით;

26. ქუთუთოების, საცრემლე გზების, თვალბუდის, კონიუნქტივის დაავადებებით გამოხატული ანატომიური ცვლილებებით ან ქუთუთოების, თვალბუდის, კონიუნქტივის მდებარეობის ნაკლოვანებებით ორივე თვალის მხედველობითი ან მამოძრავებელი ფუნქციის მნიშვნელოვანი დარღვევით;

27. სკლერის, რქოვანას, ფერადი გარსისა და ცილიარული სხეულის, ბროლის სისხლძარღვოვანი და ბადისებური გარსების, მხედველობის ნერვის დაავადებებით, თვალშიდა უცხო სხეულით, რასაც მოყვა მკვეთრად გამოხატული მხედველობითი ფუნქციის განვითარებადი დაქვეითება ან ხშირი გამწვავება ორივე თვალზე;

28. არატრავმული ეთიოლოგიის ბადისებური გარსის ჩამოცლითა და გახლეჩვით ორივე თვალზე;

29. ორივე თვალზე განვითარებული და მომდევნო სტადიებში გადასული გლაუკომით;

30. ნებისმიერი თვალის ახლოს მხედველობით ან შორს მხედველობით ერთ-ერთ მერიდიანში 9, 0 დპტრ-ზე მეტი ან ნებისმიერი სახის ასტიგმატიზმით ნებისმიერ თვალზე, რეფრაქციის განსხვავებით ორ ძირითად მერიდიანში 6, 0 დპტრ-ზე მეტით;

31. უსინათლობით ან დაქვეითებული მხედველობით, თუ მხედველობის სიმახვილე ერთ თვალზე 0, 09 და ქვევითაა ან მისი უსინათლობა მეორე თვალის მხედველობის დროს – 0,

3 და ქვევითაა, აგრეთვე თვალის კაკლის არქონით, მეორე თვალის სიმახვილის დროს 0, 3 და ქვევითაა ან მხედველობის სიმახვილე ორივე თვალზე 0, 2 და ქვევითაა;

32. თავბრუსხვევის სინდრომით, ვესტიბულარული აპარატის სხვა დაავადებებით, თუ მას მყარი ან მნიშვნელოვნად გამოხატული ვესტიბულარული მოშლილობა ახასიათებს;

33. სიყრუით ორივე ყურზე ან ყრუ-მუნჯობით;

34. II და III სტადიის სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებით – რევმატიზმით, გულის რევმატიული დაავადებით (რევმატიული პერიკარდი, მიოკარდიტი, მიტრალური, აორტალური და სხვა სარქველების რევმატიული მანკიერებით) ;

არარევმატიული მიოკარდიტებით, ენდოკარდიტებით, მათ შორის ბაქტერიული (ინფექციური) ენდოკარდიტით, გულის სხვა დაავადებებით (კარდიომიოპათიით, გულის რითმის და გამატარიანობის დარღვევით), რომლებიც მიმდინარეობენ სისხლის საერთო მიმოქცევის მოშლით;

35. III სტადიის ჰიპერტონული დაავადებით (ესენციალური ჰიპერტონიით, გულის ჰიპერტონული დაავადებით, თუ მას ერთვის თირკმელებისა და თავის ტვინის სისხლძარღვთა უპირველესი დაზიანებები) ;

36. III ხარისხის გულის იშემიური დაავადებით: პოსტინფარქტული კარდიოსკლეროზით, სტენოკარდიით, გულის იშემიური დაავადებების სხვა მწვავე და ქვემწვავე ფორმებით (კორონალური ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზი, გულის ანევრიზმა), სისხლის საერთო და (ან) კორონარული მიმოქცევის მოშლილობების თანხლებით;

37. ხორხის, ტრაქეის, კისრის ნაწილის დაავადებებით და დაზიანებებით, თუ მათ თან ახლავს სუნთქვისა და სახმო ფუნქციების მნიშვნელოვანი დარღვევები;

38. ფილტვებისა და პლევრის ქრონიკული არასპეციალური დაავადებებით, არატუბერკულოზური ეთიოლოგიის ფილტვების დისემინირებული დაავადებებით, თუ ახლავთ ფუნქციის

მნიშვნელოვანი დარღვევა;

39. მძიმე ფორმებისა და ხშირი გამწვავების მქონე ბროქული ასმით;

40. სუნთქვის, ყნოსვის, ლეჭვის, ყლაპვისა და მეტყველების ფუნქციათა დარღვევის მქონე ყბა-სახის ანომალიებით (განვითარების თანდაყოლილი მანკების გარდა), კბილების და მათი საყრდენი აპარატის სხვა დაავადებებით და მდგომარეობით, ყბების დაავადებით;

41. ფუნქციის მნიშვნელოვანი დარღვევის მქონე კუჭის, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებებით;

42. კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის დაავადებებით (გარდა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებებისა), საჭმლის მომნელებელ ორგანოთა სხვა დაავადებებით, ნაღვლის ბუშტისა და სანაღვლე გზების დაავადებებით, კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადებებით, არაინფექციური ენტერიტით და კოლიტი, კრონის დაავადებით, ღვიძლის ქრონიკული დაავადებით, ღვიძლის ცეროზით, თუ მათ ახლავს ფუნქციის მნიშვნელოვანი დარღვევა;

43. ნაწლავების გაუვალობით, უკანა ტანის ნახეთქებით და ფისტულებით, პოლიპით, სწორი ნაწლავის გამოვარდნით, საყლაპავი მილის, ნაწლავებისა და მუცლის ფარის სხვა დაავადებებით, თუ ახლავთ ფუნქციის მნიშვნელოვანი დარღვევა;

44. თიაქარით (საზარდულის, ბარძაყის, ჭიპის), მუცლის ღრუს სხვა თიაქარებით, თუ ახლავთ ფუნქციის მნიშვნელოვანი დარღვევა;

45. ქრონიკული ეგზემის გავრცელებული ძნელად სამკურნალო ფორმებით, დიფუზიური ნეიროდერმიტი, კანის საფარველის გავრცელებული ლიქენიზაციით, ბუმტუკოვანით, ჰერპეტიფორმული დერმატიტით;

46. ფუნქციის მნიშვნელოვანი, მყარი და გამოხატული ცვლილებების ან ხშირი გამწვავების ზომიერი დარღვევის მქონე ძვალ-კუნთოვანი სისტემისა და შემაერთებელი ქსოვილის

დაავადებით: შემაერთებელი ქსოვილის დიფუზიური დაავადებებით, რევმატიული ართრიტით, ბესტერეევის დაავადებით, კვანძოვანი პერიარტერიტით, ვეგენერის გრანულომატოზით, ფსორიაზული ართროპათიითა და ინფექციასთან დაკავშირებული სხვა ართრიტებით (რეაქციული ართრიტებით) ;

47. ქირურგიული დაავადებებით და მსხვილი სახსრების ხრტილების დაზიანებებით, ოსტეოპათიებით, შექნილი ძვალ-კუნთოვანი დეფორმაციებით (მუხლის სახსრის სახსარშიდა დაზიანებებით, ოსტეომიელიტით, პერიოსტიტით, ძვლების სხვა ინფექციური დაზიანებებით, მადეფორმირებული ოსტიტებით და ოსტეოპათიებით, ოსტეოქონდროპათიებით, სახსრების, ძვლებისა და ხრტილების სხვა დაავადებით), თუ მას ახლავს ფუნქციის მნიშვნელოვანი დარღვევა;

48. ხერხემლის დაავადებებით და მათი შედეგებით (სპონდილოზით და მასთან დაკავშირებული მდგომარეობით, მალთაშუა დისკოების დაავადებებით, ხერხემლის სხვა შექნილი დეფორმაციებით), ფუნქციის მნიშვნელოვანი დარღვევით;

49. ხელის მტევნის და თითების არქონა, დეფორმაციები, დეფექტები, – ფუნქციის მნიშვნელოვანი დარღვევით;

50. ბრტყელტერფიანობითა და ტერფის სხვა დეფორმაციებით, ფუნქციის მნიშვნელოვანი დარღვევით;

51. კიდურების დეფორმაციებით, რომლებიც იწვევენ ფუნქციის დარღვევას ან აძნელებენ სამხედრო ფორმის ტანსაცმლის ან ფეხსაცმლის ტარებას, ფუნქციის მნიშვნელოვანი დარღვევით;

52. კიდურების არქონით;

53. თირკმლების ქრონიკული დაავადებებით (ქრონიკული გლომერულონეფრიტით, ნეფროსკლეროზით, ნეფროზული სინდრომით, პირველადად შეჭმუხნული თირკმელით, თირკმელების ამილოიდოზით, ქრონიკული ინტერსტიციალური ნეფრიტით და სხვა ნეფროპათიებით), რასაც ფუნქციის მნიშვნელოვანი დარღვევა ახლავს;

54. პიელონეფრიტით (მეორადი), ჰიდრონეფრიტით, თირკმლების შარდსანვეთების, შარდის ბუშტის, ურეთრის კენჭებით, თირკმლებისა და შარდსანვეთების სხვა დაავადებებით; ცისტიტით, შარდის ბუშტის სხვა დაავადებებით; არავენერიული ურეთრით, ურეთრის სტრუქტურათი, ურეთრის სხვა დაავადებებით, თუ მათ ახლავს ფუნქციათა მნიშვნელოვანი დარღვევები;

55. მამაკაცის სასქესო ორგანოების დაავადებებით (ჰიპერპლაზიით, წინამდებარე ჯირკვლის ანთებითი და სხვა დაავადებებით; სათესლე ჯირკვლის ნყალმანკით, ორქიტით და ეპიდდიმიტით; ჩუჩის ჰიპერტროფიით, ფიმოზით; სასქესო ასოს დაავადებებით; მამაკაცის სხვა სასქესო ორგანოების დაავადებებით), თუ მათ ახლავთ ფუნქციათა მნიშვნელოვანი დარღვევა;

56. ფუნქციის მნიშვნელოვანი დარღვევის მქონე ორგანოების და სისტემების განვითარების თანდაყოლილი მანკებით;

ქალას ძვლების მოტეხილობებით (ცენტრალური ნერვული სისტემის ორგანული დაზიანების ნიშნების გარეშე (ქალას თალის, სახის ძვლების, მათ რიცხვში ზედა და ქვედა ყბების, ქალას ძვლების სხვა მოტეხილობებით, ქალას ან სახის ძვლების მრავლობითი მოტეხილობები სხვა ძვლების მოტეხილობებთან ერთად), თუ ქალას ღრუში უცხო სხეული აქვს ჩადებული; ქალას თალის ძვლებს გააჩნია მნიშვნელოვანი დეფექტები (20 სმ-ზე მეტი), პლასტიკური მასალით შეუნაცვლებელი; ყბა-სახის მიდამოს დეფექტები და დეფორმაციები, ფუნქციის მნიშვნელოვანი დარღვევით;

58. ხერხემლის, სხეულის ძვლების, ზედა და ქვედა კიდურების მოტეხილობებით (მენჯის, ბეჭისმხრის, სხივისა და იდაყვის ძვლების, ბარძაყის ყელის, ბარძაყის ძვლის, დიდი და მცირე წვივის ძვლების, გოჯების მოტეხილობები, ლულოვანი ძვლების მრავლობითი მოტეხილობები) ფუნქციის მნიშვნელოვანი დარღვევით;

59. გულმკერდის, მუცლის ღრუს შინაგანი ორგანოების და მენჯის ტრავმებით (ტრავმული პნევმო და ჰემოთორაქსით, გულის, ფილტვების, კუჭნაწლავის ტრაქეის, ღვიძლის, ელენთვის, თირკმელების, მენჯის ორგანოების, მუცლის ღრუსა და სხვა ორგანოთა ტრავმებით, მრავლობითი მძიმე ტრავმებით), თუ მათ ახლავთ ფუნქციის მნიშვნელოვანი დარღვევა;

60. კანისა და კანქვეშა ქსოვილების ტრავმებით, ფუნქციის მნიშვნელოვანი დარღვევით;

61. მონამულა სამკურნალო საშუალებებით, ბიოლოგიური სუბსტანციებით, არასამედიცინო დანიშნულების ნივთიერებით, გარეგანი მიზეზებით (რადიაციით, დაბალი, მაღალი ტემპერატურის და სინათლის, ჰაერის ან წყლის მომეტებული წნევის ან სხვა გარეგანი მიზეზების ზემოქმედებით), რასაც ფუნქციის მნიშვნელოვანი დარღვევა მოყვა;

6. იმავე თავდაცვის მინისტრის №360 ბრძანების თანახმად, სამხედრო განვევისაგან გადავადებას 1 წლის ვადით ექვემდებარებიან პირები, რომლებიც დაავადებულნი არიან;

1. ნაწლავური ინფექციებით, ბაქტერიული ზოონოზებით. სხვა ბაქტერიული დაავადებით, რომლებიც მიმდინარეობენ გამონაყარით; ვირუსული დაავადებით, რომლებიც გადაეცემა ფეხსახსარიანების მიერ. სხვა დაავადებებით, გამონვეული ვირუსების და ქლამიდიების მიერ, რიკეციოზებით და სხვა დაავადებებით, რომლებიც გადაეცემა ფეხსახსარიანების მიერ (გარდა ცენტრალური ნერვული სისტემის ინფექციისა), სხვა ინფექციური და პარაზიტული დაავადებებით, რომელთაც შემდგომ დროებით ფუნქციური მოშლილობები მოჰყავთ;

2. პირველადი, მეორადი და ფარული სიფილისით, გონორით და სხვა ვენერიული დაავადებებით (რბილი შანკარით, ლიმფური ლიმფოგრანულოგრამით, საზარდულის გრანულობით, არაგონოკოკური ურეთრიტებით) ;

3. სოკოებით გამონვეული დერმატოფიტებით (მიკროსპორუმით, ტრიქოფიტონით) ;

4. სისხლისა და სისხლმზად ორგანოთა დაავადებებით (ანემიებით, სისხლის

შედეგების დარღვევებით, პურპურით და სხვა ჰემორაგიული მდგომარეობებით, სისხლისა და სისხლმზად ორგანოთა დაავადებებით), რომელთაც თან სდევს დროებითი ფუნქციონალური მოშლილობები სისხლის არასისტემური დაავადებების შემდეგ;

5. ფარისებრი ჯირკვლის, სხვა ენდოკრინული ჯირკვლების დაავადებებით, კვების მოშლილობებით, ნივთიერებათა ცვლის სხვა დარღვევებით (თირეოტოქსიკოზით, თორეოიდიტებით, ჰიპოთირეოზით, შაქრიანი დიაბეტით, პარაფარისებრი ჯირკვლების, თირკმელზედა ჯირკვლების დაავადებებით, ჰიპოვიტამინოზებით, ნიკრისის ქართ, სიმსუქნით), თუ გააჩნია მწვავე ქრონიკული დაავადებების, გამწვავების ან ქირურგიული მკურნალობის შემდგომი მდგომარეობა დროებით ფუნქციონალური მოშლილობით;

6. ფსიქოტიური და არაფსიქოტიური მოშლილობებით გამონვეული თავის ტვინის ორგანული დაზიანებით, რასაც მსუბუქი ავადმყოფური გამოვლინებები ერთვის;

7. სიმპტომატური ფსიქოზებით და ეგზოგენური ეთიოლოგიის სხვა ფსიქიური მოშლილობებით, რასაც ზომიერად გამოხატული, გახანგრძლივებული ასეთენური მდგომარეობა ერთვის.

8. რეაქტიული ფსიქოზებით და ნევროზული მოშლილობებით, რასაც ზომიერად გამოხატული ხანმოკლე ავადმყოფური გამოვლინებები მსუბუქი ასთენიის გამოსავლით ერთვის;

9. დროებითი ფუნქციონალური მოშლილობებით გამონვეული მწვავე ქრონიკული დაავადებების გამწვავების, ცენტრალური და პერიფერიული ნერვიული სისტემის ტრავმების და მათი ქირურგიული მკურნალობის სედეგად.

10. მხედველობის ორგანოს დროებითი ფუნქციონალური მოშლილობებით, გამონვეული მწვავე, ქრონიკული დაავადე-

ბების გამწვავების ან ქირურგიული მკურნალობის შედეგად, ყურისა და დვრილისებრი მორჩის დაავადებით;

11. ყურის დვრილისებრი მორჩის დროებითი ფუნქციონალური მო

შლილობებით, გამონვეული მწვავე ქრონიკული დაავადებების გამწვავების, ტრავმისაგან ქირურგიული მკურნალობის შედეგად;

12. სისხლის მიმოქცევის სისტემის გადატანილი, მწვავე, გამწვავებული ქრონიკული დაავადებებით, ქირურგიული მკურნალობის სემდგომი დროებითი ფუნქციონალური მოშლილობებით;

13. ქირურგიული მკურნალობის შემდგომი სუნთქვის ორგანოების მწვავე და ქრონიკული დაავადებების გამწვავების დროებითი ფუნქციონალური მოშლილობებით;

14. საჭმლის მომნელებელი ორგანოების მწვავე, ქრონიკული დაავადებების გამწვავების, ქირურგიული მკურნალობის შემდგომი დროებითი ფუნქციონალური მოშლილობებით;

15. დროებითი ფუნქციონალური მოშლილობებით გამონვეული ძვალ-კუნთოვანი სისტემის შემართებელი ქსოვილის დაავადებათა, ჭრილობების, ტრავმების, მონამვლების, გარეგანი ფაქტორების ზემოქმედების მკურნალობის შედეგ;

ზემოაღნიშნული დაავადებები, რომლებიც განვევისაგან ათავისუფლებს ახალგაზრდებს ან აძლევს მათ ერთი წლით განვევის გადავადების უფლებას – ამომწურავი და ზუსტია. მაგრამ, საკითხავია, ყოველივე ზემოხსენებულ ინფორმაციას შეიცავს თუ არა მოკვლევის მასალები? პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასეთს იშვიათად თუ აქვს ადგილი, ვინაიდან ბევრ ახალგაზრდას პირდაპირ ქუჩაში იჭერენ და ყოველგვარი სამედიცინო შემონმების გარეშე მიყავთ ჯარში. ასეთ ვითარებაში ადვოკატი ვალდებულია შეხვდეს „ბოროტმოქმედ“ სამხედრო მოსამსახურეს, მის ახლობლებს და მათი მეშვეობით მოიძიოს ავადმყოფობასთან დაკავშირებული ყველა საჭირო მტკიცებუ-

ლება – ამბოლატორიული მკურნალობის წიგნაკი, სამედიცინო წიგნაკი, ავადმყოფობის ისტორია, ამონაწერი და სხვა. პარალელურად, გამომძიებლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა ადგილზე არსებული დაწესებულებებიდან (ლაზარეთი, ჰოსპიტალი, სამხედრო ნაწილის შტაბი) მათი გამოთხოვის შესახებ.

ხშირ შემთხვევაში მოკვლევის მასალებში არსებული ჯანმრთელობის ცნობა შედგენილია დაუსწრებლად, ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე.

ავადმყოფობის გამო ჯარისკაცი აკითხავდა თუ არა ლაზარეთს ანდა მკურნალობდა თუ არა ჰოსპიტალში, ამის დასადგენად უნდა გადამოწმდეს ასეულის შესაბამისი წიგნი და აღნიშნულ დაწესებულებათა ავადმყოფთა მიღების ჟურნალები.

ავადმყოფობაზე ეჭვის არსებობის შემთხვევაში ჯარისკაცმა უნდა გაიაროს შესაბამისი სამედიცინო – საექსპერტო გამოკვლევა და თუ აღმოჩნდება რომელიმე ზემოხსენებული დაავადება, იგი უნდა გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და დათხოვნილი იქნეს ჯარიდან.

II. უნდა ვიცოდეთ მოკვლევის მასალებში არის თუ არა თავად სამხედრო ნაწილის თვითნებურად დამტოვებლისა თუ დეზერტირის ან მათი მშობლების ახსნა-განმარტებები, რომელთა გარეშეც შეუძლებელია წასვლისა თუ გამოუცხადებლობის მიზეზების და სხვა გარემოებათა დადგენა, თუ არა, საგულისხმოა, რომ სახეზე გვაქვს მასალების გადამოწმების გარეშე საქმის აღძვრის ფაქტი. როგორც წესი, ადგილი აქვს ხოლმე სამხედრო ნაწილის მხრიდან ხსნებულ პირთა ახსნა-განმარტებების გარეშე მასალების გადაგზავნას პროკურატურაში.

საკითხავია, ვის მიერაა ხოლმე მიცემული მასალებში არსებული ახსნა-განმარტებები?

ხშირ შემთხვევაში სამხედრო ნაწილის ხემძღვანელობა საქმის სიადვილისა თუ გარკვეულ გარემოებათა დაფარვის მიზნით ვადიან სამხედრო მოსამსახურეების მიერ სამხედრო ნაწილის

თვითნებურად დატოვებისა თუ დეზერტირობის ფაქტზე ახსნა-განმარტებებს ართმევს თავიანთან დაახლოებულ პირებს, რომლებიც შესაძლოა არც კი სცნობდნენ „გაქცეულ ჯარისკაცებს“, ან არ იციან მათი გამოუცხადებლობის მიზეზები.

სამხედრო ნაწილის „მიმტოვებელი“ ჯარისკაცის ვინაობა, ხასიათი, ჯანმრთელობა, ყოფითი, ოჯახური თუ სამსახურებრივი მდგომარეობა, ისე როგორც სამხედრო ნაწილის მიტოვებისა თუ მასში დროზე გამოუცხადებლობის მიზეზები, მისი ახლობლების გარდა შესაძლოა იცოდნენ მისი საწოლით მეზობლებმა, გვერდით მომუშავეებმა, თავისი განვევისა და მხრის წვევამდელებმა, უშუალო მეტაურებმა: ათმეთაურმა, ოცმეთაურმა, ასმეთაურმა, ასმეთაურის მოადგილემ აღმზრდელობით დარგში, ასეულის ზემდეგმა და ლაზარეთის უფროსმა. ამიტომაც, მათი სრულყოფილი ახსნა-განმარტებების გარეშე „დანაშაულებრივი ფაქტის“ გადამონმება უნდა ჩაითვალოს არასრულყოფილად, ხოლო საქმის აღძვრა – ნაადრევად ანუ უკანონოდ. შემდგომ კი, მათი მონმეებად დაკითხვის გარეშე წინასწარი გამოძიების დამთავრება – დაუშვებელია.

III. სამსახურებრივ ბარათს, რომელშიც აღნიშნულია დასჯანხალისება მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

ხშირ შემთხვევაში, თავის მართლებისა თუ მდგომარეობის დამძიმების მიზნით, მეტაურებს მასში ყალბად შეაქვთ ხოლმე „ბოროტმოქმედ“ ჯარისკაცის დასჯისა და ჰაუპტვახტში მოთავსების ბრძანებები, რაც უდაოდ გადამონმებას ექვემდებარება, რამდენადაც აღნიშნულ ჩანაწერებს მოსამართლეები იზიარებენ.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, სამხედრო ნაწილის „მიმტოვებელს“ მეტაურები ედავებიან „მიტოვების“ ბოლო პერიოდზე, ან მოგვიანებით ეპიზოდზე, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ „წესრიგის დამრღვევი“ მანამდე მათ უხდოდა ქრთამს ანდა ელოდებოდნენ მისგან ქრთამის შეთავაზებას, ხოლო როცა არ მიიღებენ ქრთამს, მოგვიანებით გაგზავნიან მასალებს პრო-

კურატურაში. ამავე მიზეზით პროკურატურაც მოგვიანებით აღძრავს ხოლმე საქმეს. საქმის გამოძიების ყველა ეტაპზე მისი მწარმოებელი პირი ელოდება ქრთამს და როდესაც მას ვერ ღებულობს, საქმეს აძლევს მსვლელობას. თუმცა პროკურატურა ამ მიზანს გასდევს განაჩენის დადგენამდეც მოსამართლეებთან შედის დანაშაულებრივ გარიგებაში და ჯარისკაცისაგან მიღებულ ქრთამს უყოფს მოსამართლეს. აღნიშნული ეტაპების მიხედვით ვადების დარღვევა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ხშირად იგი ითვლის თვეებს. ეს მაშინ, როდესაც საქ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 165-ე 4-ე პუნქტის თანახმად, „ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განხილული“. სამხედრო ნაწილის მეთაური, როგორც მოკვლევის ორგანო, ვალდებულია მანვე გაუწიოს რეაგირება დანაშაულებრივ ფაქტს, როგორც კი მისთვის ხდება ცნობილი. ხოლო სამხედრო გამოძიებელი, არაუგვიანეს 20 დღისა მასალების მიღებიდან ვალდებულია გამოიტანოს საქმის აღძვრის ანდა აღძვრაზე უარის თქმის დადგენილება ან კიდევ გადააგზავნოს მასალები ქვემდებარეობის მიხედვით.

თუ აღნიშნული ვადის დარღვევითაა გამოტანილი საქმის აღძვრის დადგენილება, მაშინ საპროცესო კოდექსის 7-ე მუხლის 5-ე პუნქტისა და 216-ე მუხლის თანახმად, იგი ბათილადაა საცნობი, თუმცა ამაზე არასოდეს წავა თავად პროკურატურა, მაგრამ ეს ყურადსაღებია.

ბრალდებულის სახით პირის პასუხისმგებლობაში მიცემის დადგენილების კანონიერების შემოწმებისას გასათვალისწინებელია:

1. ამ დადგენილების გამოტანამდე დაკითხულია თუ არა მოწმის სახით ის პირები, ვის ახსნა–განმარტებებსაც განსაკუთრებულ ყურადღებას ვანიჭებთ საქმის აღძვრამდე – ათმეთაური, ოცმეთაური და ა. შ. თუ ასეთს არ აქვს ადგილი დაუყოვნებლივ

უნდა მოვითხოვოთ და დაკითხვასაც დავესწროთ. დავუსვათ შეკითხვები დანაშაულის ჩადენის მიზეზების, გარემოებებისა და სხვა, საქმისათვისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესახებ.

ხშირ შემთხვევაში გამომძიებლები იფარგლებიან სამხედრო ნაწილიდან გადაგზავნილ პატაკებისა და ახსნა-განმარტებების ავტორების დაკითხვებით, ან აღნიშნული მასალებიდან იციან რა მათი ანკეტური მონაცემები, მათი ხელმოწერების გაყალბებით ადგენენ „პატაკებისა თუ ახსნა-განმარტებების“ ანალოგიური შინაარსის მქონე დაკითხვის ოქმებს და სხვა მასალებს. რის გამოსავლენადაც საჭიროა მოკვლევის მასალებში არსებული და დაკითხვის ოქმებზე დასმული ხელმოწერების ერთიმეორესთან შედარება.

2. დადგენილია თუ არა სამხედრო ნაწილის თვითნებურად დამტოვებული პირის პირადული და ოჯახური მდგომარეობა, რის გამოც ჩვენს მიერ ზემოხსენებული კანონები ათავისუფლებენ მას სამხედრო სამსახურიდან ან განწვევის გადავადების შესაძლებლობას აძლევს. თუ არა, – მიღებული იქნეს ზომები მის დასადგენად.

3. ბრალის დადგენა დასტურდება თუ არა საქმეში არსებული მტკიცებულებებით და რამდენად საიმედოა არიან ისინი იურიდიული თვალსაზრისით. ხშირ შემთხვევაში ახსნა-განმარტების ჩამორთმევის დროს გამომძიებლები მათ ავტორებს ხელს აწერინებენ მოწმის დაკითხვის ოქმის ცარიელ ბლანკებზე, რაც ტექსტისა და ხელმოწერების სხვადასხვა შეფერილობისა და დანოლის სხვაობაში ვლინდება. ჩგაყალბების გამოვლენის შემთხვევაში არსებითად დაიკითხნენ ისინი ადვოკატის თანდასწრებით.

4. დანაშაულებრივი ქმედება სწორად არის თუ არა კვალიფიცირებული? როგორც წესი, ერთ თვეზე მეტი დროით სამხედრო ნაწილის მატოვების ყველა შემთხვევაში, საქმის განზრახ დამძიმების მიზნით ეჭვმიტანილს უფარდებენ დეზერ-

ტირობის 389-ე მუხლს, რაც ყოვლად დაუშვებელია. ჯპირის ამ მუხლით პასუხისმგებლობაში მიცემისათვის სულაც არ არის საჭირო ერთ თვეზე მეტი დროით სამხედრო ნაწილის მიტოვება. მთავარია დადგინდეს მიტოვების მიზანი – ჩაიდინა თუ არა სამხედრო მოსამსახურემ დანაშაული სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდების მიზნით. დადებით შემთხვევაში ნაწილის მიტოვების ხანგრძლივობას აზრი არა აქვს, რაც შეიძლება იყოს ერთ თვეზე ნაკლებიც.

რაც შეეხება სამხედრო ნაწილის თვითნებურად მიტოვებას, რომელიც არ ითვალისწინებს სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდებას საპატიო მიზეზების გარეშე, გათვალისწინებული 388-ე მუხლით, პასუხისმგებლობა დგება მაშინ, თუ ასეთს ადგილი აქვს ორ დღე-ღამეზე მეტი დროით და იგი შეიძლება იყოს ერთ თვეზე მეტი ხანგრძლივობითაც.

არ ერკვევიან რა აღნიშნული მუხლების თავისებურებებში, სამხედრო ნაწილის მიმტოვებელი – 389-ე მუხლით ბრალეული ჯარისკაცები ადვოკატის გარეშე ეჭვმიტანილად თუ ბრალდებულად დაკითხვისას, „აღიარებენ“ ხოლმე დეზერტირობას, – რადგან ვითომდა ერთ თვეზე მეტი დროით ჰქონდათ მიტოვებული სამხედრო ნაწილი, უდაოდ ჩაიდინეს დეზერტირობა.

როგორც 388-ე, ისე 389-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულთა ობიექტური შეფასებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ბრალდებულის სამხედრო ნაწილის თვითნებურად დატოვების, თუ მასში დროზე დაუბრუნებლობის მიზეზებს, რომელიც შეიძლება იყოს მხოლოდ პირადული, ოჯახური ან სამსახურებრივი.

მაგალითად, შვებულებიდან, საავადმყოფოდან თუ სხვა ადგილიდან სამხედრო ნაწილში საპატიო მიზეზებით დროზე დაუბრუნებლობა გვევლინება როგორც ამ მიზეზების ლოგიკური შედეგი და ქმედება არადასჯადია, რის შესახებაც 388-ე მუხლს მინიშნებული აქვს შენიშვნაში.

ასევე, არ ითვლება დანაშაულად კონფლიქტური სიტუა-

ციის გამო სანხედრო ნაწილის დროებითი დატოვება სამხედრო მოსამსახურის მიერ კონფლიქტური სიტუაციის განმუხვების მიზნით. ან, თუ სისტემატური დამცირებით, ცემით, აბუჩად აგდებით და სხვა, სამსახურის ხელისშემშლელი მიზეზებით საშუალებას არ აძლევდნენ ნორმალურად გაეწლო სამხედრო სამსახური და ამ მიზეზების გამო მან მიატოვა სამხედრო ნაწილი. ასეთ შემთხვევებში ბრალდებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებას ექვემდებარება.

ამის მაგალითებს იძლევა სსსრ უმაღლესი სასამართლოს განჩინებები: სამხედრო კოლეგიის, 1989 წლის 15 ივნისის რიგით „კ“-ს მიმართ (იხ. Бюллетень Управления военных трибуналов и Военной коллегии Верховного Суда СССР, М 1989, #1, (133), с. 34-37); 1990 წლის 20 დეკემბრის რიგით „I“ – ს მიმართ (იხ. გივე ბიულეტენი, 1991 №2 [142], გვ. 32, 23); 1989 წლის 13 ივლისის „Aa“-ს მიმართ (იხ. იგივე ბიულეტენი, 1990, №1 [137] გვ. 34, 36). აღნიშნულის შესახებ კომენტარს იძლევა, ასევე, სტატიებითა და სასამართლო პრაქტიკით გამდიდრებული ს. ი. ნიკულინის რედაქციით 2000 წელს გამოშვებული რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები (გვ. 1073, 1077).

საქართველოს სამხედრო პროკურატურის გამომძიებლები ზემოხსენებულს უარყოფენ, და ვისაც თვითნებურად მიტოვებული აქვს სამხედრო ნაწილი, ან თუ დროზე არ არიან დაბრუნებულები – 2 დღიდან ერთ თვეზე მეტი დროის განმავლობაში – როგორც წესი, ყველას პასუხისმგებლობაში აძლევენ ხსენებული მუხლებით.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ „ფულის მქონეზე“ მასალებს სამხედრო ნაწილი პროკურატურაში არ აგზავნის, ხოლო თუ მაინც გააგზავნის პროკურატურა ასეთს პასუხისმგებლობაში არ აძლევს. ხოლო თუ აძლევს, სასამართლოსთან ერთად გამოაქვთ არასაპატიმრო განაჩენი და ქრთამით ჯიბეს ისქელებენ.

5. დაკავება-დაპატიმრების კანონიერება.

ცხადია, ამ საკითხთან დაკავშირებით გამოძიებელმა უნდა იხელმძღვანელოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 133, 141, 142, 143, 144, 145, 146, 149, 151, 153, 154, 155, 159, 160, 161 და 162-ე მუხლებით. დაკავებულის შემონმება უნდა მოხდეს – 12 საათის, ეჭვმიტანილად დაკითხვა – 24 საათის, ბრალდებულად დაკითხვა – 48 საათის, ხოლო აღკვეთის ღონისძიების შეფარდება – 72 საათის განმავლობაში.

ფაქტობრივად კი, ცხოვრებაში აღნიშნული ნორმების უხეშ დარღვევებს აქვს ადგილი. კერძოდ, თუ სამხედრო ნაწილის მიმტოვებელი თუ დეზერტირი ძებნაში არ იყო და ისე დააკავეს, ან თვითონ გამოცხადდა სამხედრო ნაწილში, ან პროკურატურაში. ასეთ ვითარებაში, როგორც წესი, ასეულის მეთაურის ბრძანებით მას ჰაუპტვახტში ათავსებენ სამი დღე-ღამით. ამ ვადის გასვლის შემდეგ მას ბატალიონის მეთაურის ბრძანებით პატიმრობის ვადას უგრძელებენ კიდევ 5 დღე-ღამით, შემდეგ სამხედრო ნაწილის მეთაურის ბრძანებით – კვლავ უგრძელებენ 7 დღე-ღამით. და, ასე, უკანონო პატიმრობაში ყავთ დაკავებული მანამ, სანამ გამოძიებელი არ დაკითხავს მას ეჭვმიტანილად, ბრალდებულად და არ მიიღებს მოსამართლის ბრძანებას მის მიმართ წინასწარ პატიმრობის შეფარდების შესახებ, ან/და მანამ არ მიიღებს „გამოსასყიდს“ (ქრთამს)

ხშირად წინასწარ პატიმრობაში მყოფ ბრალდებულთა ნაწილი ჰაუპტვახტში

ყავთ გამომწყვდეული თვეობით, გამოძიების დამთავრებამდე, ან, სანამ სასამართლო პროცესი არ შედგება. მიზეზი: გამოტყება, საგამოძიებო იზოლაციის სიშორე, ეტაპირებისათვის სანვავის უქონლობა, ან მათივე თხოვნით.

ჰაუპტვახტში კი, ფაქტობრივად, არ გააჩნიათ პატიმრებისათვის გათვალისწინებული საჭირო საყოფაცხოვრებო პირობები, საძილე მონყობილობები და ფარაჯებისამარა პატიმრები ნვანან ცემენტის იატაკზე. ჰაუპტვახტში პატიმრები მეთაურე-

ბისა და თანამოსამსახურეთა გავლენის ქვეშ იმყოფებიან და სიმართლესაც არ ლაპარაკობენ.

აღნიშნულის გამოსავლენად თუ აღსაკვეთად ადვოკატი უნდა შეხვდეს და გაესაუბროს წინასწარ პატიმრობაში მყოფს და მიიღოს შესაბამისი ზომები.

რაც შეეხება ძებნის გამოცხადებას, ხშირ შემთხვევაში მას აწარმოებენ კანონის უხეში დარღვევით. კერძოდ, ჰქმნიან გაყალბებულ გამოძახებებს, უწყებებს და მათ საფუძველზე გამომძიებლები ახერხებენ მოსამართლეებისაგან დაპატიმრების ბრძანების მიღებას, როგორც მიმალვაში მყოფზე. მაშინ როდესაც სამხედრო ნაწილის მიმტოვებელი თუ დეზერტირი საქმის კურსში არ არის, რომ მას იბარებენ ან თუ მის, მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და გამოცხადება სავალდებულოა, ან შესაძლოა იმყოფება მძიმე ვითარებაში.

აღნიშნული სიყალბის მხილება შეიძლება როგორც გასული კორესპონდენციების რეგისტრაციის ჟურნალისა და შესაბამისი ქვითრების დათვალიერებით, ისე პასუხისგებაში მიცემულ პირთა და მათი ახლობლების გამოკითხვით.

ბრალდებულად დაკითხვის დროს, – თუ ადვოკატი ესწრება, იგი ვალდებულია შეკითხვების საშუალებით დაადგინოს ბრალდებულის მიერ სამხედრო ნაწილიდან წასვლის მიზეზები და მიზანი, მისი პირადული, ოჯახური და სამსახურეობრივი მდგომარეობა დეზერტირობის აღიარების შემთხვევაში თუ ერკვევა ინკრინინირებული მუხლის არსში. ამის გაკეთება საჭიროა ასევე ეჭვმიტანილად დაკითხვის დროსაც. ზორივე შემთხვევაში დაკითხვამდე ადვოკატი ვალდებულია შეხვდეს დაცვის ქვეშ მყოფ პირს და ჩამოყალიბდნენ პოზიციებში.

ხშირ შემთხვევაში გამომძიებლები ეჭვმიტანილად ცნობის სტადიაზე პასუხიმგებლობაში მისაცემ ჯარისკაცებს უარს ათქმევენებენ ხოლმე ადვოკატის მომსახურეობაზე იმ მიზნით, რომ თითქოსდა ისინი ვალდებულნი იყვნენ ადვოკატს გადაუხადონ გარკვეული თანხა, რაც არ ეკუთვნით, როგორც

არაფრის მქონეთ, ადვოკატი მათ ვერაფერში დაეხმარება და თავად აკისრებინებენ ხოლმე საკუთარი თავის „დაცვას“. ამ დროს კი მის წინააღმდეგ მუშაობს გამოძიებელი.

ს ა ბ რ ა ლ დ ე ბ ო დ ა ს კ ვ ნ ა – დგება სამოქალაქო კოდექსის 409-ე და 410-ე მუხლების შესაბამისად და იგი შედგება შესავალი, აღწერილობითი სამოტივიზაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან.

შესავალ ნაწილში აღინიშნება ბრალდებულის გვარ-სახელი და მისი ქმედების მაკვალიფიცირებელი მუხლი.

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი მოიცავს დანაშაულის გარემოებას (დანაშაულის ჩადენის ადგილი, დრო, ხერხი, მოტივი, შედეგები და სხვა), მტკიცებულებას, რომლებიც ადასტურებენ ბრალდებულის ბრალეულობას და გარემოებებს, რომლებიც ამძიმებენ და ამსუბუქებენ მის პასუხისმგებლობას; მოსაზრებებს, რომლებიც ბრალდებულს მოჰყავს თავის დასაცავად და მათ გაბათილებას. ყოველივე ეს მითითებული უნდა იყოს ტომებისა და ფურცლების ნომრების მინიშნებით.

სარეზოლუციო ნაწილში ჩამოყალიბებული უნდა იყოს ბრალდებულის პიროვნების ანკეტური მონაცემები და წაყენებული ბრალდების ფორმულირება სისხლის სამართლის კოდექსის მუხლის მითითებით. მას თან ერთვის სასამართლოში გამოძახებულ პირთა სია, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან – ბრალდების დამადასტურებელ და ბრალდებულისა და დამცველის მიერ დასახელებულ პირთა სიისაგან. აგრეთვე, ცნობა საქმის წარმოების შესახებ.

როგორც ჩანს, საბრალდებო დასკვნა ეფუძნება პირის – ბრალდებულის სახით – სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის დადგენილებასა და საპროცესო კოდექსის 110-ე მუხლით გათვალისწინებულ მტკიცებულებებს. სამხედრო ნაწილიდან პროკურატურაში გადაგზავნილი პაკეტები და ახსნა-განმარტებები კი მტკიცებულებათა კატეგორიას არ განეკუთვნება. ხოლო, რაც შეეხება სხვა დოკუმენტებს, ისინი ასეთე-

ბად შეიძლება მიჩნეული იქნეს გამოძიებისა და სასამართლოში მხარეთა მიერ მათი უტყუარობის შემონმების შემდეგ.

საბრალდებო დასკვნის კანონიერების შემონმებისასა, რაც საქმის პარალელური შესწავლით უნდა ხდებოდეს, ადვოკატმა ყურადღება უნდა მიაპყროს შემდეგს:

1. წინააღდეგობის გარეშე არის თუ არა საბრალდებო დასკვნის სამივე ნაწილი ერთმანეთთან შეჯერებული; სარეზოლუციო ნაწილი იმეორებს თუ არა ბრალის დადგენილების შინაარსს; დასაბუთებულია თუ არა წაყენებული ბრალდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით და რამდენად სრულყოფილია ისინი; სწორია თუ არა დანაშაულის კვალიფიკაცია; სწორად აქვს თუ არა შერჩეული აღკვეთის ღონისძიება; ემთხვევა თუ არა საბრალდებო დასკვნაში მოხსენიებულ მტკიცებულებებზე მითითებული საქმის ფურცლის ნომრები საქმეში ფაქტობრივად არსებულს; ხომ არ არის საქმის ფურცლებ

ის ნომრები გადაკეთებული, რომელი ფურცლიდან იწყება და ხომ არ არის იგი გამოწვეული ბრალდებულის მიერ საქმის მასალების გაცნობის შემდეგ საქმეში ახალი, მისთვის უცნობი საბუთების ჩაკვრით; მიცემული აქვს თუ არა საქმეში არსებულ ყველა მტკიცებულებას იურიდიული შეფასება; სასამართლოში გამოსაძახებელ პირთა სიაში ჩართულია თუ არა დაცვის მონმეები; გამოვლენილია თუ არა დანაშაულის წარმომშობი მიზეზები და პირობები, და მიღებულია თუ არა მათ აღსაკვეთად შესაბამისი ზომები.

2. ხომ არ არის ბრალდებულის მიერ საქმის გაცნობის ოქმში წარმოდგენილი მასალების ფურცელთა რაოდენობის მაჩვენებელი ციფრი გადასწორებული. როგორ წესი, ამას აკეთებენ საქმეში დამატებითი მტკიცებულების ჩაკვრის გამო და ხსენებულ ციფრს ზრდიან. უუნდა მოინახოს ასეთი ფურცლები, მათზე არ იქნება ფურცლის ნომრები გადაკეთებული. ხოლო მათ წინ ან შემდგომ ფურცლებზე – კი. ჩამორიცხული არაა მათ ძაფის ადგილას შეჭრილი ჰქონდეთ და ნებოთი იყოს

ჩაკერებული, რაც ადვილად შეიმჩნევა მეორე მხრიდან დათვალიერების გზით.

3. ზემოსხენებულის საფუძველზე ადვოკატმა ბრალდებულის სამართალში მიცემის სტადიაზე უნდა დააყენოს ერთ-ერთი ქვემოხსენებულ შუამდგომლობებიდან ან კომბინირებულად:

1. საქმის შეწყვეტის;
 2. წინასწარ გამოძიებაში დაბრუნების;
 3. მკიცებულებების გამოთხოვის;
 4. აღმკვეთი ღონისძიებების შეცვლის;
 5. დანაშაულის უფრო მსუბუქი კვალიფიკაციით შეცვლის;
 6. სიით გაუთვალისწინებელ მონმეთა გამოძახების;
- და სხვათა შესახებ.

მართალია, ადვოკატს ანლოგიური შუამდგომლობების დაყენება შეუძლია ასევე წინასწარი გამოძიების სტადიაზეც, მაგრამ, რამდენადაც საბრალდებო დასკვნის იურიდიულ შეფასებას ადგილი აქვს სამართალში მიცემის სტადიაზე, ამდენად აუცილებლად მიგვაჩნია ჩვენი ეს მოსაზრება გაზიარებული იქნეს.

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი. საქ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 496-ე მუხლის შესაბამისად გამამტყუნებელი განაჩენი დასაბუთებული უნდა იყოს სასამართლოს სხდომაზე განხილულ საქმეში ქეშმარიტების დამდგენ საკმარის უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობით. დაუშვებელია მისი აგება ვარაუდზე.

ის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში აღინიშნება სასამართლო სხდომაზე დამტიკიცებული დანაშაულებრივი ქმედობა, მისი ჩადენის ადგილი, დრო, ხერხი, ბრალის ფორმა, დანაშაულის მოტივი, მიზანი, შედეგი და მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა და მოტივი, რომლის მიხედვითაც სასამართლომ მიიღო ერთი მტკიცებულება და უარყო სხვა. აღინიშნება ასევე პასუხისმგებლის

შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი. ხოლო, თუ ბრალდების ნაწილი უსაფუძვლოდაა მიჩნეული, ან დანაშაული არასწორადაა კვალიფიცირებული, – მათი შეცვლის საფუძველი და მოტივი (მუხ. 508).

განაჩენი ექვემდებარება გაუქმებას ან შეცვლას, თუ:

ა) განსასჯელის დამნაშავედ ცნობის შესახებ სასამართლოს დასკვნა არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით;

ბ) არ აღმოფხვრილა მტკიცებულებებს შორის წინააღმდეგობა, რაც ეჭვქვეშ აყენებს სასამართლო დასკვნებს;

გ) სასამართლოს არ გაუთვალისწინებია საქმის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი;

დ) დასკვნის დასაბუთებლად სასამართლომ გამოიყენა მტკიცებულებები, რომლებიც დაუშვებელია ან საქმეს არ ეხება;

ე) წინააღმდეგობრივ მტკიცებულებათა არსებობისას სასამართლომ დაუსაბუთებლად უარყო ერთი და მიიღო მეორე მტკიცებულება;

ვ) სასამართლომ ეჭვი არ განმარტა განსასჯელის სასარგებლოდ (მუხ. 539).

საქმე სასამართლო განხილვიდან შეიძლება დაბრუნდეს დამატებით გამოძიებაში, თუ:

ა) წარმოებული გამოძიება არსებითად არასრულია და იგი არ შეიძლება სასამართლო სხდომაზე შეივსოს.

ბ) მოკვლევის ორგანომ, მომკვლევმა, გამომძიებელმა ან პროკურორმა დაუშვა კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევა, რაც ხელს უშლის საქმის განხილვას სასამართლოს მიერ, და სხვა.

საქმის დამატებით გამოძიებისათვის დაბრუნებისასა მოსამართლე ვალდებულია გადაწყვიტოს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების შეცვლის ან გაუქმების საკითხი (მუხ. 426).

აღნიშნულ საკითხთა თუ საგანაჩენო პრინციპების დადგენა, ცხადია სწარმოებს სასამართლო განხილვის სტადიაზე, რაც თავის მხრივ აისახება შესაბამის ოქმში, საიდანაც, როგორც წესი, ამოდის განაჩენი და მას ეყრდნობა.

ჩ განსასჯელის ინტერესებიდან გამომდინარე, შუამდგომლობა, რომელიც ადვოკატის მიერ იყო დაყენებული სამართალში მიცემის სტადიაზე და არ იქნა გაზიარებული საქმის განხილვის დასაწყისშიც, ისე, როგორც მის შემდგომ ადვოკატს კვლავ შეუძლია დააყენოს სასამართლოს წინაშე როგორც იმავე, ისე ახალი გააზრებით.

მოითხოვს პროცესუალური ნორმების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების საქმიდან ამოღება. ამასთანავე, იღონოს, რათა პროცესუალური ნორმები არავის მიერ იქნეს დარღვეული, გამოვლენის შემთხვევაში გააპროტესტოს; სასამართლო სხდომის მსვლელობა და გამომსვლელთა ჩვენებები მთლიანად ჩაინეროს; გამომსვლელებს დაუსვას შეკითხვები, რომლებიც ნათელს მოჰყენს დანაშაულის ჩადენის ფაქტობრივ გარემოებებს, სასამართლოს დაანახებს ასეულში და კერძოდ, სამხედრო ნაწილში არსებულ ჯარისკაცთა ყოფით პირობებს, კვებისა და სხვა მატერიალურ-უზრუნველყოფით მდგომარეობას, სამხედრო დისციპლინას, მეთაურთა პროფესიონალიზმს, მათ დამოკიდებულებას ჯარისკაცებთან და კერძოდ, განსასჯელთან. ჩგანსასჯელის პირად ხასიათს, ჯამრთელობის, ოჯახურ მდგომარეობას. მის დამოკიდებულებას თანამოსამსახურეებთან და სამხედრო ვალდებულებებთან. მის მიერ სამხედრო ნაწილის მიტოვების მიზეზებს, საბაბსა და მიზანს; მოითხოვოს და აჩვენოს მოსამართლეს საქმეში არსებული ოქმები თუ სხვა დოკუმენტებზე არსებული გამომსვლელთა ხელმოწერები, ხომ არ არის გამომძიებლის მიერ ისინი გაყალბებული; დაკითხვის პარალელურად თვალყური ადევნოს წინაწარი გამოძიების სტადიაზე მიცემული ჩვენებათა ასლებს, რომლებიც წინასწარ უნდა ჰქონდეს მოხსნილი და შესწავლი-

ლი. სხვაობის შემთხვევაში დაუსვას საკონტროლო შეკითხვები გამომსვლელთ.

საქმის მასალების გამოქვეყნების პროცესში, ხარვეზების მქონე და პროცესუალური ნორმების დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებზე შეაჩეროს სასამართლოს ყურადღება, მოითხოვოს მათი იურიდიული შეფასება და საქმიდან ამოღება.

§ პაექრობის დროს ადვოკატი დიდი ყურადღებით უნდა მოეპყრას პროკურორის საბრალდებო სიტყვას, რამდენად ობიექტურია მისი გამოსვლა, ბრალის დასაბუთება და პროფესიონალიზმი.

დაცვის სიტყვა უნდა აიგოს სქემით:

1. საქმის აღძვრის კანონიერების,
2. ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის,
3. საბრალდებო დასკვნისა და
4. სამართალში მიცემის კანონიერებათა უპირველესი შეფასებით, მათი საფუძვლების ანალიზით.

რომელიმე მათგანის უსაფუძვლობის გამო შესაძლოა, როგორც საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნება, ისე გამამართლებელი განაჩენის გამოტანაც, ან შემამსუბუქებელი მუხლით კვალიფიკაციის შეცვლა.

შემდეგ, ადვოკატმა ანალიზი უნდა გაუკეთოს სასამართლო გამოძიების სტადიაზე მიღებულ უტყუარ მტკიცებულებებს, რომლებზეც დაყრდნობით, პრინციპში, სასამართლო გამოიტანს განაჩენს. შეუჯეროს ისინი ბრალდებას და მისცეს მათ სწორი იურიდიული შეფასება, თუ რამდენად სამართლიანი იქნება აღნიშნულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით განაჩენის დადგენა. ამასთანავე, მხედველობიდან არ უნდა გამოორჩეს პროკურორის საბრალდებო სიტყვის გაბათილების მცდელობა. დანაშაულის დადასტურების შემთხვევაში დაასაბუთოს, რომ იგი ჩადენილია თავად საზოგადოებრივი ცხოვრების უკუღმართობით, მოიყვანოს შემამსუბუქებელი გარემოებები, სასამართლოს შეუქმნას რწმენა არასაპატიმრო სასჯელის ეფექ-

ტიანობაში.

პროკურორის რეპლიკა არ დატოვოს უპასუხოდ.

განსასჯელის საბოლოო სიტყვა გულახდილობას, სინანულსა და პატიების თხოვნას უნდა ეფუძნებოდეს.

ეფექტური იქნება, თუ ადვოკატი თავის დაცვით სიტყვას ნერილობით მოამზადებს და მის ასლს განაჩენის მისეულ ფორმულირებასთან ერთად გადასცემს მოსამართლეს.

სასამართლოს სხდომის ოქმი უნდა გადამოწმდეს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ადვოკატმა დაურთოს მას თავისი შენიშვნები.

მიუღებელი განაჩენის შემთხვევაში საქმე გასაჩივრდეს სააპელაციო წესით.

ყოფილი სამხედრო პროკურორი,


ადვოკატი – ა. ქოჩიაშვილი 2001.

რეფერალი შრ -14

აღკონარი

(სახსკრიტხე)

წმინდა ზეცური სხივი



ებრაელთა ბიბლიური
შეთქმულება,

საფრთხეები!

გზა სსნისა →

თბილისი 2019

ბამოყენებული ლიტერატურა

ნაწილი 1.

თავი 1.

1. ქართლის ცხოვრება, ტ. 1, თბილისი, 2012., გვ:9-16, 20, 22, 24-28, 30, 32, 40, 41, 102;
2. ქართლის ცხოვრება, ტ. 4, თბილისი, 1973., გვ:47-58, 77-94;
3. სომხეთის ისტორია, მოვსეს ხორენაცი, თბილისი, 1984, გვ:63, 69, 70-72, 86, 87, 101-102, 106, 107;
4. ილია ჭავჭავაძე, ქვათა ღალადი, თ. სანიკიძე, თბილისი, 1994(1899), გვ, 10;
5. ჰეროდეტეს ისტორია, ტ. 1, თბილისი, 1975, გვ: 27, 29, 155-156;
6. ილია ჭავჭავაძე, ქვათა ღალადი, თ. სანიკიძე, თბილისი, 1994(1899), გვ:12-16, 41, 42, 45, 46, 48;
7. ივ. ჯავახიშვილი, ტ. 1, თბილისი, 1979, გვ:43, 44;
8. ივ. ჯავახიშვილი, ტ. 7, თბილისი, 1982, გვ:126-129;
9. ივ. ჯავახიშვილი, ტ. 11, თბილისი, 1998, გვ:13, 14, 17-20, 22, 264, 265;
10. მიხაკო წერეთელი, ერი და კაცობრიობა, თბილისი, 19, გვ:226-232;
11. ზვიად გამსახურდია, წერილები, ესეები, თბილისი, 19, გვ:26-30, 192, 193, 217, 218;
12. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი, 1990, გვ:205 – 209, 237, 251, 253, 260, 352;
13. მანანა სანაძე, „ქართლის ცხოვრება“ და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი(ქართლოსიდან – მირიანამდე), თბილისი, 2001, გვ:28-31, 38, 42, 43;

14. საქართველოს ისტორია(4 ტომეული), თბილისი, 2012, გვ:30, 40, 48, 49, 55, 90, III-113, 165, 169, 226;

თავი 2.

1. ქართლის ცხოვრება, ტ. 1. თბილისი, 2012, გვ:311-313;

2. სომხეთის ისტორია, მოვსეს ხორენაცი, თბილისი, 1984, გვ:86-87, 102;

3. ივ. ჯავახიშვილი, ტ. 3, თბილისი, 19, გვ:315;

4. საქართველოს საეკლესიო კალენდარი, თბილისი“ გვ:303-369;

5. იაკობ ახუაშვილი, ახალი ქვათა ლაღადი, თბილისი, 2005, ;

6. უახლოესი ისტორიის არქივი, ფონდი N 254, საქმე N143;

7. იგივე ფონდი N254;

8. И. В. Сталин, т. 5, 1921-1923 гг., გვ:15-18, 95, 96, 239, 251-257;

9. ჰტტპ://მედიაციტუ. გე/ ნევს. პპპ?იდ=853;

10. კიტა ბუაჩიძე, „შავი წიგნი“, გვ. 252;

11. კიტა ბუაჩიძე, „შავი წიგნი“, გვ. 60, 61;

12. კიტა ბუაჩიძე, „შავი წიგნი“, გვ. 5;

13. გულაბერ კლარჯი, გადაშენება გვინერია ქართველებს, თბილისი, 2000;

ქართველი ერის შავბედილობა, თბილისი, 2004;

14. X. УМАРОВ-ГОЗАЛИШВИЛИ, `ТРАГЕДИЯ МЕСХОВ~, ТБИЛИСИ, 2004, გვ:70-71;

ნაწილი 2.

1. ЭНСИКЛОПЕДИЯ, МЫСЛЬ, СИМФЕРОПОЛЬ, 1996 გვ. 166;

დასკვნაში-გამოყენებული ლიტერატურა:

1. БИБЛЕЙСКАЯ ЭНЦИКЛОПЕДИЯ, АРХИМАНДРИТА

НИКИФОРА, МОСКВА, 1891, გვ: 177, 284;

2. ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 27;

3. ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ:192-196;

4. ივ. ჯავახიშვილი, ტ. 4, 1996, გვ. 24;

5. ივ. ჯავახიშვილი, ტ. 4, 1996, გვ. 39;

6. საიტი, [HTTPS//RU, WIKIPEL.ORG/C](https://ru.wikipedia.org/);

7. БИБЛЕЙСКАЯ ЭНСИКЛОДИЯ АРХИМАНДРИТА
НИКИФОРА, МОСКВА, 1891, gv: 1778 284;

ა. ქოჩიაშვილი

